

1948/6



მნათობი

114
1948/6

177

3

თბილისი
1948

მნათობი

1474

სრულიდ-საბარტველოს საგვრთა შვირღებინ
კავშირის ურუველთვიური სალიბერატორს
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ურსალი

წელიწადი ოცდამეხუთე

3



3. მეჩაღელის ოპერის „ღიალი მეგობრობის“ შესახებ

საქავშირო კ. ზ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის
10 თებერვლის დაღბინიღბ



საქავშირო კ. ზ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მიღჩნია, რომ ოპერა „ღიადი მეგობრობა“ (მუსიკა ვ. მურადელისა, ლიბრეტო გ. მდივანისა), რომელიც სსრ კავშირის დიდ თეატრში დაიდღა ოქტომბრის რევოლუციის 30 წლისთავის დღეებში, როგორც მუსიკალური, ისე სიუჟეტური მხრივ, მანკაერი, ანტიმხატვრული ნაწარმოებია.

ოპერის ძირითადი ნაკლოვანებანი უწინარეს ყოვლისა მღგომარეობს ოპერის მუსიკაში. ოპერის მუსიკა უფერულია, ღარიბია. იქ არ არის არც ერთი დასამახსოვრებელი მელოდია ან არია. იგი ბუნდოვანი და დისჰარმონიულია, აგებულია მთლიან დისონანსებზე, ყურთასმენის წამღებ ბგერათშეხამებებზე. ცალკეული სტრიქონები და სცენები, რომელთაც მელოდიურობის პრეტენზია აქვთ, უეტრად სწყდება უაზრო ხმაურით, რაც სრულიად უცხოა ნორმალური ადამიანის სმენისათვის და დამაღონებლად მოქმედებს მსმენელებზე. მუსიკასა და სცენაზე მოქმედების განვითარებას შორის არ არის ორგანული კავშირი. ოპერის ვოკალური ნაწილი—გუნდის, სოლოს და ანსამბლის სიმღერა—უბადრუკ შთაბეჭდილებას სტოვებს. ყოველივე ამის გამო ორკესტრისა და მომღერლების შესაძლებლობანი გამოუყენებელი რჩება.

კომპოზიტორმა ვერ ისარგებლა ხალხური მელოდიების, სიმღერების, ჰანგების, საცეკვაო მოტივების სიუხვით, რომლებითაც ესოდენ მდიდარია სსრ კავშირის ხალხთა შემოქმედება და, კერძოდ, იმ ხალხთა შემოქმედება, რომლებიც ჩრდილო კავკასიაში მოსახლეობენ, სადაც ოპერის მოქმედება ვითარდება.

კომპოზიტორი მურადელი გამოედევნა მუსიკის ყალბ „ორიგინალობას“, უგულბებლყო კლასიკური ოპერის საუკეთესო ტრადიციები და გამოციდილება საერთოდ, განსაკუთრებით რუსული კლასიკური ოპერისა, რომელიც გამოირჩევა შინაარსიანობით, მელოდიების სიმღიდრით და ფართო დიპაზონით, ხალხურობით, კაშპული, მშვენიერი, ნათელი მუსიკალური ფორმით, რამაც რუსული ოპერა გახადა საუკეთესო ოპერა მსოფლიოში, ხალხის ფართო ფენებისათვის საყვარელი და ხელმისაწვდომი მუსიკის ეანრი.

ისტორიულად ყალბი და ხელოვნურია ოპერის ფაბულა, რომელსაც პრეტენზია აქვს გამოხატოს ბრძოლა 1918—1920 წლებში ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისა და ხალხთა მეგობრობის დამყარებისათვის. ოპერიდან იქმნება არასწორი წარმოდგენა, თითქოს ისეთი კავკასიელი ხალხები, რომ

გორიც არიან ქართველები და ოსები, იმ ეპოქაში მტრულად იყვნენ განწყობილი რუსი ხალხისადმი, რაც ისტორიულად ყალბია, ვინაიდან ხალხთა შეგობრობის დამყარების ხელშეშლელსა იმ ანაიოდსა ჩოდილო კავკასიაში ინგუშები და ჩაჩნები იყვნენ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ შურადელის ოპერის ჩაყარდნა არის შედეგი საბჭოთა კომპოზიტორის შემოქმედებისათვის ყალბი და დამღუპველი ფორმალისტური გზისა, რასაც ამხ. შურადელი დაადგა.

როგორც საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ჩატარებულმა საბჭოთა მუსიკის მოღვაწეთა თათბირმა ცხადყო, შურადელის ოპერის ჩაყარდნა კერძო შემთხვევა როდია, არამედ მჭიდროდ არის დაკავშირებული თანამედროვე საბჭოთა მუსიკის არახელსაყრელ მდგომარეობასთან, საბჭოთა კომპოზიტორებს შორის ფორმალისტური მიმართულების გავრცელებასთან.

გერ კიდევ 1936 წელს, დ. შოსტაკოვიჩის ოპერის „მცენსკის მაზრის ლედი მაკბეტის“ დადგმასთან დაკავშირებით, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანო „პრადეაში“ მწვევედ იყო გაკრიტიკებული ანტიხალხური, ფორმალისტური დამახინჯებანი დ. შოსტაკოვიჩის შემოქმედებაში და გამოაშკარავებულ იქნა საბჭოთა მუსიკის განვითარების ბედისათვის ამ მიმართულების მავნებლობა და საშიშროება. „პრადეა“, რომელიც მაშინ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებით გამოვიდა, ნათლად ჩამოაყალიბა ის მოთხოვნები, რომლებსაც საბჭოთა ხალხი თავის კომპოზიტორებს უყენებს.

მიუხედავად ამ გაფრთხილებისა, აგრეთვე იმ მითითებათა საწინააღმდეგოდ, რომლებიც საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მოცემული იყო მის გადაწყვეტილებებში ეურნალების „ზევზისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ, კინოფილმ „დიდი ცხოვრების“ შესახებ, დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, საბჭოთა მუსიკაში არავითარი გარდაქმნა არ მომხდარა. ზოგიერთი საბჭოთა კომპოზიტორის ცალკეული წარმატებანი ახალი სიმღერების შექმნის დარგში, რომლებმაც ხალხში აღიარება და ფართო გავრცელება ჰპოვეს, კინოსათვის მუსიკის შექმნის დარგში და სხვ., მდგომარეობის საერთო სურათს არ სცვლიან. განსაკუთრებით ცუდად არის საქმე სიმფონიური და საოპერო შემოქმედების დარგში. ლაპარაკია იმ კომპოზიტორებზე, რომლებიც მისდევენ ფორმალისტურ, ანტიხალხურ მიმართულებას. ამ მიმართულებამ თავისი უაღრესად სრული გამოხატულება ჰპოვა ისეთი კომპოზიტორების ნაწარმოებებში, როგორც არიან ამხანაგები დ. შოსტაკოვიჩი, ს. პროკოფიევი, ა. ხაჩატურიანი, ვ. შებალინი, ვ. პოპოვი, ნ. მიასკოვსკი და სხვ., რომელთა შემოქმედებაშიც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ წარმოდგენილია ფორმალისტური დამახინჯებანი, ანტიდემოკრატიული ტენდენციები მუსიკაში, რაც უცხოა საბჭოთა ხალხისა და მისი მხატვრული გემოვნებისათვის. ასეთი მუსიკის დამახასიათებელი ნიშნებია კლასიკური მუსიკის ძირითადი პრინციპების უარყოფა, ატონალობის, დისონანსისა და დისჰარმონიის ქადაგება, რომლებიც თითქმის წარმოადგენენ „პროგრესისა“ და „ნოვატორობის“ გამოხატულებას მუსიკალური ფორმის განვითარებაში. მუსიკალური ნაწარმოების ისეთ უმნიშვნელოვანეს საფუძვლებზე უარის თქმა, როგორიცაა მელოდია, გატაკება უაზრო, ნევროპათიული ბგერების შეხამებით, რომლებიც მუსიკას კაკოფონიად, ბგერების ქაოტიურ გროვად აქცევენ. ამ მუსიკას ძლიერ ასდის ევროპისა და ამერიკის



თანამედროვე მოდერნისტული ბურჟუაზიული მუსიკის სუნი, რომელიც ხაზს ხაზს ბურჟუაზიული კულტურის მარაზმს, მუსიკალური ხელოვნების უარსყოფას, მის ჩიხს.

ფორმალისტური მიმართულების არსებით ნიშანს წარმოადგენს აგრეთვე უარის თქმა პოლიფონიურ მუსიკასა და სიმღერაზე, რომლებიც დამყარებულია მთელი რიგი დამოუკიდებელი მელოდიური ხაზების ერთდროულად შეხამებასა და განვითარებაზე, და გატაცება მონოტონური უნისონური მუსიკითა და სიმღერით, ხშირად უსიტყვებოდ, რაც წარმოადგენს ჩვენი ხალხისათვის ჩვეული მრავალხმოვანი მუსიკალურ-სასიმღერო წყობის დარღვევას, და მუსიკის ვალარიზებასა და დაცემას იწვევს.

ბევრი საბჭოთა კომპოზიტორი, რომლებიც სთელავენ რუსული და დასავლეთური კლასიკური მუსიკის საუკეთესო ტრადიციებს. უარყოფენ ამ ტრადიციებს, თითქოს როგორც „შომველებულს“, „დრომოკმულს“, „კონსერვატიულს“, ქედმაღლურად ეპყრობიან, როგორც „პრიმიტიული ტრადიციულობის“ და „ეპიგონობის“ მომხრეებს, იმ კომპოზიტორებს, რომლებიც ცდილობენ კეთილსინდისიერად აითვისონ და განავითარონ კლასიკური მუსიკის ხერხები, ყალბად გაგებული ნოვატორობის გამოდევნებით, თავიანთ მუსიკაში ჩამოშორდნენ საბჭოთა ხალხის მოთხოვნებსა და მხატვრულ გამოვლენას, ჩაიკეტნენ სპეციალისტებისა და მუსიკალური გურმანების ვიწრო წრეში, დაამდაბლეს მუსიკის მაღალი საზოგადოებრივი როლი, შეამცირეს მისი მნიშვნელობა და იგი მოესთებე ინდივიდუალისტების დამახინჯებული გამოვლენების დამყარებით შემოფარგლეს.

ფორმალისტურმა მიმართულებამ საბჭოთა მუსიკაში საბჭოთა კომპოზიტორების ერთ ნაწილში წარმოშვა ცალმხრივი გატაცება ინსტრუმენტალური სიმფონიური უტექსტო მუსიკის რთული ფორმებით და უგულვებელყოფითი დამოკიდებულება ისეთი მუსიკალური ძანრებისადმი, როგორცაა ოპერა, საგუნდო მუსიკა, პოპულარული მუსიკა მცირე ორკესტრებისათვის, სახალხო ინსტრუმენტების, ვოკალური ანსამბლებისათვის და სხვ.

ყოველივე ეს გარდუვალად იწვევს იმას, რომ იკარგება ვოკალური კულტურისა და დრამატული ოსტატობის საფუძვლები და კომპოზიტორებს ავიწყლებათ წერა ხალხისათვის, რისი დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ უკანასკნელ დროს არ შექმნილა არც ერთი საბჭოთა ოპერა, რომელიც რუსული კლასიკური ოპერის დონეზე იდგეს.

საბჭოთა მუსიკის ზოგიერთი მოწაფის მოწაფისა ხალხსაგან იქამდე მივიდა, რომ მათს წრეში გავრცელდა დამპალი „თეორია“, რის გამოც იმ ვარემოებას, რომ ბევრი თანამედროვე საბჭოთა კომპოზიტორის მუსიკა ხალხს არ გაეგება, იმით ხსნიან, თითქოს ხალხი „არ მოწონებდა“ მათი რთული მუსიკის გაგებისათვის, რომ ხალხი ამ მუსიკას გაიგებს საუკუნეთა შემდეგ და არა ღირს იმით შეშფოთება, თუ ზოგიერთი მუსიკალური ნაწარმოები მსმენელებს არ სწევდება. ეს მთლიანად ინდივიდუალისტური, ძირიანად ანტიხალხური თეორია კიდევ უფრო უწყობდა ხელს ზოგიერთ კომპოზიტორსა და მუსიკის მკოდნეს გამოკენდა ხალხს, საბჭოთა საზოგადოებრიობის კრიტიკას და თავის ნაქუქში მომწყვდევლიყო.

ყველა ამ და ამის მსგავს შეხედულებათა კულტივირება უდიდეს ზიანს აყენებს საბჭოთა მუსიკალურ ხელოვნებას. ამ შეხედულებებისადმი შემწყნარ-

რებელი დამოკიდებულება ნიშნავს საბჭოთა მუსიკალური კულტურის მოღვაწეთა შორის საბჭოთა მუსიკალური კულტურისათვის იმ უცხო ტენდენციების გავრცელებას, რომელთაც მუსიკის განვითარებაში მიუყვებით ჩინამდე, მუსიკალური ხელოვნების ლიკვიდაციამდე.

მანკიერი, ანტიხალხური, ფორმალისტური მიმართულება საბჭოთა მუსიკაში აგრეთვე დამლუპველ გავლენას ახდენს ახალგაზრდა კომპოზიტორების მომზადებასა და აღზრდაზე ჩვენს კონსერვატორიებში, და პირველ რიგში მოსკოვის კონსერვატორიაში (დირექტორი ამხ. შებალინი), სადაც გაბატონებულია ფორმალისტური მიმართულება. სტუდენტებს არ უნერგავენ პატივისცემას რუსული და დასავლეთური კლასიკური მუსიკის საუკეთესო ტრადიციებისადმი, არ უფითარებენ სიყვარულს ხალხური შემოქმედებისადმი, დემოკრატიული მუსიკალური ფორმებისადმი. კონსერვატორიების ბევრი მოწაფის შემოქმედება დ. შოსტაკოვიჩის, ს. პროკოფიევისა და სხვათა მუსიკის ბრმა მიბაძვას წარმოადგენს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს საბჭოთა მუსიკალური კრიტიკის სრულიად შეუწყნარებელ მდგომარეობას. კრიტიკოსთა შორის ხელმძღვანელი მდგომარეობა უკავიათ რუსული რეალისტური მუსიკის მოწინააღმდეგეებს, დაცემულობის, ფორმალისტური მუსიკის მომხრეებს. პროკოფიევის, შოსტაკოვიჩის, მიასკოვსკის, შებალინის ყოველ მორიგ ნაწარმოებს ეს კრიტიკოსები „საბჭოთა მუსიკის ახალ მონაპოვრად“ აცხადებენ და ამ მუსიკაში ქებათა ქებას ასხამენ სუბიექტივიზმს, კონსტრუქტივიზმს, უკიდურეს ინდივიდუალიზმს, ენის პროფესიულ გართულებას, ე. ი. სწორედ იმას, რაც გაკრიტიკებულ უნდა იქნას. ნაცვლად იმისა, რომ ვააცამტყეროს სოციალისტური რეალიზმის პრინციპებისათვის მათე, უცხო შეხედულებანი და თეორიები, მუსიკალური კრიტიკა თვითონ უწყობს ხელს მათს გავრცელებას, აქებს და „მოწინავედ“ აცხადებს იმ კომპოზიტორებს, რომლებიც თავის შემოქმედებაში ყალბ შემოქმედებით მიზანდასახულებას იზიარებენ.

მუსიკალური კრიტიკა აღარ გამოხატავს საბჭოთა საზოგადოებრიობის აზრს, ხალხის აზრს, იგი გადაიქცა ცალკეულ კომპოზიტორთა რუმორად. ზოგერთი მუსიკალური კრიტიკოსი, პრინციპული ობიექტური კრიტიკის ნაცვლად, მეგობრული ურთიერთობის გამო მაამებლობასა და მონურად ქედის მოხრას იჩენს ამა თუ იმ მუსიკალური ლიდერის წინაშე, ყოველნაირად აქებს და აღიდებს მათს შემოქმედებას.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კომპოზიტორების ერთ ნაწილში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაშთები, რომლებსაც ასულდგმულებს დასავლეთი ევროპისა და ამერიკის თანამედროვე დაცემულობის მუსიკის გავლენა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ეს არახელსაყრელი მდგომარეობა საბჭოთა მუსიკის ფრონტზე შეიქმნა საბჭოთა მუსიკის დარგში იმ არასწორი ხაზის შედეგად, რომელსაც ატარებდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტი და საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა კომიტეტი (ამხ. ზრაჰინკო) და საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტი (ამხ. ზაჩატურინი) ნაცვლად იმისა, რომ საბჭოთა მუსიკაში განვითარებინათ რეალისტური მიმართულება, რომლის საფუძვლებსაც



წარმოადგენს კლასიკური მემკვიდრეობის უდიდესი პროგრესული ძეგლები. ალიარება, განსაკუთრებით რუსული მუსიკალური სკოლის ტრადიციების შესწავლა, ამ მემკვიდრეობის გამოყენება და მისი შემდგომი განვითარება, მუსიკაში მაღალი შინაარსიანობისა და მუსიკალური ფორმის მხატვრული სრულყოფილობის შეხამება, მუსიკის სიმართლე და რეალურობა, ხალხთან და მის მუსიკალურ და სასიმღერო შემოქმედებასთან ღრმა ორგანული კავშირი, მაღალი პროფესიული ოსტატობა და ამასთან ერთად მუსიკალურ ნაწარმოებთა სისადავე და მისაწვდომობა, — არსებითად აქვებდნენ საბჭოთა ხალხისათვის უცხო, ფორმალისტურ მიმართულებას.

საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტი გადაიქცა ფორმალისტ კომპოზიტორთა ჯგუფის იარაღად და ფორმალისტურ დამახინჯებათა ძირითადი გამავრცელებელი გახდა. საორგანიზაციო კომიტეტში შეიქმნა დამპალი ატმოსფერო, არ სწარმოებს შემოქმედებითი დისკუსიები. საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელები და მის გარშემო დაჯგუფებული მუსიკის მცოდნეები ქება-დიდებას ასხამენ ანტირეალისტურ, მოდერნისტულ ნაწარმოებთ, რომლებიც ღირსნი არ არიან მხარდაჭერისა, ხოლო იმ ნაშრომებს, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი რეალისტური ხასიათით, მისწრაფებით განაგრძონ და განავითარონ კლასიკური მემკვიდრეობა, მეორეხარისხოვან ნაშრომებად აცხადებენ, შეუმჩნევლად სტოვებენ და აბუჩად იგდებენ. კომპოზიტორები, რომლებიც იკვებნიან თავიანთ „ნოვატორობას“, „არქირევოლუციურობას“ მუსიკის დარგში, თავისი მოღვაწეობის დროს საორგანიზაციო კომიტეტში გამოდიან უაღრესად ჩამორჩენილი და დამპალი კონსერვატიზმის მომხრეებად, კრიტიკის თვით უმცირესი გამოვლინებისადმი ქედმაღლურ შეუწყნარებლობას იჩენენ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ისეთი ვითარება და ისეთი დამოკიდებულება საბჭოთა მუსიკის ამოცანებისადმი, როგორც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტში და საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტში შეიქმნა, შემდეგში არ შეიძლება შეწყნარებულ იქნას, ვინაიდან ისინი უდიდეს ზიანს აყენებენ საბჭოთა მუსიკის განვითარებას. უკანასკნელ წლებში საბჭოთა ხალხის კულტურული მოთხოვნა და მხატვრული გემოვნების დონე არაჩვეულებრივად გაიზარდა. საბჭოთა ხალხი კომპოზიტორებისაგან მოელის მაღალხარისხოვან და იდეურ ნაწარმოებებს ყველა ქანრში — ოპერის, სიმფონიური მუსიკის დარგში, სასიმღერო შემოქმედებაში, საგუნდო და საცეკვაო მუსიკაში. ჩვენს ქვეყანაში კომპოზიტორებს მინიჭებული აქვთ განუსაზღვრელი შემოქმედებითი შესაძლებლობანი და შექმნილი აქვთ ყველა საჭირო პირობა მუსიკალური კულტურის ნამდვილი აყვავებისათვის. საბჭოთა კომპოზიტორებს ჰყავთ ისეთი აუდიტორია, როგორც წარსულში არც ერთ კომპოზიტორს არასოდეს არ ჰყოლია. შეუწყნარებელი იქნებოდა, რომ კომპოზიტორებს არ გამოეყენებინათ მთელი ეს მდიდარი შესაძლებლობანი და თავიანთი შემოქმედებითი ღონისძიებანი არ წარემართათ სწორი რეალისტური გზით.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. დაგმობილ იქნას ფორმალისტური მიმართულება საბჭოთა მუსიკაში, როგორც ანტიხალხური და ისეთი მიმართულება, რომელიც საქმით მუსიკის ლიკვიდაციას იწვევს.

2. წინადადება მიეცეთ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების სამმართველოს და ხელოვნების საქმეთა კომიტეტის გამგეობას მდგომარეობა საბჭოთა მუსიკაში, აღმოფხვრან ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი და უზრუნველყოთ საბჭოთა მუსიკის განვითარება რეალისტური მიმართულებით.

3. მოწოდებულ იქნან საბჭოთა კომპოზიტორები განიმსჯელონ იმ მაღალი მოთხოვნების შეგნებით, რომლებსაც საბჭოთა ხალხი მუსიკალურ შემოქმედებას უყენებს, უკუაგდონ თავისი გზიდან ყოველივე, რაც ასუსტებს ჩვენს მუსიკას და ხელს უშლის მის განვითარებას, უზრუნველყოთ შემოქმედებითი მუშაობის ისეთი აღმავლობა, რომელიც სწრაფად წასწევს წინ საბჭოთა მუსიკალურ კულტურას და მუსიკალური შემოქმედების ყველა დარგში გამოიწვევს საბჭოთა ხალხისათვის ღირსეულ, სრულფასოვან, მაღალხარისხოვან ნაწარმოებთა შექმნას.

4. მოწონებულ იქნას სათანადო პარტიული და საბჭოთა ორგანოების საორგანიზაციო ღონისძიებანი, მიმართულნი მუსიკალური საქმის გაუმჯობესებისაკენ.

ღაპრით აღგზნებული

ბრილოვია
კარი მორია *



XXXV

... როგორ უხმოვდა ბნელში
მამალი ხოხობი ცისპარს

ჯვაროსნული ომები ჯერაც დაწყებული არ იყო, როცა კონსტანტინეპოლიდან ლიპარიტის უბანში ჩამოეხეტა დაუძღებელი ბერი ევტიხი. იგი ათ წელს დუშოლს იცავდა ათონის იბერიელთა მონასტერში.

ღვთისაღმი აღთქმული ვადა რა მოათაეა, ერთ მშვენიერ დღეს დაუოკებლად აყბედდა.

უცნაურად შეიცვალა ევტიხიმ ზნე. ჩუმჩუმად ლოთობას მიჰყო ხელი. ბოლოს ისე გაუტკბა ხიოსის ღვინო, მას საოსტიგნოში წააწყდა მონასტრის წინამძღოლი ნამუსრევს, ბევრი აღარ აცალეს, განატიყება მოუწყვეს.

ათონიდან იერუსალიმს წაეხეტა ევტიხი, იერუსალიმის პატრიარქს ლოცვა კურთხევა გამოსტყუა, დიდძალი ჯვრები, ხატები, წმიდანთა ნეშთები მობოჭა, რომს ჩაეიდა ბოლოს და აქ ქადაგად დაეარდნილად გამოაცხადა თავი.

მთელი იტალიის მონასტრები შიშობიარა ევტიხიმ, მარჩიელობდა, რამლის ჩხრეკაში დახელოვნებული, თანაც ვაჭრობდა ჩუმად.

ათონსა და იერუსალიმში მობოჭილ წმინდანთა თმებსა და ფრჩხილებს ჰყიდიდა, ნაირნაირ აევაროზებს, წ. მო-

წამეთა ძვლების ნამუსრევებს, აპოკრიფულ ბერძნულსა და ქართულ ხელნაწერებს, ხატებსა და კარაბადინებს. ხალხს არწმუნებდა: თურქებმა მაწამესო იერუსალიმში.

რომის პაპის, მისსიონერთა უწყება „პროპაგანდა დეი ფიდე“ ფრიად მოწადინებული იყო როგორც ბიზანტიური, ისე ქართული ეკლესიები ხელში ჩაეგდო; ამიტომაც მისსიონერებმა ხელი წაავლეა ქართველ ბერს და ურბან მეორეს წარუდგინეს იგი.

ევტიხი ომახიანი კაცი იყო, მხარბეჭიანი, გრძელწვერა და ბერძნულ რიტორობაში ფრიად გაწაფული, ამიტომაც მოეწონა იგი პაპს, ოქროებით დაასაჩუქრეს „თურქების მიერ იერუსალიმში გვემული“ ბერი, კათოლიკური საღვთო წერილნი და პაპის ეპისტოლენი თან გაატანეს კონსტანტინეპოლს წარგზავნილს.

ენა ველარ მოასვენა ევტიხიმ, ბოლოს კონსტანტინეპოლის პატრიარქთან შეასმინეს იგი და ბიზანტიიდან ექსორია უყვეს „კათოლიკური მწვალებლობის“ ქადაგებისათვის.

მერმე ის იყო თრიალეთს ჩამოვიდა კლარჯეთიდან, წინასწარ დარწმუნებული, რომ ლიპარიტ ერისთავი დიდის პატივით მიიღობდა მას, როგორც იერუსალიმში ნამყოფს ათონელ ბერს.

ეს იმედი მით ღფრო უეჭვილად შეაჩნდა ევტიხის, რადგან მამა მისი, ლი-

* დასსრული იხ. „მნათობი“ № 2.

პარიტ დიდის მესაწოლედ ყოფილიყო ოდესღაც და შეიდ წელს ფეხს ფხანდა თურმე ერისთავთ-ერისთავს.

ლიპარიტის უბანში რა გაიგო ევტიხიმ, ლიპარიტ ამირა ჯაკუვით ჰყავსო დავით მეფეს კლდეკარის ციხეში დაბმული, მანგლისს წავიდა, რადგან კარვად იცოდა, დემონოლოგია, ასკეტური მწერლობა და სხვა მისთანანი დიახაც აინტერესებდა კირიონ მანგლელს. ახლა მისგან მოელოდა აღზევებას ევტიხი.

უკვე უბრალო ბერობას აღარ კადრულობდა მსოფლიოს შემომეღელი კაცი, პატრიარქისა და პაპის აუღენციგებით გულმოცემული, ეპისკოპოსის ტიარისთვის ოცნებობდა იღუშალ.

გულზე შემოეყარა ევტიხის, რა გაიგო მანგლისში: ბიზანტიონშიაო მანგლელი. ადგა და მოედო თრიალეთის, ჯავახეთისა და ქვემო ქართლის ეკლესიებს.

აქაც ჰყიდიდა წ. ნეშთებს, ამოკრიფულ წიგნებსა და ავგაროვნებს, ჭადაგებდა, რამოს ჩხრეკდა და მარჩიელობდა.

ნაწირებს ეკლესიების, მონასტრების ეზოში მოგროვილ ბრბოში გაჩნდებოდა ევტიხი და ასეთი ამბებით ართობდა მოსეირნთა:

ვის ეჭირა ხმალი იქვეყისი თავდაპირველად, მიჭელ გაბრიელს თუ სატანას?

შესაძლოა თუ არა ჰაერი, ცეცხლით, ან ღვინით მონათვლა?

(ევტიხი ამტკიცებდა: საქართველოში ღვინით უნდა გაენათლოთ ჩვილნი, რაკი ვაზის ჯვართი მონათლოა წმ. ნინომ, ქართველი ხალხი).

შესაძლო იყო თუ არა, ქრისტეს, რომელმაც ღორის კოლტში „ჩადენა“ სატანა, ვირის, ან თხის გვამებში „ჩაერეა“ ეშმაკეული?

რომელი ერთია უფრო არაწმინდა, ღორის დრუნჩი, ძაღლის ლაში, თუ ცოდვილის პირი?

რომელ წელს მისთხოვდა ევტიხი ევა, ან როდის დაიბადა მისი შვილები? ბისაგან წარმოშობილი პირველი ზანგი?!

ევტიხი მონასტერთა წესდების გადახალისებასაც უჩჩევდა მონასტრების წინამდგომთ: არა კმარა მარტოოდენ ღლინითა და გალობით კითხულობდეს მორჩილი ფსალმუნს, ფსალმუნის ყოველი ლექსის წაკითხვისას, თითო მათრახი უნდა უთავაზოს მას წინამძღოლმა, უკეთ დაიხსომებსო.

ასე რომ, ევტიხის ვარაუდით, წლის განმავლობაში ყოველ მორჩილს ბარე ხუთმეტ ათასჯერ უნდა მოხვედროდა მათრახი.

იტალიაში ევტიხი დახელოვნდა იმჟამდ მანდ გავრცელებული „გრძნეულობით“, დინგელისაგან კაცის ანაგობის გამოქანდაკებაზე. ეს მან შეასწავლა აზნაურ დუქისძეს და სხვა ლიპარიტელებს დავით მეფის სახის გამოქანდაკება დინგელისაგან.

ისზნენ თრიალეთელი ბებერი აზნაურები და მათი ცოლები, თითხინდნენ დინგელისაგან დავით მეფის ანაგობას, სწყველიდნენ მას, თანაც ჩხვლეტდნენ ნემსებით, წინასწარ დარწმონებულნი, რომ ამ გზით შესძლებდნენ მის გაჩხიბვას და მოკვდინებას.

სხვა სისულელეებსაც ბევრს რომავდა ევტიხი.

ჭადაგებდა: ბალახს ნურც ნამკლით მოსჭრით, ნურც მოსცელათ, ხელით მოპოტეთო.

თმას ნულარ შეიკრეკო, ფრჩხილებს ნულარ დაიპრითო, და თავსა და ტანს ნუ იბანო, უძილობას, შიმშილსა და გამუდმებულ ტირილს მიეჩვიეთო, რადგან ადამიანი ტირილით მოდის ამ საწუთროში, ნიადავ უნდა იტიროს და ტირილით წავიდეს მამა ღმერთთან. რომილიც საბოლოოდ, წარბოცსო ადამიანებს ცრემლებს.

ევტიხის იტალიიდან ჩამოტანილი ჰქონდა „ტირილის ორდენის“ წესდ-



ბა—„გრაცია ლაკრიმანუმ“—და და-
დუმებულ ბერების კანონთა კრებული,
სადაც აღწუსებულია თუ რა რიგად უნ-
და მიეჩვიოს ყოველი მართლმორწმუნე
ქრისტიანი დემილს.

თავათ ენაგალაქსარებულნი ბერი სა-
ქვეყნოდ ამტკიცებდა: ყოველი სიტყ-
ვა, რომელიც ადამიანს წამოსცდება
პირიდან, უკვე შეცოდებას ნიშნავსო
თავისთავად.

„იტირეთ, იტირეთ!“

უქ-დაგვებდა ევტიხი ხალხს.

„იტირეთ და ტირილით შეეგებეთ
დღეს განკითხვისას, რადგან მოწუ-
ლია ეამი უკანასკნელი თავტირილისა.

ტირილი გემართებს და გოდება,
რადგან არაფერია სანუგეშო ამ სა-
წუთაროში“.

მჭერმეტყველი იყო ევტიხი ფრიად
და მოსეირეთა ბრბოები თან დასდევ-
დნენ მას. დასხამდა სოფლის დიაცებს
ეკლესიის ეზოში, წამოადგებოდა თავ-
ზე და მოუთხრობდა მათ თუ როგორ
აწამეს ებრაელებმა იესო ქრისტე.

როგორ გაჰყიდა იგი მუხანათმა ისკა-
რიოტელმა ოცდაათ ოქროდ. მერმე
როგორ აიყვანეს გოლგოთაზე ჯვარის-
მტიერთველი მაცხოვარი ტყეპითა და
ცემით.

როგორ ნერწყვიდნენ მას ფარისე-
ველნი და მწიგნობარნი გზადაგზა.

მერმე როგორ გააქრეს ჯვარზე, რო-
გორ შეურაცხვეს და მოაკედინეს
იესო.

ყოველივე ამას ისეთი აღგზნებული
სიტყვებით მოუთხრობდა მსმენელებს
ბერი ევტიხი, დიაცები ერთობლივ ტი-
რილს მორთავდნენ, თითქოს ეს ამბები
წინა დღეებში მომხდარიყოს.

ხომ აგრე გააწამეს ებრაელებმა სი-
ცოცხლეშივე მაცხოვარი ჩვენი, ახლა
უშჯულო თურქები განაგრძობენ მათ
საქმეს. მათ ხელში ჩაიგდეს ქრისტეს
საფლავი და ხმალამოწვილი ქერუბი-
მები რომ არ იცაიდნენ მას, თურქები
წმიდა ნეშთსაც შეგვივინებდნენო.

არც ამას აკმარებდა ევტიხის მტრთა-
ვის მრევლს.

ახლა ახსენებდა ფარცხისისა და
ახალქალაქში დაღუპულ გმირებს, რო-
მელნიც დიბოცნენ თურქების წინააღ-
მდეგ ბრძოლაში, მოყვებოდა მალიქ-
შაჰს, ალფ-არსლანისა და მათი სარან-
გების მიერ ტყვედ წაყვანილი ქართვე-
ლი მხედრების ამბავს.

უამბობდა თუ რა რიგ წამებას გა-
ნიციდდნენ ისინი ირანის, დიარბექი-
რის, მესოპოტამიისა და ეგვიპტის დი-
ლეგებში ჯაქვით დაბმულნი.

„გამოიტირეთ თქვენი მამები, მძე-
ბი და შვილები.

იტირეთ, იტირეთ!“

დაასკვნოდა ევტიხი.

დაეით მეფემ მრავალგზის შენიშნა,
როცა თრიალეთსა, ჯავახეთსა და ში-
და-ქართლში მეფის ცხენს, სკვითიას
რა დინახავდა ხალხი, ფერხთით დაუ-
ვარდებოდნენ დედაკაცები და ლაწვე-
ბის ხოკვასა და ერთობლივ ტირილს
მორთავდნენ.

ბოლოს უბრძანა ქარიმან სეტეელს
პატრონმა: ევტიხი ბერისთვის აღკვე-
თა ტირილისათვის მოწოდება ამიერი-
დან.



როცა ქარიმან სეტეელი ევტიხი ბე-
რის გამო შეეკითხა მახარას: ბიზანტი-
ონში ხომ არ შეგზვედრიათ ეგ ბერი
სადმე?

მახარამ თავზე მოიფხანა და მიუგო:

„ამ ოციოდე წლის წინათ მინახავს
ეგ შლე ევტიხი კონსტანტანუპოლში
სადაც, თუ არ ვცდები, წ. კოზმას მო-
ნასტერში, ღვთის წინაშე არც დადუმე-
ბამდის ყოფილა დიდი ღვითო. მაგრამ
ასეთი ყბედი მაინც არ იყო მაშინ:

უცნაურია, ათ წელს იმად რომ სდუმ-
და ია წერძნოლი, რათა ერთ დღეს
აზღვნი სისულელეებში აღმოეფრქვიო
პირიდან“.

ბოლოს ამ ქოსატყუილა ბერის ნა-
ბოჭიანებს, „ეკტიხიდა“ შეარქვა მა-
ხარამ.

სწორედ ამ ეკტიხი ბერმა დაარსა
თრიალეთში ხმა: ჩემს მანდ ყოფნაში
მარიამ დედოფალს ვაშკარანები შეკ-
რული ჰქონდა, კეთილ ქარს უცდიდაო
საქართველოსაყენ მომავალი.

ეგვიც აურია ეკტიხი: დედოფალყო-
ფილის რუსუდანის მიერ ზურგის
ქარის ლოდინი მარიამ დედოფალს მი-
აწერა, ხოლო ალექსის, სიცოცხლეზე
ხელყოფა ისე გააზვიადა, თითქოს მარ-
თლაც მოეკლა ვიდაც სომეხს იგი და
კონსტანტინე პორფიროგენიტოს ასუ-
ლიყოს ბიზანტიის ტახტზე ვითომდაც.

ლიპარიტის მეუღლეს შაინც და შა-
ინც არ ეპრიანა „სანახევროდ ბაგრა-
ტოვანის აღზევება“, მაგრამ მარიამ
დედოფლის ჩამოსვლის ამბავი დიახაც
ემა, ამიტომაც სამი ოქრო აჩუქა ეკ-
ტიხის და ეს ამბავი დედისიმედს აუწყა
მყისვე.

ყოველივე ამან ისე გაახარა დედის-
იმედი, იმ დღესვე წამოდგა ლოგინი-
დან. დილიდანვე მიუჯდა სარკეს,
თმები დაიფარცხნა, თავათ მოიკაზმა და
ახალუხლება ჩაიკცა.

მას შემდეგ რაც დავით მეფემ თრია-
ლეთი აიო, დედისიმედს გაუმწარდა
სიცოცხლე. მეფეზე გააყვებული კატაი,
დედისიმედზე იოხებდა გულს, ცერბე-
რივით მწყესავდა თავის ქალს, ციხის
ეზოშიაც მარტო სეირნობას უქრძალავ-
და, რათა განმარტოების შესაძლებლო-
ბა აღეკვეთა მიჯნურთათვის როგორმე.

მეფე ერისთავის სახლეულის დარ-
ბაზებში არასოდეს შედიოდა, მახარა
თუ ესტუმრებოდა დედისიმედს ხანდა-
ხან, მასაც იქვის თვალით უცქიროდა
კატაი; ვამ, თუ გააპაროს დედისიმედი
საქურისმა და სადმე შეახვედროს იგი
იღომალ მეფეს.

მერმე ის იყო ლოგინად ჩაეარდა
დარდისაგან გოლგასენილი ქალი და ამ
მხრით გულდამშვიდებული იყო კატაი.

იღვა საღამო თრიალეთურ შემოდ-
გომისა.

სასახლის ეზოში აპირებდა დედის-
იმედი გამოსვლას, მაგრამ მარჯვე
ღროს უცდიდა, რადგან იცოდა: მწუხ-
რზე აპირებდა დედამისი წასვლას.

სწორედ დედისიმედის საწოლის
დარბაზის გასწვრივ იდგნენ მაღალი,
ტანკენარი ნაძვები ბეჭობზე.

ნახად ქანაობდნენ კვერნისფრად შე-
ყვითლებული კენწეროები. ნაძვებს
ქვემოდ წაბლების მწყრივები მოსჩან-
დნენ, უკვე სავსებით ქარვისფრად
ქცეულნი, ალაგ ალაგ ერიენ მათში ალ-
ბურნისფერის კვიპაროსის მორჩნი.

ამ ალბურნის ფერისა, მწვანისა და
კვერნის ფერთა შეხამებისგან შეექმნა
ბუნებას თვალის მომპრელი ფერთა სი-
უხვით დამშვენებული ტერრასები.

სწორედ ამ ნაქენარისა და წაბლნა-
რის ქვეშ გალავანი იყო მაღალი, მაღა-
ლი.

გალავნების კიდესთან ხოხბის ლაპე-
ბი იქმებოდნენ უკვე სავსებით შე-
ყვითლებულ ბალახში.

ლაპებს უწოდებდნენ მათ, თორემ
ისინი კარგა მოზრდილი ხოხბები იყე-
ნენ უკვე.

ვიდრე დედისიმედი ავად გახდებო-
და უკანასკნელად, თავათ დღენიდაგ
სამჯერ აპურებდა დედისიმედი მათ.

უყვარდა ეს ლაპები ერისთავის
ასულს არა მარტო ნაქრტენტა მათთა
მშვენების გამო, არამედ იმდაც, რომ
ისინი ძღვნად მოართვა დედისიმედს
სათაყვანებელმა მამაი გიორგიმ, ჭყონ-
დიდელმა, ერთი წლის წინად ეგ-
რისიდან.

ხოხბები ათასობით ბარტყობდნენ
მის მამეულში, ჭყონდიდში, სადაც წი-
ნაპართა სალოცავი მუხნარები ხატის

ტყეებად იყო მიჩნეული და აურაცხელ ნადირსა და ფრინველს ვერცინ უბედავდა ხელყოფას.

თანაც შემოუთვალა ჭყონდიდელმა დედისიმედს:

არ დააკვლევინოვო ეგ ლაპები არავის, დაიზრდებიან პატარები და ნაკრტენტა მათთა მშვენებაც მოგვეკრისო სიხარულს.

ვინ არ იცნობდა ომებში გულმამაც მამაი გიორგის, რომელიც ცხოვრებაში გულჩვილი იყო ფრიად და არსთა ყოველთა ქრმაგი და შემწყალე.

მახარა წარამარა ეხუმრებოდა დედისიმედს, კაცმა რომ სთქვას როდი ეხუმრებოდა, აფრთხილებდა კიდეცაც:

„დროა შენი ლაპები დაგვაკვლევინო გვერიტო, ისინი უკვე ლაპები აღარ არიან და ტყის ძახილს მიუგდებენ ყურს.“

გიორგი ჭყონდიდელს ყოველ წლიურად მოუტანენ ხოლმე ძუძუმტეთა შეილნი და გაზრდილი ლაპებს, ან ხოხბის კვერცხებს მოუტანენ, აჩეივნებს კრუხებს მათ, დაზრდის და შემოდგომაზე გააფრენს ყველას, მაგრამ გიორგი ბერი არც დარღობს მათ გაფრენას.

ვიჩინენია გვერიტო, მზარეულთ უხუცესს მივანდოთ ეს საქმე. თორემ გაგიფრინდებიან ეს ლაპები და გული დაგწყდება შენ გაზრდას.“

დედისიმედს ამ შეგონებათა მოსმენაე არ უნდოდა.

თვალისჩინივით უფრთხილდებოდა იგი ამ ლაპებს.

ახლაც იჯდა და სარკმელიდან უთვალთვალდებდა...

მოუვლელობისა, თუ მექათმეთა უხეში მოპყრობის მეოხებით, ან შესაძლოა იმის გამოც, რომ ხოხბის ლაპები უკვე წამოჩიტულნი იყვნენ, გაველუარებულნი იყვნენ კიდეცაც ოდნავ და ტყისკენ დაიწყით იღუმალად ჰხერა.

სულ ორიოდე თვის წინად, როცა ისინი მართლაც ლაპები იყვნენ, ინდოურების ქუეებსა და ქათმის წიწი-

ლების თანატოლად სტყლიდნენ თავიანთ თავს.

მათთან ერთად დაგოგავდნენ მორჩილად, თავმოდრეკილად დაკყევბოდნენ თავიანთ „დედობილ“ კრუხებს. როცა რომელიმე კეთილი „დედობილი“ ჭიყელას რასმეს მოახელებდა და მზრუნველობით აღვისილი მოუხზობდა ჭუეებსა და წიწილებს, ხოხბის ლაპებიც გაიქცეოდნენ და ზიამურებდნენ მზრდელთ.

მაგრამ, როგორც კი ჰასაკმა უწია მათ, განერიდნენ თავიანთ თანაკბილი ინდოურებსა და ქათმებს, განკერძობით დაიწყეს როგორც სიარული ისე ძოვაც.

სალამობით, როცა მექათმე დიაცები მოუხზობდნენ ქათმებს, ლაპები ჯერ გაოგნებულნი ზეაწყევდნენ თავს, თითქონ ეს შახილი მათ არ ეხებოდა და თვით ამ დიაცებსაც უძნელდებოდა ამ ბოლო ხანს საქათმეში შემოტყუება მათ.

ერთადერთი მამალი ვერა ცხრა, მოჩიტულ ხოხბის ლაპებში და იგი „სარდლობდა“ მათ. ეს მამალი იყო ნამდვილი დიდტანოვანი კოლხური ხოხობი, წითელ-ყვითელი ნაკრტენით დამშვენებულა.

იგი მამაცად სდარაჯობდა მათ, ქორის, ან ბორას ლანდსაც რომ გადაევილო ციხის ეზოზე, იგი დაიკრიახებდა თა დედლები მყისვე მოსტებნიდნენ სამალს.

სწორედ ეს მამალი იყო ყველაზე მეტად ფრთხილი და ამ ბოლო ხანს მას ნიადავ ტყისკენ მიჰქონდა თავი.

დედალი ხოხბები უფრო ხელშინაურნი იყვნენ, ისინი ასე თუ ისე ემორჩილებოდნენ მექათმეთა ხმობას და ვერ უძლებდნენ პურის მარცვლისგან წარმომდგარ საცდურს.

იღვა დედისიმედი სარკმელთან ტებებოდა ამ გულამაყი მამლის მშვე-

ნებით, ყოყმანობდა ხომ არ გასულიყო ციხის ეზოში?

ერთ-ორჯერ მიმოიხედა საწოლის დარბაზში, თავის თავშალებს დაუწყობებნა, მაგრამ არც ერთი აღმოჩნდა ოთახში.

მიხვდა: განგებ რომ გადაეშალა ისინი დედას, რათა უკითხავად არ გასულიყო სასახლიდან დედისიმედი.

სელზე გვჯალას მანდილი დარჩენოდა ხორეშანს.

ხელი წაატანა, მაგრამ ვაგლახად გახუნებული ეჩვენა იგი.

ამასობაში ლელაი შემოვიდა და რაი დაინახა, ხობებებს უთვალთვალებდა ერისთავის ასული, ეს უთხრა:

„გუშამ ლამის იყო არ დავიღუპეთ შემოგვეღვე, შე და ღვთისსავარმა საქათმემდის ძლივს მივიტყუეთ ხობებში. გაჯიქდა მამალი, არ ინდომა საქათმეში შენვლა.“

ვერც ძახილითა, და ვერც საკენკით ვერ მოვიგეთ მისი გული, მერმე მექათმე ღვთისოი წაეტანა, აფრინდა ასკილის ჩირგვზე შეეღდა. აცალა ღვთისომ როცა მთლად შესაღამოვდა, მიეპარა და ძლივს შეიპყრო.

ღვთისოი ავად გამხდარა გუშამ, წამო, ეგებ შენ არ გიუტხოვოს, თორემ ამ საღამოსაც გაძნელდება მათი ზოლალვა“.

დედისიმედი თავშიშველად აპირებდა ციხის ეზოში გასვლას. არ დაანება ლელაიმ.

გაჯიქდა ერისთავის ასული.

მამინ ხორეშანის მანდილი შეაჩეჩა ხელში ლელაიმ.

„რად მინდა ქვრივი ქალის მანდილი, ქა?!“

ლელაიმ ძალით დაახურა.

„რომ იცოდე როგორ გიხდება. შენ ყველაფერი გშენის შემოგვეღვე!“

სთქვა ლელაიმ და ღია კარში გაასწრო მას, ხორბლის მოსატანად.

როგორც კი მიეახლნენ ხობებების გუნდს, მყისვე გაიყინა მამალი ხობო-

ბი. დედლებიც მას აჰყვეშენ და შეუქმნა გა მოუდგნენ.

ბოლოს შესდგა მამალი.

კვლავ იუცხოვა პატრონის მიახლოება.

მცირე ხან იდგა ასე გულამაყად თავაწეული, თითქოს ზენას ზიუგდებ-სო ყურს, მერმე რალაც უცნაური, აქამდის უჩვეულო კრიახი მორთო, აიყოლია დედლები და ნაძვნარისკენ მიმავალ შარას დაადგა.

აიჩემა ლელაიმ: ჯერ მამალი შევიპყროთ და სიველურის ბურტყლი გამოგაცალოთო ფრთის ქვეშეთიდან.

დედისიმედმა აუჩქარა ნაბიჯს.

უხმობდა, თანაც უყრიდა ხორბლის მარცვალს.

დედლებს სულმოკლეობამ წასძლიათ. შემობრუნდნენ და წაეტანნენ საკენკს. რა დაინახეს, მათი „სარდალი“ განავრძობდა ოტებას, ჩასწრაფოდ ატენკეს რაც მოახელეს და თან გაჰყვენ მამალს.

უხიავად გაფხორილი მამალი ჯერ ციხის კედლის გასწვრივ გარბოდა. მერმე მხარმარცხნივ გაუტხვია და მეჩხერ ნაძვნარისკენ მიმავალ ბილიკს ზიპყვა დანდობილად.

ამასობაში ლელაიმ თავს დაუარა, გზა მოუჭრა გაქცეულთ და დიდძალი მარცვალი დაუყარა თვალწინ. ამ საკმაოდ უხემა მოსაკითხმა მამალიც დააფიქრა, მან ჯერ უნდობლად დაძხედა საკენკს, როცა დედლები წაეტანნენ ხორბალს, თავათაც იკადრა მირთმევა.

შვიდად, უხმობდა დედისიმედი ხობებში, სააღერსო სახელებს უწოდებდა, როგორც ჩენა. რამდენიმე ნაბიჯზე მიუახლოვდა მათ.

ლელაიმ იღროვა, ასკილის ჩირგვი ისაფრა და ხელემ აღმართული ზედ დაეცა მამალს, მაგრამ მოეცარა ხელი.

შეპყრობა დამიპირესო?

განრისხდა გულგოროზი მამალი. წამოფრინდა და მახლობელ ნაძვის მორჩზე ჩამოჯდა.

აღერსიანად უხმობდა დედისიმედი გულგანაწყევს. არწმუნებდა: არას გერჩიო, ჩემო მშვენიერო, ჩემო ამყო გაზრდილო.

კაცის სიმაღლეზე იჯდა და იცდიდა მამალი ხოხობი ისე გულმშვიდად, თითქოს შეისმინაო პატრონის აჯა. თანაც ისე მშვენიერი და კმაყოფილი გამოიყურებოდა, აგრე იტყოდით: უტყვ არსებასაც შეუცნიაო თავისი სილამაზე და ნაქრტენთა მშვენება.

მიუახლოვდა დედისიმედი, დაუყვავა, დაუყვავა ამპარტევის და წაეტანა ანაზღად.

რაკი თავისერზე ვერ მისწვდა ნაძვის მორჩზე მუდარს, ველარ შეიკავა გორიოზი მამალი ნაავადყოფარმა ქალწულმა, ბოლო შერჩა ხელში და გავეებული ხოხობი ახორხოცდა ისე გორიზღად. როგორც ველურ მამალს, სჩვევია ხოლმე ხოხობთაგანს, გადაევილო შორჩების ნაძენარს და სამხრეთისაკენ გაფრინდა.

დედისიმედმა ქვას წამოჰკრა ფეხი, მიწაზე დაეცა და ატირდა საწყალობელად: დაგვეკარგაო ღამალი ხოხობი.

ლელაიმ წამოაყენა, ევედრა:

„ნუ გეშინის, გეთაყვანე, მე ვხედავდი აქედან, ვერსად წაგვივა, მე ვხედავდი, თავლებისაკენ გაფრინდა, შემოგვეშე“.

ორივენი გამალებულნი უკან გამოულდნენ გაფრინდს.

ხოხობის დაკარგვაზე მეტად ლელაის სხვა რამე აწუხებდა: კატას თვალი არ შეესწრო, თუ როგორ გარბოდა ტყისკენ ნაავადყოფარო დედისიმედი, იცოდა, მას ერთი ღერი თმაც არ შერჩებოდა თავზე.

ლელაიმ გაასწრო თავის პატრონს და როგორც კი მიეახლა თვალებს გადაღმელ ხევს, რომელზედაც ქარიზან სეტიელმა ზურგიით გადაათრია შეწყრობილი რატი ოდესღაც, შესდგა და გაზარებულმა ვადმოსძახა დედისიმედს:

„ნუ გეშინის შემოგვედრე, ვეღვესავლებზე შემოგდარა ხანისმედი“.

სწორედ ამ დროს, ჯაგახეთიდან ახლად მოზრუნებული მეფე, ქარიზან სეტიელი და მახარა თავლებიდან სასახლისაკენ მიდოდნენ, მათი დასადავებული ცხენები მისრატულებს მოჰყავდათ.

თავლების წინ დამდგარიყო უბელო სკვითია თავს აჯანტურებდა. წინებებში ავადყოფობდა სკვითია, ამიტომაც გაეხარდა მეფეს, რა დაინახა, გარედ რომ გამოეყვანათ ცხენი.

იდგა ეს საყვარელი ცხოველი, ხვიხინებდა, ალბათ რომელიღაც მწერი აწუხებდა, თავს ისე აჯანტურებდა, თითქოს სალაშს აძლევდა მისკენ მომავალ პატრონს.

ვიდრე მეფე სკვითიას მოალერსებას ზოასწრებდა, მახარამ თვალი მოჰკრა თუ როგორ ჩამოჯდა. ხევს გადაღმა, მახლობელ ჯახველზე მამალი ხოხობი, ხოხობი, ხოხობი!

აყვირდა ქარიზან სეტიელი. მას მართლაც ველური ხოხობი ეგონა იგი, რადგან არც კი იცოდა თრიალეთში ხოხობი რომ ვერ ხარობს.

მახარა მიხვდა, რომ ეს ხოხობი ლიპარიტის სასახლიდან უნდა ყოფილიყო გამოფრენილი, შით უმეტეს რომ თავთ ჰქონდა შემჩნეული მისი ვატყულება ბოლო ხანს.

ვიდრე დედისიმედი და ლელაი ჯახველამდის მოაღწევდნენ, მეფე მოეშვა სკვითიას აღერსს, სეირისათვის იგიც თან გადაჰყვავა ხევს გაღმა მიმავალ ქარიზანს და მახარას.

ზეჩხერ ტყეში გასულთ დაინახეს მოთქმით მოზრუნალნი დედისიმედი და ლელაი.

მეფე ოდნავ აიძვრა და ნაბიჯს უკლო, ხოლო მახარას ეება, რომ უფლის ნებამ თუ ტიხეს უცნაურმა თამაშმა, ამ ჯახველის ქვეშ რომ შეახვედრა ერთ სასახლეში ამდენ ხანს მცხოვრებნი მიჯნორნი, რომელნიც

ლიბარტის დატყვევების შემდეგ არასოდეს შეხვედრიან პირისპირ ურთიერთს.

მახარამ ნაბიჯს უჩქარა, ტუჩებზე თითები მოიფარა, ანიშნა ქალებს; იყურეთ, ნუ მოდიხართო და თავით შებრუნდა ჯახველისაკენ. ფეხაკრეფით იწყო სიარული და იქიდან მოუარა ჯახველს, საითყენაც თავისკენი ჰქონდა შებრუნებული გასაფრენად ზომბადილ ფრინველს.

როცა სულ ახლოს მივიდა, ჯერ რაღაც უცნაური სიტყვების ბუტბუტს მოჰყვა, არ კი წაეტანა, მშვიდად დაუქმინა გაფრთხილებულ ფრინველს.

ხოხობი შებრუნდა, ფრთა დააბრტყუნა, შტო გადაინაცვლა და რაკი მღვერები ველარ დაინახა, სასახლისკენ გაფრინდა, მაგრამ ისრის მისაწყდენზე მღვარ თელას შეეხიზნა.

ქარიმან სეტრელს უკვე შეწყობული ჰქონდა მშვილდ-ისარი, მაგრამ არ დაანება მახარამ სროლა.

როცა დედისიმედი ჯახველს მიუახლოვდა, იგი აიღეწა მეფის დანახვანზე, ჯვალის მანდილით მოიხოცა საჩქაროდ ცრემლები, გარდევულივით შეჰქანდა ახალი მღვლეარებისაგან და ლამის იყო წონასწორობა არ დაჰკარგა.

ლელა და მახარა ხოხობს გამოუდგნენ.

მეფეს ეუცხოვა ჯვალის შავი მანდილი ერისთავის ასულის თავზე შემოგრაგნილი, შენიშნა: უბირი დიაცის მანდილიც შევენოდა მას.

მისალმებამდის ალერსიანი სიტყვა შეაგება ქალწულს:

„ნუ გეშინია სულო, მახარა ფრინველთა მისანიცაა“...

დედისიმედი არ მოელოდა მეფესთან შეხვედრას, მით უმეტეს რომ ჯერ წინა ღამით არწმუნებდა ლელაი: გუშინ წინ ჯავახეთს წასულაო პატრონი.

არც დედისიმედმა იცოდა როდის მილოდა ლიბარტის უბნიდან პატრონი, ან როდის ბრუნდებოდა იგი უკან.

როგორც გამგზავრება ისე მოხდა მისი, მეტ წილად თავლებიდან ხდებოდა, იგიც ღამლაობით.

ამიტომაც როცა თრიალეთელებს ნაქარმაგევი ეგონათ, რომდენიმე დღე გავიდა და რომელიმე ჯავახელი მწყემსი მოიტანდა ამბავს: ახალქალაქში ვნახეთ, ქალაქის ზღუდეს აკეთებინებსო მეფე, ხან იმერეთში გადასულად ეგულებოდათ, რომელიმე მოხეტიალე ბერს წამოსცდებოდა: ახლად გაყვანილ გზებს ათვალეებდითო წალკის მახლობლად.

და ახლაც თავჩაქინდრული გვერდით მიჰყვებოდა დედისიმედი თავის სანატრელს და მთლად დარწმუნებული არ იყო: სიცხადეა ეს თუ ზმანება. ისე უჩინარი, მიუყარებელი და შორეული ვახდა მისთვის ეგზომ მახლობელი და სასურველი.

დიდი ხანია უკვე აღარ იცოდა რა სტკივოდა, რა უხაროდა, რას მიელტვოდა, როგორ ცნოვრობდა ერთ ჰერს ქვეშ, ერთ სასახლეში მასთან მყოფი უძვირფასესი არსება.

ბუნდოვნად იცოდა: ნიანისა და ჯონდის კონსტანტინეპოლს წასვლის შემდეგ ღიმილი არავის დაუნახავს მის ბაგეზე. იშვიათად მოდიოდა ლიბარტის უბანში, იგიც ღამლაობით.

უკანასკნელად ასეთი ამბავიც წამოსცდა მახარას: ამ მოკლე ხანში უფლისციხეში აპირებსო დამკვიდრებას პატრონი, თავადი ციხე განახლებინა, დევით კუროპალატისეული დარბაზი ზოახატეინაო თავის სამყოფლოდ უკვე.

მუხათვერდის ციხისთავი ფარჯანიანი გადმოჰყავს კლდეკარში და მოელს საერისთაოს მას ჩააბარებსო ალბათ.

მღუმარე და სავსებით გაოგნებულნი გვერდით მიჰყვებოდა დედისიმედი მეფეს.

— „როგორა ხარ, სულო?“
შეეკითხა მეფე.



„ნუთუ აქამდის არ უნდა მოგეკითხეთ, მეფეე ბატონო!“

აგრე უნდოდა ეპასუხნა ქალს, მაგრამ ერთ წუთში თითქოს ენა შეუბრაკოლდაო, ანაზღად დაახშო სათქმელი და აგრე მიუგო:

„რა მიშავს, ვცხოვრობ ღვთის შემწეობით.“

მეფემ გაიღიმა და შკლავში მოკიდა ხელი.

მიჰყვებოდა ბილიქს დედისიმედი.

ახლა მღელვარებამ გაუარა და განუზომელმა სიმშვიდემ კიდემდის აავსო მისი სული. პატრონის ძლიერმა შკლავმა სულიერადაც შეიპყრო და გათანგა იგი.

მას ეგ უნდოდა; მეფის ხელი მაგრად უფრო მაგრად შემოკლდომოდა მის შკლავს.

ასე მონუსხულივით მიჰყვებოდა იგი დაეკაცს.

ამ წუთში ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ ასე შემთხვევით, წინასწარ დაუთქმელად რომ შეზვდა ამ ნაძენარში თავის სასურველს.

განუსაზღვრელ ნეტარებას გრძნობდა მის გვერდით მიშავალ მეფის ფეხქვეშ რომ იმსხვრეოდა წიწვი.

მისთვის სათქმელი სიტყვები, არა საყვედურისა, არამედ გოლუღლივით ტკბილი სიტყვები ზორზის არეს აწყლებოდნენ საღლაც, მაგრამ დედისიმედს მხნეობა არა ყოფნიდა გზა მიეცა მათთვის.

მეფემ სთქვა:

„შე კარგა ხანია აქ არა ვყოფილვარ. რა არის ახალი თქვენს თრიალეთში?“

ქალმა თავი ასწია, თვალი შეაელო მას. მის მშვიდ თვალებს. მუზარადიდან გადმოღერილ თაფლისფერ გულულებს და მიუგო:

„თრიალეთში? განა თრიალეთი მართო ჩვენია?“

„რატომაც არა, თრიალეთი ნამდვირად მეუღლია თქვენი?“

„ახალი, ბევრი არაფერი, მეფეე ბატონო.“

„მინც?“

„მარიამ დედოფალი მობრძანდებო.“

ესა სთქვა დედისიმედმა, ისევე შეზვდა მეფეს და ამ წუთში ვაქმა შენიშნა: ქალს უჩვეულოდ უბრწყინავდა, არა მართო თვალები, არამედ მთელი სახე.

მეფე მიხვდა: ეცეტიზი ნერის კორებს წარმოეშვა ეს სიხარული. არ ინდომა გაწვილება ეგზომ გახარებულისა, ამიტომაც ეს ლა უთხრა.

„რად განარებს აგრე მარიამ დედოფლის ჩამოსვლა სულო?“

„როგორ თუ რად? ერთი რომ მარიამ დედოფალი თქვენი მამიდაა, მერმე ყველა ჩვენთავანისათვის სათაყვანებელი არსება“ (აქ ენა შეუბრაკოლდა ქალს.)

„მერმე კიდევ რატომ?“

„ნუთუ უჩემოდაც არ მოგეხსენებათ რატომ?“

„ალარ ვიცი სწორედ.“

„ნუ თუ ისეთი რამეც არის ქვეყნად, რაც შენ არ იცოდე მეფეე ბატონო?“

„ოჰო. ამ ქვეყნად ბევრი რამეა, რაც უდიდეს ბრძენთაც აროდეს მოლანდებით სულო!“

ისევე ჩამოვარდა დუმილი.

ბილიკზე გადმოსულ ნაძვის ტოტს ბანჯგვლიანი შტო მოსწყვიტა ქალმა, სწიწლა წიწვებს და თავი აქინდრული მიჰყვებოდა ბილიქს.

ერთბაშად მამალი ზოხბის ზორზოცი შემოესმათ ნაძენარში.

მეფემ სთქვა:

„როგორც სჩანს, მახარამ შეიპყრო შენი ზოხობი, სულო“...

მხარზე ხელი დაადო ქალს, თვალეშში ჩაჰხედა, მაგრამ ამ ამბის გამო განარება ვერ ამოიციოხა მათში.

620

10

უკვე, როცა გზაჯვარედინებამდის მიღწეის, ჩრდილები წვებოდენ ბილიკებზე. ბილიკთავანი ერთი ლიპარიტის სასახლისაკენ მიდიოდა მეჩხერ ნაძუნარზე გავლით, ხოლო მეორე, თელიანისაკენ, ხევს გალმა.

მეფე ჰხედავდა: ბინდდებოდა უკვე, არ უნდოდა მსახურთ გადაჰყოფნენ სასახლეში მისულთ. აზიტომაც უყოყმანოდ ხელი წაავლო ერისთავის ასულს და თელიანისკენ მიმავალს დაიღვა ბილიკს.

მიდიოდნენ მღუმარედ, მაგრამ სათქმელითა და ნდომით აღვსილნი.

ხევს გადღმა, ეშვის ჯაგარივით აქოჩრილ ნაძვთა წვეროკინებს ეფინებოდნენ ჩრდილები, ნისლის ფრთილები ზედ გადაჰფენოდნენ ამ უზარმაზარ საჩქილებს ქედებზე დადგმულთ.

მცირე ხანს იარეს ხევ-ხევ და ისევ ზეგანზე გადავიდნენ. ათასწლოვანი თელების კალთებს ეხიზნებოდა ნელ-ნელა სიღამე.

ქალს იამა სასახლისაკენ რომ არ წაიყვანა იგი პატრონმა. მას აღარ უნდოდა სასახლეში მიბრუნება, სადაც ოჯახური წესი შინმისელის უმაღვეთავეს სასურველთან გაჰყრიდა მას.

დედისიმედი შზად იყო ამ უკაცრიელ ლარტაფებში, ამ ნათურქალო ტყეების ღრანტებში ვარნა მის გვერდით, თუნდაც ბნელეთის კიდემდის, ოღონდ მისი ნაბიჯების ჩქამი სმენოდა ნიადაგ, მისი სუნთქვის სიახლოვე საცნაურ ეყო და თუნდაც აროდეს მიბრუნებულ იყვნენ გააყვებული დედის ოჯახში.

მიდიოდა კისერგამართული, თამაზად. აღარც თუ იმ ქირდვის ეშინოდა, რომლითაც ამ სევბედნიერ შეხვედრის წუთებს უთუოდ მოუშხამავდა გულბოროტი კატაი. მეფეც გაოგნებული იყო რატომღაც, მხარი ამქცავო, აგრე ფიქრობდა იგი.

ტყეში აღამიანის ორანი არსად ისმოდა. ტყის მჩეხაევებს მიეგლოთ წაქცეულ ხეებთან ცულები, თაეთ არსად

სჩანდნენ, მხოლოდ ჩხევეტყეჯაფაპასებული ჩხაილი ისმტტტაჩხეცტტაქს

დაეთი შესდგა. განვლილი გზა შეათვალეირა. ამ წუთში ველარც კი მოიგონა თუ როგორ ვადმოვიდნენ გადაღმელ ზეგანიდგან ან ამ ტაფობამდის როგორღა მოეღწიათ.

ამომშრალი ხევი გადაიარეს ერთი, მიდიოდნენ, არც კი იცოდნენ საითყენ? ისევ შეჰყენენ აღმართებს და კვლავ ლარტაფში ჩაეშვა ბილიკი და გაოცეცხლილ თელიანს მიადგნენ ერთი.

ვაკაცი ამჩნედა, მოიქანცა ქალი, თავათაც დაღლა იგრძნო სამ დღეს ნავალმა უკაცრიელ მთებში.

იხედებოდა ირგვლივ.

ძეძვები, ეწერები და ნარვიანი.

აკანთით შებურვილი ხეები ეყარნენ აქა-იქ, არც ერთი მათგანი დასამუხლებლად არ გამოდგებოდა.

აგრე იარეს მცირე ხანს ტყე-ტყე და როგორც იქნა თავი დააღწია მთვარემ აღღვრულ ღრუბლების მორევს.

ახლა თვალნათლივ ხედავდა იგი: მეჩხერ თელიანში თავწაქრილ ურჩხულებივით ეყარნენ მორები. დეეების ნაპარტახალს მიავავდა აქაურობა, სჩანდა, ქარბორბალას ევარჯიშნა მანდ, რადგან ფესვებიანათ ამოძირკული ხეები ეყარნენ გარშემო.

ხეში პაწია, მთიულური წისქვილი გრუტუნებდა ერთი, პაწია, საწყალობელი და მთელს ქვეყანას მოწყვეტილი. მეფემ გადახედა ამ წისქვილს, იამა რატომღაც მისი დანანვა.

მოაგონდა: ასეთ წისქვილებში არა ერთხელ უთევის მას დამე უკაცრიელ მთებში, თურქთა მარბიელი რაზმეულის, ან მსტოვარების დევნისას.

დედისიმედს ეცნაურა აქაურობა, ლულუფრის საკრეფად მოჰყავდა იგი ზორეშანს, დაბრზაეებამდის, ოდესღაც.

შეშხარავი იყო ლარტაფი მისთვის თუმცა შეჰტურვილ რაინდს ახლდა იგი და ასე მიდიოდა მის გვერდით, მის ძალოვან მხარბეტს მიყრდნობილი.



მთვარის შუქზე განათდნენ ახლები, დამუქდნენ გოლიათურა თელები და ეს ხავსზოდებული, გარუჯული ლოდები, რომელნიც უჩინარ სტიქიონს გადმოეტყორცნა მახლობელ ქარაფეზიდან.

უმაღლეს კბოდედან ერთადერთი გვირაბი გადმოსცქეროდა ამ მიდამოს, ისეთი უხიავი, ბნელი, ქაოსს დარჩენილი თითქოს მთქმნარებისას ხახა.

აქლებზებივით მოკლული გორმახები გარს ერტყნენ ლარტაფს, აფთარი ღნაოდა საღლაც, აგრე ეგონა მეფესაც სულ ახლოს, რომელიდაც ქიმზე ჩამოგდარაო იგი.

საწყალობლად ღნაოდა ზარტობისგან გულგასენილი ნადირი, და მთელი ხროვა მისთა თვისტომთა ხევს გადმოღმიდან მოსცეზდნენ ხოლმე ერთობლივობით შემზარავ მოძახილს.

გაოცდა მეფე ეგზომ ერთსულოვნად რომ ეხშიანებოდა შთელი გვარი, ამ ზარტოსულის ღნავილს.

დიდხანს მიუგდებდა ყურს ამ ქორალურ მოთქმას მეფე. უკვირდა: თუ როგორის გულხშიერებით ეკიდებოდნენ ნადირნი თავიანთი თვისტომის გულისწუხილს ამპაზრზხენს.

შერმე დადუმდა ერთი და ატყდა ისეთი გამუღმებული ხორხოცი, თვით ნადირობაში კარგად გაწაფული მეფეც ველარ არჩევდა: აფთარები იყვნენ ეს თუ ფოცხვერები, ან ორივენი ურთიერთში აღრეულნი.

კარგად ამჩნევდა დავითი: დედისიშელი ცახცახებდა შიშისგან. ანაზღად მიწყნარდა ნადირთა გნიასი.

ხევს წყალი ჩხრიალებდა მხოლოდ.....

იჯდა ნამორზე ჯვალის თავშალით შებურვილი მისი სასურველი, ორთა შორის მოციქულად მხოლოდ დადიოდა დუმილი.

მეფემ შენიშნა: მხრები უტოკავდა დედისიშედს.

ეს შავი მანდილი ისე მუცხმუცხმუცხმუცხ თაეზე, თითქოს თავად ცხმუნ-ცხმუნქქქ სო თავისი ბნელი თათი ზის ნათელ სახეზე ანაზღად.

უნდოდა მისწედნოდა ამ უხეირო თავშალს, მაგრამ ზოერიდა და მყვრი-მალის სიახლოეს მოუცაცუნა ხელი.

ახლა იგი დარწმუნდა: სტიროდა ქალი, ჩუმად, საწყალობლად და უღრტინველად, როგორც ეს შემფეროდა მის მშვიდსა და აუმღვრეველ ბუნებას.

მეფე მიხვდა: რა კი სიტყვებმა გზა ვერ გამოაგნეს ქალწულის გულიდან, მათი მაგიერობა ეკისრათ ცრემლებს და ამ ცრემლებით გამოსთქვამდა იგი აშკარა სამღურავს ამდენი ხნის დაუბრების გამო.

ახლა ეს ერჩია მეფეს მწვავე და მკვახე სიტყვებით გამოთქმული საყვედურები მოესმინა დედისიშედის პირიდან, გულის განრიდების საპასუხოდ, ოლონდ არ ეტირნა. ცრემლები არ ეჩვენებინა მისთვის.

დავიტს არ უყვარდა ცრემლები. იგი განუზომელად იტანებოდა მტირალის, განსაკუთრებით მტირალი ქალის დანახვისას.

მას იგიც ყოფნიდა, საერისთაოებში მოგზაურობისას თურქების მიერ წარტყვევნილ ვაჟაკების, ძაძებში მოსილი დედები, ცოლები და დები რომ დაუეარდნებოდნენ ფერხთით.

სტიროდნენ და ეაჯებოდნენ: დაგვიბრუნეთო თურქების მიერ წარტყვევნილი ჩვენი მამები, ძმები და შვილები.

და ახლაც, ეს მდაბიორი დიაცის თავშალით თავშებურვილი ერისთავის ასული არაფრით განიწიეროდა მრავალათას ქართველი ქალისაგან თავისი დიდი მწუხარებითა და სიმშობილით.

ამ წუთში ჩუმად ამოიხრა მეფემ, თვალი მოავლო ამ გავერანებულ ნათურქალ ტყეს, ამ ლოდნითა და მორებით დახერგილ ლარტაფს და მოეჩვენა იგი როგორც დღეე ცრემლისა

და ქალაქი ვარამისა.

და როგორი სასტიკი განჩინება საწყურთროსა!

უპოვართა და გლახაკთა მეფის დანახვაზე სტიროდნენ ოქში დაღუპულთა და ტყვეთ წყევანილთა დედები, ცოლები და დები. სტიროდა მთელი მისი მამეული, მთელი საქართველო სტიროდა...

ეგ არ აკმარა ბედმა და მის სიახლოეს ატირდა მისი გვრიტი მწყაზარი, რომელიც მისდაში სიყვარულს მწუხარებით აღევსო მხოლოდ.

მეფემ მხრისთავზე ხელი წაავლო ქალს, დაუყვავა: ნუ სტირო, ევედრა თავსახურავი მოიხსენიო, სთხოვა.

დედისიმედი განაგრძობდა ტირილს, მოფერებამ უფრო მეტად აუჩქაროლა გული.

ვაცკაცი გრძნობდა თუ როგორ ცდილობდა გულამომჯდარი ქალი როგორმე დაეტოვებინა მწუხარება, არც ის უნდოდა: მტირალი სჩვენებოდა მას, ამიტომაც ორივე ხელი წაველო მანდილზე, სახეზე იფარებდა და სტიროდა...

მეფემ ნაზი რუღუნებით შეამშებინა მანდილისათვის ხელები ქალს, და თავად გადახადა მანდილი. თვალი დარჩა ზედ, ისე შევროდა ამ მშვენიერს ტირილი.

დედისიმედმა ხელის ზურავით მოიწმინდა თვალები, ისე როგორც მტირალ ბალებს სჩვევიათ ეს. თვალი შეავლო მის გვერდით მჯდარს და მერმე სთქვა:

„მე დიდ ხანს ვიკავებდი, მეფეე ბატონო, თავს, კარგად ვიცი, შენ არ გიყვარს ცრემლები. მინდოდა შინამდის მიმეღწია როგორმე და იქ მეტირნა მარტოხელას ჩემთვის.“

ეს ამბავი არც ისე ახალია. განგების ნებაა ალბათ. ეგრე რომ დავისავე, ცრემლი პურად რომ მექცა და სიცოცხლე სამსალად.

განგების ნება ყოფილა აგეთი და რა მეთქმის მე საწყალობელს, ან რა ძალი შემწვევს უფლის ნების წინაშე?!

მეფე მიხვდა: არ იგბრკმბდა ურეკელივე ამის მიზეზთა ჩხრევა ამ წუთში, ზისთვისაც უსიტყვოდაც ნათელი იყო ამ სიმძიმის საბაბი, ამიტომაც არაფერი ჰკითხა მას, სიტყვა აუქცია და ეს უთხრა მხოლოდ:

„უცნაურია, როგორ შეიპყრო შენი ზოხობი მაგ ჯადოქარმა მახომ, აა, შენ რას იტყვი სულო?“

ქალს ეუცხოვა ეს, მაგრამ მყისვე შეატყო: უკვე აღარ შეეძლო მეფეს მეტი სიმძიმის ატანა და გულისგარედ სთქვა:

„მართლაც მისანია მახო, ყოველი არსის ენა ესმის მას. ყველას გულისხმის მიზნობრბია იგი. მახრამ დიდი თანადგომა გამიწია ჩემს მწუხარებაში, ბოლო ხანს, თორემ დარდი მომამთობდა უთუოდ, ხან თავის ბულბულეებით, მიმინოებით და ქორებით მართობდა ხან მიამზობდა თავის საომარ თავგადასაელოს, ხან მიკითხავდა უცნაურ წიგნებს, ხან იგავეებს მიამზობდა აგრეთვე უცნაურს.“

დაეითმა სახეში ჩახედა ქალს, თავზე ხელი გადაუსვა, აბუწული თმები გაუსწორა და უთხრა:

„ახლა ეგ მითხარი სულო, რათ გიხარია მამიდა მარიაშის ჩამოსვლა? გულწრფელად მითხარი ოღონდ?“

„სავსებით გულწრფელად მოგახსენებ მეფეე ბატონო, ან როგორ გაკადრებ გადრეკის სიტყვას ოდესმე!“

— „მაინც რად?“

„მე მჯერა, რომ მარიაშ დედოფლის ჩამოსვლამ უნდა შესცვალოს ბევრი რამ.“

„მაინც რა?“

— „ნუთუ ეს საკითხავია?.. როდემდის უნდა იქნეს ეგ ყოველივე აგრე?“

„სახელდობრ რა?“

„სახელდობრ იგი.... (აქ ოდნავ შეყოყმანდა ქალი. არ იცოდა რომელი ერთი ესსენებინა თავდაპირველად) მერმე განაგრძო:

„სანადღის უნდა ედოს საწყალობელ მამაჩემს ბორკილი ქედზე?... ან ჩემი ძმა რატი სანადღის გეყოლება გარემოცული ფარცხისის ციხეში? აქ ჩვენ უბატრონოდ ვართ.

ზარგარელი და კოზმან ბერი გაგვექცენ, მამული გაოხრდა. დედაჩემი ოჯახს თავს ვეღარ ართმევს, მე ავადაც რომ არ ვიყვე, რა შემძლია მე საწყალობელს?“

„ამას ყოველივეს ვგონებ არაერთად კავშირი არ უნდა ჰქონდეს მარამ დედოფლის ჩამოსვლასთან, არა? სულ სხვა გარემოებათაგან იყო დამოკიდებული ეს ყველაფერი სულ“....

„ღამ რისგან? ვისგან?“.....

„შენ არც ისე ყმაწვილი ხარ, საქვეყნო საქმეებში რომ არ ერკვეოდე სულ. ზოგ ვინმესავე შენ ხომ არ გგონია თითქოს მე ისეთი გულმხეცი ვიყვე, მიხაროდეს კიდევაც თითქოს აღამიანთა უსაზმოდ დატანჯვა. (მეფე ამ ზოგ ვინმეთა შორის გულისხმობდა ლიპარიტ ამირას, რატის და ლიპარიტის-ძეთა მემხრეთ) მაგრამ არ ახსენა იგინი: ისევ განაგრძო:

„არც ისაა მართალი თითქოს მეფენი ყოველის შემძლენი იყენენ და მათ შეეძლოთ ყოველ წუთში ისეთი რამ მოიმიქმედონ, რასაც კაიკაცობა და გულჩვილობა უკარნახებს მათ.

ამ ქვეყნად, ყოვლისშემძლე თავათ უფალია ერთი. მე რომ ყოვლისშემძლე ვყოფილიყავი, კაცი არ დარჩებოდა ბორკილაუყრელი ჩემს საბრძანისში“.

დედისიმედს მხნეობა შეჰმატა მეფის ნაუბარმა და უფრო გაბედულად სთქვა:

„ხომ მოინანია მამამ ყოველივე წრფელად?“

„ალბათ მარტო მოინანიებამ არ იქმარა, ჩემო“.

„დედისიმედმა განცვიფრებულად შეახება მის გვერდით მჯდარს, მაგრამ

არა უთხრა რა. ეს გაოცებულმა მამამ უთხრა: „დაც ამოვიკითხა მის სახეზე შექცეულა განაგრძო:

„აქაზდის საქმე აგრე იყო. ჩვენი ქვეყნის მტერნი, რომელთაც, ჩვენი ცნობების მიხედვით, მუდმივი კავშირი ჰქონდათ ლიპარიტ ამირასა და რატისთან, ისე ძლიერნი იყვნენ, მათ ყოველ წუთში შეეძლოთ როგორც ლიპარიტისა, ისე ბანუ ჯაფარისა და კახთა მეფისათვის გამოეგზავნათ მამული ლაშქარი.“

ამ სიტყვებზე შესდგა მეფე, ხოლო დედისიმედს გულზე მოეფონა სიტყვა „აქამდის“ რა შემოესმა, მყისვე უნდოდა ეკითხა: „ახლა?“ მაგრამ დადუმდა და აცალა მოუბარს. ხოლო მეფემ განაგრძო:

„...და შლეგი ვიქნებოდით სულტანის ზოკავშირენი, რომელიც მე ტყვედ მყავდა, ხელიდან გამეშვა და სპიანად დამეხვედრებინა თურქებისათვის თრიალეთის საერისთაეოში, სადაც ომის წარმოება მომხდურისათვის გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე დამხვედურისათვის.

და ეგ უნდა ზომემოქმედა მხოლოდ იმისათვის რომ ჩემთვის ძვირფასი აღამიანი ერთის ქალია და მეორის დაი.“

განუზომელად ეამა დედისიმედს ამის მოსმენა, განსაკუთრებით ამ სამი სიტყვისა, „ჩემთვის ძვირფასი აღამიანი“.

დედისიმედმა შემციენება იგრძნო, მანლილი მხრებზე წამოისხა, თავი აიღო და სთქვა.

„ახლა?“

„ახლა ზე ასე თუ ისე უფრო გულმხედილად ვარ. შენ ატყობდი ალბათ, კარგი ხანია რაც თრიალეთი ავიღე, ამ ხნის მანძილზე ზე არ ვიციოდი ძილა და მოსვენება თუ რა არის, სპას ვამზადებდი, გზებს ვაკეთებდი, ციხეებს

ვამაგრებდი. ლამლამობით თან დავყვე-
ბოდი ჩუხჩხთა, თურქის მარბიელებს
დავზღვევდი, მტრის მსტოვარების
შეპყრობით და მათი დაკითხვით ვიყა-
ვი გართული.

მეჯოგეთა კარებში, მეცხვარებთა
ფარეხებში, წისქვილებსა და აოხრე-
ბულ ეკლესიებში ვათევედი ღამეებს,
ჩემ სპასალარებთან და ჩუხჩხებთან ერ-
თად, უნაგირი იყო ჩემი სასთუმალი,
ჩემი ტყავაკაბა საგებად მჭონდა.

ყოველ დღეს და ყოველ წუთში
მზად ვიყავ შემოპრილ-მტერს სათანა-
ლოდ შევეგებებოდი“.

ღედისიმედმა ველარ მოითმინა და
შეეკითხა:

„ახლა?“

„ახლა შედარებით გულშევიდათ
ვარ. როგორც ჩემნი სარწმუნო კაცნი
იღწყებთან კონსტანტინეპოლიდან, ის-
პაპანიდან და ბაღდადიდან, მე უკვე
მარტოხელა აღარა ვარ ჩვენი ქვეყნის
აურაცხელი მტრის პირისწინ.“

ნიანია ბაქურიანის წიგნი მივიღე
გულმამ, სასიხარულო და იმედების
აღმძქრელი ფრიად. მცირე აზია თიღეს
ფრანკთა, გალრმავდა ამბოხი და შინა-
შლილობა გურგანს გადაღმა ქვეყნებ-
ში, ირანსა და მესოპოტომიაში, ლომებს
კებავენ ბაღდადში თურქნი საკუთარ-
თა თვისტომთა ხორციით ამიტომაც“..
სთქვა მეფემ და დაღუშდა.

ქალმა ველარ მოითმინა:

„ამიტომაც რაო?“

„შენც რომ არ შეგზვედროდი დღეს,
მომავალ შაფათს მე ვინახულებდი ბა-
ტონს დედას თქვენსას, ერისთავთ
ერისთავის მეუღლეს და ვაცნობებდი:
ხვალ გიორგი ჭყონდიდელი ლიხთ გა-
დაღმიდან ჩამობრძანდება, ლიპარიტ
ერისთავს ბორკილს აყერი და ფარცხი-
სის ციხიდან გამოვიყვან რატის, თუ
რომ...“

ღედისიმედმა მტკიცელებულად
იკითხა: გიგლიცოთქვა

„გიორგი ჭყონდიდელს რაღად უც-
დი, მეფევ ბატონო?“

„ჯერ ჭყონდიდელს მივეუგზავნი
ორივეს. მათ ერთგულების ფიცი უნდა
მოგვეცენ მტკიცე და უქცეველი. აღ-
კეთონ სამეფოს მტრებთან ყოველივე
ურთიერთობა.“

განიმსჯელონ ჩვენი ქვეყნისა და
ტახტისადმი ერთგულებითა, თუ ეგ ფი-
ციც დაარღვიეს კვლავინდებურად მათ,
ბორკილი და ტაჯგანაგი შე არასოდეს
გამომელევა ჩვენი ქვეყნის ორგულთა
და ქვეგამხედვართათვის, ეგ იცოდეს
ყველამ“.

ღედისიმედს აღმური წაეკიდა სახე-
ზე. სიხარულის ცრემლებმა იწვიმეს
იმის ღაწვებზე. ნამორიდან წამოდგა,
ფერხით დაუვარდა პატრონს და
მუხლინთავს წაებოტინა საამბორად
მეფისას.

მეფე ზედწამოიჭრა მყისვე, მუხლზე
ამბორი არ დაანება ქალს.....

დიღხანს მიდიოდნენ ისინი ნაძენა-
რების ჩრდილებს ქვეშ ურთიერთის
სიახლოვით დაბტკბარნი. როცა ლიხ-
რიტ ერისთავის სასახლეს მიუახლოვ-
დნენ, ღედისიმედმა ფრთხილად შეპ-
კადრა საყვედური პატრონს:

აეადმყოფობისას რად არ მინახუ-
ლეო?

მეფემ მიუგო:

„შენ თავათ განსაჯე, სულო, სანამ
მამაშენი და ძმანი შენი შეპყრო-
ბილი მყავდა, სანამ ერთსა და იმავე
სასახლეში გვიხდებოდა ცხოვრება, ან
როგორ შემეძლო ჩემი მტრებისთვის
საბაბი მიმეცა სალაყბო.“

რაც უმთავრესია, უწინარეს ყოვლი-
სა, ეგ შენ გავიტეხდა სახელს. ისედაც
ყალბზეა შემდგარი სამღვედლონი და
აზნაურნი თრიალეთისა.



მახარა არა სცხრებოდა, მეც გულით მინდოდა თუნდაც როგორც ავადმყოფი მომენახულებინე, მაგრამ ეგ შენაც კარგად უწყი, არაა რაინდისათვის მართებულ ლოგინად ჩაეარდნილ მანდილოსნის წვევა. მით უმეტეს, როცა არც ზამაა ოჯახისა შინ და არც ძმისი.

უკვე მოისმოდა ლიპარიტ ერისთავის მგელძაღვრების ყეფა. ციხის ქონგურები უზარმაზარ ეშვებოდათ შებგენოდნენ ცარგვალს.

ჯერაც ცაცხვების ჩრდილიდან არ იყვნენ გამოსულნი დაეთით და დედისიძედი, როცა მუზარადიანი ლანდი შემოეფეთათ წინ.

მახარა გამოეყო ცაცხვების ჩრდილს, ილლიდან ზამალი ხოხობი გამოიღო, შუბლზე აკოცა დედისიძედს და გადასცა იგი.

საწოლის დარბაზში შესულმა მეფემ უცნაური დაქანცულობა შეიცნო. ვიდრე შეჭაღენი კანდეღს აანთებდენ, იჯდა მღუმარედ სარკმელთან და გასცქეროდა ცაცხვების თაღხ ჩრდილებს.

მახარა შემოეარდა ალღევებული. შეჭაღენი დაითხოვა პატრონმა. თავიზეასწია, რა მოხდაო, მახო?

„ესეცაა ანთიმოზ ბერი ჩამოვიდა გეგუთიდან.....“
„მერმე რაო?“

„ბაგრატ მეფისეული ცხენი აჭიხვიწებულა კვლავ.“

მეფემ კარგად ვერ გაიგო, რომელ ცხენს გულისხმობდა ქოსა?

როცა გამოირკვა, ბაგრატეულ ცხენის ხატებას გულისხმობდა მახარა, გეგუთის სასახლას კედელზე გამოხატულს, გაეღიმა და უთხრა:

„მერმე რაო, მახო?“
„რა და ომი გვინდა, მეფემ ბატონო, ომი.“

ჯონდის ერისთავის მსგავსად ჩამოიტანა ანთიმოზ ბერი, ანტიოქიდან გამოგაზენილი. ჯერ არასოდეს ასეთი გასაჭირი არ დასდგომია, თურქებს. ანტიოქიაში სასტიკად დაუმარცხებიათ ათაბაგი ქერბოვა, ნუჯამ ედდინ ილღაზი და სხვა ამირები ფრანკებს... სპასალარები ჩივიან მოგვეწყინაო გამუდმებული აღლუმები.

ხმალხმლებს მოგვიშვიდაო, გვიჩივიან სპანი.

პატრონმა ბრძანა: ანთიმოზ ბერი მოეგვარად მისთვის. როცა ჯონდი ერისთავის შიერ გამოგზავნილი გრაგნილი გადასცეს მას, ბრძანა სასანთლენი მოეწიათ მის საკარცულთან.

იჯდა და კითხულობდა გრაგნილს.

რა მოათავა კითხვა, ადგა, დიდხანს დადიოდა მღუმარედ საწოლის დარბაზში, ბოლოს სცემდა, არას ამბობდა. ბოლოს როცა იგი შესდგა, მახარა თვალეზში შეაქცერდა მეფეს. მაგრამ ვერაფერი ამოიკითხა მათში.

დაეთიმა სთქვა: „მე დაზღალა გამუდმებულმა ცხენზე ჯდომამ, მახო, ახლა მარტო დამტოვე. მეჯინიბეთუხუცესს უბრძანე: სახვალღოუ მხად ჰყავდეს ცხენები, გიორგი ჰყონდიდელი მობრძანდება, კლდეკარს უნდა წაჰყვე შენაც.“

მახარა გაოგნებული მიშტერებოდა.

რა უნდაო გიორგი ჰყონდიდელს კლდეკარში? ეგ უნდა ეკითხა, მაგრამ დაქანცულობა შეამჩნია სახეზე, და მღუმარედ გაიხურა კარი.

მარტოშენილი მეფე დიდხანს იყო დაჩოქილი მაცხოვრის ხატის წინ და ნმამალა გალობდა:

„საჯენ, უფალო, მაგინებლნი ჩემნი,

„და ბრძოდე მბრძოლთა მათ ჩემთა, ალიდე ჰური და ფარი და აღსდგე მწედ ჩემდა.“

„განფინე მახელი შენი წინა კერძო მღვეართა ჩემთასა,

„არქუ სულსა ჩემსა: მხსნელი შენი ვარ ზე...“

თორნი გაიხადა. გვერდს იცვლიდა, ფიქრობდა რომელი მტრისათვის მოვექნია მოშიებული ბაგრატიული მახელი პირველად?.....

(მეორე კარის დასასრული)

★

აპტორის რეალიკები

I

ჩემს სიკაბუჯეში, როცა მწერლობას შეეცქეროდი როგორც გართობასა და თამაშს, როცა არა მარტო მე, მთელს ჩვენს მწერლობას ფრიად მცირერიცხოვანი მრევლი ჰყავდა მკითხველთა, არ მიყვარდა განმარტებანი.

საბჭოთა ხელისუფლებამ აურაცხელი მასები დასძრა კულტურისაკენ და ამიტომაც თანამედროვე მწერალი ერთსა და იმავე დონეზე მდგარ „ელიტეს“ როდი ესაუბრება, არამედ სხვადასხვაგვარი კულტურის დონეზე მდგარ მასას.

გალრმავდა ინტერესი მწერლობისადმი და გაიზარდა მისდამი წაყენებულ მოთხოვნილებათა მასშტაბი.

ჩემი უკანასკნელი რომანების გამო მრავალი რამ ითქვა პრესაში, ზოგი რამ სავსებით მართებული, ზოგიც ერთგვარ გაუგებრობაზე აღმოცენებულიცა.

უამრავი კერძო ბარათი მივიღე ამ ხნის მანძილზე როგორც საქართველოს, ისე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან.

ჩემდა სამწუხაროდ, მე არ გამაჩნია არც დრო და არც ტექნიური საშუალებანი, რათა ყოველ მათგანის შეკითხვას ცალ-ცალკე ვუპასუხო.

ცხადია, დავა და გაუგებრობაც აცხოველებს არა მარტო ლიტერატუ-

ციხის ეზოში მგელძილდებოდა, რადგან არა სცხრებოდა და ტურების გნისი, ხანაც ღამეულნი გუშავნი უსტვენდნენ ფრთხილად,

ბოლოს ეს ყოველივე მიწყნარდა, მაინც ძილ-ფხიზლობდა მეფე და გათენებამდის ესმოდა თუ როგორ უხმობდა ბნელში მამალი ხოხობი ცისკარს.....

რას საერთოდ, ეს ფაქტორი ერთგვარად აღრმავებს კიდევაც შემოქმედებისადმი ინტერესს. ის ქმნილებანი, რომელნიც მძაფრ რეაგირებას არ იწვევენ, დავიწყებას მიეცემიან ხშირად.

ერთ საუკუნეზე უფრო დიდხანს გაგრძელდა სტენდალის, ფლობერისა და ლევ ტოლსტოის რომანების გარშემო ატეხილი ხმაური. ფლობერი გახლებული ეკვეთებოდა ხოლმე თავის კრიტიკოსებს, ლევ ტოლსტოის მეუღლე უმაღავედა იმ გაზეთებს, სადაც მას დაუცხრომლად ქირდავდნენ.

არა მარტო ფლობერი, თვით ნაზი ლირიკოსი ლორდ ბირონი გაცეცხლებული დაეძგერა კრიტიკას თავის პოლემიკურ „ბრიტიშ ბერდს ენდ სკოტ რევიერ“-ში, ხოლო ოლიმპიელი გოეტეს „პოეზია და სინამდვილე“ ეს არის კრიტიკასთან ფარიკაობაც.

—2—

მხოლოდ განუსჯელს ეტომება კრიტიკა. მე პირადად დიდად მადლობელი ვარ არა მარტო იმ ამხანაგებისა, რომელთაც საერთოდ, მწერლობისა და ჩემი საქმისადმი ყურადღების გამოვლინების მეოხებით გაუყრიტიკებოვარ, არამედ იმათიც, რომელნიც თუნდაც ჩემი შემოქმედების ან ჩემი აღ-



ზიანური პიროვნების მიერ აღძრული ანტაგონიზმის გამო დამძვრებიან.

ეს ყოველივე ხან მამრახებდა, ხან მახარებდა, მაგრამ ყოველ მომენტში მზადყოფნისკენ და ჩემში მთელმარე შემოქმედებითი პოტენციის გამძაფრებისკენ მომიწოდებდა.

განაწყენება?

შესანიშნავად აშობს ჩვენი საყვარელი მწერალი ლევ ტოლსტოი: „ვინ იცის რამდენ ავტორს მოუსწრია განაწყენება და რაოდენნი ჩაიკრა გულში სიკვდილმა“.

შაბათიოს ლევ ტოლსტოის მალაღმა ლანდმა ასეთი კადნიერება და ამ ბრწყინვალე აფორიზმს დავსძენდი: „და დავიწყებამ“.

აუხაზებს ერთი უცნაური ჩვეულება აქვთ მარულის საქმეში: თავათ კარგ ცხენზე შეჯდებიან, ხოლო ჩვეულებრივ სატალახო ლაფშაზე ბიჭს შესჯამენ და მარულაში მიაღებინებენ მონაწილეობას.

მერმე, როცა დაინახავენ, ეს ცხენი ჩამორჩა, თავათ წამოეწევიან, ბიჭს ხელიდან გამოგლეჯენ აღვირს, ასტეხენ უიყინას და თავათ მიათრევენ პელომდის ცხენს.

ყოველმა შემოქმედმა უნდა შეიგნოს, რომ ავტორის ქმნილება უკანასკნელი კორექტურის შემდეგ ზა არ ეკუთვნის.

მაგრამ მე არც პირველი ვარ შათთავანი და არც უკანასკნელი, ვის გარშემოც გაუგებრობანი წარმოშობილა.

ამიტომ ვთხოვ ჩემს მკითხველს, ეს მკირეოდენი შენიშვნები, რომელნიც განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ ახალთა და ძველთა გაუგებრობათა გასაფანტავად, ჩასთვალოს, როგორც ერთგვარი ცდა მწერლის ლაბორატორიაში

რიაში შემოსაქვრეტი ფანჯრისგან გაკეთებისა. სხვა არაფერად იქნება

თუ ჩემს ცხენს ჩემი შემწველება დასჭირდა, დე, იგი ნუმც მისულა პელომდის.

რაიცა შეეხება ჩემს ავტორულ თავმოყვარეობას, აქ მე მოვიგონებ ვოლტერის ბრწყინვალე აფორიზმს: *Combats contre nous memmes j'ou squau dermiere moment.*

„გებრძოლოთ ჩემს საკუთარ თავს, უკანასკნელ წუთამდის“.

მე აგრე ვთვლი, ვაჟაკისა და შემოქმედის უპირველესი მოვალეობაა არა მარტო საკუთარი ღირსების დაცვა, არამედ საკუთარი აღმამაური სიძაბუნის წინააღმდეგ ბრძოლაც.

და ამ შეგონებას თანმიმდევებით მიეყვები მუდამ.

როცა „დიდოსტატის მარჯვენის“ წერა განვიზრახე პირველად, მე არ შეგონა თუ ამ ჩემ პირველ ცდას საქართველოს ისტორიის პოტიზირებისკენ მიმართულს, რაიმე, რეზონანსი ექნებოდა საქართველოს ფარგლებს გარეშე.

თავათ საქართველოს ისტორია ისეთი ამ პესიმიზმის მიზეზი მსეთი იყო: „უცნობი პლანეტი“ იყო არა ქართველ მკითხველთათვის იმ დროს, არ შეგონა, თუ რუსი, უკრაინელი, სომეხი ან ლიტველი საშუალო მკითხველი ზედმიწევნით ჩანწვედებოდა ავტორის გულისხმას.

მით უმეტეს, რომ იმ ეამად რუსულად არ იყო გამოცემული ელემენტარული სახელმძღვანელოც საქართველოს ისტორიისა.

ცხადია, ეს იყო ბრალი, როგორც ჩვენი, დაუდევრობისა, ისე რომანოვების რუსეთის უმეცარი სასკოლო უწყებისა.

როცა სტენდალს, ბალზაკს, ან ტეკერეის კითხულობდა რუსი მკითხველი, ყოველმა გიმნაზისტმა იცოდა, თუ



სად არის რონა, ტემზა, ტიბრი, ვია აპია, მანჩესტერი, ან ფობურგ სენ ერმენი, ხოლო თრიალეთის, მცხეთის, ან სამცხის და ჯავახეთის სადაურობა იშვიათად თუ ვინმემ უწყობდა მაშინ.

გულწრფელად ვაღიარებ: ფრიად გავვოცდი და გავიხარე, როცა ლენინ-გრაფიდან, ზოსკოვიდან, ერევიდან, სვერდლოვსკიდან, კიევიდან, სტალინოდან, ბალტიისპირა რესპუბლიკათა ქალაქებიდან მიღებულ ბარათებიდან, რომელთაც ხელს აწერდნენ ხშირად მუშები, მუშა-ქალები, კომკავშირელები, დავრწმუნდი, რომ ჩემი პესიმიზმი უსაფუძვლო აღმოჩნდა.

ეს არის, უწინარესს ყოვლისა, ისტორიული დამსახურება საბჭოთა ხელისუფლებისა, რომელმაც დააწაფა წიგნს ისეთი ადამიანები, რომელნიც ოქტომბრის რევოლუციის გარეშე უწიგნიერნი დარჩებოდნენ უთუოდ.

გარდა ამისა, ხალხთა შექმობის სტალინურმა იდეამ წინაპლანზე წამოსწია საბჭოთა ხალხების ლიტერატურანი და მათი წარსულის შეცნობის საქმე.

მრავალ წერილთა შორის განსაკუთრებით გამახარა ერთმა, ჩემი მოსკოველი კოლეგისაგან გამოგზავნილმა ბარათმა, რომელშიაც იგი მწერდა:

„მე ვიცოდი, საქართველომ რომ მისცა ქვეყანას ჩვენი დიდი სტალინი, რუსთაველი და ლავრენტი ბერია, მინახავს თქვენი ლამაზი მთები, თქვენი ლამაზი ქალები და ციტრუსოვანი ველები, მაგრამ თუ ასეთი დიდი ისტორია გქონდათ, ეგ მე აქამდის არ ვიცოდი“.

ისტორიის მასალის პოეტიზირებას მხოლოდ მაშინ აქვს თანადროულობისათვის რეზონი, როცა თვით აღებული

ეპოქა, ან მისი გმირი და მკვლელები ეკორესპონდირება თანამედროვეებს ხელმძღვანელ იღებენ.

იმ პათოსმა, რომელიც ახასიათებს სტალინური დიდი ეპოქის ხუთწლებებს მე მიმაგნენინა დიდოსტატის მარჯვენის მთავარი იდეისათვის. იგულისხმება სული აღმშენებლობისა და გმირული პატრიოტიზმისა.

ხოლო დავით მეფის პიროვნებაში მე დავინახე მატარებელი დიდი სახელმწიფური ეთოსისა, ყოველივე პარტიკულარიზმის დამთურგვნილი.

ნაციონალური ისტორიის გმირებისადმი მიბრუნება ჩვენს ეპოქაში ახასიათებს როგორც დამავლეთ ევროპის, ისე თითქმის ყოველი მოკავშირე რესპუბლიკის მწერლობას.

ამ შემთხვევაში ჩვენ უცილოდ უნდა გავარჩიოთ გმირები თავდაცვითი პატრიოტიზმისა, ამა თუ იმ ერის იმპერიალისტურ ექსპანსიას აყოლილ გმირებისაგან.

თუ დავით აღმაშენებელი, ვარდან მამიკონიანი, და ალექსანდრე ნევესკი ისეთ მომენტებში უძღოდნენ თავთავიანთ ერებს, როცა ისინი სხვა ერების თავდასხმისაგან იცავდნენ თავს, არ შეიძლება ამით რანგზე დავაყენოთ ჯალალედინი, ჩინგისხანი და ნიკოლოზ პირველი და სხვა აგრესორები, რომელნიც თავისთავად დიახაც საინტერესონი არიან, როგორც ამა თუ იმ ნაციის წიაღში დავროვილი უხეში ენერჯის ემანაცია, მაგრამ არამც და არამც არ შეიძლება ამ უკანასკნელთა შეფერადება მწერლობაში და მათი აყვანა ნაციონალური პეროიკის რანგზე.

ამ მომენტის უგულებელყოფა და ხელმოსმით უარყოფა ყოველივე დროული დისტანციის მიხედვით შორეული თემატიკისა, როგორც ხდება ხოლმე ჩვენს კრიტიკაში ხადახან, მე მიმაჩნია განუყოფელ იგნორანტების მიერ წამოწყებულ საქმედ.

—3—

განა თუ ყოველი მეფე, ან პოლიტიკური მოღვაწე თანაბრად უნდა იყოს მართალი?

საქართველოს ისტორიის მაგალითები რომ ვიკითხოთ, ზოგიერთი ქართველი მეფის, თუნდაც კონსტანტინე ალი-ყულიხანის ცხოვრების აღწერისათვის არც დროს დაეხარჯავდი და არც ერთ წევთ მელანს.

საბჭოთა მწერლობისათვის სანიმუშო მაგალითია ლევ ტოლსტოის მანერა ისტორიული გმირებისადმი დამოკიდებულებისა.

მან თავის „პაჯი მურატიში“, გაამახარავე ნიკოლოზ პირველი როგორც მოძალადე და იმპერიალისტი, ზოლო კავკასიის მთიანეთის თავისუფლების დამცველი შამილი და პაჯი მურატი დიდის სიმპატიით დაავიხატა.

დიდოსტატის მხატვრულმა ალლომ პოლიტიკურად სწორ ნიადაგზე შეაყენა იგი, თუმცა ლევ ტოლსტოი არც რევოლუციონერი ყოფილა და არც სოციალისტი.

მარქსი დიდის სიმპატიით იხსენიებს შამილს, ასეთივე თანაგრძნობით მოეკიდნენ გვიან თავისუფლების მოტრფიალე იმამს ლენინი და სტალინი.¹

ჩემი ტრილოგიის მეორე კარის ბეჭდვა შეგნებულად შეწყვიტე 1943 წელს. ამ წიგნში მე წააწყდი გაცილე-

¹ ეს შენიშვნები მოთავსებული მქონდა, როცა შემთხვევით ხელში ჩამივარდა რუსული ჟურნალის „Вопросы Истории“-ს № 11, სადაც მოცემულია ანგარიში შამილისეული მეთრფილხმის გამო გამართულ დისკუსიისა, სსსრ ხალხების ისტორიის სექტორზე. ორიენტალისტს ზ. გ. აჯემანს მონდომებია მარქსისა და ენგელსის პოლიტიკის რევიზია რომანოვების რუსეთის შამილთან ომის საკითხში. ეს შეხედულება დაგმობილ იქნა პროფესორების ბ. ნ. ზახოდერის, პროფ. ნეჩკინას, ზაქსის და სხვა ორიენტალისტების მიერ.

ბით შეტ დაბრკოლებებს, ვიდრე პირველში.

ჩემი მკითხველი ალბათ შეუიშნავდა, რომ პირველ კარში მე მოვხაზე დროის მონაცვეთი დაახლოებით 1081—92, ე. ი. სულტან მალიქ-შაჰს ზოკედინებადმის და ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა მქონდა როგორც სელჯუკიანთა სასულტანოს, ისე მთელი წინა აზიისა და კავკასიის მკვიდრთათვის.

მეორე კარის წერისას ჩემს წინაშე იდგა ამოცანა ამეხაზა პერიოდი 1092—98 წლებსი, ე. ი. კვირადალი პირველი ჯვაროსნული ომისა და ბოლოს პირველი ჯვაროსნული ომი, ვიდრე ჯვაროსანთა მიერ ანტიოქიის აღებისა და მისი შენარჩუნების მომენტამდის.

დავით მეფის ცხოვრებაში ეს იყო პერიოდი გარეგნული უმოქმედობისა, მაგრამ არსებითად მისი პოლიტიკური და სამხედრო საზღაღისისა, მსტოვართა ინსტიტუტის დაარსებისა, შინაგან მტერთა ბრძოლისა, გარე სამყაროში მომხდარ დიდ პოლიტიკურ მოვლენათათვის თვალყურის დევნებისა.

ცნობილია XI-ს წინააზიის ისტორიაში უაღრესად საინტერესო ეპოქა, არა მარტო წინა-აზიისა და კავკასიის ხალხებისათვის, მთელი ქრისტიანულ კულტურისათვის. იგიც უნდა ითქვას, ასევე დაბურდულია ამ ეპოქასთან დაკავშირებული საკითხებიცა.

როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მემატეიანენი და ისტორიკოსები ხანდახან იძლევიან ურთიერთის სავსებით საწინააღმდეგო ცნობებს.

ჯეროვანად დადგენილი არაა ხშირად მთავარი თარიღები, არა მარტო თარიღები, ისტორიულ პირთა სახელის დაწერილობანიცა.

მაგალითად, ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმის აღების თარიღის გამო დაუსრულებელი კამათია დასავლეთის ისტორიკოსთა შორის.

თვით აღმოსავლეთის მემატეიანენი,

ბნ ალათორ, მოჰამედ იბნ მოიასსერ, ბნ ჯუზი, აბულფედა, ჰალაბელი მემატინე ქემალ ედდინი, ურთიერთს ვწინააღმდეგებთან ამ თარიღს ჩვენებაში. ზოგი 1096 წ. ანსენებს, ზოგი — 1098, ზოგიც — 1099 წ.

ასევე განსხვავებულია ჩვენებანი ევროპელი ანალისტებისა: აბატის ვიბერტის, აბატი ეკარტის, გუგომ დე ტირის, ალბერტ დ'ექსის და ანონიმური ავტორის ლათინური ქრონიკისა: „Gesta Francorum et oliorum Hierosolimitanorum“ (საქმენი ფრანკთა და სხვა იერუსალიმელთა).

ეგვიპტელი ქრონისტი მოჰამედ იბნ-მოიასსერ უჩვენებს ჰიჯრით 491 წელს. მაკრიცის ასე აქვს მისი ჩვენება გადმოცემული:

„491 წლის თვესა შაბანს, ელაფდალ, ამირ ელდჯოუშისძე გაემართა იერუსალიმისაკენ, დიდძალი ლაშქრის თანხლებით.

ამ ქალაქში იმყოფებოდა ორი ვაჟი ორტოკისა სოკმან და ილაზი, მათ თან ახლდნენ თავ თაყიანთნი ნათესაენი, თანამდგომნი, თანამებრძოლნი და სპანი.

ელაფდალმა დესპანები მიუგზავნა სოკმანსა და ილაზის. უსისხლოდ დავთმოთ ქალაქი. ამ უყანასკნელთ სხვა გამოსავალი ვერ იპოვნეს და დათმეს იერუსალიმი“.

მემატინე აბულ ფარაჯ გავუწყებს სულ სხვას:

„ჰიჯრით წელსა 492 (ე. ი. 1098 ნოემბრის 28-ს), როცა ეგვიპტელებმა სიძაბუნე შეატყვეს თურქთა, გაემართნენ ლაშქრითურთ იერუსალიმს, გარეშოიცივეს ქალაქი, სადაც იმყოფებოდნენ ამირები: სოკმან და ილაზი, ორივე ძენი ორტოკ თურქმანისა და მათი ბიძაშვილი სივენჯე.

მათ (ეგვიპტელებმა) ორმოცი და კიდევ მეტი ფილაკაენნი მიაყენეს ქალაქს და ხელში ჩაიგდეს იგი“.

ფრანგი ორიენტალისტი, მ. დ. ლეფემერი ამტკიცებს: ჰალაბელი ქრონისტი ქემალ ედდინი ცხოვრობდა იერუსალიმის მახლობლად, თანაც იგი დროული დისტანციის მჭებდევითაც ახლოს იდგა ამ მოვლენებთან, ამიტომაც უნდა ვენდოთ ამ ავტორს, რომელიც იერუსალიმის ალეების თარიღად ასახელებს 1098 წელს. (იხ. ლეფემერის წერილი „იერუსალიმის ალეების თარიღისათვის“. „ჟურნ. აზიატიკ“. სერია VI, ტ. XX წელი. M. D. CCC-ს XXII).

ფრანგი ისტორიკოსი ფერდინანდ შილანდონ სთვლის: 1099 წლის 22 ივლისს აიღეს იერუსალიმი. (იხ. ფ. შილანდონ. Histoire de la Premiere Croissade), ხოლო გერმანელი მეცნიერი რ. რორიხტი* ემყარება ჯვაროსნულ ომებში მონაწილე რაინდის, რაიმუნდის ჩვენებას და იერუსალიმის ალების თარიღად სთვლის 1099 წლის იანვრის 13-ს.

ასე რომ მე სარწმუნოდ ვეჩვენა ამ ორი დიდი სპეციალისტის აზრი და ამიტომაც ვარჩიე 1099 წელი.

—4—

რომანისტი მეისტორიე არაა, მაგრამ ისტორიულ მასალაზე მოღუშევე მწერალს უცილოდ ევალება ისტორიულ მოვლენათა ასახვისას მისი ნაშრომი არ ეწინააღმდეგოს ისტორიულ ფაქტოლოგიას, რათა თვით უაღრესად განსწავლულ მკითხველს, ისტორიკოსს, ღიმი არ მოგეგაროს მისმა ნაშრომმა.

როცა ფლობერს „სალამბოს“ გამოთავს დაეხეუნ ისტორიკოსები და არქეოლოგები, ზოგ-ზოგი, მის მიერ დაშვებულ, ისტორიულ ხასიათის ლაშუსების გამო, გაბრაზებულმა წამოიძახა: ვაფურთხებო თქვენს არქეოლოგიას.

ფლობერი ისე ღრმად ჩასწვდა კართაგენის ისტორიას, მან ვაცილებით

* იხ. რ. რორიხტი „ვეიხტე დეს ერსტენ კროიციფაგს“.



მეტი შესწავლა და გამოსჩხრიკა, ვიდრე რომელიმე მისმა თანამედროვე ფრანგმა პროფესორმა იცოდა, მაგრამ როგორც მწერალს, ეგზომ შორეულ წარსულზე მომუშავეს, ზოგიერთ დეტალებში ზოუხდა ფაქტების მიმართ ძალდატანების მიყენება.

ცხადია, ისტორიულ მასალაზე მომუშავე რომანისტმა მიუცილებლად უნდა გაუსწოროს თავლი ამა თუ იმ ეპოქის გარშემო არსებულ ისტორიული კვლევის უკანასკნელ მიღწევებს. და ეს ამბავი უდიდესი სოციალური ტვირთავს მწერალს.



თანამედროვე რომანების წერისას თავით განმიცდია, თუ როგორ თავისუფალი აქვს ხელი რომანისტს, როცა იგი ისეთ სინამდვილეს ეხება, რომლის თანადასწრე და შემატიანე თავით არის.

ჩემი ტრილოგიის „მთვარის მოტაცების“ წერისას წინ მდოთ თეთრი, სუფთა ქაღალდი, უპირველესი პრივილეგია ისა მქონდა რომ ჩემს მიერ შესაქმნელ ხასიათებს წინასწარ დათქმული ტენდენციები არ ახლდა, ემოგზაურობდი ხანდახან ლანდშაფტების, ქარხნების, კოლმეურნეობების დასათვალიერებლად, ზოგ-ზოგი გეოგრაფიული პუნქტის თავისებურებათა მისანიშნებლად, ხანაც მეცხენეობის ოსტატებს, ან მონადირეებს დავკითხავდი, სხვა დარდი არ მაწუხებდა.

ისტორიულ მასალაზე მუშაობისას სწორედ ის ხასიათებია ძნელად გამოსაძერწი, რომელთაც მათიანემ დაერმა უკვე მისცეს ნიშანდება, მათი განვითარება და განსრულება დიხაც ვეალება ავტორს,

მაგრამ არამც და არამც ვტილუ ტენდენციების მათთვის თავზე უნდა წავსვათ.

მე არ ვიტყოდი თითქოს სტენდალი-სა და ლევ ტოლსტოის ნაპოლეონი ადექვატური იყვნენ იმ ნაპოლეონთან, რომელსაც თუნდაც ტიერის ან სხვა ფრანგი ისტორიკოსების პირიდან ვიცნობთ, მაგრამ არსებითი განსხვავება მათ შორის მაინც არ არის, სახელობრ ნაპოლეონის ხასიათის გენერალური ანაგობის ჩვენებაში.

უნდა ითქვას, როგორც სტენდალი, ისე ლევ ტოლსტოი შედარებით ბედნიერი იყვნენ, რამდენადაც ნაპოლეონის გარშემო აურაცხელი ლიტერატურა არსებობდა.

ახლა წარმოიდგინეთ ის სიძნელე, რომელიც დგას უშორესი ეპოქების ისტორიული გმირების ამსახველ ავტორის წინაშე.

აქ ავტორს სჭირია იგივე, რასაც ფლობერი უწოდებდა „ქანგებით ფხოვნას ვრანტიცისას“.

გამოსაკვლევი, შესასწავლი და გამოსაჩხრიკი არა მარტო ყოფისმიერ დეტალები, ამა თუ იმ ისტორიული გმირისა, მთელი იმპაინდელი გარეგანი და შინაგანი ცხოვრების პირობებისა, რელიგიებისა, რიტუალებისა, ზნეთა, ჩვევათა, ჩაცმულობისა, სხვათა და სხვათა.

ღიდი ეპოპეისათვის ნომ არა კმარა ერთი ან თუ გინდ ათი ხასიათის მოცემა და გამოკვეთა, საჭიროა ჩვენება მრავალი ათეული ხასიათის, სხვა და სხვა ფენისა და საზოგადოებრივი ტენდენციების მატარებელი, შრავალი ტიპის დაქერა და ფიქსირება.

პირველთქმულს რომ მიუბრუნდეთ, ხუთიოდე წლის ანტრაქტი მეორე წიგნის წერისას მე მფედანდომე პირველი ჯვაროსნული ომების კვირამალისათვის შესაღის მოხვეჭას.

წერვის ჰგონია, თითქოს თუნდაც შუასაუკუნეებში ერთა შორის ჩინური კედლები ყოფილიყოს გავლებული, არც ფეოდალური საქართველოს უხდებოდა კარჩაკეტილი ცხოვრება.

შუასაუკუნეებს არ გააჩნდათ ჩვენი თანადროული რადიო, რკინიგზა, ფოსტა და ტელეგრაფი, მაგრამ სწრაფმავალი ეტლები დაქროლავდნენ ტფილისიდან ბაღდადამდე, არზრუმამდე, ისპაჰანამდის, იქიდან ანტიოქიამდის, გინდ ქაირომდის.

ქართველ ხალხს უხდებოდა ბრძოლა იმ ძნელად გამაძლის ხილზე, რომელსაც კავკასია ეწოდება.

დიდი იყო დავით აღმაშენებლის საქართველო ნიკოპსიდან დარუბანდამდის, მაგრამ ამ საქართველოს შესაქმნელად ჩვენს დიდ მეფეს უხდებოდა სამი სხვადასხვა ბუნების, სხვადასხვა რელიგიისა და პოლიტიკური ტენდენციების სამყაროსთან შერკინების, ბრძოლის, თუ მეგობრული ურთიერთობის წარმოება.

ერთი იყო ბიზანტია, რომელიც ერთადერთი ნათელი ფაქტორი იყო იმ ეპოქაში, მეორე ისლამი თავისი კოლოსალური ძალითა და აგრესიით აღჭურვილი, ხოლო მესამე, ეს იყო ის ქართველი ზონა ბარბაროსული ხალხებით დასახლებული. რომელიც გვთიშავდა ჩვენ ერთ მორწმუნე რუსის ხალხისაგან.

ჩვენი ისტორიული მოკავშირე სომხეთი უკვე წაქცეული იყო, ბიზანტია წაქცევაზე იყო მიმდგარი, ასე რომ კავკასს გადმოდმა სამყაროში, უკეთ რომ ესთქვათ, მთელს წინააზიაში, დავით აღმაშენებლის საქართველო იყო ერთადერთი ბარიერი, ქრისტიანული კულტურის შედარებით უფრო პროგრესიული და ჰუმანური იდეალების მატარებელი.

ამ პუნქტში დავით აღმაშენებლისა და ზისი სახელმწიფოს მნიშვნელობა სცილდება ნაციონალური ისტორიის

ფარგლებს და მას ენიჭება მნიშვნელოვანი ისტორიული მნიშვნელობა უთუოდ.

როგორ შევძლებ მე ყოველივე ამის მხატვრულ ილუსტრირებას, ამის განსჯა მკითხველის საქმეა. ყოველ შემთხვევაში fecit quod potui...

რამდენადაც დავით აღმაშენებელს მოუხდა ასეთი მსოფლიო ისტორიული ბრძოლის წამოწყება და წარმოება, როგორც იყო ქრისტიანული სამყაროს მიერ პოლიტიკური რეაგირება ისლამის აგრესიისა და რეაქციის წინააღმდეგ, დავით აღმაშენებლის მარტოოდენ ნაციონალური ისტორიის ფარგლებში მოცემა უთუოდ უმართებულო იქნებოდა.

მით უმეტეს რომ მარტო დავით მეფე არა ყოფილა თავკაცი იმ მოგერიებითი, ხანაც ოფენსიური პოლიტიკისა, რომელიც დაიწყეს ქრისტიანმა ხალხებმა XI ს. მიწურულში.

თუმცა სხვადასხვა გეოგრაფიულ მერიდიანზე, მაგრამ დავით მეფის პოზიციებს ზურგს უმაგრებდნენ როგორც ბიზანტიის კეისარი, ალექსი კომნენი, ისე ჯვაროსანთა ლაშქრის თავკაცები: ჰერცოგ ბოჰემუნდი, ბალდვინი გოდფრუა დე ბუჟონ, ტანკრედი, პუჟს ეპისკოპოსი ადემარ და სომეხთა მთავარი: თოროზ, პაკრატ¹, რუბენი და სხვანი.

წასაცილო იქნებოდა ასეთი ნაციონალური თავგერბობა ჩემს მხრივ, რამდენადაც იმეამინდელ ქრისტიანულ სამყაროს უპირისპირდებოდა სელჯუკიანთა დიდი იმპერია, რომელიც გან-

¹ სომეხთა მთავრის „პაკრატის“ სახელის დაწერილობაში მოვენდვეი სომეხთა ისტორიკოსს მათე ედესსელს. აქვე მინდა დავსინო, ზოოლოგის ვარდა ყველა, ფრჩხილებში მოცეული ფრაზები და პერიოდები სხვა და სხვა ქრონიკიდან ციტირებულ ეპიზოდებში.



ფენილი იყო ტრანსოქსიდიან იერუსალიმადის.

ამ სასულტანომ თვით მალაქ-შაჰ სულტანის სიკვდილის შემდეგ და მის მომდევნო შინააშლილობის პერიოდში ფეხზე დააყენა 600.000 მონასპა. აქედან 300.000 მარტო ჯვაროსნებს შეებრძოლა ანტიოქიის მისადგომებთან.

ასეთივე ოდენობის ლაშქრით თავს დაესხა მუსულმანური კოალიცია დავითის საქართველოს ნუჯამ ელდინ ილაზის მეთაურობით 1120 წელს.

ისტორიული მოვლენების შეფასებაში ჩვენ მტკიცედ უნდა გვექონდეს მინიშნებული ჩვენი დიდი ბელადის, ამხანაგი სტალინის შეგონება ისტორიის არც შელამაზება გემართებს და არც მისი გაუარესებაო, რომ გვასწავლოს.

მხოლოდ ნაციონალური, ქართული ისტორიის ფარგლებში დავით მეფის პიროვნებისა და მისი ბრძოლების როცმა ავტორს უთუოდ გადაიტყუებდა ლეგენდარული მონსტრუალობის სფეროში.

მე რომ არ ვეცდილიყავი მეჩვენებინა ძალმოსილება ისლამის აგრესიული პოლიტიკის მატარებლებისა, სულტან ბარქაიაროკის, ამირ ტუტუშის, იგი სიანის, ათაბეგ ქერბოვას სახით, (ხოლო მესამე წიგნში ამირ ნუჯამ ელდინ ილაზისა და მის მიერ შედგენილი კოალიციის თავკაცებისა) გაუგებარი იქნებოდა დავითის ბრძოლების სიღიადე და მნიშვნელობა.

არც ერთი მწერალს, თუ იგი საქმარისის პასუხისმგებლობით ვკიდება თავის საქმეს, არ ეიოლება თავისი ქვეყნის ფარგლების გადალახვა, ან მისი ნაციონალური ტემპერამენტის გარეშე მღგარი ხასიათების გამოკვეთა და ასახვა.

არა მგონია, სტენდალს შესძლებოდა ისევე ხელმარჯვედ აესახა ჯალალ ელდინ ან თემურ-ლენგი, როგორც ეს

ნაპოლეონის ტემპერამენტის წყევლაში შესძლო მან, იერაც უფროსი ტყვეობა-ტყვეობა ისე ცხოვლად ჯეიპუნს, ან ეფრატს, როგორც ეს გეაჩვენა მან რომის ან ტიბრის დახატვისას.

და ნაპოლეონის პორტრეტი ლეე ტოლსტოის მიერ მოცემული გაცილებით უფრო ზერათლია და სტემატიური, ვიდრე კულტუოვისა, ვინდ პეტრე ბაგრატიონისა.

იმ სამი სამყაროს შესაძლებლად ილუსტრირების საკითხს რომ მივუბრუნდეთ, ჩემთვის ურთულეს ამოცანას შეადგენდა, როგორც ბიზანტიელებისა და ჯვაროსნების ასახვა, ისე ძალამურ სამყაროს ყოფისა და მით უმეტეს ყიფჩალოთა ყოფის თუნდაც ფრაგმენტური ჩვენება.

მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელთა გამო ფრიად ძუნწი ცნობები, უფრო მეტი, ცნობათა ნაკუწების გამოჩხრეკა შევძელი მრავალი წლის ძიების შემდეგ.

ასეული ტომების გადაკითხვა და შტუდირება დამკვირდა ამ უკანასკნელი წლების მანძილზე და თეთრად თენება არა ერთი ათასი ლამისა, არა ერთგზის მოსკოვს წასვლა და როგორც ლენინის სახელობის, ისე აკადემიის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკებში სათანადო ლიტერატურის გამოძებნა.



ჯვაროსნული ომები ეს იყო დასაწყისი ქრისტიანული სამყაროს ისლამის მიმართ შეტევისა. მას განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ვიცი, მთელი მსოფლიოს კულტურის ისტორიაში, რადგან ამ ორი სამყაროს ურთიერთთან შეხლამ მთელი რევოლუცია მოახდინა როგორც ისლამურ, ისე ქრისტიანულ სამყაროთა აზროვნებასა და ყოფაში.

ეგრძოდ საქართველოს ისტორიაში ეს მომენტი უალრესად მნიშვნელოვანია, რამდენადაც როგორც დავითის, ისე თამარის საქართველოს აღორძინება ამ დიდად მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებთანაა დაკავშირებული.

ჯვაროსანთა შეზოტევის გარდა კიდევ ერთი მტერი ჰყავდა ისლამურ სამყაროს, ეს იყო სექტური მოძრაობანი, თუნდაც ასასინებისა და ქერამელეების სახით წარმოშეგებული.

უნდა დაესძინოთ, დავით აღმაშენებლის მიერ გაწეული ბრძოლების შეფასებისას უნდა ვერძოდოთ ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობისათვის გადაქარბებული ზეგავლენის მიჩვენებას.

დავით აღმაშენებლის საქართველოსათვის ამ ფაქტორს ის მნიშვნელობა ჰქონდა რომ ჯვაროსანთა პერცოგებმა ბოჰემუნდმა და გოდფრუამ, ბალდვინმა და ტანკრედმა გააკავეს სელჯუკიანები ანტიოქიასა, ედესსასა და კილიკიაში და ამასობაში დავითმა მოასწრო სამხედრო სამზადისის თადარიგის მოხდენა.

იგიც უნდა გვახსოვდეს რომ 280.000 ჯვაროსანთაგან ანტიოქიის აღებისას დარჩა მხოლოდ 120.000 მონასპა, რაინდი, მეჟარვე და მეჯორე. დანარჩენი ზოგი ბრძოლაში დაიღუპა, ზოგიც სახადისა და შიმშილისაგან გზადაგზა.

1099 წ. ეგვიპტელ ხალიფას ვაზირმა მალიქ ალ-ფადალმა იერუსალიმი წაართვა სელჯუკებს, ორიოდ თვის შენდევ ეს მალიქიც დაამარცხეს ჯვაროსნებმა ასკალონთან და ამის შემდგომ გოდფრუა დე ბუფონ იერუსალიმის მეფედ აირჩიეს.

ანტიოქიაში დარჩენილ 120.000 ჯვა-

როსანთაგან არა ერთი ეგვიპტე ელფრედა ათაბაგ ქერბოგასთან ბრძოლაში მხოლოდ 1099 წელს ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ 50.000 ზეოზარი ევროპაში გაბრუნდა. (იხ. შალაინლონ „ლისტუარ დელა პრემიერ კრუსასად“).

იერუსალიმის აღების შემდეგ მოხდა ჯვაროსანთა ზედგავლენის ლოკალიზირება, რადგან მათ ევროპიდან ახალი ძალთა შენამატი არ მოსვლიათ.

მხოლოდ 1101 წელს ბაგარიელმა პერცოგმა ველფ ფონ ბაიერნ გერმანიასა, იტალიასა და საფრანგეთში თავი მოუყარა 260.000 რაინდსა და მონასპას, ამასობაში ბოჰემუნდი სივასში ჰყავდათ გამომწყვდეული სელჯუკებს, ამ ლაშქარმა აიღო სივასი, ბალდადი წაართვა სელჯუკებს და რამდენიმე თვეც არ გასულა, მთელი ეს ლაშქარი თურქებმა გასწყვიტეს მცირე აზიაში.

ასე რომ 1101 წლიდან 1122 წლამდის, ჯვაროსნული მოძრაობა შეწყვეტილი იყო, მხოლოდ 1143 წელს პაპმა იოჟენ III ითავა მეორე ჯვაროსნული ომი.

ამ ომის შედეგები წაადგა დემეტრე მეფეს, დავითის ვაჟს, გიორგი III, და თამარის საქართველოს. როგორც სელჯუკიანთა, ისე ეგვიპტელთა სულთანებმა და ამირებმა, ამირ ილ-ღაზის თავაყობით შემოუტეეს დავით აღმაშენებლის საქართველოს 300.000 მონასპით და როგორც ვიცით ეს ლაშქარი სასტიკად დაამარცხა დავით მეფემ დიდგორთან, 1120 წელს.

მე არ მინდა მოვლენებს წინ წაუესწრო და ამიტომაც კვლავ ეუბრუნდები მეორე წიგნის გარშემო აღძრულ საკითხებს.

ასე რომ 1101 წლიდან 1125 წლამდის, ე. ი. თავის მეფობის დასარულამდის დავით აღმაშენებელი საეცებით განმარტობული იდგას სელჯუკიანთა დიდ ბულ-



ტანატის საომარი ძალების პირისპირ.

რა თქმა უნდა, მხედველობაშია მისაღები მცირე სომხეთის ტერიტორიაზე დარჩენილი ზოგიერთი სომეხი მთავრებისა და ბიზანტიის დაუძღვრებული საეკლესიო ბრძოლაც, მაგრამ ორივე შემთხვევაში ეს ქრისტიანი მბრძანებელი მხოლოდ თავდაცვითი ხასიათის ბრძოლას ეწეოდნენ და ეს ყოველივე შორს იყო იმ დიდი საბრძოლო ხაზიდან, რომელსაც აკავებდა დავით აღმაშენებელი კასპიის ზღვიდან — ანისზე გავლით — არზრუმამდის.

ცხადია, თავისი შეუდრეკელი მკერდი რომ არ შეეშვირა დავით მეფეს ისლამის აგრესიის წინააღმდეგ, სომხეთისა და საქართველოს გამუსლიმებით განსრულებული იქნებოდა მთელი კავკასიის გამაჰმადიანების საქმეცა.

რამდენათაც, თურქული აგრესია ჩვენს ეპოქაშიაც აქტიური საკითხია, ჩემი ტრილოგია ამ მხრითაც წაადგება ჩვენს თანადროულობას.

— 6 —

განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენდა ავტორისათვის როგორც სელჯუქიანთა სახელმწიფოური წყობილების რელიგიური, საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სახელმწიფოური იერარქიისა, სექტურ მომრავობათა, ცხოვრებითი ყოფითი მხარეების ასახვა.

ამ საკითხებში ვემყარებოდი მსოფლიოს უდიდეს თურქოლოგების შრომებს, როგორც არიან, ჰუტსმა, ბარტოლდ, კრემმერ, დეფრემერი, რომლის შესანიშნავი ნაშრომი: „Sur la reigne du Sultan Barkiarok“ დიდ დახმარებას მიწევდა; ცალკერძობა რომ არ მომსელოდა ანგარიშს ვუწივედი მათე ედესელს, იბნ, ჯურზის, ჰალაბის

ქრონიკებს და სხვა მუსლიმურ წყაროებს, ცნობილ სერაის „ლისტუარ დე კრუასსად“, რომელშიაც მოთავსებულია მათიანენი როგორც აღმოსავლელ; ისე დასავლეთელ ქრონიკებისა, არაბული, ლათინური და ფრანგული პარალელური ტექსტებით გამოცემული.

წინასწარ ვიცოდი, როგორც საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის საკითხები, ისე სელჯუქიანთა სასულტანოს ვითარებანი XI ს. ერთგვარი უცნობი მიწა იქნებოდა ჩემი მკითხველისათვის და ამ დაბრკოლებათა გადასალახავად ათასგვარი მანევრირება უხდებოდა ავტორს.

ცნობილია, ევროპელი ისტორიკოსები იმ თავიდანვე იზნორაციით ექცეოდნენ წინა აზიის, საერთოდ აზიის ისტორიის საკითხებს, რადგან მათთვის მსოფლიოს ისტორია იწყება საბერძნეთისა და რომის პირველი სახელმწიფოური ფორმაციის ამბებით, ჩაიხედეთ ფრანგების, გერმანელების, ინგლისელების მიერ შედგენილ მსოფლიო ისტორიებსა და ენციკლოპედიებში, ეს სამყარო სავსებით გამოირიცხულია მათგან.

ამიტომაც განსაკუთრებით გამოძნელდა ის პასაჟები, რომელნიც ტრანსკასპიასა, ირანსა და მესოპოტამიაში აღმოცენებულ მოვლენებს შეეხებოდნენ.

არც ამ მცირე შენიშვნებს, არც ჩემს სხვა რეპლიკებს კრიტიკისადმი მიმართულს, მიზნად არა ჰქონია დაახლოებული ვინმეს თავზე მოვახვიო ჩემი რომანების მოწონება.

მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ ჩემი ძალღონის უკანასკნელ ამოწურვამდის. სხვა დანარჩენი ჩემგან დამოკიდებული როდია.

ჩვენ ყველას გვყავს — ერთი დიდი და მიუმცდარი განმკითხველი — ევ

არის ჩვენი ხალხი, მე მინდა მხოლოდ ზოგიერთ გაუგებრობათა გამო დაეძრა ორიოდ სიტყვა.

ეურნალ: „Знамя“-ს რედაქციამ, როგორც ჩანს, ჩემი პასუხის შემდეგაც, რომელიც გამოვაქვეყნე „Новый Мир“-სა, გაზეთ „Заря Востока“-სა და ეურნ. „მნათობში“, ამოწურულად არ ჩასთვალა ის პოლემიკა, რომელიც წამოიწყო ვიქტორ შკლოვსკიმ, იმავე „Знамя“-ს გვერდებზე.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნო:

ამხ. ვიქტორ შკლოვსკი თავის წერილში: „Ответ автору“ („ზნამია“, № 10, 1946 წ.) უფრო დელიკატური მეტყველების გზას დადგომია, ასე რომ ამ პასუხს არ ახლავს ის გაავებული ტონი, რომლის ჯეროვანი რეაგირებისაგან თავი შეეკავე ჯერ კიდევ ჩემს პირველ პასუხში.

იგიც მინდა აღვნიშნო, რომ მთლიანად ამხ. ვ. შკლოვსკის გამოსვლა უფრო სიმპატიური მოვლენაა, ვიდრე ზოგ-ზოგთა აპერსონალური ბღვერა.

თავის წერილის პირველ ორ გვერდს ავტორი ანდომებს იმის მტკიცებას, რომ ყოფილთა მიერ დაკავებული სტეპები საქართველოსა და რუსეთის შორის მისვლა-მოსვლას ხელს არ უშლიდა. „Степы были проходимы“. ამას ასაბუთებს 1147 წ. იპატიევის ქრონიკის მოწმობით.

აქედან დასკვნის: Вот об'яснение того, что грузинская культура могла влиять на русскую культуру в XII — XIII в, то есть, что общение России с Кавказом никогда не прерывалось окончательно. Это определяло и бытовые и династические связи. Русская история соотносима с историей Грузии.

ჩვენ ღკოთხეულს ეხსომება ამხ. შკლოვსკის წერილიდან, თითქოს მე არ ვიცნობდე რუსულ მასალებს. ახლა დავინახავთ, თუ რომელ ჩვენთაგანს გა-

მოუჩენია რუსული მატერიალური ციკა.

უწინარესს ყოვლისა უნდა შევნიშნო: მე არასდროს არსად დამიწერია თითქოს შუასაუკუნეებში ერები ჩინური კედლებით ყოფილიყვნენ ურთიერთისაგან დაშორებულნი. ამხ. შკლოვსკი იმოწმებს 1147 წლ. დათარიღებულ ცნობას იპატიევის ქრონიკისას, მაგრამ მას ავიწყდება, რომ ჩემი ტრილოგიის დავით აღმაშენებლის I კარი ეხება 1081—92 წლებს, ხოლო მეორე 1092—98 წ. ასე რომ აქ ნახევა არის საუკუნის განსხვავება.

ამხ. შკლოვსკის მიერ წამოწყებული პოლემიკის შემდეგ მე ორგზის წვედი მოსკოვს, რათა დაძაბებით გამოშვებოდა: მართლაც ხომ არ არსებობდა ამ ორ მოძმე ერთა შორის რაიმე ურთიერთობა 1081—98 წლებში?

სომეხთა ისტორიკოსის ასოლიკის ცნობით საქართველოს საზღვარზე ბასილი II ბულგართაშუმსერელს შეეგებენ საქართველოს მეფე ბაგრატ III და მამამისი გურგენი. ბიზანტიის იმპერატორს აჯანყებული ფეოდალის ბარდა ფოკას წინააღმდეგ შეელოდნენ ქართველი და რუსი ჯარები. ჯარისკაცები თივის გამო წაყენწლავდნენ. (1001—2 წლებში).

მეორე, ცნობა ეკუთვნის ჩვენს სახელოვან ისტორიკოსს ვახუშტი ბატონიშვილს: ...ვასილმა (ბასილი კეისარმა) გაგზავნა გიორგი პირველის წინააღმდეგ თავისი ჯარი, რომლის ერთ ნაწილს შეადგენდა რუსთა მეფის ტაღმა, ანუ ბატალიონი“.

აკადემიკოსი ვასილევსკი, ფიქრობს, რომ ის სამი ათასი ვარანგი, რომელნიც მოიყვანა ბაგრატ IV ლიპარიტ დიდის წინააღმდეგ რუსები იყენნო. (იხ. აკად. ვასილევსკი, „ტრუდი“, ტ. I).

მე მგონია პატივცემული მეცნიერი ამ საკითხში ცდება. თავათ სიტყვა „ვარანგი“ წარმოადგარია სიტყვისაგან „Yäringjar“-დან, რაიცა ნიშნავს შეიარაღებულს.



ვარიანების შესანებ წერით დიდ-
ძალი მელანი დაიღვარა ამ უკანასკნე-
ლი ნახევარი საუკუნის ზანძილზე. ესე-
ნი იყვნენ ავანტიურისტი რაინდი ვი-
კინგები, რომელნიც შუასაუკუნოებში
დაეხეტებოდნენ მთელს ევროპაში, რო-
გორც ქირის სპანი. milites qui solid-
neri vocantur¹ (სპანი, რომელთაც
ქირისანი ეწოდებოდათ). დღესაც არსე-
ბობს „ვარიანგერ ფიორდ“, „ვარიანგ
ნარიდ“ — „ვარიანგერნეს“ და სხვ.

აკად. ვასილევსკი სწერს: „Воиско
приведенное Димитрием из Греции
и 3.000 варягов пришедших на
помощь Баграту одно и то же“.

აკად. ვასილევსკი გულისხმობს: „მა-
ტიანე ქართლისაჲს“, ამ ეპიზოდსაც:
...„და მოვიდეს ვარიანგნი, სამი ათა-
სი კაცი, და დააყენა ბაშს, გარდმოიტა-
ნა თანა შეიდი ასი კაცი, და მივიდა
ბაგრატ შიდათ ლაშქრითა და ამით ვა-
რიანგითა. მესხნი ევრლარა მოილოდი-
ნის: შოვიდეს და შეიბნეს თავსა სასი-
რეთისა ჭალისასა, გაიქცა შიდათ ლაშ-
ქარი.“

და ომსა ამასევე კულა შეიპყრეს აბუ-
სერი, და სხუანიცა დიდებულნი მისთა-
ნა, ევრლარა უძლეს ბრძოლაჲ ვარიანგ-
თა და მისცნა ლიპარიტ პაშტნი და წი-
ნა მათსა პურსა უქაზმიდეს, და ეგრეთ
ლიხი გარდავლეს“. (იხ. „ქართლის
ცხოვრება“ მ. ფ. ბროსსეს მიერ გამო-
ცემული გვ. 225).

ვარიანგები შახტრობდნენ ალექსი
კომნენის ბანდებში, (პოლკებში), ასე
რომ, ცხადია, ბიზანტიიდან ზოიყვანეს
ისინი როგორც დემეტრემ, ბაგრატ მე-
ფის ნახევარმა ძმამ, ისე ბაგრატ IV—
მაც. ლიპარიტ დიდის წინააღმდეგ.

მე მგონია, ვარიანგთა საკითხის გა-
სარკვევად ყველაზე მეტად მნიშვნელო-
ვანია ანნა კომნენის ჩვენება. ანნა კომ-
ნენი, კეისარის ალექსი კომნენის ქა-

ლია, იგი კარგად იცნობდა ჩვენს ქო-
რის სასახლეში სტუმრებს, რომლებსაც
თველებს, რუსებს, სომხებსა და ბოლ-
გარებს. აი რას სწერს იგი ე. წ. ვარიან-
გების გამო:... „ამ ციხეში ვუშავად და-
ყენებულნი იყვნენ აგრედ წოდებული
„უკვდაენი“ (ეს იყო საგანგებო რაზმი)
რომაელთა (ე. ი. ბიზანტიელთა) ჯა-
რისა ხოლო მეორეში ვარიანგები თუ-
ლიდან (from Thule by tese I mean the
axe — bearing barbarians) (ე. ი. წე-
რაქე-ცულეებით შეიარაღებული ბარბა-
რებოსები).

ეს ციტატი მოტანილი მაქვს ანნა-
კომნენის ალექსიადიდან. (the Alexiad
at the princess Anna Comnena ლონ-
დონ 1928 წ.) ცხადია, ვარიანგები რომ
სლავები ყოფილიყვნენ, ანნა კომნენ
უთუოდ გეამცნობდა რომ ესენი „სკვი-
თებია“, ან „სკლავნიიდან“ გამოსული
რომელიმე სლავური ტომის ნაშვირნი.
სიტყვა „გრუზინე“ არსადაა ნახპარი
რუსულ ქრონიკებში. მხოლოდ XII ს.
გვხვდება ტერმინი „ძნა“, ხოლო
„გრუზინე“ XV ს. აღრე არა სჩანს.

იპატიევის ქრონიკის ცნობით 1154 წ.
კიევის დიდი მთავარი იზიანლავი მეო-
რეჯერ ავზაენის თავის ვაჟს მსტის-
ლავს სადღედინაცვლოს „აფხაზეთიდან“,
მოსაყვანად. „В лето 6662 (1154)
посла Изяслав второго сына своего
Мстислава противу мачсее своей
бебо повел из Обезшену себе царе-
ву дщерь и срете ю в порозех при-
веде ю Киеву а сам иде в переяс-
лавь.“

ე. შკლოვსკიმ არ დამაცალა, თორემ
III წიგნში, სადაც მე ვეხები 110-112
წლების ამბებს, უთუოდ უნდა აღვ-
ნუსხო ჩემს რომანში ვლადიმერ მო-
ნომახის ბრძოლა ყიფჩაღთა წინააღ-
მდეგ.

ასე რომ აგრესიულ და ბარბაროსულ
ხალხების წინააღმდეგ ბრძოლაში: სა-
ქართველოს და რუსეთის ორი სახელო-

¹ იხ. მანს დელ ბრუტ „Geschichte der
Kriegskunsts“, ტ. I.

ვანი მეფე ერთად იბრძოდა თუმცა ერთმანეთს არც იცნობდნენ.

საერთოდ მე შაოცებს ზოგიერთი კრიტიკოსის მოუთმენლობა. როცა რომელიმე სამტომიანი შრომის პირველი ნაწილიდაა გამოცემული, როგორც მკითხველმა ისე კრიტიკოსმა უნდა აცალონ ავტორს სათქმელისა და საუწყებლის თქმა.

უწინარესს ყოველისა, ფრიად საინტერესოა, რად ჰგონია ვ. შკლოვსკის რომ მას თითქოს ჩემზე უფრო მეტად უყვარდეს რუსი ხალხი, რუსეთის ისტორია და რუსული კულტურა?

მე ჩემი დიდი პატივისცემა შესანიშნავ რუსის ხალხისა და მისი კულტურისადმი არა ერთგზის დამიმოწმებია ტოლსტოის, დოსტოევსკის და სხვა რუსი მწერლების შესახებ წარმოთქმულ სიტყვებსა და გამოქვეყნებულ წერილებში, მაგრამ როცა ისეთ ეპოქას ვეხებები, როცა ქართველსა და რუს ხალხებს შორის ნამდვილი პოლიტიკური ურთიერთობანი არ არსებულა, რად უნდა შევთხზა ასეთნი?

მე ეს ნაადრევად მივიჩნიე, ვით უმეტეს, რომ განზრახული მაქვს დაეწერო მთელი ციკლი რომანებისა და თავის დროზე საამისო საშუალებაც და მასალებიც უხვად მექნება.

„ზნამიას“ მეცხრე ნომერში ასეთ რამესაც მისაყვედურებს ჩემი რეცენზენტი: „Тот список библиографии, который приводится в статье Гамсахурдиа, слышком краток и в нем почему то вовсе нет русских историков“.

უცნაური! სწორედ, შკლოვსკისადმი გაცემული პასუხის არგუმენტებისათვის, სხვა არა რუს ისტორიკოსებზე აღრე დავასახელე აკად. გრეკოვი, ხოლო რომანებში მე საჭიროდ არ მიცენია ყველა ისტორიკოსის ჩამოთვლა, ვისი ნაშრომებითაც მისარგებლნია, ვი-

მეორებ: მე რომანისტი ვარ და არა ისტორიკოსი.

„დიდოსტატის“ რუსული გამოცემის (იხ. გამოც. „ზარია ვოსტოკა“) შენიშვნებში ფრანგ და გერმანელ ისტორიკოსებსა და ორიონტალისტებთან ერთად არა ერთგზისაა ნახსენები აკად. ბარტოლდი ჩემს მიერ. შესაძლოა, ვ. შკლოვსკი არა სთვლიდეს ბარტოლდს რუს მეცნიერად?

საერთოდ როგორც რუსული, ისე ქართული თურქოლოგია ჯერაც რომ ნორჩია, ვგონებ ამაში მე არ მიმიძღვის ბრალი.

„Надо покончить с национальной ограниченностью“. გვასწავლის ვ. შკლოვსკი.

ორივე ჩემი რომანისათვის საჭირო მასალების შტუდირებიაა და ჩხრეკის დროს ზე არ გამომჩინებია თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი მეცნიერი, არც რუსეთის, არც ინგლისის არც საფრანგეთის მეცნიერთა წრეებიდან და სრულიად არ მესმის სად არის აქ „ნაციონალური შეზღუდულობა“, რომელსაც მიყიფინებს ჩემი რეცენზენტი?

ამ უკანასკნელს სწყინს რად არ ვიშველიებ მე მის წინააღმდეგ პოლემიკაში აკად. ვასილევსკის? ეგებ არ დამჭირდა მისი ავტორიტეტის მოშველიება? ხომ ნება მაქვს ამისა?

ვ. შკლოვსკის პასუხში ერთი რამ მესიამოვნა. ამ პოლემიკის მეოხებით იგი დაფაცურებულა და უამრავი ისტორიული ლიტერატურა გადაუქეპია, მაგრამ ეს მასალა არც ჩემი რომანების მასალას შეეხება და არც გამოსდგომა მას ჩემს წინააღმდეგ მიმართული პოლემიკის საფანელად.

ვ. შკლოვსკის მთელი არგუმენტირება შეეხება ასეთ საკითხს: შუაასუწუნობებში დიდი ზეგავლენა მოუხდენია ქართულ ხელოვნობაზე რუსულზე. უნდა ითქვას ეს ყოველივე მას

საინტერესოდ აქვს მოთხოვნილი, მაგრამ რა შუაშია აქ ჩემი რომანები?

ზოგიერთ საკითხებში ჩვეულებისამებრ ენციკლოპედიურ ლექსიკონებსაც იშველებს.. ერთი რამ მინდა ამხანაგურად ვურჩიო მას: მოიშალოს ლექსიკონებით არგუმენტირება, შერმისში მინც.

ნურვის ეგონება, რომ თვით ისეთი სოლიდური ენციკლოპედიური ლექსიკონი, როგორცაა ვ. შკლოვსკის მიერ დასახელებული ლექსიკონი ეფრონისა და ბროკჰაუზისა მიუმცდარი იყოს.

საქმე ისაა, რომ მეცნიერება წინ მიდის დღითიდღე, ხოლო ლექსიკონები თაროებზე ისე ბერდებიან, როგორც შინაბერანი.

მერმე ვინ იცის ვის მიანდობენ ამა თუ იმ საკითხის გამო რომელიმე კულ-შეკვეცილი ანოტაციის დაწერას.

ქართული ხუროთმოძღვრება უხუცესთაგანია ჩვენს კავშირში. საქართველო ზნისა და ქვის, უძველესი კულტურის ქვეყანაა.

გარდა ამისა საქართველოს გადაწედა ბიზანტიის ხუროთმოძღვრების ტრადიციები. იგივე საფუძვლად დაედო როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქრისტიანული ქვეყნის ხუროთმოძღვრებას.

ვიმეორებ, ეს ფრიად საინტერესო საკითხები დააყენა ამხ. შკლოვსკიმ, ეგონებ მე არა ვარ ამისათვის ძაგების ღირსი, რომ ნიჭიერ საბჭოთა მწერალს, როგორსაც ვიცნობთ ჩვენს ამხ. შკლოვსკის, ბიძგი მივეცი ეს საკითხები შეესწავლა და თავის მკითხველებითვის მიეწოდებინა.

ამ საინტერესო პრეპრობლემურ ექსკურსიის შემდეგ ვიქტორ შკლოვსკი ამბობს: «факторов можно привести очень много, но нельзя понять, почему тов. Гамсахурдиа их отрицает?» უნდა მოგახსენოთ, ვე არასოდეს ეს საკითხები არ დამიყენებ-

ნია და ასე უიქურად ანტიკონსერვატი-ლი მათ, რადგან ჩემთვის ჩრდილოეთელი შწერლისათვის, ოდნავ უხერხული იქნებოდა გამომდგარვიყავ და მემტკიცებია ქართულმა ხუროთმოძღვრებამ XI, XII ს. დიდი ზეკავლენა მოახდინა მეთქი უკრაინისა და რუსეთის ხუროთმოძღვრებაზე, ეს საბაბს მისცემდა ზოგიერთ ჩემს მტერმოყვარეს „ნაციონალური შეზღუდულობა“ დაეწამებინათ ჩემთვის. და შესაძლოა უბირველესად—თავათ ვ. შკლოვსკის.

ჩემს რეცენზენტს ავიწყდება ერთი გარემოება. შუასაუკუნოებში ხუროთმოძღვრებიც, ისე როგორც პოეტები, დახეტილებდნენ მეფეთა კარიდან სხვა მეფეთა კარზე. ესენიც პროფესიონალები იყვნენ, როცა ამა თუ იმ ქვეყანაში გამოეყოდათ საქმე, ტაძრების განსაზღვრულ რაოდენობას ააგებდნენ თუ არა, სხვა ქვეყანას მიადგებოდნენ.

მაგალითისათვის ჩვენ ვიცით, ვასილი ბლავენის ტაძრის აგებაში არა რუსი ოსტატებიც იღებდნენ მონაწილეობას.

უფრო მეტს მოგახსენებთ: ბიზანტიური და რუსული ხუროთმოძღვრების ძირეული მოტივი: მაღალი ხახვის თავიანთი გუმბათი და დაბალი ნეფი გადმოღებულია პინდური პოგოდების არქიტექტონიკიდან, მაგრამ განა ეს გვაძლევს საფუძველს სერიოზულად ვიმსჯელოთ ბიზანტიისა და რუსეთის ანდოეთთან არსებულ რაიმე კავშირისათვის?

აი ეს აზრები კარგად უნდა იცოდეს კრიტიკოსმა და მერმე უნდა გააკეთოს დასკვნები.

არც ხუროთმოძღვრული, არც ნუმისმატიური მონაცემები არ არის ხალ-

ხთა ურთიერთობის პირველადი ზაჩვენებელი, ვიმეორებ: ნურავის წარმოუდგენია შესაუქუნეთა მანძილზე ერებს ეცხოვროს კარჩაეტილად, არც ის თითქოს ერთა შორის გაუვალთ კორდონები ყოფილიყოს გაკეთებული. დღევანდელი ექსპრესების, თვითმფრინავების, მანქანების საბადლოდ, ამ ეპოქას გააჩნდათ, შესანიშნავი მსწრაფლმავალი ეტლები, რომელთა ცხენები განსაზღვრულ მანძილზე იცვლებოდნენ,

მოგზაურობდნენ ვაჭრები, ხელოსნები ხუროთმოძღვრები, პოეტები ერთი ქვეყნიდან მეორემდის, მიჰქონდათ და მოჰქონდათ რელიგიის, ფილოსოფიის, ხუროთმოძღვრების პოეზიის იდეები.

მაგრამ ნამდვილი, არსებითი ურთიერთობა ერთაშორის მყარდებოდა დინასტიური და პოლიტიკური ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მეოხებით.

რომანისტს სწორედ ეს ესაჭიროება, ამგვარი ურთიერთობის საბუთები მე არ გამაჩნდა და ისევ მინდა გავიმეორო ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი ს ბრძნული გაფრთხილება: „Историю не следует ни улучшать, ни ухудшать“.

ვ. შკლოვსკიმ ჩემს პანუხში აღწუსხული არსებითი ხასიათის საკითხების გამო დღემილი არჩია, საკმაოდ დიპლომატიურად. ვულგარულად რომ ვთქვათ, მან სიტყვა ბანზე ამიგდო, ხუროთმოძღვრების საკითხების ღობეყორეს მიეფარა.

მხოლოდ ერთადერთი არსებითი საკითხის გამო გაიმეორა მან თავისი ბრალდება, საესებიდ შეკვეცილად და ოდნავ ყრუდ.

ეს არის ხალხის მხატვრული გამოვლინების ამბავი. საკმაოდ უკბილოდ იგივე ბრალდება გაიმეორეს ზოგიერთებმა შარშანწინ ტფილისში, უმაღლეს სასწავლებელთა ისტორიის კათედრის გამგეთა კონფერენციაზე.

ვ. შკლოვსკი სწერს: „Низко страдане страдает, но не действует, не созидает. Ему данно немного сострадания и совсем не данно уважения“.

ვ. შკლოვსკი, ალბათ თავათ ვერა გრძნობს, რომ მან თავისი რეცენზიით სამმაგი შეურაცყოფა მომაცუნა. ერთი რომ თურმე შე ისეთი გულყანგიანი ეყოფილვარ, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის XI ს. ყოფილა დიდი პოლიტიკური ურთიერთობა და ეს მიმიჩქმალავს.

ჩემთვის დღემდის არაა გარკვეული რად მამბულებს მე იგი ჩვენი კავშირის უშესანიშნავეს ხალხთან, რომელიც ქართველ ხალხს არაერთხელ მიშველებია როგორც აღმოსავლეთის ისე დასავლეთის აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლაში, დიდ ხალხთან, რომლის წრეში მე ჯერჯერობით მყავს არა ერთი ასეული ათასი მკითხველი და არა ერთი ათეული ფრიად გულხმეირი მეგობარი, რომელთაც მე ჩემს ქართველი მეგობრებისაგან არ ვარჩევ.

ან რად მამბულებს მეორე მოძვე ხალხთან სახელდობრ სომხის ერთან, რომლის წრეში მრავალი მკითხველი და არა ერთი მეგობარი მყავს. სახელდობრ ამ გვარად: ვ. შკლოვსკიმ დამამბრალა თითქოს მე განზრახ მახინჯად გამომეხატოს რუსუდანი, მხოლოდ იმიტომ რომ ის სომხის ქალია.

ამავე დროს თავის მკითხველებს დაუმალა რომ „დავით აღმაშენებლის“ ავტორს საკმაო ტაქტი აღმოაჩნდა, როცა იგი ამ უწინო რუსუდანს ხატავდა, ეტლში გვერდით მოუსვა ულამაზესი სომხის ქალი, დედოფლის შიმუნვარი ლაკლაკა, რომელიც რუსუდანთან მგზავრობისას დედოფალი გგონახალხს.



ზემოთმოყვანილ ციტატში მესამე ბრალდებას ზიყენებს შკლოვსკი. ნუ იტყვიან თურმე, მე არამც თუ ჩვენი მოძმე ხალხები, თვით ჩემი ხალხიც არ მყვარებია.

ვ. შკლოვსკის ბრალდება სხვებმაც გაიწიორეს. სახელდობრ ასეთი: რად არ იყო ქართველი ხალხი XI ს. პოლიტიკურად აქტიური?

მე აგრე რომ გამომესახა იგი ეს იქნებოდა უთუოდ ისტორიის სრულიად გაყალბება.

მერმე როდის? XI ს. როცა საქართველოში ჯერაც ბატონყმობა როდი იყო დამყარებული, არამედ პატრონყმობა სუფევდა.

ერთი მიბრძანეთ: სადა სჩანს ხალხი, ან ზისი აქტიობა თითქმის იმავე ეპოქის ძეგლში: „Слово о полку Игореве“. ან უფრო გვიანდელ შედევრებში: „ვეფხისტყაოსანში“, დანტეს „ქომედიამში“, უფრო გვიანდელში, პუშკინის „ვევგენი ონეგინში“?

საერთოდ უნდა ითქვას, ხალხს „ინკორპორე“ პერსონა არა აქვს, შესაძლოა ხალხის ცალკეულ წარმომადგენელთა მხატვრული განსახიერება. და ეს უკანასკნელი გამოსახული მაქვს ჩემს რომანებში, ვინც ობიექტურად დაუყვირდება მათ.

ვიღრე ამ რეპლიკებს სტამბას გადაეცემი, ვაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ გამოქვეყნდა უსახელო ავტორის „კრიტიკული შენიშვნები“, სადაც მისაყვედურებენ თითქოს მე ჩემს უკანასკნელ რომანებში არ მეჩვენებინოს თუ როგორ იტანჯებოდა ქართველი ხალხი.

როგორც სჩანს, ამ წერილის ავტორს არ უნებებია ჩემი რომანების გულდასმით ვადაკითხვა.

„დიდოსტატში“ მთელი | თავებია მიძღვნილი თუ როგორ შრომობენ ხარაზებზე და ქვის სათლელ სახელოს-

ნობებში კალატოზები და მონეტე... როგორ ვარდებიან ხარაზებზე და მონეტე როგორ უპატრონოდ იღუპებიან, უსახელოდ და დაუტირებლად.

ერთერთ თავში იგიც აღწერილია, თუ როგორ აუღუღდა მათი საცოდაობით გული ხერათობაძღვარს მეფისას არსაიძეს და განმგეთ-უხუცესს შესჩივლა: ოსპის გბოლვილის მეტა არაფერს აჭმევენ კალატოზებს და მონეტებს. შიმშილობენო ისინი. აქვე მოცემულია საკმაოდ ცინიკური ფილოსოფია მონათმპყრობელი ფეოდალისა მწვეარი რომ გააძლო, კურდღელს ვერ დაეწევა, ხალხმა უნდა იშომილოს და ისე იშრომოს, თორემ უამისოდ არაიენ ავგივებსო ტაძრებსა და სასახლეებს.

რაიცა შეეხება ჩემს ტრილოგიას „დავით აღმაშენებელს“, ეს ეპოპეა ჯერ მოთავებული არ მაქვს, გარდა ამისა, გიორგი პირველის საქართველო პოლიტიკურად უფრო სულმოთქმული იყო.

ამ რომანშიაც ნაჩვენებია თუ როგორ მუშაობს ხალხი ზეთისსახდელ ქარხნებში, თონეებსა და სახარაზობებში, როგორ იტანჯება მღვიმეებში გახიზნული ქართველი ხალხი, როგორ იღვენება იგი თურქი აგრესორების მიერ დაპყრობილ ტფილისში.

სიანებული წერილის ავტორი ჩემს რომანებს უპირისპირებს XVI — XVIII ს. რუსული ისტორიის გმირებისადმი მიძღვნილ ქმნილებებს, მე მგონია ეს ანალოგია არამც თუ შეუფერებელია, არამედ უხერხულიცა.

მე არ ვიტყოდი ეს უკანასკნელი ნაწარმოებში დიდი პროგრესიული ეშხით იყოს დაწერილი. ესეც რომ არ იყოს, XVIII ს. ხალხი უფრო აქტიური იქნებოდა ვიდრე XI ს.

დავით აღმაშენებლის საქართველო სრული გამოსლიმების და წარჩაყვენის კიდისთან იღვა და თუ ავტორი აქ გარიპოლიტიკორ საფრთხისა და ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მო-

მენტებზე აკეთებს ზომეტებულ აქცენტს, ამის გამო მას საყვედური არ ეთქმის.

ვ. შკლოვსკი სწერს: „Тема романа Гамсахурдиа хорошо найдена, разрешена в старой традиции“. გაუგებარია ეს უკანასკნელი ორი სიტყვა რომანის არქიტექტონიკის „გადაწყვეტას“, ყოველ დროში ერთი და იგივე ხერხები ჰქონია და მე არ მესმის ეს „სტარაია ტრადიცია“ რას ნიშნავს.

რაო? თქვენ იწუნებთ სტენდალის, ბალზაკის და ლევ ტოლსტოის „ძველ“ მეთოდებს რომანის ფინალის „გადაწყვეტისას“.

თუ ეგ აგრეა, დე, ჩავითვალო მე მათ შორის. ეს ჩემთვის დიდი პატივი იქნება.

საინტერესოა, ფორმალისტურ ფუნქურისტულ „გადაწყვეტას“ ხომ არ მოითხოვს ჩემგან ვ. შკლოვსკი?

დასასრულ ჩემი რეცენზენტი სწერს: „Статья Гамсахурдиа не только ответ на все произведения мои за 20 лет. Рецензия эта невежливая“.

მე ჩემს პასუხში დელიკატურად თავი შევიკავე ყოველივე იმის გარჩევისაგან, რაც მას 20 წლის მანძილზე დაუწერია, ეს არც შედიოდა ჩემს ამოცანათა რიცხვში და უნდა მოეახსენო, ეს რომ შეკადრებინა, თუნდაც ჩემზე უფრო დაშახტურებულ მწერლების კრიტიკა მის მიერ წარმოებულ, როგორცია მისი წერილები ლევ ტოლსტოისა და მაქსიმ გორკის ნაწერების შესახებ, ბოლოს მისი კურთხული „თეორია პროზისა“, რომ განმეჭიქა, გაცილებით მეტ „ნევეყესტოს“ და „ნევეყელივოსტს“ აღმოვაჩინდით, ვიდრე მას ჰქონია.

მე მინდა ვ. შკლოვსკისა და სხვათა საგულისხმოდ მოვიგონო ისევ ლევ ტოლსტოი და მისი ურთიერთობანი ქართველ მწერლებთან, იგი უხეშად არ მოქცევიან არასოდეს არამც თუ ილიასა და აკაკის, არამედ თვით უმრწემესი

თაობის ქართველ ურთიერთსტრუქტურულ ნაკაშიძესაც უდიდესს ნაწარმოებებს ვეცოდა და ყოველ წერილის ბოლოს სწერდა: „თქვენი მოყვარული ძმა ლევ ტოლსტოი“.

ამბ. ვ. შკლოვსკიმ დაიმახსოვროს ამიერიდან ასეთი შეგონება: „ადამიანის სახელი და გვარი ჭინჭის ნაჭერი როდია, დაუფიქრებლად რომ წამოჰკრა ხელი“.

როცა ამ ჭეშმარიტებას კარგად შეიცნობს იგი, ასეთი მარცხი მეტი აღარ მოუფა მას.

უნდა ვაღიარო, ჩემს პირველ პასუხში მომეტებული სისასტიკე გამოვიჩინე ვ. შკლოვსკის მიმართ, მაგრამ ქართული ანდაზით მინდა ვიმართლო თავი: სილის შემომბრუნებელს მტკაველს არ უზომიანენო არასდროს.

7.

ვ. შკლოვსკის გამოლაშქრებაზე უფრო გამოცა ერთი ჩემი კოლეგის გაბოსელამ ჩემი, რომანების გამო. როცა მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს მოისმენდა ობიექტური მითხველი, უთუოდ იტყოდა: საბჭოთა მწერლების წრეში უთუოდ მეტი ყურადღება უნდა იგრძნობოდეს ურთიერთის ნაშრომთა შეფასებისას, ვიდრე ამას ეხედებით ხოლმე ხანდახან.

იგი მისაყვედურებს თითქმის მე ნამეტნავად გაუუტაცებიათ ბიზანტიელ და ქართველ დიდებულთა ჩაცმულობის აღწერასა და ტიტულების ჩამოთვლას.

რა თქმა უნდა, ეს ჩემი ბრალი არ არის, თუ ორივე ხალხის არისტოკრატიას კარგად ჩაცმა და ტიტულებიც მომეტებულად უყვარდათ იმ ეპოქებში.

რაც ეგ ასე იყო, მწერალს ევალება ზათი ამ გვარი სისუსტის გამოვლინება და აღნუსხვა.



მეორე ცოდვა, რომელიც მე მიმიძღვნა თურმე, ეგ ყოფილა ფერადების სიუხვე.

ვ. შკლოვსკიმ თავის რეცენზიაში ნამეტნავად ბევრი ცოდნაც მისაყვედურა: „Гамсахурдия слишком много знает“, ხოლო როცა თავის რეცენზიის გამო საკადრისი პასუხი მიიღო, გაბრაზდა და იმავე „ზნაშიაში“ „Невежество“ დაეპარა.

მე გამიგონია, მცირე ცოდნის გამო რომ ამაგებდნენ მწერალს, მაგრამ ბევრი ცოდნისათვის ადამიანის გაქირდვა მე პირველად ვისმინე.

საკვირველ არიან, უფალო, საქმენი შენნი!

ხშირად გამიგონია მწერალს, ან მხატვარს ასეთ რამეს რომ უსაყვედურებდნენ: ნამეტნავად ელემენტარული ფერადებს ხმარობო, მაგრამ ფერადების სიუხვის გამო ქირდვა ეს პირველად გავიგონე ჩემს სიცოცხლეში.

ნუ იტყვიტ და მე დიდად დამიშავებია თურმე ასეთი პარაბოლური თქმისათვის: ხოხბისყელისფერი შეიღიში ეცვაო შორენას.

ასეთი შედარება ჩემამდი რომ ეხმარა ვინმეს, ეს არ ივარგებდა.

ეს მეორე ჩემი რეცენზენტი სამხრეთში, განსაკუთრებით საქართველოში ნამყოფია. ნუ თუ მან არ იცის, არამც თუ ქართველი რომანისტი, ან პოეტი, თვით ჩრდილოელნი ლორდ ბაირონი, ლევ ტოლსტოი, კიპლინგი და პუშკინი ფერადების სიუხვეს არ ერიდებიან, როცა სამხრეთის ლანდშაფტს, ფლორასა და ფაუნას ეხებიან.

იგიც ცხადია, რომ ჩრდილო და აღმოსავლეთ ევროპის მწერლები და მხატვრები უფრო ელემენტარულ ფერადებს იშველიებენ (სამ კარდინალურ ფერს: შავს, თეთრსა და წითელს), ვიდრე სამხრეთ საფრანგეთსა, იტალიასა, ესპანეთის და ირანის ხელოვანნი.

აკადემიკოსმა რილსკიმ, იმეხვედრეცხადებელს, რეპლიკა უნდადგინებოდა ბერის ვაზო რას იტყვიტ, ეგზომ უხვად რომ ხარჯავს ფერებს?

მართლაც და ფლობერს რა ვუთხრათ პატიოსან თვალთა და სამოსელთა ფერადების ნაირსხვეობით ალტაცებულს?

ერთი ბრძნული ანდაზა გამიგონია: ადამიანის ყურს საოცარი ამბები რომ არ მოესმინა, იგი ასე პაწია, როდი იქნებოდა, არამედ გოგრის ფოთლისოდენა გახდებოდაო.

ერთერთ მეგობარს შესჩივის ფლობერი, პორნოგრაფიისა, უხნეობისა და წარმართობის ქადაგების გამო ორ ეკლესიაში შემახვენესო.

აგრე გამოდის, როცა მწერალი რაიმე მოვლენას მადიანად აღწერს, თუ ეს ეკლესიური ცხოვრება იქნება, ზოგიერთი კრიტიკოსები მას კლერიკალად გამოაცხადებენ, ხოლო თუ არაქრისტიანული კულტის, ან რელიგიის გადანაშთები გამოხატა, მაშინ ავტორი უთუოდ წარმართი უნდა გახადონ.

მე ჩემს თავს არავის ვადრი, მაგრამ ანალოგიური ცოდვები დამაბრალეს ჩემი რომანების გამოც.

ისე გამოდიოდა, რომ მე ჩემს ხალხს რეგრესიასკენ ვეწევი, რადგან საცხებიტ თელსაჩინო ამბავია, ქრისტიანობასთან შეფარდებით წარმართობა უქვეელი რეგრესია.

მე არცერთი რელგიის აპოლოგეტი არ ვახლავართ, ღმერთმა დამიფაროს ასეთი ცოდვებისაგან, მაგრამ ეგ რომ ასეა, ამას ცალთვალა ღმერთებიც დანახავენ.

1943 წელს მოსკოვში ჩასულ ქართველ მწერალთა დელეგაციის პატივსაცემად გამართულ საზეიმო სხდომაზე, ამბ. პ. გ. სკოსარემა შეუფარველად დამაბრალა თითქოს მე წარმართობის აპოლოგეტი ვიყუე.

იგივე ბრალდება, უფრო დასაბუთებულად გაიმეორა ამხ. სიმონ ჩიქოვანმა 1947 წ.

მე დღესაც კარგად არ ვიცი, რომელ მათგანს მოუვიდა ასეთი აზრი პირველად თავში, ზაგრამ ერთი რამ ცხადია ჩემთვის: ორივეს წადილი ეგ იყო: ისეთ რეტროგრადად გამოვეყენეთ, რომელსაც არ ესმის, რომ ქრისტიანობა, როგორც რელიგია და როგორც პოლიტიკური ფაქტორი, ძველი დროისა და შუასაუკუნეთა, უფრო პროგრესიული მოვლენა იყო ვიდრე წარმართობა.

რამდენადაც ვიცი, ორივენი გულისხმობდნენ არა „დავით აღმაშენებელს“, არამედ „დიდოსტატის ზარჯვენას“, სადაც მართლაც მოცემულია XI ს. საქართველოში წარმართული ელემენტების ქრისტიანულთან შერკინება.

რომანისტის შესაძლებლობათა ფარგლებში, მე ხაზი გავუსვი ქართული ქრისტიანობის ორმაგ ბრძოლას, ერთის მხრით, ბიზანტიური ეკლესიის სქოლასტიციზმისა და, მეორეს მხრით, ძველი წარმართული, მთიულური ნაშთების წინააღმდეგ.

მამამზე ერისთავი, ვაჟი მისი ჭიაბერი და ზათი სახლთუხუცესი ტოხაისძე თანაბრად ებრძვიან როგორც ცენტრალისტურ ხელისუფლებას გიორგი პირველისას, ისევე მეღმკისედეკ კათალიკოსის ქრისტიანულ ეკლესიას.

მხატვრულ ნაწარმოებში ავტორს სხვა საშუალება არ გააჩნია თუ არ ფინალში გამოვლინდება თავისი კრედოსი.

ჩემი რომანის მიხედვით მამამზე, ჭიაბერი, ტოხაისძე და სხვა პარტიკულარისტი წარმართნი ფნოველნი მარცხდებიან, და რომანი მთავრდება სვეტიცხოველის, რელიგიისა და ხელოვნების დიდი ძეგლის ავტორთა ერთი კითხვით, სად არის აქინა წარმართობის ქადაგება? "

„დავით აღმაშენებლის“ პირველი წიგნის გამო გამართულ დისკუსიაში თავის დროზე მონაწილეობა მიიღეს ჩვენი მწერლობისა და აკადემიური წრეების უწარჩინებულესმა პირებმა, ამ კამათში ბევრი რამ ითქვა ჩემთვის ფრიად საგულისხმო.

აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ სამართლიანად მისაყვედურა: რად დაარქვია ქუთაისის მთავარეპისკოპოსს ქუთათელს, „ანტონი?“ ეს არ მოეწონა პატივცემულ მეცნიერს, რამდენადაც, ასეთივე სახელი ერქვა თამარის თანამედროვე ქუთათელ მთავარეპისკოპოსს.

მე ვგრძნობ ამ უხერხულებას. რომანისტიკაში სახელებისა და გვარების მოძებნას დიდი სიფრთხილე სჭირია, სათანადოდ მე შედგენილი მაქვს მთელი სკალა სახელებისა, როგორც საერო, ისე სასულიერო პირთათვის.

ეს მეც შევნიშნე წიგნის ბეჭდვისას, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ ასეთი ნაკლი მაქვს: ერთხელ თუ შევარქვი რაიმე სახელი გმირს, ზერმე ისე მიძნელებდა მისი გარდნააუღელა, თითქოს ცოცხალ ადამიანთან მქონდეს საქმე.

არ ვიცი, შევძლებ თუ არა ამას, მაინც ვეცდები ხელახალ გამოცემაში ქუთათელი სახელი შეეუცვალო.

კიდევ ერთი რამ შენიშნა აკად. კ. კეკელიძემ იმავე ქუთათელის გამო: ეპისკოპოსი არ შეიძლებოდა კოკლი ყოფილიყოსო.

ცხადია, ეკლესია ერიდებოდა ამა თუ იმ პირთა სამღვდლო თანამდებობაზე არჩევანსას ფიზიკური ზადის მქონეთა ხელდასხმას, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ქუთათელს ან ომში, ან ნაღირობისას მოსტებოდა ფეხი. (და

ესეც ვიცით, შუასაუკუნეთა ეპისკოპოსნი კიდევაც ომობდნენ და ნადირობდნენ, ეპისკოპოსები და იგიც მთავარეპისკოპოსები დიდი ფეოდალები იყვნენ, ისინი ხშირად მეფეებსა და ერისთავებს ებრძოდნენ და ვინ გაუბედავდა მათ დაკოქლების გამო გადაყენებას, იგიც XI საუკუნეში?

გარდა ამისა, მოციქულთა კანონის 67-ე მუხლში ვკითხულობთ; „უკეთუ ვინმე გათეთრებულის თვალითა, ხოლო ღირს იყოს ეპისკოპოსობისა, იქმენ ეპისკოპოს, რამეთუ არა ნაყოფანებაჲ ხორცთაჲ ბილწყოფს მას, არამედ მწყიკლი სულისაჲ“.

აქვე მინდა ლიპარიტ ბაღვივაშის ორბელიანობის გამო დავსძრა ორიოდე სიტყვა. ლიპარიტისძენი რომ ორბელიანნი იყვნენ, ამას მიმოწმებდნენ მარი ფელისიტე ბროსე და პაულე ინგოროყვა.

ჩვენი ისტორიის მრავალი საკითხის გამო დაუსრულებელი დავაა, მე სად ვუცადო მის მოთავებას?

ვიმეორებ ზე რომანისტი გახლავართ და არა ისტორიკოსი და ზოგორც ასეთს, ხანდახან უფლება მაქვს ან ერთ მხარეს მივემხრო, ან მეორეს, სწორედ იმას, რომელიც მე უფრო სარწმუნოდ მიმაჩნია.

ზით უმეტესს, რომ მე არ ვიზიარებ იმათ შეხედულებას, ვინც ამტკიცებს, თითქოს ორბელიანთა გვარი XVIII ს. წარმოშეებულის.

ცნობილია: თამარის მამამ, გიორგი III საქართველოდან გააძევა ორბელიანთა გვარი, ამ უკანასკნელის ნაშვირია, სომეხთა ისტორიკოსი სტეფანოზ ორბელიანი.

ეს უკანასკნელი თავის შრომაში „ისტორია სიუნისა“ გვამცნობს თავისი გვარის გენეალოგიას.

სტეფანოზ ორბელიანი საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს ისტორიულ

ფაქტს; როცა სელჯუკიანთა მუსულმანნი ტულრილ ბეგნი ბიზანტიას შეიჭრა, ბერძენთა ლაშქარს სარდლობდა აარონ ვესტა, ხოლო ბერძენების მოკავშირე ქართველთა ცხენოსან ჯარს ლიპარიტ ორბელიანი, პაპა იმ ლიპარიტისა, რომელიც დავით აღმაშენებელს ებრძოდა. (იხ. „ლისტუარ დე ლა სიუნის“ სტეფანოზ ორბელიანისა, ფრანგ. გამოცემა).

ცხადია, ის მეცნიერნი, რომელნიც ლიპარიტისძეთა ორბელიანობას სექპტიურად ექცევიან, ეწყარებიან დავითის ისტორიკოსის ცნობილ ეპიზოდს: „მოკვდა რატი ლიპარიტისძე, კაცი ორგული და ნანდულიღვე ნაშობი იქედნეთა, ესრეთ დასრულდა სახლი ბაღვივაშთა, სახლი გამამწყარებელთა. (იხ. „ანასეული ქართლის ცხოვრება“).

ეს ადგილი შესაძლოა გავიგოთ არა როგორც მთლიანად ამოწყვეტა ბაღვივაშ-ორბელიანთა გვარისა, ეგეც რომ არ იყოს, აქ მემატიანე გვიჩვენებს სახელდობრ ლიპარიტ კლდეკარის ერისთავის სახლის „დასრულებას“ ე. ი. კლდეკარის ერისთავთ ერისთავის პოლიტიკური ფუნქციების მოთავებას.

თუნდაც დაუშვათ, ამოწყდა ამირა ლიპარიტის ოჯახი და არცერთი მამრობითი სქესის სუბიექტი არ დარჩა რატის სიკედილის შემდეგ გვარის გამაგრებლებელი, მემატიანეს ცნობაში ხომ არაა ნაჩვენები თითქოს ამ სახელთან ერთად ამოწყყდარიყოს მთელი გვარი ლიპარიტის-ძე — ბაღვივაშთა?

ხომ შესაძლოა რომელიმე სახლის-კაცი ლიპარიტისძეთა გადარჩენილიყოს და მათ განეგრძოს საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა და მათგან გამოჰყავდეს თავისი გვარის ჰეროლდიკა სტეფანოზ ორბელიანს?

ახლა ვიკითხოთ, რა უფლება გვაქვს არ ვერწმუნოთ ისეთ დიდი ისტორი-

კოსს, როგორც არის სტეფანოზ ორბელიანი, მით უმეტესს, რომ ქართულ მატინეში სხვა ცნობა არა სჩანს ამის წინამდგომი?

— 8 —

მე ხშირად მაძაგებენ ენის საკითხების გამოც. სწორედ იმ ენის გამო, რომლისთვისაც ეგზომ დიდი დრო და სულიერი ენერგია შემიღვეია.

ის ამხანაგები, რომელნიც თავს მესხმიან ზოლმე ენის საკითხების გამო, ზოგი ნებსით, ზოგიც უნებლიედ უგულვებულსკყოფენ მრავალ გარემოებას.

ქართულ ენას ზოგ-ზოგ ახალ ენებთან შედარებით სამმაგი სათავე აქვს: (ძველ-ქართულ, საშუალო — ქართული (საერო ქართული) და ქართველური დიალექტები.

მას არ გააჩნია გარესამყაროდან თუნდაც ლექსიკური ნაკადების შემომატების საშუალებანი, როგორც მოეპოვება, მაგალითად, ინგლისურს, რომელიც საუკუნეთა მანძილზე დაუბრკოლებლივ იღებდა კელტურ, რომანულ და გერმანულ ელემენტებს, ან მსგავსად რუსულისა, რომელსაც სლავური ენების დიდი რეზერვუარი გააჩნდა.

პირობითად ვახსენე „ძველ-ქართული“, იგი საუკუნის მანძილზე უტოლდებოდა საერო ენას, რომლის მაღალი სარანგი იყო რუსთაველი.

შარშანწინ მე ერთი წერილი გამოვაქვეყნე ქართული რომანის საკითხების გამო, სადაც ვაკერით ვთქვი, რომ ქართული რომანის მამამთავარნი იყვნენ რუსთაველი, იაკობ ხუცესი და გიორგი მერჩული.

რუსთაველი იმდენად, რამდენადაც იგი იყო დიდი ოსტატობით მოზომილი პირველი ქართული რომანის არქიტექტონიკის შემქმნელი.

მსოფლიო პოეზიიდან კარგად ვიცით, მეტყველების საქმეში, უდიდეს პოეტ-

საც, თუ მას პროზა არ დაუწერია, რომანისტიკის მეტყველებაზე შეგავლენა არ მოუხდენია, სამაგვიეროდ იმის მაგალითი უამრავია, რომ რომანი და ნოველა პერმანენტულად ახდენდნენ როგორც თემატიურ, ისე ენობრივ შეგავლენას პოეზიის ყველა დარგებზე და ეს პროცესისი დღესაც გრძელდება.

ნუ დაგვევიწყდება, რომ ქართული პროზის სათავეებს როცა ვახსენებთ, პირველ რიგში ქართული ჰაგიოგრაფიული პროზა იგულისხმება, რომელიც სავსებით უბადლო შედეგებით ბრწყინავს.

ამ შედეგების ავტორებია ისეთი დიდოსტატები ქართული სიტყვისა, როგორც არიან იაკობ ხუცესი, გიორგი მერჩული და გიორგი მთაწმინდელი.

პირუთვნელად უნდა ვაღვიარო, არცერთს, ჩემს ცნობიერების ფარგალში მდებარე ენას ასეთი ბრწყინვალე ჰაგიოგრაფიული პროზა არ გააჩნია, როგორცაა ქართული და ეს იმიტომ ზოხდა, რომ ქართულმა წარმართობამ თავი შეინახა მთებში, ქართულმა ქრისტიანობამ შეიგუა თავიდანვე წარმართული ელემენტები, ელემენტები იმ კულტისა, რომელსაც დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ ასე თუ ისე სძლია ქართულმა ეკლესიამ, მაგრამ მისი ელემენტები შეინარჩუნა.

ამიტომაც ქართული ქრისტიანობისათვის უცხო იყო ის ბნელი სქოლასტიციზმი, რომელიც ახლდა ბიზანტიურს, იტალიურს, ფრანგულსა და რუსულ ქრისტიანიზმს.

— აბა ერთი მიბრძანეთ: სად ვაგონილა ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში ყოფილიყოს ისეთი ეროტიული ამბები, როგორსაც ვიცნობთ ჩვენ გიორგი მერჩულის ნაწარმოებში?



ამ ამბავის ვერ შემცნობ არაქართულ კრიტიკოსებს ჩემი რომანებისას არ ესმით რად გამოვავლინე მე XI ს. ეპისკოპოსები როგორც მეომარი, ზონადირე, ხმლის ჩინებულად მომქნევი, ლეინის მსმელი და მოარშიყე სუბიექტები.

ზოგს ალბათ ეგონა, მე ეს გავაკეთე ბოკაჩიოს მიხედვით (მე პირაუად ბოკაჩიოს არ ვთვლი მაინც და ზაინც ისე დიდ მწერლად, მიბაძვად რომ ღირდეს), რადგან არ იცოდნენ, რომ ორიოდე საუკუნით, ბოკაჩიოზე აღზე ჩვენ გქონდა სავსებით უნიკალური რომანი X საუკ.

სულ სხვა მდგომარეობა ჰქონდა: იტალიელებს, ფრანგებს, გერმანელებს (ლუთერამდის) და რუსებს.

დასავლეთ ევროპელების „სასულიერო ენა“, ეს იყო ლათინური ხოლო რუსებისა საეკლესიო-სლავური. ვიც უნდა ითქვას, რომ მერჩულის ენასა და რუსთველის ენას შორის არსებითი განსხვავება არა ყოფილა.

თამამად შეიძლება ითქვას ამ ორივე ნაკადის ერთ რეზერვუარში შემკრები იყო ისევე და ისევე ქართული პროზა, თავდაპირველად ქართული ისტორიული პროზა, ჯუანშერიანის ლეონტა მროველის, დავითისა და თამარის ისტორიკოსების, ბოლოს საბა ორბელიანის სახით.

საბას, შემდეგ დიდხანს, იოანე ბატონიშვილის გარდა სხვას არავის უცლია ეს.

ქართული სახელმწიფოს უკანასკნელი მაჯისცემასთან ერთად შესწყდა ქართული ენის ნორმალური განვითარება.

ამიტომაც მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე ქართულ ენას არა ჰქონია ის სეგებდნიერი ამიდი თავისუფალი განვითარებისა, როგორც ჰქონდათ იტალიურს, ფრანგულს, რუსულს, გერმანულსა და ინგლისურს.

რაკი ქართულმა ენამ კარგელმწიფური ფუნქციები დაკარგა, ქართული პროზის ოსტატები: ილია, აკაკი, ვაჟა, ალექსანდრე ყაზბეგი და დ. კლდიაშვილი, ყოველ შემთხვევაში თავიანთ მოღვაწეობის პირველ პერიოდში, შეეცადნენ ქართული დიალექტიდან გამოსვლით ხელახლა შეექმნათ ქართული „ბელეტრ“, ე. ი. სიტყვაკაზმული მწერლობა (ეს „სიტყვა-კაზმული“ მშვენიერი ტერმინი ვვაქვს და ამაოდ ვერიდებით მას).

ზემოთხსენებულ მწერალთა შორის ყაზბეგი და დავით კლდიაშვილი ბოლომდის შერჩნენ თავთავიანთ კუთხურ ენას, ვაჟას ლექსებშიაც ძველ-ქართული ტონი სქარბობდა, ხოლო ილია და აკაკი, რომელნიც სიყმაწვილეში გრიგოლ ორბელიანს ებრძოდნენ, სიმწიფის პერიოდში ნაწილობრივ ისევე მიუბრუნდნენ იმავე ძველ ქართულ ტონს, რომლის ვამო გრიგოლ ორბელიანს ქირდავდნენ ასინი (შეად. თუნდაც ი. ჭავჭავაძის სიტყვა გრიგოლ ორბელიანის საფლავზე წარმოთქმული).



მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაშიაც არა ერთი მოსულა საკუთარი კუთხის დიალექტიდან მწერლობაში. ისეთ ქვეყნებში, სადაც ლიტერატურული ენა იკვებება სახელმწიფოში შემოღებული ოფიციალური ენიდან, ეს კუროზი იქნებოდა.

თუნდაც რომელიმე რუსს მწერალს ან რიაზანულ, ან კაზაკურ დიალექტზე დაეწყო წერა.

ტომით ოდიშელმა, თავდაპირველად დიაკვნისაგან ვისწავლე წერაკითხვა, ვერ კიდევ შეიღწეოს წლის ბავშვი კლიროსზე ვგალობდი. ასე რომ მთელი ჩემი სიყრმის მანძილზე შესმოდა გი-

ორგი მთაწმიდელის ბრწყინვალე ენის გუგუნი ქურბეზადგმულ ოდიშურ ეკლესიების თაღებს ქვეშ.

— 9 —

მე არ ამომყოლია ენობრივი „მზითევი“ ჩემი კუთხიდან, რუსთაველი და გიორგი მთაწმიდელი იყვნენ უპირატესად ჩემი მაღალი ჩინებონე.

(სხვათა შორის, განსვენებულმა დედა ჩემმა ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“ და კვირაში ერთხელ ჩვენსას იყო ჩვენი სოფლის ხუცესი).

იმისათვის, რომ ჩემს ენას მწიგნობრული ხასიათი არ დასტყობოდა, სიყრმიდანვე დაუცხრომლად ვსწავლობდი ქართულ დიალექტებს.

ცნობილია, არც ერთ დარგს მეტყველებისას არ ესაჭიროება ისეთი რთული და მრავალფეროვანი ლექსიკა, როგორც რომანს.

თუ მოშაირე უპირატესად „მე“ ფორმიდან, ე. ი. პირველ პირიდან მეტყველებს, რომანისტს ესაჭიროება როგორც პირველი, ისე მეორე და მესამე პირი. ხოლო დიალოგი მთავარ-ელემენტადანია მის მეტყველებაში.

რამდენადაც რომანის, იგივე მთელი ეპოპეის ავტორს ესაჭიროება არა ერთი ან ათი ხასიათის, არა ერთი და ორი წოდების, ეროვნების, ან ტომის წრიდან გამოსული ადამიანების ასახვა (მე ვამბობ „ასახვა“ს და ეს ზღვება მხოლოდ და მხოლოდ ენის ინსტრუმენტის შემწეობით, რადგან სხვა საშუალებანი ხომ არ გააჩნია მწერალს), მან კარგად უნდა იცოდეს არა მარტო საკუთარი ლიტერატურული ენა, არამედ ამ ენის ყოველი განშტოების უძვირესი ნაუანსებიცა.

სირთულე მწერლობისა განა მარტო იმაში მდგომარეობს, თუ როგორ ახერხებს თავათ ავტორი ამა თუ იმ ლი-

ტერატურული ენას მომარჯვებულად და ამისა საჭიროა მანქანა-მწიგნობრობა, როგორ მეტყველებს ყოველი ტომის, ყოველი წოდების, ყოველი კლასის ადამიანი.

ეგეც ცნობილია: ერთი და იგივე ინსტრუმენტი მეტყველებსა — ენა, სხვადასხვაგვარად ელერს, — თითქმის ყოველი ადამიანის პირში და ნაირნაირ მოქცევას განიცდის.

მეფეები, თავადები, ბურჟუები და კათალიკოსები, გლეხები, ზღუშები, სასულიერო თუ საერო პირნი სხვა და სხვა გვარად მეტყველებენ.

ამ კატეგორიების ადამიანთა მეტყველებაში კიდევაა დაუსრულებელი ვარიაციები, მაგალითისათვის ზოგი კაცი ლაპარაკისას ზომავს მეტად ჩაურთავს „თურმე“ს, „ზაღმე“ს „ყეს“ს, „შენ ხარ ჩემი ბატონი“ს, „მენა“ს, „შენ გეტყვი“ს და აგრე დაუსრულებლად.

ცნობილია, ქართული სამღვდლოება ჯერ კიდევ ჩვენ დრომდის ოღნავ განსხვავებულად ლაპარაკობდა ვიდრე ერისკაცნი, ან რა გასაკვირველია, რომ ის კაცი, რომელიც ოცი ოცდაათი წლის მანძილზე VIII—IX—XI საუკუნოების ქართულად თარგმნილ სამოციქულოებს, სენიანქსარებსა და ფსალმუნებს კითხულობდა და გალობდა, არ იმეტყველებს ჩვეულებრივ მოქალაქის ენაზე.

დავით აღმაშენებლის I წიგნში მე დამპირდა ბარე ათორმეტი ეპისკოპოსის, ხუცესის, დიაკვნისა და ბერის ასახვა.

მე ხომ არ შემეძლო გიორგი ქყონდიდელი თუ გნებავთ კირიონ მანგლელი ისე ამემეტყველებინა, როგორც ლაპარაკობს ხოლმე ჩუხჩი, ხაბაზი ან მეხამლე იმავე რომანში.

მეორე წიგნში უფრო მეტად ერისკაცნი მოქმედებენ და მეტყველებენ და ამიტომაც მეორე წიგნის საჯარო



კითხვის დროს, ამხანაგებმა კ. ჭიჭინაძემ, ა. გაწერელიამ, ს. კლდიაშვილმა, ბ. გაბესკირიამ, ი. ვაყელმა, უკანასკნელი წიგნის ენისაგან ოდნავ განსხვავებულად მიიჩნიეს.

მე არ ვუარყოფ, პირველ წიგნში, ძველ ქართულ ინტონაციისაკენ მოპარბებული გადახრა ზაქეს. ამჟამად წინ მიდევს „დავით აღმაშენებლის“ I წიგნის კორექტურა და შესაძლებელს გაეცეთებ, რათა გავამარტივო ენა.

თანამედროვე მწერალი ქალაქელი გახდა, სოფელს მოსწყდა. ცნობილია: თუ ქალაქელის ლექსიკონი ტექნიკური ცივილიზაციის სიტყვიერი ინვენტარით მდიდარია, სამაგიეროდ იგი ლარიზმით ბუნების მოვლენათა, ფლორისა და ფაუნის შესატყვისების ხმარებისას.

ამიტომაც იც წელზე მეტია, რაც დაუცხროველად ემოგზაურობ მთელს საქართველოში. ხან ქართლში, ხან სამცხეში, ხან საინგილოში, ხან იორს გადაღმა მეკამეჩებთან ვათევ ღამეებს, ხან შირაქის მეხეცარეებს ვწვევი, ხან ანჯერელ მეჯოგეებს, ხან ხეისორითში დაეხეტალობ, ხან გურიისში, ხან თრიალეთზე, ხან იმერეთში. და ამ ჯაფას იოლად ვიტან რადგან კარგად ვიცი, რომ ნაციონალური ენის გამოსათქმელ საშუალებათა გამდიდრება და მისი სიწმინდის დაცვა ისეთივე საპატრო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსია.

ეს „სიტყვებზე ნადირობანი“ გამოიწვია ახალი ქართულის ეტიმოლოგიურმა სიღარიბემ, რომელიც დიდბიზანია, რაც შემინიშნავს.

ამ საქმეს დიდი დრო და დიდი ჯაფა დასჭირდა.

ცნობილია: ქართული ენა ეტიმოლოგიურადაც დაშორებულია როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ენებს.

ზოგიერთ ჩემს კრიტიკოსს აგრე ჰგონია, თითქოს მე შეგნებულად ვე-

ძებდე და ვკრებდე ძნელად უკანაგებ სიტყვებს და როგორც კი მისწავსება გებაარ სიტყვას ამოიკითხავს რომელიმე ჩემს რომანში, წინასწარ გადასწყვეტს, ეს საბასაგან, ან ბიბლიიდან უსესხნიაო.

ზოგი არ უწყევს ანგარიშს იმ გარემოებას, რომ ზოგი რამ ჩემი კომპოზიტია, ზოგიც ქართული დიალექტებიდანაა ნასესხები.

რაკი თავათ დაუდევრად ეპყრობიან საკუთარ მეტყველებას უმწიფრობის გამო, მათთვის უცხოა ის ხელობა, რომელსაც მე ვუწოდებ ოდესღაც ოქრომკედლობა სიტყვისა.

— 10 —

თუ რომანული, სლავური, გერმანული და ინგლის-საქსური ხშირად მონათესავე ენებს ესესხებიან, ისინი ახლოს არიან ისედაც ურთიერთთან.

ქართულს მისთვის საესეებით უცხო თურქულ-ირანული სამყარო არტყია გარს და სომხური და რუსულიც ილიომურად შორსაა მისგან.

რუსი მწერალი, თუნდაც შოლოხოვი უკრაინელ კაზაკების დიალექტიდან სესხულობს, ინგლისელი რომანისტი ჯოისი გინდ შოტურს დაესესხება, გინდ ირლანდურს.

ვისგან ისესხოს ქართველმა მწერალმა?

რა თქმა უნდა, ისევდაისევ ქართულ დიალექტებიდან. აქვე უნდა მოგახსენოთ ბარე 20.000 ნომენკლატურის ქართული ზელნაწერებიდან 30% არაა გამოქვეყნებული და მათი ეტიმოლოგიური მარაგი მწერლობაში არ გახშიანებულია.

ამდენიც არ იქნება გამოქვეყნებული ჩვენი ხალხური ფოლკლორის ნიმუშები.

ორი ათეული წლის მანძილზე უამრავი სიტყვიერი მოცარიდე ჩვენი ტომების ზეპირსიტყვაობიდან და საქი-

როებისამებრ ლიტერატურულ ქართულში შემოუშვი.

ჩვენმა ზოგიერთმა კრიტიკოსმა საკუთარა ტომის იდიომიც არ იცის და როგორც კი მისთვის უცხო სიტყვას გაიგონებს ჩემგან, მყისვე ასტებს ყვირილს: არაქაიზშიაო.

ახალ ქართულში არა გვექონდა თეთრი თმის, რუსული „სედინას“ შესატყვისი. ძველქართულიდან ვისესხე „მხცე“, რა არის აქ სააუგო?

ხომ მოგვეპოვება „მხცოვანი“ სწორედ „მხცე“-დან არის ნაწარმოები ეს სიტყვა.

ახალ ქართულში თვალში მაკლდა რუსული „სტარაია დევას“ ერთსიტყვიანი შესატყვისი. ქვემო ქართლში ჩაწერილ „შინაბერას“ წაფელე ხელი.

დამჭირდა რუსული „планировать“-ის ქართული ბადალი. ჩემს მეგზურ ხევსურს წამოცდა ორბის დანახვაზე: ირაოს აყეთებსო.

მივსდიე ამ სიტყვას და გურიასა და სამეგრელოშიც აღმოვაჩინე.

გვაკლდა რუსულ-გერმანული კანტ-ის მაგიერი გურააში ჩავიწერე „ჭადე“, „ლინგი“, დამჭირდა რუსული „клетчатый“-ს ბადალი, რატულში ვიპოვე „კუბოკრული“.

ეკონომია უდიდესი პრინციპია ენაშია. ჩვენ არა გვექონდა ახალ ქართულში რუსული „наводнение“-ს ერთსიტყვიანი ბადალი. ძველი ქართულიდან ვისესხე და „დიდოსტატის მარჯვენაში“ ვიხმარე „დიდროაი“, დანტეს კომედიის თარგმნისას დამჭირდა იტალიური logoro რუსული прилука-ს შესატყვისი, გურულში ვიპოვნე „საქნიერი“. (მიმინოს მოსატყუებელი ხორცის ნაჭერი). დამჭირდა რუსული борожить“-ს ნაცვალი, გურულშივე აღმოვაჩინე „გაქარჩხვა“, გაჩხიბვა,

მჩხიბავი. * იგივე სიტყვა დაქართულდებულად ძველ ქართლში.

იგიც მინდა აღნიშნო ახალი სიტყვების შემოშვებისას მე მტყიცედ ვადგივარ ასეთ პრინციპებს: თუ რომელიმე ქართული ტომის მეტყველებაში შემონახულა ესა თუ ის ძველქართული სიტყვა, ზე მას უფრო ხელალებით ვუკეთებ რეკომენდირებას. ასე, მაგალითად შემოვიღე „გაჩხიბვა“, მეგრულიდან შემოვიღე „მაჯაგანი“, და „პოტიკი“, იგივე სიტყვები აღნიშნული მაქვს საბა ორბელიანის ლექსიკონში.

არა გვექონდა „злорадствовать“ გურულიდან შემოვიღე „მოშაინეობა“, არც რუსული подмигнуть — ძველქართულიდან ვისესხე წამყოფა. წამყოფო. არც რუსული резец.—ქართლში გავგონე: „საჭრეთელი“. მოქანდაკის იარაღია.

ახალ ქართულში არა გვექონდა სიტყვა „ინტრიგის“ შესატყვისი. საბასაგან ვისესხე „ხვანჯი“, რაიცა ნიშნავს „ნასკეს“, „მარყუეს“ და განვაგრძე მისი მნიშვნელობა. შინაარსი გავუგრძელე მას. არ გაგვანდა რუს. Гипнотизировать — ის შესატყვისი, გურულიდან ვისესხე „მონუსხვა“.

დამჭირდა რუსული „забрало“-ს ბადალი, არაბულიდან ვისესხე „ლათამი“.

როცა მეფე მგზავრობდა, ამ ლითამს ჩამოუშვებდა ზუჩიდან, რათა ხალხს ვერ ეცნო.

ახალქართულში გვაკლდა შესატყვისი „галогиловать“-ისა, რუსთაველს დავესესხე „ოთხანით“ წაყვანა ცხენისა, „ჩორთი“, არაა ქართული. ასევე „დოღს“, ქართული „მარულა“ ვარჩიე.

საქართველოში ყოველ სოფელში ცოხება, მიუხედავად ამისა, ჩემამდი ციხის დეტალები თითქმის არავის უხ-



სენებია მწერლობაში. რამდენადაც მე შორეული საუკუნეთა ბრძოლების ასახვა დამჭირდა, სათანადო ტერმინოლოგიაც უნდა შემექმნა, ან გამომეჩხრიკა.

მაგ. მთავარ ციხეს „თავადი ციხე“ ჰქვია, მერმე მიდის ვალავანი, ვალავანის კუთხეში „გოდოლებია“, ვალავანს, ციხეს და გოდოლს „ქონგურები“ აქვს, ის რასაც „ყინი“ ჰქვია რუსულად, ციხეს ბლისკინები არტყია გარს. გოდოლში, ან ციხეში შესასვლელს „კარნი“ ეწოდებოდა.

სიტყვა „ქონგური“ ჩემს შემდგომ რამდენიმე პროზაიკოსმა და პოეტმა იხმარა. რა დაშავდა ამით?

ასევე დამჭირდა ცხენსაკაზმის, ჯაქუსაჭურველის დეტალების გამოძებნა და ლიტერატურაში შემოშვება.

როგორ მომძებნა ახალქართულში საქართველოს სამეფო კარის მოხელეთა იერარქიის სხვა და სხვა თანამდებობის პირთა ტიტულები, როცა ეს ინსტიტუტი XVIII ს. მიწურულში გაუქმდა და ქართულ ენასაც გადაეიწყადა ისინი.

ბოლოს ეს უამრავი „უხუცესები“ ქართული სამეფოს კარისა: მეჯინბეთ-უხუცესი, მენადირეთ-უხუცესი, მესტუმრეთ-უხუცესი, მერემეთ-უხუცესი, მესაბანჯეთ-უხუცესი, ციცხეთ-უხუცესი და ასე შემდეგ.

ხომ არ შეგძლო თუნდაც მეფის-მცველთა უფროსისათვის თანდარმების შეფი მეწოდებინა? ამიტომ ვიხმარე ქონდაქართუხუცესი, ან ჩუნჩარხი.

თუ სავსებით არ მეხმარა ეს ტერმინები, რაკი ილიას, ვაჟას, ა. წერეთელს და დავით კლდიაშვილს არ დასჭირვებიათ და ამიტომაც არ უხმარიათ ესენი?

ახალ-ახალი სინონიმების და პარალელური სიტყვების შემოღება მხოლოდ გამწვანებაა ენისა?

რომანს აურაცხელი რაოდენობის

სიტყვა ესაჭიროება, ცხელი სიტყვების გამოყენებაში ერთი და იგივე სიტყვის ერთჯერ მეტად ხმარება აღიზიანებს და ლლის მკითხველის ყურადღებას.

რუსთაველს ნახმარი აქვს სიტყვა „ზარადი“, მუზარადიდან სახეზე ჩამოსაფარებელი ჯაქვის რიდე, ეს არაა ქართული სიტყვა. მიუხედავად ამისა, მე შემოვიღე პარალელური შესატყვისი: „ლითამი“ არც ეგაა ქართული, მაგრამ ფრიად კეთილშოვნანია და კარგი.

თავის დროზე ეს სიტყვაც მოიპოვებს არსებობის უფლებას. „ქართლის ცხოვრების“ „ფილაკეანს“ მე ვარჩიე ლოდსატყორცნი, რადგან ეს სიტყვა თავათ გამსჭვირვალეა.

ყოველ შემთხვევაში ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ ვუკეთებ ზოლმე რეკომენდირებას ახალ სიტყვას, მერმე თვალყურს ვადევნებ მის „ყოფაქცევას“, როგორ ითვისებს მას ენა.

ვიმეორებ, სიტყვა ერთადერთი იარაღია მწერლისა, მისი უდიდესი კაპიტალიც. იგი ისევე საფრთხილოა, როგორც ფოლადისმიერი სიბასრე და ასევე ძნელად მოსახვეჭი და ძნიად გასაცემი როგორც ოქრო.

ქართული ენა განუსაზღვრელად მდიდარია შუა-საუკუნეთა ფეოდალური ყოფის ინვენტარების სახელებით, ღარიბია როცა თანამედროვე ცივილიზაციას შეეხება. ჩემს ტრილოგიის „მთვარის მოტაცებას“ წერისას, მომიხდა კონტაქტების, ახალი იარაღების, გემების, მანქანების ქირურგიული ოპერაციისათვის საჭირო ინსტრუმენტების, ანატომიის, ბიოლოგიის ცნებათა ქართული შესატყვისების გამოძებნა და შექმნა.

ჩემამდინ მომუშავე ქართველი პროზაიკოსები იშვიათად გაცვილებიან XVIII ს. ბარე ოცი წელია, რაც X—XI ს. ესწავლობ. ამ შორეული ეპოქების ასასახავად დამჭირდა რაინდთა

შეჭურვილობის, მეფეთა კარის ცერემონიების, კავალერიის ატაყების, ციხეთა აღების, საომარი ტექნიკის, მეფეთა კურთხევის წესების შესწავლაროცა ქართულ მატრიანეებში ვერ ვიპოვნოდი, ვჩხრეკდი, ვეძებდი, ბიზანტიის, არაბეთის, ირანის სომხეთის ქრონიკებში.

არსებითად ეს არაა მწერლის ხაქმინგლისის, საფრანგეთის, რუსეთის მწერლებს, ეს ყოველივე მზად მიერთმევა უკვე დამზადებული, ლექსიკონებში, ისტორიულ ცნობარებში.

დავით აღმაშენებლის მეფედ კურთხევის ასაწერად ქართველ მეფეთა კურთხევის წესის რვა ვარიანტი გამოვიჩხრეკე და შევისწავლე.

როცა ევროპელი, ან რუსი რომანისტი ასეთ ეპოქებს ეხება, მას წინ უდევს ბერძნულ-ლათინური ძირის, უკვე დადგენილი ტერმინოლოგია: ეიტადელი, ალემბარდი, კატაპულტი, რაპირი, გენერალი, კომანდორი, კონეტაბლი, ვასალი, ფეოდალი, კურტიე, მინისტრი და სხვა.

მეხმარა ეს ზოგად ევროპული ტერმინები, როგორც ეს ჩაიდინა ცნობილმა რომანისტმა ფეიხტენგერმა?

ეგ იქნებოდა ნაკლებ წინააღმდეგობათა გზის არჩევა, გარდა ამისა, ამ ზოგად-ევროპულ ტერმინოლოგიას ქართველი მკითხველი ვერ გაიგებდა.

•
•

მეოცე საუკუნეში, ეტიმოლოგიურად ძველსაწყისებისაკენ მიბრუნება საგრძნობი გახდა. ისე გამოდის თითქოს როგორც მრავალრიცხოვან, ისე

მცირერიცხოვან ერების მწერლებს შეეშინდათ ჩვენი ენის თავისუფლებანი არ დაეკარგოთ.

ანატოლ ფრანსმა XVIII ს. ფრანგულით დასწერა მთელი რომანი, ინგლისელი რომანისტი ჯოისი XII ს. ირლანდურიდან სესხულობს სიტყვიერ მასალას თავის „ულისში“.

რუსი მწერლის ტოლსტოის „პეტრე პირველში“ ხალხურ „მუქეყურ“ ის გვერდით ისმის საკმაოდ მძაფრი ხმა ძველსლავურისა.

თვით გერმანელმა სოციალ-დემოკრატმა პოეტმა არნო ჰოლცმა XVII ს. გერმანულით დასწერა პოემა „დადნის“.

როგორც ჩემმა სომეხმა და აზერბეჯანელმა მეგობრებმა გადმომცეს, იგივე ტენდენციები ახასიათებთ თურმე დემირჩიანს, ისააკიანს, სულეიმან რუსტამს და სამედ ვურგუნს.

ძველსლავური ენობრივი ტენდენციები ახასიათებდათ ჯერ კიდევ პუშკინს (ზოგიერთ ლექსებში) და ლერმონტოვს („პენს პრა კუპცა კალაშნიკოვაში“).

ჩვენს დიდ ვაჟას თავის ლირიკაში მეტწილად ძველქართული ტემბრი ჰქონდა.

•
•

1923 წელს მე მომპართეს წითელი არმიის ქართული ნაწილების კომანდირებმა მომეძებნა რუსული „Орудие“-ს შესატყვისი. ეს სიტყვა ვიპოვე ხანგრძლივი ძებნის შემდეგ. „ამირან დარეჯანიანიდან“ ვისესხე კატაპულტის ბა-



დალი: „ქვემეხი“. იგი ვიხმარე ერთს ჩემს რომანში „დიონისოს ღიმილი“ 1926 წ. აქედან იგი მოედო როგორც ჯარს, ისე პრესას.

ასე რომ ხანდახან ძველი სიტყვა ახალ დროსაც გაუწყვეს ხოლმე სამსახურს.

ნორმალურად განვითარებულ ენებში სიტყვები როდი კედებიან, არამედ იცვლებიან, ხშირად მნიშვნელობას იცვლიან თავად.

1801 წელს ქართული ფეოდალური სახელმწიფოს გაუქმების შემდეგ მთელი სიტყვიერი ინვენტარი ქართული სამეფო კარისა, სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა უხმარობის გამო გაუქმდა, რადგან ქართულმა ენამ სახელმწიფოური ფუნქცია დაკარგა.



მწერლისათვის „სიმძელე“ საშიშია არა ეტიმოლოგიაში, არამედ აზროვნებაში და ნაზროვნების გაფორმებაში. თითქმის მთელი სიტყვიერი ინვენტარი თანადროული ცივილიზაციისა და კულტურისა ბერძნულია, ან ლათინური დაახლოებით ორი, ან სამი ათასი წლის წინად ნახმარი.

აგილოთ თუნდაც ჩვენი დროის უახლოესი საოცრებანი: „ატომი“ წარმოდგარია ბერძნულ „ატომოს“ დან, რაიცა ნიშნავს რასმეს განუბობელს, განუკეთელს ნამუსრევს. ელექტრობა—ბერძნული სიტყვიდან „ელექტრონ“—ძალას ეთერისას, ელვისას, რადიო—ლათინურ—„რადიაცი“, „რადიატუმ“, „რადიარე“, „რადიუს“—სხივი, ტელე-

გრაფი—ბერძნული „ტელე“ და „გრაფინ“, წერა, შორსმწერა, ტორი—ლათ. „ექსკავე“—აღოხრადან და ა. შ.

— 11 —

დიდმა ილიამ არ დაფარა თავისი უკმაყოფილება ქართველმატიანეთა ზიმართ. უნდა ვაღვიარო ზოგ რამეში არც მე ვარ მაინცდამაინც ალტაცებული მათგან.

ეს მართალია, რომ ქართული ისტორიული ქრონიკების ავტორები: ჯუანშერი, მათიანე ქართლისაძს ავტორი, ლეონტი მროველი, დავითისა და თამარის ისტორიკოსები უცილოდ დიდი მწერლები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მათი უეჭველი ნაკლია ა. წ. „კონკრეტას“ უგულვებელყოფა.

ისინი ხშირად ვარდებიან პათეთიური რიტორიზმში და მათ ნაწერებში არა სჩანს ყოფისმიერი დეტალები, დეტალები, რომელნიც ესაჭიროება ისტორიულ მასალებზე მომუშავე რომანისტს. ქართულ ქრონიკებში არა სჩანს, ცხენზე როგორ იჯდა ქართველი კაცი, ხმალს როგორ იჭნევედა, ან როგორ აგებდა საქართველოს აურაცხელ ციხეებს, ხალხი როგორ იბრძოდა, ან როგორ შრომობდა? მხოლოდ დავითისა და თამარის ისტორიკოსებს მოეპოვებათ ალაგ-ალაგ ასეთი დეტალები.

ვინ იცის, ეგებ გაგვაჩნდა ასეთი ძეგლები, მაგრამ შესაძლოა ისინი იმხვეერბლეს იმ კატასტროფებმა, რომელნიც თავს დააწყდა ქართველ ხალხსა და მის კულტურას, ნელგუციანთა, მონღოლთა და ოტომანთა პერმანენტურ შემოსევების დროს.

ეს როდია ვასაოცარი, ვასაკვირველი ისაა, იგივე როგორ გადაურჩა ამ მეწყერებს, რაც დღეს ვაგვიჩინია.

ყოველ შემთხვევაში ეს გარემოება ქმნის განუზომელ დაბრკოლებებს თანამედროვე რომანიტიკისთვის, რომელიც ქართული ხალხის დიდი წარსულის მხატვრულ გამოსახვას ხელს შიშობს.

— 12 —

ბევრი ვიჭოქმანე ისტორიულ პირთა უცხოური სახელების დაწერილობის საკითხში. ეს არ იყო ადვილი გადასაწყვეტი ჩემთვის, რამდენადაც მრავალი მათგანი ჯერ არც ქართულ ისტორიოგრაფიაში, არც ქართულ პროზაში არ ყოფილა ნახსენები. მაგალითად, თავდაპირველად მინდოდა:

გადამქართულებინა ასეთი სახელები როგორცაა პიერ დ'ამიენ — პიერ ამიენელად, გოდფრუა დე ბუაონ — გოდფრუა ბუაონელად, მაგრამ რაც თურქულ-არაბული სახელები: იბნ ჯურჯი, იბნ აბდალაჰ ჰოსეინი, იაგი სიანი, ალ-მოსტაფირ, არა ვთარგმნე, ევროპულ რაინდების სახელი და გვარებიც ისევე ვიხმარე, როგორც მათ ახსენებენ გერმანელი, ფრანგი და იტალიელი ისტორიკოსები და ანალისტიკები.

მაგალითად, „გესტა“ს „კურბარანს“, ქერბოგა ვარჩიე, (დეფრემერი ხმარობს Corboqha-ს.) „გესტას“ ანონიმურ ავტორი იაგი-სიანს Cassianus-ს უწოდებს, მე მივეყვი ფრანგი და გერმანელი ისტორიკოსების ტრადიციას: ვარჩიე იაგი სიანი და ქერბოგა, ბარქიარუხის წაცვლად ბარქიაროკი და სხვა. ჩემდა სამწუხაროდ „მნათობში“ არა ერთგვის ვამეპარა „ბაგი სიამი“ და „იაგი-სიამი“.

როგორც ლათინურ ქრონიკაში „გესტა“ ისე ალბერტ დექსის ანალებში („პირველი ჯვაროსნული ომის ისტორია“) როგორც ჯვაროსნების, ისე მუსულმანური კოალიციის ლაშქართა რაოდენობის აღწერებაში განსხვავებაა.

მე ვენდევ ამ შემთხვევაში შალანდონსა და რორიხტს, როგორც ჯვაროსნული ომების უდიდეს ისტორიკოსებს.

ისინი არსებითად დიდათ არ სცილებიან ჯვაროსნულ ომების მონაწილე მემატიანეთა ჩვენებას ამ შემთხვევაში.

პარალელურად ანგარიშს ვუწევდი ქრისტიანთა მოწინააღმდეგე ბანაკის ქრონიკებს: იბნ ჯურჯის, ჰალაბის ქრონიკის ავტორს, იბნ ალათირის ჩვენებათაც. ჯვაროსნული ომების, იერუსალიმის აღების, ბიზანტიის პოლიტიკის გაშუქებისას მე სათანადო ანგარიშს ვუწევდი ანა კომნენის „ალექსიადას“, ლეზოს შრომას Histoire du Bas—Empire ედ. ჰაიკს სოლოღურ შრომას: „დი კროიციუგე უნდ დას ჰაილიგე ლანდ“, ჰ. შიბელის „გეშიხტე დეს ერსტენ კროიციუგეს“, ლაპ. 1881 წ. მ. ფ. ბროსეს მიერ გამოც. Collection D'historiens Armeniens, ა. ედ. ი. კრაჩკოვსკის მიერ გამოცემულ: Усама ибн мункыз. Книга Назидании. უსპენსკის, შარლ დოპლს და დელუკანის ცნობილ შრომებს. ინგლისელ ჰეცნიერთა შრომებს: The Byzantine Empire by Eoluard Foord, ლონდონ, 1941 წ. არაბ ისტორიკოსების მთარგმნელს. guy le Stange — Palestine under the Moslems, ლონდ. 1890, N. P. Dwight — Konstansinople old and New. ლონდ. 1915.

რაცა შეეხება ჯვაროსან ლაშქართა რაოდენობის საკითხს, მე არ მიმანია მართებულად გერმანელი ისტორიკო-

სის პროფ. პ. დელბრუჯის სექტიციზ-
მი და მეძატიანეთადმი უნდობლობა ამ
საკითხებში. ხსენებული ჯეცნიერი თა-
ვის ცნობილ შრომაში: „გეშხტე დერ
კოიგაკუხსტ“, ამტყიცებს, თითქოს
ყველა ეს ცნობები ჯვაროსნული ომე-
ბის მონაწილე ლაშქართა რაოდენობი-
სა ნამეტხავად გადაჭარბებული იყოს.
თუ კაცმა თავის დედის ნათვამსაც არ
დაუჯერა, მაშინ დაბეჯითებით არაღის
ეცოდინება თავისი მამის ვინაობაც.

დელბრუჯი ამტყიცებს: არც ანტიურ
სამყაროში, არც შუა-საუკუნეებში,
ტრანსპორტის უქონლობის გამო შე-
საძლებელი არ იყო ასიათასიანი მო-
ნაპისაგან შემდგარი ლაშქრების გა-
დაყვან-გადმოყვანა, სხვა არ იყოს რა
შიმშილისაგან დაიხიციებოდნენ ისინი.

იგი ემყარება იმ ამბავს, რომ ალექ-
სანდრე მაკედონელმა 10.000 მეომრის
შემწეობით ააღო ინდოეთი.

ანტიურ სამყაროში შესაძლოა ძველ-
ბერძნებს არ ჰყოლოდეთ ეგზომ მრავ-
ალრიცხოვანი ლაშქარი, მაგრამ ჯვა-
როსანთა ლაშქრის გამო ჩვენ ვიცით
და ამ ომების მონაწილე ანალისტიე-
ბიც ამას გვიჩვენებენ, რომ ევროპიდან
დამრული ჯარები მოდიოდნენ, ნაძარ-
ცვით იყვებებოდნენ გზადაგზა.

ძარცვა-გლეჯით პოულობდნენ საზ-
რდოს მალიქ-შაპ სულტნისა, ალფ-არ-
სლანის და სულტან ბარქიაროკის ლაშ-
ქარნიც, ასე რომ გასაკვირველი არაა

თუ მალიქ-შაპს 700.000 აქრეც მჭედდა,
სულტან ბარქიაროკს 600.000 აქრეც-
ხეცა სარწმუნოდ სთელის რორიზ-
ტიც).

ჩვენ არა გვაქვს არაერთიარო საბუთი
არ დავუჯეროთ სომეხ ისტორიკოსს
მათე ედესელს, როცა იგი გვარწმუ-
ნებს რომ 1020 წელს დაეით აღმაშე-
ნებლის საქართველოს თავს დაესხა
ნეჯამ ედდინ ილ-ლაზის მეთაურობით
წამოსული მუსულმანთა კოალიციის
ლაშქარი, რომელიც 300.000 მეომრისა-
გან იყო შემდგარი, მით უმეტესს რომ
დაეით აღმაშენებლის ისტორიკოსს
ამის საწინააღმდეგო ცნობა არ მოეპო-
ვება.



როცა ჩემი ტრილოგიის რომელიმე
წიგნს ზოგათავებ, იმდენი სულიერი
ენერჯია მეცლება, აგრე მგონია: ეგაა
დაეიშრიტე და შემდეგი წიგნისათვის
ალარ მეყოფა მეთქი ჯანი, მაგრამ
მანც იმედს არა ვკარგავ, რომ ის
დიდი სიყვარული, რომელმაც ამ ათი-
ოდე წლის წინად ამაღებინა კალამი
ხელში, შემაძლებინებს განსრულებას
იმ ძეგლისას, რომელიც მინდა, თუ
განგებამ დამაცალა, ქართულ სიტყვა-
ში აუფგო ჩვენთა მეფეთა შორის უბრ-
ძენესსა და უდიდესს.

ქოლა ნალირაძე

ნაწნოზ ქოლმეუჩნე ქალს

★

გაიევილი გვერდით შორიდებით და მოკრძალებით,
ქალო ქართველო, მოამაგევე კეთილშობილო,
დიდი შრომისთვის დღეს უბრალოდ გამოწყობილო,
სულში ჩაშწედენო მაგ ღიმილით და მაგ თვალებით!
ო, რა რიგ მიყვარს შენი სახის იერი თბილი,
შენი ქართული მეტყველება, წამწამთა ჩრდილი,
სიღარბაისლე და სიღინჯე, ნაბიჯი ნელი
და წმინდა შრომით დაღარული ოდნავად ხელი
ო, ვიცი, ვიცი ყოველივე! კიდევ მენახოს
შენი ოჯახი საყვარელო, თავს რომ ევლები.
ახალი ოდა გამართული ვენახის ახლოს,
ქადარი მასთან და ღობესთან თეთრი ტყემლები.
არ დაუნახავს შენს თვალებზე არვის ცრემლები.
რაც ომს ემსხვერპლა — აღიბეჭდა ნაოჭად შუბლზე!
მხოლოდ თვალბში, როგორც ცეცხლის ციმციმი შუბლზე,
შურისძიების გაილეღებს ზოგჯერ სურვილი...
და როცა ჩუმად გესაღმები შრომით გააღულს,
როს შენი სახე, ხილაბანდით შემობურვილი,
თითქოს ბურუსში, გამოაჩენს სინაზეს ქალურს, —
მე მჯერა მაშინ, რომ ქართველი ქალის სიტურფეს
ამშვენებს შრომა, ადიაღებს, ფიანდაზს უფენს;
რომ ახლაც უცემთ ვაყკაცურად ჩვენს დედებს მაჯა,
და სისპეტაქე, სილამაზე მხოლოდ იქ სუფევს,
სადაც არსებობს სამშობლოსთვის შრომა და გარჯა.

გიორგი ქაჯახიძე

მონუსი ღარაჯი



გაყვარებს სოფლის წყნარხმიან დილას
ციხფერი სკოლა ფართო აივნით,
ადრე დგები და მოხუცი ფრთხილად
ყველა საკლასო ოთახს დაივლი.

ზრუნვით მოაველებ თვალს ყოველ კუთხეს,
ცივ მყუდროებას სიცოცხლედ შესცვლი,
გულწაბრობილად წამომდგარ ბუხრებს
გულს აუძგერებ ბრიალა ცეცხლით.

გაზარებს ფართო სარკმლების მოვლა,
მერხების მწკრივში ფუსფუსი დილით,
და სოფლის ზრუნვით ნაზარდი სკოლა
რომ ხედება ბავშვებს სუფთა და თბილი.

შენი დღე მათთვის ზრუნვაში ზარდვ,
გადაგავიწყა მან ბევრჯერ დალლა.
აქ დაგიზრდია შეილები ადრე,
შეილიშვილები ყვავიან ახლა.

ცოტალა შეგრიჩა სოფელში ტოლი,
ძველი ამბების მოყოლა გშვენის;
შემოგებალა სითეთრე თოვლის
და უყვართ სოფლად დანახვა შენი.



წითელი ყაყაჩო*



11.

ჩრდილოეთის მკრთალი, თითქმის ლეგა ღამე ნელა, თანდათან მუქდებოდა. ბნელთან ერთად მთვარეს ელვარება თანდათან ემატებოდა. მოქიქული ვარსკვლავიანი ცა სარკმელში მშვიდად, გულისმიმბირებლად კიაფებდა.

გოსპიტალი კარგახანია, რაც მიწყნარდა. ბუხარიც ჩაქრა. პალატაში შაინც ცხელოდა.

ასტამურ მატახერია თავის ლოჯიაზე ჩემს ხელმარცხნივ შორიახლო პირაღმა იწვა. ვაქცაყური მძლავრი მკლავები განივრად გადაეშალა. საბანმოშლიფებულს ახალგაზრდული ღრმა ძილით ეძინა. მოღედილი მკერდით წყნარად სუნთქავდა.

ვიწროდშედებულ კარში დერეფნიდან ელექტრომუქი თეთრ ზოლად იჭრებოდა. იქვე კუთხეში, ბუხარსა და კედელს შუა, კედლისავე გასწვრივ ჩადგმულ ლოჯინზე ნახევრადმოკუნტული დობროხოტოვი პირქვე იწვა. თხელ ბალიშში თავჩარგულს მოუსვენრად ეძინა.

ირველივ მართლაც რომ სამარისებური მკლერი დუმილი გამეფებულიყო. სადმე პალატაში ძილში ვინმე თუ წამოახველებდა. დერეფანში ვინმე,

ვინ იცის, რისთვის ფოსტლების, ფრატუნით თუ ჩაივლიდა.

სასთუნალთან მოდგმულ პატარა მაგიდაზე ელექტროს ღამბა ისევ მუნთო. მის შუქს ჩემი მძინარე თანამემამულე რომ არ შეეწუხებინა, ლუი სელინის ის შავად დაკანული წიგნი ცალის მხრივ ფრთხილად მოვაფარე.

დღივანდელი დღე ჩემთვის ღირსშესანიშნავი დღე იყო. პალატაში ყავარჯნით სიარული დღეს პირველად ვცადე. მაშენკა თვალყურს გულახდილი შიშითა და სიხარულით მადევნებდა. ამხანაგებიც ჩემი პირველი ნაბიჯის გადადგმას კმაყოფილებით ელოდნენ. თან მაქეზებდნენ და თან როგორღაც, თითქოს შემწყნარებელი ღიმილით ეღიმებოდით. მატახერია გვერდით არ მშორდებოდა. ყავარჯნები ილიის ქვეშ კარგად გამისწორა და ჩემს პირველ ნაბიჯს ჩემზე მოუთმენრად, მგონი, ის მოელოდა.

ამდენი ხნის წოლით დასუსტებულმა, თავი სწვრივ მდგომარეობაში რომ ვიგრძენ და ფეხიც მიწას დაეაყრდენ, მღელვარებამ სული ერთბაშად შემტაცა. პალატა, საწოლები და ეს ბუხარიანი კედელი ერთბაშად მალა ატრიალდა. განიეთებული სიბნელე ირველივ წამომებურა. ლეიტენანტი მატახერია დროზე რომ არ მომშველებოდა აღბათ დავიმტერეოდი.

* გაგრძელება. „მნათობი“ № 2.



ძილი ამოღამ სავგაიროსაც გატეხვოდა. საცელების ამარა, ჩემს ზღმარჯენივ, ახლოს მოცურებულ თავისივე ზამბარიანი რკინის საწოლზე ღრმად იჯდა. ზამბარიათის ხალათი მხრებზე ზემოდან წამოესხა და იატაკზე დუნედ დაბჯენილი ფეხები, მსუქანი კაცის ჩვეულებისამებრ, ოდნავ განივრად ედგა. თავის საყვარელ საგანზე ისევ გაუთავებლად ქაქანებდა.

გვიან იყო. მთვარით თეთრად გაშუქებული ღამე ვარსკვლავიანი ცით სარკმელში ისევ მშვიდად, ისევ გულის მიმბირებლად იცქირებოდა. ჩვენ საუბარს ბოლო მაინც არ უჩანდა. ახალგაზრდა ლეიტენანტის, ასტამურ მატახერიას, დღევანდელ სიტყვებს ჩემი აბეზარი მოსაუბრის გრძობა-გონება აეფორიაქებინა. აქამდე ვეღარ მშვიდდებოდა. მის მოსაზრებას, მართალია, დაუსახელებლად, მაგრამ საკმაო გულახდილობით და, ასე გაიხიჯეთ, გაწიწმატებით ახლაც ედავებოდა. წერილი გაწყალებული ჩხია თვალები შინაგან გზნებისაგან უცნაურად ანთებოდა. სახესთან ერთად სანგვინიკურად ოდნავ მოლურჯოდ წაოწითლებულ მოტელეპილ კინკრიხოს მოუთმენრობისაგან მალიშალ იფხანდა. კითხვებს კითხვებზე მაყრიდა. პასუხს ჩემგან ზოითხოვდა და სიტყვას სათქმელად თვითონვე არ მანებებდა. ნიუტონის დედამიწის მიმზიდველობისა და მათემატიკოს დარსნის ციური მექანიკის ფორმულებისა, პარაბოლისა და უსასრულობის საკითხებისა, მოძრაობის გადაცემ ბორბლებისა და ტრანსმისიებისა თუ რაღაც ჯანდაბის გამო ისეთი გზნებითა და თაქდაფიწყებით ლაპარაკობდა, რომ იმას, ვასაგები იყო თუ არა ყოველივე ეს ჩემთვის, ანგარიშს არ ოწევდა.

არ ვიცი ვერე რამდენხანს ვისაუბრეთ. უფრო სწორედ რომ ვთქვათ, მე ჩუმად ვიყავ და ის საუბრობდა. დე-

რეფანში კედლის საათი დაჩქარეულად წინ ყრუდ, სულშეკვირვებულად იჭრის.

პოლკოვნიკი წუთით გაჩუმდა. თავაღერილმა საათს გადარაჯებით მიიყურა. მის ყოველ დარტყმას თურმე გუნებაში ისიც ჩემსავით თვლიდა. ცხრაჯერა, რომ დაჰკრა, დანარჩენი თავის ოდნავი ქნევით თავისთვის ოდნავ ხმამალლა ჩათვალა:

— ათი... თერთმეტი... თორმეტი... გოსპიტალში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— გვიან არის. — თქვა სავგაიროვმა და ბოდიშის მოუხდელად, მოურიდებლად გაიზმორა. შეწყვეტილი აზრი ბოდიშის მოუხდელადვე მოურიდებელი მოქნარებით დაასრულა:

— არ ვიცი, — არ ვიცი... ვინ იცის, იქნებ ის მართალიც არის.

ეს „ის“, ვისაც იგი ამ სიტყვაში გულისხმობდა, ლეიტენანტი ასტამურ მატახერია იყო.

— ძილი ნებისა! — მოსჭრა უცებ სამხედრო ბრძანებასავით. პასუხის გაცემაც ვერ მოვასწარ, რომ თავისი რკინის საწოლი მოპრიალებულ იატაკზე ორთავ ფეხის მიბჯენით აღდგომელად უკან თითქმის უხმაუროდ გააცურა, კუთხეში თავის ადგილას ისევ ჰყუდროდ მიდგა.

— ძილი ნებისა. — ვთქვი მეც ნაგვიანევად.

თვალყურს ხმის ამოუღებლად ვადევნებდი, ეხედავდი, როგორი ხენეშით წაიძრო კოტიტა ფეხებზე ბამბის თეთრი წინდები, როგორ მოიხადა მხრებზე წამოსხმული რუხი ხალათი და ლოგინში ხენეშითვე ჩაწოლილმა ზამბარები როგორ საცოდავად ააჰრაქუნა.

— ეებს-ხე-ხეე! — ამოიხსრა და საბანი მხრებზე წამოიხურა. შესამჩნევად კმაყოფილმა, რომ გული საყვარელ საგნის გამო ქაქანით იძლო, ზურგი უცებ შემომაქცია. ლოგინში კარგად

მოწყობილი არც მეგონა, რომ ხნიერი და თან მსუქანი კაცის წესისამებრ, წყნარი ხერხიეც ამოუშვა.

ირგვლივ ახლა ყველას ეძინა. ლამბა ყოველ შემთხვევისათვის მიინც ჩაეაქრე. ნავახშმში მთვარე ისევ თეთრად, თვალის მომპრეღად ქათქათებდა, პალატაში სულიერით იცქირებოდა. სარკმლის ჩარჩოთა ჩრდილი პარკეტის იატაკზე შავად აღმაცურად დაცემულიყო. ლავგარდანის ჩუქურთმიან შვერილზე სტალაქტიტებით მიყინული მინასავით მოცისფრო და გამჭვირვალე ლოლუები ღამის მანათობლის ცივ შუქზე თვალის მომპრეღად ციმციმებდნენ. მრუმე ღამე ტყის სიხშოვებში, ბნელ კუნძულებში იდუმალად შეკუთულიყო, თითქოს მწყრალად იცქირებოდა.

ყინვას ის ძალა აღარ ჰქონდა. სადღაც, ალბათ თუნუქის საწვიმარ მილში, გამლხვალნი თოვლი საათივით თანაბრად, ძილის მომგვრელად თქაფუნებდა. თვითონაც არ ვიცი, როდის ან როგორ ჩამეძინა. მახსოვს, რაღაც ახირებული მოტორების, უცნაურ ბორბლებისა და რაღაც იკლიკანტური ხრახნების ფიქრი თავში საათის რთულ მექანიზმივით ამერია. კბილანას მოდებული ბრინჯაოს ბრწყვილა ქანქარა ბორბლის კბილიდან კბილზე ტყაცუნით, ქვითინის მსგავსად გადახტოდა. სადღაც ვიღაცა ტირილს უჩვევი მამაკაცის ხმით ტლანქად, მოუხერხებლად სლუკუნებდა. მისი ხმა თანდათან მატულობდა, მაგრამ ყოველივე ეს სიზმარში ნახული სიზმარივე მეგონა. გული თანაგრძნობისაგან მაინც ამომიჯდა. ცოტას გასწყდა, მასთან ერთად კინლამ მეც ავტირდი. მინდოდა ეს ქვითინი არ გამეგონა, თავი მისთვის როგორმე ამერიდებინა, მაგრამ ქვითინი ძილში მაინც ჩამესმოდა, გული დარღობით მეცხებოდა. მინდოდა გამღვიძებოდა, ქვითინი იგი არ გამეგონა, მაგ-

რამ თავი ძილისთვის ეტრეწებინა. ის კი, — არ ვიცი, ვინ, სადღაც ისევ ყრულ, ისევ თავშეკავებულად ქვითინებდა. არ ვიცი, როგორ გამეღვიძა. ტირილი ისევ მესმოდა. თვითონვე ვიგრძენ პალატას თვალი როგორ უსაგნოდ მოვაეღე.

ირგვლივ ეძინათ, სარკმელში შემონათებულ მთვარისა და ვიწროდ შეღებულ კარის ღრიტოში დერეფნიდან შემოტანებულ ელექტროშუქის მკრთალ ნათელში ძლივს გაგარჩიე, — კაპიტან ღობროხოტოვის ბაღში სახე ღრმად ჩაერგო, საბანი თავზე წამოგებრა და ზამბარიანი რკინის ვიწრო საწოლი მასთან ერთად ოდნავი ტრაქუნით კანკალებდა.

— ამხანაგო ღობროხოტოვი! ამხანაგო ღობროხოტოვი! — მორიდებით, როგორღაც თავისთავად გავეხმინე.

საწოლის კანკალი შეწყდა. მასთან ერთად ზამბარის ის ოდნავი ტრაქუნიც მიწყდა. ბალიშით მოგულდული თავშეკავებული ტირილის ხმაც აღარ მესმოდა. პალატაში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მინდოდა ჩემს თვალციმციმა და მუდამ ხალისიან ამხანაგს ისევ გავხმინებოდი, მაგრამ თავი შევიკავე. ასეთ ღროს მასთან საუბარი და გამაბეზრებელი თანაგრძნობის გამოთქმა ზედმეტად მივიჩნიე. ამას შემდეგ რა ჯანდაბა დამაძინებდა?

„საწყალი ღობროხოტოვი! რას დარდობს? გული მისთვის ეგრე ვის ან რას მოუკლავს?“ — ვეკითხებოდი ჩემს თავს და თან ვფიქრობდი, — აღმანიის გარეგნობა და მასთან ერთად მისი გარეგნული ქცევაც მისივე სულის კვეთებისაგან ხანდახან თურმე რა შორი შორს იმყოფებიან.

ფიქრი ფიქრს წაუბა, წარმოდგენამ წარმოდგენა გამოიწვია და ხატთა ცვლის გრძელმა მწყრივმა ჩემს კულრაჭა მაციოსთან რომ მიმიყენა,



გამიკვირდა. ჩემი ფიქრები მევე შევამოწმე. მინდოდა აზრის გამომწვევ აზრისაკენ წარმოდგენიდან წარზოდგენისაკენ თანდათან უკუსვლით ამ ძვირფას სახემდე რა გზით ან როგორი თანამიმდევრობით მოველ ჩემი თავისთვის მევე ამეხსნა, მაგრამ თავგზასულ ამერიკა. ირგვლივ ახლა სულ სხვა ფიქრნი და ხატნი შემომებურნენ. სახეები თითქოს განშტოვდნენ, აზრი აიბურდა და შიგ ისე, როგორც თავზე დახეავებულ უზარმაზარ ზის ტოტებში, გაეხლართე.

წიგნმოფარებული ელექტროს ლამპა მაგიდაზე ისევ ავიანთე. ხელებზე წამოვეყარდენ. დობროხოტოვის საწოლს ერთხელ კიდევ მივაყურე. სიწყნარე იყო.

ასტამურ მატახერიას თავის საწოლში ახალგაზრდული ღრმა ძილით ისევ მშვიდად, ისევ უშფოთველად ეძინა. ჩემკენ ზურგშემოქცეული სავგახოვიც თავის ლოგინში არ იძროდა. იმასაც, როგორც დაწვა, ისე ეძინა. ოღონდ ახლა როდი ზერინავდა, ოდნავ ფშვინავდა.

ისედაც ვიწრო პალატაში, არ ვიცი მეჩვენებოდა, თუ მართლა ევრე იყო, — კიდევ უფრო ჩამოცხა. პავრი თითქოს ჩამოიხუთა. გამხმარი პარკეტი სადმე სიჩუმეში თუ გატაკუნდებოდა. სადმე ვინმეს ძილში წამოაზოდებდა. სადღაც თუნუქის საწვინარ მილში გამლხვალა თოვლი ისევ თქაფუნებდა. მისი თანაბარი ხმაური სიჩუმეს თითქოს ფრთას ასხამდა, დუმილს თითქოს კიდევ უფრო აღრმავებდა. თვითონაც არ ვიცი რატომ, თავი ერთბაშად მარტოდ ვივარძენ. გული როგორღაც უთვისტომსაკვით ამიკენესდა. არც ის ვიცი რატომ ან როგორ მოხდა, — ოდნავ შეღებულ კართან შავით მოსილი დედაჩემი ნამდვილივით გამომეცხადა.

— მეჩვენება! — თავში მამჩნევ გამოილუა.

ის კი კართან ისევ წყნარად, ისევ მოწყენილი უძრავად იდგა.

→ ნუ მეჩვენები, დედა ნუ მეჩვენები! — კინალამ დავიძახე.

ის კი ისევ ისე უძრავად იდგა. მიცქეროდა. აქაურობას, ყველას, ყველაფერს მისი მაღლი უჩუმარად ეფინებოდა.

არ გაენძრეულვარ, არც ხმა ამომოღია. თვალმიშტერებული ჩემ თავს მევე ვარწმუნებდი:

— აი, ეს ელექტროლამპა, მაგიდაზე რომ მინთია, — ნამდვილია. ჩემ გვერდით ამხანაგებს რომ ძინავთ და პოლკოვნიკი საევახოვიც მათ შორის, მართალია, ოდნავ გასაგონად, მაგრამ მაინც გასაგონად, რომ ფშვინავს, ესეც ნამდვილია. ის კი? ვიცი, ტყუილია. კარგად ვიცი, რომ მეჩვენება და მაინც, თქვენ წარმოიდგინეთ, მაინც ნამდვილსაკვით ვხედავ. ჩემი მორჩილი, უდრტყინველი დედა, ქმარ-შვილისათვის თავდადებული ქალი, ნაადრევად დაქვრივებული ძველი, გამოცდილი მასწავლებელი თალზი კაბია, თავშალმოხურული კართან ისევ დგას, დგას და თითქოს ფეხის გადმოდგმის ერიდება. ერიდება მაშინ, როცა მისგან აღზრდილი ახალგაზრდები მთელ სამშობლოს შევარდნის მართვებივით მოჰფენიან, — ზოგნი ცაში ფრენენ, ზოგნი ზღვაში დაჰქრიან, ზოგნი მტერს მიწაზე ანადგურებენ და ზოგნიც ქარხნებში, საკოლმეურნეო ყანებში ტრიალებენ, თავის მიწაწყალს, ფრონტს, რითაც შეუძლიათ ეწევიან.

— დედა! ჩემი დედა! — როდი ვამბობ, — ვფიქრობ და მისი ტბილი ალერსი, მისი გამხდარი, ძარღვებით დაღვარქნილი ულაზათო, მაგრამ საყვარელი ხელის შეხება ისე მომენატრა, რომ „მოდი, დედა, მოდი-მეთქი“ კინალამ დავეძახე.

სანამ დედა გყავს, პასაკი არ არსებობს. მაინც ბავშვი ხარ. ახლა მეც ბავშვად ვიქეც. ის ტკივილები, ის ტანჯვა, ამ სამი წლის განმავლობაში ჩემ ხალხთან ერთად ფრონტზე რომ განმეცადა, — ერთად გამახსენდა. ეს განსაცდელი ჩემს თაობას, ჩემს ქვეყანასა და მათთან ერთად მეც, — იმათ, იმ გარეწრებში მოგვიტანეს. გული გრძნობით ამომიჯდა. ომის ცეცხლით დაწვარი, დადავული შვილი მშობლის წმინდა აჩრდილს მხსნელსავე შევეცქეროდი და თან ვჩურჩულებდი, ჩემი ჩურჩული მეცე მესმოდა:

— არა, ჩემო ბეიანი! — ბეიანი ავი მე ვარ! — არა, კაცო, ეს ნამდვილი როლია! მოჩვენება!

დედაჩემი, კართან ისევ უძრავად იდგა. ვხედავდი და მაინც არ მჯეროდა. არ მჯეროდა და მაინც ველოდი. ველოდი როდის დაიძროდა იგი ადგილიდან, როდის წამოვიდოდა ჩემსკენ და ისე, როგორც შინ იცოდა ხოლმე, როგორ მომიახლოვდებოდა უჩუმრად, რომ უცაბედად არ გავეღვიძებინე, როგორ დამხედავდა ერთხელ კიდევ დაწოლის წინ, საბანს ფრთხილად გამისწორებდა. მეც ისე, როგორც შინ ვიცოდი, თვალი მის მოლოდინში განზრახ ოდნავ დაეხუჭე და წუთით მომეჩვენა, რომ გოსპიტალში კი არა, შინ ვიწექ, ჩემ ლოგინში ვიწექ და რის ფეხი, რა ფეხი! არაფერიც არ მტკიოდა. თან ვნანობდი, რომ მაგიდაზე ლამპა მენთო. მეშინოდა მის შუქს იგი, დედაჩემის ძვირფასი ლანდი არ დამეფრთხო. ოდნავ გახელილი თვალით ვხედავდი, როგორ გამოემართა ბოლოს იგი ჩემკენ, ყურს ვუგდებდი, როგორ ძალუმად მიცემდა გული მკერდს ქვეშ და როგორ მეშინოდა, რომ ეს მართლაც სატიალე ჭურჭელი გრძნობებისა ბედნიერების გრძნობით უცებ არ გახეთქილიყო.

— აი, თვალი გახედე! — ისევ დაბეჯითებით ვარწმუნებდი ჩემს თავს და თან განძრევის მეშინოდა, რომ ძვირფასი ლანდი არ დამეფრთხო. — აი, გონზედაც ვარ და მაინც... მაინც ნამდვილსავე ვხედავ.

ეფიქრობდი, ეფიქრობდი და თან თვალყურს სულგანაბული ვადევნებდი, როგორ ჩამოჯდა იგი ჩემ ლოგინზე, ჩამოჯდა ისე მსუბუქად, რომ საწოლის ზამბარას ჭრატუნიც არ მოუღია. იჯდა უძრავად და სახეში სიყვარულით, თითქოს მუდართი ჩამეცქეროდა. ვიცოდი, კარგად ვიცოდი, რომ ის, რასაც მე ახლა განვიცდიდი, ბედნიერება იყო; ვგრძნობდი, რომ ამას შემდეგ ჩემი დაღუბვა, იმ ახალგაზრდობის დაღუბვა, მომხდურ მტერს ეგეთი თავგანწირულებით რომ ებრძოდა, არ იქნებოდა, რომ ეს დიდი უსამართლობა იქნებოდა.

— დედა! — ვთქვი უხმოდ, ვთქვი უხმოდ და თან მზად ვიყავ ორთავ ხელი მისკენ გამეშვირა. გამეშვირა ისე, როგორც ეს უნიჭო მსახიობებმა იცოან, მაგრამ არ გავიშვირე, მისი გაფრთხობის ისევ შემეშინდა.

— დედა! დედა! — ვთქვი ჩურჩულით.

ჩემმა ჩურჩულმა გონს მე თვითონვე მომიყვანა.

ირველიც ისევ სიწყნარე იყო. დედაჩემი ჩემთან აღარ იყო, მაგრამ როდი გამეკვირებია. ფრონტზე ამგვარი რამ მებრძოლს ხანდახან მართლაც ემართება. რამდენიმე ღამის უძილოსა და დაღლილ-დაქანცულს თოვლით დაყურსული ნაძვი მყუდრო ქონად ან სახლად მოეჩვენება. მივა მასთან იმ შეგნებით, რომ აი, კარს შეაღებს, გათოვილ ძვლებს აგუზგუზებულ ცეცხლთან გაითბობს, ცხელი საჭმელით, რომლის საამო სუნსაც ის ეგრე მიმზიდეულად, ეგრე მადის აღმძვრელად გრძნობს, გა-

ძღება და მერე, სითბოთი და ჭაბით დაოსებული, იქვე მიეგდება, მკედარივით დაიძინებს. საყვირველი ამ დროს ის არის, — თვითონვე იცის, რომ ყოველივე ეს მოჩვენებაა, იცის, რომ ტყუილია, მაგრამ მაინც მიდის, არ შეუძლია იქით არ წავიდეს. ყოველივე ეს ნაწილობრივ მოჩვენებაა, მოჩვენება გადაულახავი სურვილით გამოწვეული, და ნაწილობრივ სიზმარია, რომელსაც რამდენიმე დღის უძინარი მებრძოლი თვალახელილი ხედავს. ასეთ დროს მისი შეგნების ერთ ნახევარს ძინავს და თვალხილულ სიზმარშია, ხოლო მეორე ნახევარს ღვიძავს და თავის თავს თავისივე სიზმარს თვითონვე ხედავს და ებრძვის. ხდება ისიც, რომ ასეთ დროს ერთსა და იმავე მდგომარეობაში ერთსა და იმავე სიზმარს თუ მოჩვენებას რამდენიმე კაცი ერთად ხედავს. მეც ვგრე ვიყავ ახლა. და ეს, მოჩვენება კი არა, იქნებ სიზმარი იყო, სიზმარი, რომელსაც თვალხელილი ვხედავდი? ის, — დედაჩემი აქ, აი აქ, ამ ჩემ ლოგინზე წყნარად, ნამდვილად იჯდა და ახლა აქ აღარ იყო. ახლა ის იქ, თავის ოთახში წევს და ჩემზე ფიქრი ალბათ არ აძინებს, ან და, თუ ძინავს, ახლა, სწორედ ახლა სიზმარში მხედავს, მელამუნება და თან წყვეა-კრულევას უთვლის იმათ, ვინც მას ჩემი თავი წაართვა, ვინც მთელ ჩვენს ქვეყანას, დიდ დედას ამდენი დარდი მოუტანა.

გადახრილი მთვარე სარკმელში ახლა ირიბად ანათებდა. მისი ჩრდილი პარკეტზე სახსარში მოშლილ ჩაჩოსავით თანდათან ირიბად აიღრცა. მის ციმციმში თვალი თვლემამ შეუმჩნევლად მომპარა, მაგრამ ძილი, როცა მთელი სხეული იძინებს ხოლმე, მაინც არ შეკარებოდა.

მითვლემილს თუ ოცნებად წასულს არ გამოვიდა, მაშენკა ოთახში როდის შემოვიდა. არც ის გამოვიდა ჩემს საწოლს ფეხაკრფით როდის ან როგორ მოუახლოვდა.

— ლამაა რად ვინთიით? — მკითხა ჩურჩულით, ოდნავ წყრომის კილოთი.

თვალი გავახილეთ. პასუხი არ გამოცია. მის დანახვაზე გული სიხარულით ამევსო.

— ისევ არ გძინავთ. — განაგრძო მან საყვედურით და ჩემსა და ასტამურ მატახერიას საწოლებს შორის ჩადგმულ სკამზე, მძინარენი რომ არ გაღვიძებინა, წყნარად ჩამოჯდა, ჩემთან ახლოს მოიწია. ოდნავ გასაგონად თქვა:

— მოგკლავთ ამდენი უძილობა... მოგკლავთ...

ხმა ისევ არ გამოცია. პასუხად მხოლოდ გავუღვიძე.

— რომ იცოდეთ, მაშენკა, — ვთქვი ცოტახანს შემდეგ მეც ჩურჩულით. — რომ იცოდეთ, რა კარგად მოიქცეით, რომ მოხველით. ძილი ვამიტყვდა... მარტობის გრძნობამ ამიტანა და ისე ვიყავ. რომ თვითონაც არ ვიცოდი რა მექნა...

— არც მე დამეძინა... დერეფანში ჩაეიარე. შუქს თვალი მოგკარ და შემოველ.

მისი სიტყვები შესმოდა, მაგრამ ფიქრად წასულს, ნათქვამის აზრი არ გამოვიდა, ჩემი ფიქრი ხმამაღლა განვაგრძე:

— ალბათ ახლა არც იმას ძინავს.

— ვის? — შემეკითხა მაშენკა.

— დედაჩემს. — მოვეუპერ სიტყვა. — ახლა ალბათ ისიც ძილგატეხილი, დარდიანი ჩემს ოთახში მარტო ზის. იცით, როცა შინ არა ვარ ხოლმე,

ჩემს ოთახში უყვარს ყოფნა. ჰკონია, იქ მასთან ვიმყოფები. ჩემი როიალი, მაგიდა, წიგნები... თავდახრილი, ლამპით განათებული ქალარა, ნაოჭიანი, მაგრამ მაინც ეშხიანი სახე... ზის, ზის და დარდიან გულის გასართობად მოწაფეთა რვეულებს ასწორებს.

მაშენკამ ღრმად ამოიოხრა.

— მაშაჩემიც პედაგოგი იყო... — თავისი ნათქვამის, ალბათ მასთან დაკავშირებული რაღაც მოგონების, თითქოს თვითონვე შეეშინდა, სიტყვას გეზა უცებ უცვალა: — ვერ დავიძინე... მომწყინდა... ისე მომწყინდა, რომ დაკერა მომინდა... როიალი სასადილო ოთახში დგას... მძინარეთა გაღვიძებას მოვერიდე. შოპენის ნოქტიურნი თუ გახსოვთ?

— მახსოვს. — ვთქვი, მაგრამ მეც რომ ვუკრავდი, არ გავუმზილე. — ჩვენში ხალხური თქმაა, — სიმღერა სულის საცემელიაო.

მაშენკა რაღაცის ფიქრს წაეღო. მივხვდი, ჩემი სიტყვები არ გაუგონია. ერთხანს ჩუმად ვიყავით.

— მთვარე ჩადის. — ვთქვი, რომ სიჩუმე დამერღვია.

მაშენკამ ჩემ სიტყვებს ყურადღება ბრც ახლა მიაქცია. ერთი ისევ ღრმად, თავისებურად ამოისუნთქა და უცებ ჩემკენ გაღმობიხარა. სახე ჩემ ყურთან სულ ახლოს მოიტანა და როგოროდაც ბავშვური იღუმალებით ჩამჩურჩულა:

— ამ დღით ტყეში ვიყავი...

მაგრამ თვითონვე მოაგონდა, რომ ეს მე უკვე ვიცოდო.

— თუმცა აკი გაამბეთ... იცით, ერთი ამბავი მომაგონდა... ამბავი ჩემი ტყის ცხოვრებიდან... კინალამ ვიტყვი... მაგრამ, ეეხ, თქვენ ეს რაში გეკითხებათ.

— რატომ, მაშენკა, რატომ! — ვთქვი საყვედურით და მისმა სიახლოვემ, ამ იღუმალმა ჩურჩულმა გული მეც ამიტოკა. მღელვარება რომ და-

მეფარა, ოდნავ ჩივანველურად მისი შემდეგ ისევ განვაგრძეებ...

— მერე, მაშენკა, მერე?

მხოლოდ ახლა გავისაზრე, რომ ის ასე გვიან ჩემთან უბრალოდ არ შემოვიდოდა. მივხვდი, რომ რაღაცის სათქმელად შემოვიდა. მივხვდი იმასაც, სანამ ყველაფერს არ მეტყვოდა, გულს ლაპარაკით არ მოიოხებდა, ვერ მოისვენებდა. მართლაც, აქეთ-იქით ერთი გადარაჯებით მიმოიხედა. დობროხოტოვს, სავგანოვსა და მატაბერიას თვალი წუთიერი დაკვირვებით მოაეღო და, როცა დარწმუნდა, რომ ღრმად ეძინათ, სახეში დაკვირვებით, თითქოს მონდობილად მომაჩერდა. მერე სახე ჩემ სახესთან შევატყე მისდა შეუმჩნეველად ახლოს მოიტანა. მისი ცხელი სუნთქვა შუბლზე, თმებზე ოდნავ ამელამუნა. გული ნეტარების გრძნობით ისე ამეფსო, რომ მზად ვიყავ ხელი წელზე შემომეხვია, მაგრამ თავი შევიკავე.

— რა ბედნიერი ვარ! — გულში ჩემს უნებლიედ გავივლე და თან თვალს ვეღარ ვაშორებდი. მისი უმძრახობა მართლაც რომ უბიწოება და ქალიშვილური მიამიტობა, კონტად დადგმული, ოდნავ საესე ტანი და ქალიშვილური უშუალობა ისე ძალუმად მიზიდავდა, რომ მზად ვიყავ ხელი ხელში ჩამეელო, გულში მაგრა ჩამეკრა და ეს ცისფერი ფოფინა თვალეები, ეს მუდამ გაბუტულსავეთ მიზეზიანად ოდნავ დაბურცული ტუჩები ბლონდის ცახოცი თეთრად შემოზღუდული სწორი შუბლი გატაცებით, თავდავიწყებით დამეკოცნა. დამეკოცნა და თან მეთქვა მისთვის ის ერთადერთი სიტყვა, რომელსაც კაცობრიობის გაჩენის დღიდან შეყვარებულნი მთრთოლვარე ხმით, თითქმის ჩურჩულით რომ ამბობენ ხოლმე. ამბობენ ისე, თითქოს ეს სიტყვა პირველად მხოლოდ მათ მოაგონდათ და



მათგან ითქვა. რა სიტყვა იყო იგი? თვითონაც არ ვიცოდი, მაგრამ მაინც ვიცოდი, ჰჯეროდა, რომ თავის დროს უსათუოდ მომავონდებოდა და უსათუოდვე ვიტყოდი, ვიტყოდი ისე, როგორც სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ამბობენ, რადგან ეს გრძნობა და მისგან ნაქარნახევი სიტყვა განუყოფებელია და ერთადერთი. ეს ტკბილი გრძნობა მოგონებაში სამუდამოდ იმარჩება, ხოლო მაშინ ნათქვამი და შემდეგ გრძნობაშემოცლილი სიტყვებ მაშინვე ქრება. ქრება, რადგან დროთა ვითარებაში იგი თავის მღელვარესა და ღრმა აზრს მოულოდნელად კარგავს და სისულელეს ემსგავსება. მინდოდა მეთქვა და გავჩუმებულიყავ. და მერე მისი გულის ცემისათვის, ჩემს გულის ექმას რომ შეუთანაბრდებოდა, ყური მიმეგდო, თავდავიწყებაში გადავსულიყავ.

ჩემი გულისთქმა მაშენკამ თავისი ბუნებრივად თანდაყოლილი ქალური ალლოთი მაშინვე იგრძნო, მაგრამ როდღა შემკრთალა. შუბლი კუშტად შეიკრა, სახეზე ფერფერმა გადაურბინა. მერე გული სიხარულით თითქოს ერთბაშად ავესო, მაგრამ შუბლი მაინც არ გაუხსნია. მერე თავი ჯეჟუტად, ოდნავ შესამჩნევად გაიქნია და ნაწი, დაკარგულ სისხლისაგან ოდნავ მქრქალი სახე ჩემ სახესთან კიდევ უფრო ახლო მოიტანა, ყურში საყვედურით, ხეყწით ჩამჩურჩულა:

— სახეში ნუ მიცქერ, ნუ მიცქერ, თორემ შემრცხვება... და ვერას გეტყვი.—და ხეყწა ბრძანებად ექცა:

— აბა იქით მიიხედე. მიიხედე-მეთქი!

გამელიმა. მივხვდი ართქმა იმისა, ზისი თქმაც მას ახლა ეგრე უნდოდა, არ შეეძლო, მაგრამ ხათრი მაინც არ გაუტეხე, — აედექ და მძინარ ღობროხოტოვისაკენ განზრახ სასაცილო

გაბუტვით მივიხედე. ჩემი კუთრადღე-ბა მან უნებლიედ მიიჭყვლიდა და კიდევ დაავკვირდი, მივხვდი — არ ეძინა, მაგრამ მაშენკას სიახლოვით თავს ისე ბედნიერად ეგრძნობდი, რომ არად ჩამიგდია, იმის თავი ახლა არ მქონდა.

მაშენკა თავისივე გრძნობით ისე იყო აყვანილი, რომ ირგვლივ არას ამჩნევდა.

— არა, ჯერ სიტყვა მომეცით. — თქვა ისევე ჩურჩულით, თითქმის ეინიანად. — სიტყვა მომეცით, რომ არ გეწყინებათ და მაშინ გეტყვი. ყველაფერს გეტყვი...

გამეცინა. რა უნდა ყოფილიყო, ან რა უნდა ეთქვამს მას ჩემთვის ისეთი, რომ წინასწარვე არ შემატიებინა?

— თქვი, მაშენკა, თქვი!

— თქვენ იცინით! — განაწყენებით თითქმის ხმაშალა წამოიძახა მაშენკამ და ისედაც შესაქცევად დაბურცული ტუჩები გაბუტვისაგან კიდევ უფრო დაებურცა. — ნუ იღიმით! მეროდი გეხუმრებით! სასაცილოც აქ არა არის რა.

— კარგი, მაშენკა! სიტყვას გაძლევთ, რო შეტს აღარ გავიციანებ, წარმოიდგინეთ, — აღარც გავიდიმებ. საუბრით გართულებს არ შემომჩნევია, როგორ დავარღვიე დადებული პირობა და, მისი ეშხით მოჯადოებული, თვალეებში როგორ შევეცქეროდი.

— აი თქვენ... — თქვა მაშენკამ და ორთავ ზელით კაბის კალდის სწორება დაიწყო. — თქვენ... მაგალითად რომ ვთქვათ, ბეყანი გქვიანთ... ქართველი ხართ და სახელიც თქვენებური, ქართული გაქვით...

წუთით გაჩუმდა. კაბის კალთას თავი გაანება, საუბრის კილო უცებ იცვალა:

— იცით... იცით, თქვენ მუდამ უნდა ამაცობდეთ თქვენი სახელით. უნდა ამაცობდეთ იმით, რომ თქვენ ქარ-

თველი ხართ... ყოველი კაცი თავისი წარმოსახვით უნდა ამყობდეს.

თავი ვერ შევიკავე. მის სიტყვებზე ისევე გამეღიმა, მაგრამ ის საუბრით ისე ვაერთო, რომ ჩემი ღიმილი არ შეუმჩნევეია. ყურადღება მხოლოდ ახლა მივაქციე, ხან თქვენობით და ხან შენობით როგორ მელაპარაკებოდა.

— ხო-ხო!.. — თქვა გაბულისებით და ყელი როგორღაც გამოშფეველ მოიღერა თვალეში რისხვით ჩამომხვდა. — ჩიტი რაა, ერთი ბეწო ფრინველია და თავისი ბუდე იმასაც უყვარს... რომ იცოდეთ, რომ იცოდეთ, როგორ ვოცნებობდი ერთ დროს საქართველოზე. იგი მე მუდმივი შხით განათებულ საოცნებო რამ წალკოტად წარმომედგინა.

— ჩემი სამშობლო მართლაც ეგეთია... — ჩაუერთე მეც, მაგრამ მან სიტყვა არ დამანება.

— ვიცი ვიცი, ნუ მიშლი — თითქმის გამიჯავრდა და სიტყვა მისთვის კიდევ რომ არ შემეწყვეტინებინა, ხელი პირზე დამაფარა. მე როდი დავბნეულვარ. შემთხვევით მაშინვე ვისარგებლე. ხელის გულზე უცებ ვაკოცე. მაშენკამ ხელი მაშინვე მომამორა. გაეცინა.

— რანაირი ხართ!.. არა, ყველანი ყველა მამაკაცი ეგეთი როგორა ხართ, მა? — თქვა და შეწყვეტილი სიტყვა ისევე დინჯად, განზრახ საქმიანი კილოთი განაგრძო: — შენ გიყვარს შენი საქართველო... გიყვარს შენი მშობლიური სახელი, რომელიც დედამ დაგარქვა... შენიანები გეძახიან... მაგრამ... მაგრამ ნუ გეწყინებათ და მე მეძნელება მისი თქმა... მეძნელება იმიტომ კი არა, რომ ის ქართულია ან გამოთქმა მიჭირს... იცით რა? მოდი ამის გამო ნურას მკითხავთ. ნება მომეცით, როცა ერთად ვიქნებით, სახელით არ მოგმართოთ... როცა გხედავ, მაპატიე გთხოვ მაპატიო, თუ მუდამ ის, თქვენ

არ იცით ვინ მაგონდება... ის, რომელსაც ერთ დროს ვასიუქვებდით...

იცით შინაგანი ტკივილით თქვა, რომ, ასე გასინჯეთ, შეურაცხება არ მიგრძენია. მაშინვე მიწვდი, რომ ამ სიტყვებს იქით რაღაც დიდი, განუსაზღვრელად დიდი მწუხარება იფარებოდა. და მე მხოლოდ ახლა მენიშნა, რომ ამ დილით, როცა იგი ტყის ამბავს მოგვეთხრობდა, სახეზე რაღაც დარდის ბინდმა ოდნავ შესამჩნევად რომ გადაურბინა, უსათუოდ ეს მწუხარება იყო, ის ბინდი ამ მკმუნვარებით იყო გამოწვეული.

— როგორც გინდოდეს, მაშენკა... — ეთქვი ღმობიერი ალერსით. — როგორც გერჩიოს...

მაშენკას თვალეში სიხარულით გაუბრწყინდა.

— მაშ კარგი... — თქვა წყნარად და თვალეში უცებ ისევე მივბნეიდა. — ოღონდ ერთის პირობით... ეს ამბავი არაფერია, არაფერია არ უნდა იცოდეს.

— კარგი. მაშენკა, არაფერია, არაფერია არ ეცოდინება.

— მაშ ჯერ სიტყვა მომეცი.

— საბჭოთა ოფიცრის პატიოსან სიტყვას გაძლევთ.

მაშენკამ ერთი დაქვეებით შემომხვდა. მერე ერთბაშად დაიწყო:

— ის, რასაც მე თქვენ ახლა ვიამბობთ, ამ რამდენიმე თვის წინათ მოხდა. მაშინ აქ ისევე გერმანელები იყვნენ, ხოლო ჩვენ ტყეში ვისხედით. ჩვენთან ერთი ბიჭი იყო. ამბობდა, ცხრამეტი წლის ვარო, მაგრამ ყველამ ვიცოდით, რომ ტყუოდა. დიდობა უნდოდა და იმიტომ ტყუოდა. თქვენსეტი წლის იყო. შავი იყო. შენსავით შავი... ვასია-ბოშას ვეძახდით. და მართლაც ერთი ბოშასავით თავზე ხელაღებული ვინმე იყო. წვერი, უღვაში სახეზე სასაცილოდ ავინჯელოდა. კაცი ვერ გაიგებდა, ბუსუსო იყო, თუ მართლა ბალანი. სულ ხუმ-

რობდა, სულ იცინოდა... იცინოდა ისე, რომ შენც უნებლიედ გაგეცინებოდა, გული ხალისით აგეცებოდა. ლექსებს ამბობდა, — ყველაზე უფრო ლერმონტოვი უყვარდა... მღეროდა, ჩიტებს ჰიკიკით აჯავრებდა, მართლა ჩიტი გეგონებოდა. წუთი რაა, ერთ წუთს მოსვენებით ვერ ნახავდი. თუ სადმე ხალისიანი კრიამული ან სიცილ-ხარ-ხარი ატყდებოდა, უნდა გცოდნოდა, რომ ამის მიზეზი უსათუოდ ის იყო... ჩვენს აკულინა ივანოვნას სიარულში, ბუზლუნში აჯავრებდა... ერთხელ ზურგს უკან ეგრე რომ აჯავრებდა, აკულინა ივანოვნა ეშმაკი ქალია... ალბათ გულმა უაზრა. უცებ მოტრიალდა და ეშმაკს თვალი შეასწრო, მაგრამ, უქვენ წარმოიდგინეთ, არ გაჯავრდა, პირიქით, თვითონვე გაეცინა... სთხოვა, მაყურებინე, როგორ მაჯავრებო, მაგრამ გატუნებულმა ბიჭუნამ თხოვნა არ აღსრულა. სთხოვა: მამატიეო, და ამის შემდეგ მას იგი მართლაც არასოდეს არ გაუჯავრებია. ევგენი პეტროვიჩსაც შეიღვივით უყვარდა... ისიც უჯავრდებოდა, ნუ ჩქარობ, სული ნურსად მივლისო... იმას კი... სიცოცხლე, ცხოვრება, ყველაფერი ეჩქარებოდა... რამდენჯერ მითქვამს მისთვის: ვასიუტკა... ვასიუტენკა-ა!..

მაშენკამ ეს სახელი ისეთი გრძობით წარმოსთქვა, რომ სული მღელვარებამ მასვე შესტაცა.

— ვასენკა — მეთქი... — თქვა ისე, თითქოს ის ცოცხალი იყო და ამბავს თითქოს მე კი არ მომითხრობდა, მას მიმართავდა.

— ვასია... — ამბობდა ისე, თითქოს ამ სახელის თქმა მის გულს ბედნიერების გრძობით ავსებდა. — ვასია, ნუ გეჩქარება... მოთმინება იქონიე. ყველაფერს მოესწრები-მეთქი... იმან... იმან კი არ დამიჯერა...

გაჩუმდა. ცაშავით მღელვარეობდა, საოცნებო თვალები გულს ატყდებოდა. თითქოს დაარდისაგან ერთბაშად ლურჯად ჩაემქტა.

მისი მღელვარება მეც გადმომედო. ოდნავ ჩამუქებულ კამკამა თვალებში გრძობით ჩაეჩერდი, თითქოს შიგ ჩაეძირე. ჩემთვისვე მოულოდნელი მოუთმენლობით შევეხვეწე:

— მერე, მაშენკა, მერე?

იმანაც თხოვნა აღარ გამამეორებინა. განაგრძო, თითქოს სიტყვა არც შეეწყვიტოს:

— ის კი ისევე ხუმრობდა. ისევე მღეროდა. არ მიჯერებდა. და აი, — ზამთრის ბნელი ღამე იყო. ამხანაგებთან ერთად გერმანელთა ზურგში ეშვ-ლონის ასაფეთქებლად უნდა წასულიყო. გრანატებს, ტოლსა და აეტო-მატს ქამარზე, მხარზე რომ იკიდებდა ისევე ხუმრობდა, თავისას მაინც არ იშლიდა. აკულინა ივანოვნა გაუჯავრდა კიდევაც: ბიჭო, წერაატანი-ლივით ნუ ხარ, ჰკუთით იყავიო... ის კი... ერთი ხმამალა გაღიხარხარა და მოხუცს კისერზე მოეხვია... იცი, ხანდახან მგონია... მე რო არ ვყოფილიყავ, იქნებ ახლა ცოცხალი ყოფილიყო... მეც რა მექნა... ბავშვი იყო... ბავშვი იყო და ვერ გაუფრთხილდი... უნდოდა, ეჩქარებოდა, რომ ვაყავი ყოფილიყო...

გაჩუმდა. მერე ისევე მღელვარედ მაგრამ წყნარად განაგრძო:

— ისინი ზეთი იყვნენ. დასახული ამოცანა სისრულეში იმ ღამესვე უნდა მოეყვანათ და უკან იმავე ღამეს, გათენების ხანს დაბრუნებულიყვნენ... გათენდა. შუადღეა მოატანა. დაღამდა. ისინი მაინც არ და... იქნენ. იმ ღამეს არავის არ გვიძინია. ველოდით... ღმერთო, როგორ ველოდი! აკულინა ივანოვნა მეჩხუბებოდა: ილოცე, ილოცეო. შენს ლოცვას ღმერთი

შეისმენსო. იცით, ღმერთი არა მწამს, მაგრამ გამოგიტყდებით, და კინალამ მართლა ვილოცე. ყველაზე მეტ მოუთმენრობას ევგენი პეტროვიჩი იჩენდა. მე ჩუმაღ ვიყავ. მახსოვს იმ დღეს არაფერი არ მიქამია... ხმა არაფისთვის არ გამოიცია. ისევ დაღამდა. ისევ შუალამემ მოატანა... ნაშუალამეს ამხანაგებმა ის ტოტებისაგან შექრულ ჯალაღერით ძლივს მოიტანეს. უკან დახვევის დროს ყუმბარა თურმე ფეხებში აფეთქებოდა. ევგენი პეტროვიჩმა ცალკე გამოყვანა... თან ცრემლები ახრჩობდა... განგრენა აქვს... გვიან არის მაინც ვეცადოთო... მაგრამ მან დაღუწილი ფეხი მოსაჭრელად არ დაგვანება. სულერთია, ვერას მიშველით და, ვინ იცის იქნებ საიქიოს გამომადღესო. იმ დამეს ჩემს გარდა ახლოს არაფერ არ გაიკარა. ნუ დაიძინებ... ეს დამე ერთად ვათიოთ, ძილს მოვესწრებითო... მეც რა დამაძინებდა? სასათუნალთან ვუჯექე ვეფერებოდი... თავზე ხელით ველამუნებოდი, შაფს გრუზა თმებში თითებს ვუყრიდი. ის კი თვალმიხუტული იწვა. ხანდახან მეშინოდა კიდევაც ხელსა და ხელს შუა არ გამომეცალოს, სული არ დალიოს-მეთქი. ალბათ ჩემ შინს გრძნობდა. თვალს ხანდახან გამოახელდა, დასიცხული ტუჩებზე ოდნავ გასაგონად მეტყუოდა: ნუ გეშინია, ყველანი სიკვდილის შვილები ვართო. ჩვენ ბევრნი ვართ. სამშობლო კი ერთიაო. შერე თავისი მოლისფერი ჯვალოს ზურგსაკიდი თოფრა მოითხოვა. მეც მივეტანე თუ არა, მთხოვა, — თავი მოხსენიო. თოფრას თავი ჩაშინეე მოვხსენ. იქიდან ვახეთში ვახვეული ამოილო და ხელში მომაჩეჩა, შენი იყოსო. ვაეხსენ — აგურისფერი აბრეშუმის საკაბე იყო. ვახაფხულზე ჩაიცივი... ყაყაჩოსაგვით აყვავილი... რათ შეკრითი? — შემე-

კითხა მაშენკა და ამბავიქს-ტხრობა უცებ შეწყვიტა.

მე მხოლოდ მისი სიტყვებით შევიტყე, რომ მართლა შეემკრათალიყავ. იმასაც ახლა მივხვდი, თუ რათ მივლიდა თურმე ეგეთის მზრუნველობით.

— ეგ არაფერი, მაშენკა... ცოტა შემცივდა... — ვიცრუე, რადგან არ მინდოდა მეტყვა, რომ წითელი ყაყაჩოს ხსენებაზე მაიყო მომაგონდა.

— მერე, მაშენკა, მერე?

— მერე... — სიტყვა აღარ დაასრულა. ისედაც წითელი იყო, მერე რაც უნდა მომხდარიყო.

— მერე? — მაინც ვიკითხე, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი შეკითხვის უაზრობას თვითონვე ვგრძნობდი.

— მერე... მერე ვახაფხულმაც მოატანა... ხანდახან მგონია, რომ ის ისევ ცოცხალია... ასე მგონია, მის სიმღერას ისევ ვაფიგონებ.

მე ჩუმაღ ვიყავ. არაფერი მისთვის არ მითქვამს, ან რა მეტყვა? ახლა ვფრქენ, რომ გმირები მართლა არ კვლებიან. მივხვდი, რომ მისი ხსოვნა მაშენკას მეხსიერებიდან არასოდეს არ ამოიშლებოდა.

— როცა მარტო ვარ, — დაიწყო მაშენკამ დაფიქრებით. ოცნებით საესე თვალუბით სადღაც ჩემს იქით იცქირებოდა. — თვალწინ ცოცხალივით წარმომიდგება. ხმააღლა ვესაუბრები. ელამბობ რამეს და ხანდახან ვუჯავრდები კიდევაც... მერე უცებ მომაგონდება, რომ ის, ვისაც ვესაუბრები, არ არსებობს და შემეშინდება. ამაღამაც შენთან ამ შიშმა მომიყვანა... დღეს დილითაც ტყეში მის სანახავად ვიყავ. მგონია, იქ არის... მივალ და არ არის... ჰო, მართლა, ტყის სიჩუმე თუ მოვისმენიათ?

— არა. არ მომისმენია. უმეტეს წილად ქალაქში ვიზრდებოდი.

— მაშ თქვენ არ იცით რა არის სიჩუმე. ამ სიტყვას ალბათ ხშირად ამბობთ და მისი აზრი კი ჯერ არ იცით. მუსიკაში პაუზა სიჩუმეს როდი უდრის. ისიც შემავალი და თან განუყოფელი ნაწილია ჰანგისა. ცხოვრებაშიც ეგრეა. სიჩუმე არ არსებობს. ამ დილით ტყეში სიჩუმე იყო. სიჩუმე, რომელიც ჩემს ირგვლივ შემაშურობდა. იცით, სიკვდილი იმით არის საშინელი, რომ ის, ვინც მოკვდა, ჩვენს შეგნებაში სიცოცხლეს ისევ განაგრძობს. ისევ შდერის, ცელქობს, იზრდება... ახლა ის ჩვიდმეტი წლის იქნებოდა... მისი ნახვა მომინდა და ვეძახი: ვასია! ვასიუტკა-ა! ვასენკა-ა! და ვერ ვხედავდი, მაგრამ მაინც ჩემთან იყო. ეს გაზაფხულის პირიც მის ახალგაზრდობას მომაგონებდა... ახლა ხე თბილია, ცოცხალია და მის ირგვლივ თოვლი შემომდნარია. თოვლსა და ფესვებს შორის რომ ჩაიხედავ, წყლით გაქვიანებული მიწა შავად გამოჩნდება. თქვენ ხომ წიგნებს სწერთ! რათ არ დასწერთ იმას, თუ როგორ იესება გაზაფხულის პირზე ხე სიცოცხლის წვენი, როგორ შემაშურობს სიცოცხლე, სიჩუმე სიცოცხლისა? — ალტაცებით წამოიძახა. წუთით ბავშვად იქცა. სიტყვა ბავშვივითვე მოულოდნელად შეაბრუნა:

— გაზაფხული მოდის. მდინარეში საცაა თოშიც დაიძვრის.

წუთით შეეყოყმანდა. ისევ განაგრძობს:

— როგორ მოვიქცე? კაბა... ის კაბა გაზაფხულზე ჩაიცვა?

— ჩაიცვით მაშენკა! უსათუოდ ჩაიცვით! — წამოვიძახე ისეთი ხმით, რომ მატახერიას ჩემი ხმა ალბათ ძილში ჩაესმა. ერთი შეიშშუშნა, ვაქცაქური მკლავი ლოგინიდან გადმოუვარდა, ძირს უხერხულად გადმოვკიდა.

— იცით, ვეგენი პეტროვიჩი მაგასვე მიჩივებს, მაგრამ როგორღაც მეუხერხულდება. — თქვა ხმადაბლა და თან მძინარე ვაქცაქის მკლავი ფრთხილად ასწია, ლოგინზე მოხერხებულად რომ ჩამოადებინა, გაელიძა.

— რა მძიმეა, მკლავი კი არა, — უროა.

მის სიტყვებს ყურადღება არ მივაქციე. შეწყვეტილი საუბარი ახლა მე განვაგრძე:

— ის სიცოცხლისათვის მოკვდა, მაშენკა... ახალი კაბაც უსათუოდ უნდა ჩაიცვა.

მაშენკას არაფერი უთქვამს.

— მეც ეგრე ვფიქრობ. — თქვა ცოტახანა შემდეგ დაფიქრებით და თავზე ხელი აიღერსით გადამისვა. ალბათ მაკოცებდა კიდეც, მისთვის გაკვირვებით რომ არ შემეხედა და წუთიერ თავდავიწყებისაგან მევე არ გამომეყვანა.

თავი ჩაჰკიდა. ერთხანს ჩუმად თავისთვის რაღაცას ფიქრობდა.

— დღეს ვეგენი პეტროვიჩი აქი იმიტომ გამოიჯავრდა... — თქვა ისე, თითქოს ხმამაღლა ფიქრობდა. — თქვენ არ იცოდით. მე კი მაშინვე მივხვდი. მივხვდი, რომ მისი სახელის პატივისცემით მიჯავრდებოდა. მთათხავდა, მიწასთან მასწორებდა და, ვიცოდი, მის ხსოვნას გულისხმობდა. ამხანაგი სავგაჩოვი კი საქმეში უადგილოდ ჩამოგვერია... როგორ ფიქრობთ, ომი მალე გათავდება?

— მალე, მაშენკა, სულ მალე გათავდება. — სიტყვა ისე მოუქურ, თითქოს ომის გათავება ჩემგან იყო დამოკიდებული.

— მეც ეგრე ვფიქრობ. — დაასვენა მაშენკამ. — გაზაფხულიც მოვა. იცი, წითელ კაბას ჩაიცვამ... უსათუოდ ჩაიცვამ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვები ჩემკენ იყო მომართული, მე მაინც

არ მეხებოდა. პასუხი მისთვის ამიტომაც არ გამიცია. თავი მაინც ვერ შევიკავე, შევეკითხე:

— იმას, მაშენკა, ძლიერ უყვარდი?

— არა. იმას ეგონა, რომ მე ვუყვარდი, ძლიერ ვუყვარდი. მე კი ვიცოდი, რომ ეს ტყუილი იყო. ჯერ ყმაწვილი იყო. მისი სიყვარულიც ამიტომ უსაგნო იყო. ქალი, რა პასაკისაც არ უნდა იყოს იგი, შეყვარებულ ვაჟზე მუდამ უფროსია. ხანით ჩვენ ტოლნი ვიყავით. მაგრამ მე მაინც უფროსი ვიყავი. იმან ეს არ იცოდა. მე ვიცოდი. ვიცოდი, რომ იმას მე კი არა, თავისი ოცნება უყვარდა... ოცნებით მოკვდა... სიკვდილი ამიტომაც არ გაუგია. ოცნება დიდი რამეა... განა ჩვენი ცხოვრება ოცნება არ იყო?... აი ომი დასრულდება, საოცნებო ცხოვრება კვლავ განახლებება... ის წავიდა, ოცნება მაინც დარჩება.

წუთით მომეჩვენა, რომ ის ჩვენ შორის ჩამოდგა. ტანში უსიამოვნოდ გამაგრებოდა.

— მაშენკა! — წამოვიძახე. ჩემმა ხმამ მევე შემაკართო. — მაშენკა, გამიგონე... ტყეში ნუ წახვალ... ნუ წახვალ, მაშენკა..

მაშენკა თვალეზში დაფიქრებით ჩამაცქერდა მერე ერთი ღრმად ამოისუნთქა. დაფიქრებითვე თქვა:

— რატომ?

მე ისევ გაცხარებით განვაგრძე:

— მე ვინ შეკითხება, მაგრამ მაინც გირჩევ... მოსკოვს წადი. ლენინგრადს წადი: სადაც გინდა, იქ წადი... აქაურობას გაეცალე... სწავლა განაგრძე.

— ევგენი პეტროვიჩიცი მაგასვე პირჩევს

— ჰოდა მით უფრო!

— ახლა ყველას დიდი დარდი აქვს... მაგრამ ჩვენ ეგეთნი როდი ვართ... დარდს მოვიწვლებთ... კრილობას მოვიშუშებთ...

ამ სიტყვებით მან ამდროინდელ დობროხოტოვს, მიმართა დასტურებას წყნად დელი, ბალიშით მოგუდული ტირილი მომაგონდა.

— აქეთ მოიწი... — ვთქვი და გოგონას ხელი ხელში ჩავავლე, მთელი ტანით ჩემკენ მძლავრად მოვწიე და ჩურჩულით შევეხვეწე: — მოიწი, მაშენკა, ახლოს მოიწი... რაღაცას გეტყვი.

მაშენკამ იგრძნო, რომ მისთვის საიდუმლო რამ უნდა მეთქვა და ყური ჩემ პირთან სულ ახლოს მოიტანა. სმენად იქცა. მეც აღარ დაეაყოვნე. ჩემი სიტყვები არაფის რომ არ გაეგონა, ჩურჩულით ვუამბე, რა გულსაკლავად ტიროდა წყლან დობროხოტოვი.

მაშენკა ყურს მისთვის ჩვეული გულსმხიერებით მივღებდა. ჩემს ნაამბობზე თვალი ცრემლით ევსებოდა. ერთხანს ორთავ ჩუმად ვიყავით.

— საწყალი. — თქვა მაშენკამ და ხელი ხელზე წყნარად დამადო. მერე პირი ჩემ ყურთან ახლა მან მოიტანა და ჩურჩულით მიამბო, რომ კიევში დობროხოტოვს თურმე საცოლვე ჰყოლია. პარტიზანებისაგან გაუგია, რომ გერმანელ ოფიცრისაგან ნაძალადევს, თავი ღნებრში დაუხრჩვია.

— ქადრაკს სულმუდამ იმიტომაც თამაშობს. — დაასრულა ამბავი მაშენკამ და ხელის ჩემი ხელიდან განთავისუფლება უნდოდა, მაგრამ არ დავანებე.

კედლის საათმა ღერეფანში ორჯერ დარეკა. საუბრით გართულებს პირველი როდის დარეკა არ გაგვიგია.

— კმარა. — თქვა ოდნავ საყვედურით, ოდნავ თხოვნის კილოთი მაშენკამ და ხელი ხელიდან გამომართვა. — გვიან არის.

მე ჩუმად ვიყავ. თვალეზში ისევ ხმის ამოუღებლად შევცქეროდი.

— დაიძინეთ. — თქვა და წამოგდა,

თმა ქალური ჩეულებსამებრ შეუგნებლად ხელდახელ გადაისწორა.

— რომ არ მეძინება.

ჩემი სიტყვები მას თითქოს არ გაუგონია.

— ლამაზა ჩაეჭროთ? — შემეკითხა და ხელი ლამპისაკენ ჩასაქრობად წაიღო.

— არა, ცოტახანს ენთოს.

— მაშ წავალ.

— წადი. — ვთქვი უკმაყოფილოდ და თვალი დაეხუტე. გაეახილე. — ის პალატაში აღარ იყო.

13

მთვარით განათებული ნამქრის ოღროზოღრო ნაბუქარები, თეთრი არყნალები და ძირს დაწეული ცისიერი სარკმლის ლიბრ მინაში რუსული ბილინის იდუმალებით გარინდებულ-ყვენ. თოვლი დნებოდა, ყინულის ბრჭყვიალა ლოლუაზე დაცურებული მისივე ნადნობი ბოლოში ისევ იყინებოდა, სიგრძე თანდათან ემატებოდა. თუნუქის საწვიმარ მიღში დაცემული წვეთი ისევ თანაბრად, ისევ ძილის მომგვრელად თქაფუნებდა. თვალი ისევ მივხუტე. მაშენჯას სიახლოვეს, მის ქალურ ეშხსა და სურნალებს ისე ტკბილად განვიცდიდი, რომ მისი გაფანტვის შიშით თვალის გახელა არ მინდოდა.

— ამხანაგო დაელაძე! ამხანაგო დაელაძე! — ჩამესმა თელემაში დობროხოტოვის ხმა მორიდებით.

თვალი გაეახილე.

— ამხანაგო დაელაძე, გძინავთ?

— არა, ამხანაგო დობროხოტოვ, არ მძინავს — ვუთხარ და ლოგინში ოდნავ წამოვიჩიე. დობროხოტოვი თავის ლოგინზე საცვლების ამარა თავჩაქინდრული იჯდა. თავისივე შეხვეულ ფეხს დაფიქრებით დასცქეროდა, თითქოს პირველად ხედავდა.

— ერთ რამეს გთხოვთ, მძინებრძო თავის: მალლა აუღებოდასკობსკობს, სანამ გეტყოდეთ, რისი თქმაც მინდა, მაპატიოთ. მაპატიოთ კადნიერება.

გამიკვირდა. არ ვიცოდი რა უნდა მეპატიებინა მისთვის.

— მაპატიეთ, რომ თქვენი საუბარი მესმოდა. არ მინდოდა გამეგონა, მაგრამ მაინც მესმოდა. ზინდოდა მეთქვა, რომ არ მძინავს, რომ ყველაფერი მესმის, მაგრამ არ გითხარით. თქვენი მყუდროების დარღვევას მოვერიდე.

— შიპატიებია. — ვცადე მეხუმრა, მაგრამ ხუმრობა არ გამომივიდა. უხერხულ მდგომარეობაში თვითონვე ჩავევარი. — უნდა მოგახსენოთ, რომ მე ყველაფერს ვგრძნობდი. ვგრძნობდი, რომ არ გეძინათ...

დობროხოტოვს არაფერი არ უთქვამს. ხალათი მხრებზე შემოდან წამოისხა, სალი ფეხი ფოსტალში წაჭყო და ყავარჯნებით ჩემკენ გამოემართა. სკამზე, რომელზედაც წელან მაშენჯა იჯდა, წყნარად ჩამოჯდა. მერე დაბლა დაიხარა და ყავარჯნები, მძინარენი რომ არ გაეღვიძებინა, იატაკზე ფრთხილად დააწყო. მერე მძინარე მატახე-რიას დახედა, გაელიმა.

— რამოდენაა! — თქვა მისი დევგმირული ტანადობით აღტაცებულმა. — ძილიც ამას ჰქვია. მღვევივით ძინავს.

მერე ზურგშემოქცეულ სავგაზოვს გახედა, ისევ გაელიმა.

— სძინავთ. ორივეს მკვდარივით სძინავს. ერთს ჯანით სძინავს, მეორეს სიმსუქნით.

მე ჩემად ვიყავ. მის ყოველ ჰმეცას თვალყურს ხმის ამოუღებლად ვადევნებდი. დობროხოტოვმა შუბლი უცებ შეიკრა. ლამპას მოფარებულ ლეი სელინის შავად დაკანულ წიგნს ირიბულად გახედა.

— წაიკითხეთ?

— ნეტამც არ წამეკითხა. — მოვე-
პერ სიტყვა. — ჩემ სიცოცხლეში ვინ
მოსთვლის რა შინაარსის წიგნი არ წა-
მიკითხავს, მაგრამ ამაზე უმსგავსო
რამ მაინც არ წამიკითხავს. სანინი, კა-
ზანოვა, მიშლეს „ქუდიანის“ გმირები
ამასთან ბავშვებია. ამას იქით მართ-
ლაც ლამეა.

დობროხოტოვს სახეზე ზიზლისა და
პრისხანების გრძნობა ერთად აღე-
ბექდა.

— იმას, ვინც ეს დასწერა, ალბათ
ჩემი ხელით დავახრჩობდი. ბავშვი
როდი ვარ. მეორმოცე წელიწადში
ფეხი ჩამიდგამს. მიცხოვრია. ბევრი
სისაძაგლე მინახავს და გამიგონია. ვი-
ცი აღამიანის ქვენა ინსტიქტები, მაგ-
რამ ეს წიგნი ამ ინსტიქტებზე დაბლა
დგას. როცა კაცი აქამდე მივა, მას
არამც თუ წიგნის წერის, სიცოცხლის
ნებაც არა აქვს. შემოქმედება სიცოცხ-
ლის, ცხოვრების განმტკიცებაა. ეს
წიგნი კი ორივეს უარყოფდა.

— ფრონტზე ამ წიგნის ბნელი სუ-
ლი გვებრძოდა... — ვთქვი მე წყნარად,
მაგრამ დობროხოტოვმა სიტყვა არ და-
მანება, ხმა პრისხანებით აუქანკალდა.

— ეს ომი ჩვენ იმათ გამოგვიცხა-
დეს. იცით, დღეს მე ცოტა გავცხარდი.
თანახმა ვარ, უსამართლოდ გავცხარ-
დი, მაგრამ მაინც მართალი ვიყავ. საქ-
მე ის კი არ არის, რომ კიევი ჩემი ან
თქვენია. საქმე ის არის, რომ იგი იქი-
დან, დასავლეთიდან, დაძრულ ბნელს
შთაუბნობდა. მაშენკა, ამხანაგი მატახე-
რია, რა თქმა უნდა, მართალი არიან.
ამ სიმართლით აღვმდგარვართ ჩვენ.
იარალი აგვისხამს. თუ ეს ასე არ არის,
მაშ რამ მოიყვანა აქ საევაზოვი შო-
რეულ ციმიბირიდან? რათ მოკვდა ის
მიამიტი, სიცოცხლით საესე ბიქუნა,
რომელსაც მაშენკა წელან ეგეთი გუ-
ლის ტკივილით იგონებდა? რამ მოგი-
ყვანათ თქვენ ამ ცივ ქვეყანაში თქვენს
მზიურ საქართველოდან? რათ და-

გეტრიალებს თავს მუშენკის ეგეთი
მზრუნველობით? ნუთუ... მხოლოდ
მხოლოდ მთავრობის ბრძანება კმარა?
ნუთუ ამისთვის აგიტაცია კმარა?
მტერი მოსკოვს მიადგა და მაინც გა-
ვიმარჯვეთ. მხოლოდ ბრძანება, მხო-
ლოდ აგიტაცია აქ ვერას ვახდებოდა.
ჩვენ ვიცოდით, რომ მართალი ვიყა-
ვით. ამ შეგნებით, ამ რწმენით ჩვენ
დიდმა სტალინმა აგვესო. ჩვენ ცოცხ-
ლად გვწვავენ, აირებით დუშეგუბკებ-
ში გვახრჩობენ, გვებრეტენ, გვაწამე-
ბენ, მაგრამ მაინც ცოცხალი ვართ.
შეიძლება მოკლა ივანე, პეტრე, ნიკი-
ფორე, მაგრამ არ შეიძლება მოკლა
სიცოცხლე. სიცოცხლეს სიცოცხლე
იმიტომ ეწოდება, რომ ის უყვდავია,
რომ ქვეყნად სიცოცხლეა, სიყვარუ-
ლია, სიხარულია. მათ, ღამის ხალხმა,
არ იციან, რომ ჩვენ სიცოცხლისათვის
ვევდებით და ეს სიყვდილი როდია.

ხმა ჩაუწყდა.

უნდოდა კიდევ ეთქვა რაღაც, მაგ-
რამ ხმა ისევ რომ ველარ დაიმორჩილა,
ხელი ჩაიქნია.

— მე იმათთან ჩემი ანგარიში
მაქვს. — ძლივს თქვა. თქვა ყრუდ,
გულჩახტურულად. — ეს ანგარიში მათ-
თან ჯერ არ გამისწორებია.

გაჩუმდა.

უნდოდა კიდევ ეთქვა რაღაც, მაგრამ
ხმა ისევ რომ ველარ დაიმორჩილა, ხე-
ლი ისევ ჩაიქნია. ხალათი მხრებზე
აეცახებებული ხელით მოუთმენრად
წამოსხა. ყავარჯნებს დაეყრდნო და
წამოდგა, ის იყო თავის ლოგინისაკენ
დასაწოლად წასვლას აპირებდა, რომ
ამ დროს ღამის დუმილში როილის
ხმა ყრუდ გაისმა.

დობროხოტოვი შედგა. ყავარჯნებ-
ზე ილღიებით ირიბულად ჩამოყრდნო-
ბილი და ცალ ფეხაკაუქებულს, საკი-
დელზე ჩამოკონწიალებულ ცარიელ
ტანისამოსს დაემსგავსა.

— მაშენკა უკრავს. — თქვა. მუსიკას კმაყოფილი ღიმილით მიაყურა.

როიალის ნაზი პიანო გოსპიტლის სასადილო დარბაზიდან, რომელიც ქვემო სართულში იყო მოთავსებული, ყრუდ მოისმოდა. მიძინებული შენობა შოპენის „ფანტაზია-ექსპრომპტი“ ხმებით თანდათან იესებოდა. ეს უკანასკნელი ქმნილება დიდ მუსიკოსისა ერთ დროს ზეპირად ვიცოდი. შინ მარტობით ატანილს, ვინ მოსთვლის ჩემთვის რამდენჯერ დამიკრავს. ჩემს ყურთა-სმენას ახლა არცერთი ბგერა არ ებარებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ავტორისაგან ნაკარნახევ მშვიდს, მაგრამ სხვადასხვა რიტმს ხელებისა მაშენკა სათანადო ოსტატობით ვერ კიდევ ვერ დაუფლებოდა, ეს ფაქიზი და თან ნადვლიანი ქმნილება თავისებური მომხიბლავი არიტმიულობით მაინც მომჯადოებლად ეღერდა. — დამკვრელის მიზნედილ სევდას მარტოხელა ადამიანის ღამის ოცნებასა და სიცოცხლის იმედს თავისი გულითადობით მეტყველად გამოხატავდა.

დობროხოტოვი ჩემ ლოგინთან კი არ იდგა, ისევ ცარიელ ტანისამოსივით ეკიდა. მუსიკას ყურს სულგანაბული უგდებდა.

მასთან ერთად ყურს ტკბილ ჰანგებს სულგანაბული მეც ვუგდებდი. როიალის უნაზესი ხმები საერთო სიჩუმეს, როგორც კი დამაფიქრელად, ინტიმურად უკავშირდებოდა; მის იღუმელებს თითქოს კიდევ უფრო აღრმავებდა, გულში უსაზღვრო წყურვილს, ნატვრას და იმედს კვლავ ძალუმად აღძრავდა. ადამიანის მთელ არსებას ისეთი გრძნობებით ავსებდა, რომლებიც ერთსა და იმავე დროს, თითქოს მიუწყდომელნიც იყვნენ და ხელსახებნიც. როიალის ტკბილ ღაღადისით მოხიბლული, ველოდი პირველი ნაწილი მუსიკისა როლის დასრულებობდა, არპეჯივებით მიმდინარე მეორე ნაწილის თავისე-

ბურსავე ნაზ მელოდიამთი თანდათან როგორ გადაიზრდებოდა უკვე უკვე არ გამიმართლდა. მუსიკის მიძინებულ კენესა მაშენკამ უადგილოდ მოსწყვიტა. უკანასკნელი აკორდი სიჩუმეში დაქანცულ ფრინველივით შეფრთხილდა, თრთოლვით მიყურდა. არ ვიცი რატომ, სვედიან კენესას მარტოსულისა ისევ ველოდი. ველოდი, როდის გაისმოდა კვლავ მომხიბლავი ხმები მიძინებულ გოსპიტლის კედლებს შორის, როდის აცახცახდებოდა კვლავ სასიცოცხლოდ მთვლემარე სიჩუმე.

ირგვლივ ისევ დუმილი იყო. წყნარ მღელვარებით აღსაქსეს არ შგეროდა, აზრს ვერ მოვსულიყავ, რათ არიან ქვეყნად გარეწრები, რათ სწყურიათ მათ სხვისი სიკვდილი და, რაც სიკვდილზე უარესია, — სხვისი დამონება.

დობროხოტოვიც ალბათ ჩემსავით იყო. მუსიკის ხმა რომ მიწყდა, თავი სინანულით ჩაიქნია.

— რა მშვენიერი, რა მდიდარი გოგონაა! — თქვა და თითქოს ზარხოშით მთერალი თავის საწოლისაკენ ოდნავ ტორტმანით, დაჭრილი ფეხის კონწილით ნელა გაემართა.

ორიოდ ნაბიჯი გადადგა. ისევ შედგა.

— სულთ მდიდარი გოგონაა. — თქვა და გაჩუმდა.

ცოტახანს შემდეგ ისევ განაგრძო:

— გახსოვთ, ამ დილით აქულიან ივანოვნას რა დააბრალო?

ჩავფიქრდი, მაგრამ ვერ მოვიგონე.

— აი, დღეს რომ ამბობდა. — თქვა დობროხოტოვმა ჩაძიებით, რომ ჩემთვის მისი სიტყვები მოვიგონებინა, მაგრამ მე არ მაგონდებოდა. და ხმაში ამიტომაც მოუთმენრობა დაეტყო. — სანამ დაჭრილი შავ დღეშია, თავს ეგლებათ... რომ მორჩება, ფეხზე დადგება, მერე ის მისთვის თითქმის არ არსებობს.

— მახსოვს. — ვთქვი ყრუდ, უგუ-

ლისყუროდ, რადგან ის ტკბილი ხმები ჩემს გულში ისევ ელერდნენ.

— ჰოდა, ტყუილად დააბრალა. — მომიჭრა სიტყვა დობროხოტოვმა ღიმილით. — აქუღინა ივანოვნა მართლა ეგეთი როდია. ეგეთი თვითონ არის. განკურნებული ჯარისკაცი მერე მისთვის, არ ვიტყვი, რომ არ არსებობდეს, მაგრამ მისი ყურადღებით იმდენად უკვე აღარ სარგებლობს.

— მერე რა? — შევევითხე კაპიტანს. — რა გინდათ მერე მაგათი რომ თქვათ?

— არაფერი, — მიპასუხა მან ზანტად. — ეს ისე... რატომღაც მომაგონდა... — თავისი საწოლისავე ისევ ტორტმანით, დაჭრილი ფეხის კონწილით ნელა გაემართა.

მისი სიტყვებისათვის ყურადღება არ მიმიქცევია.

— დაიძინეთ, ამხანაგო დავლადე, დაიძინეთ. მოგკლავთ ამდენი უძილობა. — მომმართა მაშენკას წელანდელი სიტყვებით დობროხოტოვმა და ხალათი სკამზე დადებულ ქადრაკის კუმბოკრულ ყუთზე უდიერად მიაგდო. საცვლების ამარა ზამბარიან ლოგინზე მიძიმედ ჩამოვდდა. ხმაური რომ არ გამოეწვია, ყავარჯნები საწოლს ქვეშ ფრთხილად შეალაგა და თვალის ველარ შეეასწარ, საბან ქვეშ გაჩნდა უცებ. პირქვე დაწოლილმა თავი ბალიშში ღრმად, ისევ თავისებურად ჩარგო, გაყუჩდა. არ ვიცი ეძინა, თუ თავს ისე წელანდელივით მიძინარედ მაჩვენებდა.

გოსპიტალში ისევ სიჩუმე იყო, სადაც ღამის სამი საათიც მოვიდა და უკვე ყოველ შემთხვევისათვის ჩაეაქრე. ლოგინში ძილგატეხილი ადამიანის მოუსვენრობით აებორგდი, მოხერხებული მდგომარეობა ძლივს მოეძებნე. დასაძინებლად, როგორც იქნა, მოვეწყე. ალბათ ძილიც წამომეპარა. ნახი შოპენი, მუდამ გულითადი მაშენკა, სიცოცხლით სავსე, მაგრამ ჩემთვის უცნობი ვასია, მისგან ოდესღაც ნაშუქარი აბრეშუმის აგურისფერი საკაბე და დედაჩემი, წელან ეგრე ცოცხლად რომ გამომეცხადა, ძილში სიზმრად ჩამყვა. არ ვიცი საიდან, ესპანელი მწერალი ვისენტე ბლასკო იბანიესი ძილში ბუნდოვანად წამომებლანდა. ვისენტე ბლასკო იბანიესი, ბლასკო ვისენტი იბანიესი, იბანიეს ვისენტე ბლასკო... ვისენტე... ვისენტე... ფიქრებში ეს სახელი რაღაც ჯადოქრულ აბდაუბდასავით აიზლართა. სადღაც, გონების ბნელ კუნჭულში მანც იელვა, — ერთ თავის წიგნში იგი შოპენისა და ეორე სანდის სიყვარულის ამბავს ეგრე მცხუნვარედ მოგვითხრობდა. ხმელთაშუაზღვა... პატარა კუნძული... ფორთოხლის ბაღები... ზაფხულის მთვარიანი ღამის ელევია... ზღვის მონანვე და მოლიცლიცე ტალღების ხმაური... ფიჭრი და სიზმარი ერთიმეორეში აიბურდა... რაღაც ბნელი, ბალიშით რბილი და თან ვეება ირგვლივ ცხლად, ზარხოშიანად შემომებურა... არ მახსოვს, როგორ დამეძინა.

(გაგრძელება იქნება)

ალექსანდრე აბაშელი

ნიმუ ნაკაშიძეს

(მისი იუზილეს გამოც)

★

შენ სამშობლო შეიტკბე და შეიყვარე,
შენი ხალხის ჭირ-ვარამი შეიცანი,
ქვეყნისათვის უანგარო შრომის გარეთ,
შენ არა გწამს სხვა საქმე და სხვა მიზანი.

თუ გულს წვაედა ბედშობის შხამ-ნაღველი,
და მტრის ენა თუ გულს სჭრიდა დანასავით,
შენვე იყავ იმ კრილობის დამნახველი,
ჩვენც გვაჩვენე თუ ვინ იყო დამნაშავე.

უსამართლოდ დევნილის და დაჩაგრულის
უბრწყინვალეს გამარჯვებას მოესწარი
დიდი ბრძოლის დაწყებიდან რასაც გულით
მოელოდი, ხომ ასრულდა, ხომ ეს არი!

ხომ მოვიდა სასოებით რაც ინატრე,
რა სინათლედ ხალხისათვის გწყურებია?
ყველა გრძნობს და ყველა ხედავს ამ სინათლეს,
მეგობარო, შენი სხივიც ურევია.

გადაურჩი ქარიშხლიან ზამთრის ყინვას,
წელთ სიმრავლემ ვერ მოგტეხა, ვერ დაგხარა,
განთიადის ღრუბელივით თეთრად ბრწყინავს
ანკარა და სხივმოსილი ეგ ჭაღარა.

გამარჯვების ზაღალ თხემზე ისე ახველ,
რომ თვალებში ცეცხლი შეგერჩა პირვანდელი,
ახალგაზრდულ სიმხნესა და იერს ამხელ
მარად ტკბილი, გულთბილი და პირნათელი.

და ჰა, შენთვის დღეს ზემი იმართება,
წმინდა გულით ვიფასებენ შრომას ამდენს,
შენი ღვაწლის ნაპერწკალიც ემატება
ქართველ ქალის გაუჭრობელ შარავანდელს.

დღესაც ქვეყნის მშენებელთა რიგში დგახარ,
ხელინდელ დღის ელვარებას კარგად ხედავ,
ო, რამდენი სახელოვან გმირის და ხარ
და რამდენი ფრთააქვეტილ ბავშვის დედა!

რამდენია დღეს ჩვენ შორის შენი ხელით
აყვანილი, მოვლილი და გამოზრდილი
ჩვენი ხალხის დიდ შრომაში ოფლის მღერელი,
ჩვენი ქვეყნის დიდ ბრძოლებში გამოცდილი!

ბავშვობიდან ვის არ ახსოვს შენი სუფთა,
ხმაწკრიალა, მოჩუბჩუხე „ნაკადული“,
გაზაფხულის აყვავების ნელი სუნთქვა,
შენი კალმით მადლიანად დახატული?

ჩვენს მომავალს ეძახი და ესიტყვები,
მეზღაპრე და გამზრდელი ხარ ქართველ ბავშვის.
მას სკოლაში ყოველ დღით თან მიჰყვები,
მასთან ერთად შენი სიტყვა ჰყვავის ბალშიც.

და ვინც ენას მერცხალივით იდგამს ახლა,
ვინც ბაღლია და ჯერ კიდევ აკვანში წევს,
დრო მოვა და მოთხრობებს და ზღაპრებს ახალს
შეუპოვრად მოსთხოვს ნინო ნაკაშიძეს.

შენც დამარცვლავ და ააწყობ, როგორც მძივებს,
და ნორჩ მკითხველს სიყვარულით გადაუშლი
მალალ გრძნობის, მალალ აზრის ნათელ სხივებს
ჯადოსავით დაგროვილი რაც გაქვს გულში.

და პატარაც დაჯდება და წაიკითხავს,
რომ მისს გრძნობას შენი მადლი მოეფინოს,
და უსურვებს კიდევ დიდხანს, კიდევ დიდხანს
ტკბილ სიცოცხლეს საყვარელს და ძვირფას ნინოს.

პავლე პანკოქოსკი

შვილი*

★

4.

კვლავ შეიღზე ვფიქრობ. ჩემს თვალწინ მიჰქრის
ოცდათერთამეტი, ცხრამეტი წელი...
კარის ბჭეზე კი ამოჭრილია
მისი სიმალლის ნიშანი ძველი.

და მე გავსცქერი დანისლულ წარსულს, —
სჩანს გამოკრთომა მხოლოდ შექვისა!
ო, ეს ბავშვობის დასასრულია,
თუ დასაწყისი სიკვამულისა?

ობლად დარჩენილ ნივთებს დავსცქერი
და მოგონების სუსხი მაწუხებს! —
აი, თუნუქის პატარა ყუთი
ინახავს ჩემად ლურსმნებს, მარწუხებს,
ინახავს რგოლად დაბვეულ მავთულს,
ველოსიპედის რაღაც ნაწილებს,
მისი სიტყვების სწრაფ წუთებივით
ლიმილის მომგვრელთ და პაწაწინებს!

აი, აქ კიდევ მისი მარკები,
სახაზავეები და ფანქრები...
მისი უსაზღვრო ბედნიერება
სულ ერთი პეშვით ასაკრეფია!
ო, ეს ბავშვობა თვით სიკვამუკემ
აქ ხელუხლებლად დასტოვა მაშინ,
როცა საომრად და სასიკვდილოდ
მას შემოესმა სამხედრო მარში.

არა! აქ კიდევ დარჩა იმ დროის
სურათები და სამხატვრო ყუთი.

აი, ჩარჩოზე გაკრული ტილო,—
 შიტოვებული როგორც ის წუთი!
 ძლიეს შეხებია ფუნჯით ფერადებს,
 მხოლოდ სურათის დაწყებას ცდილა,
 ის იყო, ალბათ უთენდებოდა
 შემოქმედების პირველი დღისა!
 ის იყო —

ლურჯი ცით გამოზატა
 და ნათელ შუქით მოციმციმეთი
 ტილოზე ცისკრის მშვენიერება
 ამომავალი როგორც იმედი!..

ო, ამ ნახატში ყველაზე მეტად
 გულის ღტოლვაა გასაკვირვები,—
 ასეთი ენით, ასეთ სიცელქით
 ხეს ექიდება ზოლზე ირემი—
 სურს: გამოსცადოს რქების სიმაგრე,
 თურმე ვარჯიშიც უფრო ალაღებს!..
 და აჟი მუდამ იმ ზღაპრულ ტყეში
 უყვართ ირემი ფოთლებს, ბალახებს!
 უჩინმაინის სიკეთით, ერთხელ
 ისეთი წყაროს წყალიც დალია,—
 მხოლოდ მფარველმა დიანამ იცის,
 რომ ბალახებში ირმის კვალის!

ო, ჩემ ირემსაც ერჩოდა ღონე,
 მაგრამ დაესხნენ თავზე მღვერები
 ყეფით, საყვირით აახშიანეს
 შეშფოთებული მთები, ტევრები...
 ირმის ნახტომებს ჰგვანან ის წლები,—
 ოცდათვრამეტი... ოცდაცხრამეტი!
 და აი, უკვე ორმოცი წელი,
 ორმოცდაერთის დღე უცაბედი!..

მან დაამთავრა, მახსოვს, ათწლედი
 იმ ივნისს 'აწორედ. და შუბლგაშლილი
 სამ დღეს ხელიხელაქიდებული
 დავსეირნობდით მამა და შვილი.
 მახსოვს, როდესაც ნახა გოგენი
 მან მუხუღში გასაკვირველად,—
 მგზნებარე მზეში შიშველი ტანის
 განწირულება იგრძნო პირველად.

მაგრამ მოსკოვის მოედნებიდან
 სიცოცხლით საესე ხმები მოქროდა
 და სჩანდა კრემლის თეთრ ქონგურებზე
 მზის მოზვიმე შუქი ოქროთა.

ჩქარი ქუჩების და ბულვარების
 ბულში იძროდა დიდი ქალაქი,—
 სადაც წყვილწყვილად ვიდოდა ხალხი
 ხალისით, ღელვით და ლაპარაკით!
 ახალგაზრდული გულისთქმა, ფიქრი
 ცისკენ ზეიმიტ იწვედა იქაც...
 განა ზეიმი არ ერქვა ამას?
 ჩვენც საზეიმოდ ავსწიეთ ჭიქა!—
 და რესტორანის მზიარულ სუფრას
 მახსოვს, ვესტუმრეთ მაშინ ანაზღად,
 ო, მას პირველად ჩამოშლილ თმებში
 თითები მაშინ აუთამამშდა!
 პირველად მაშინ მოსეა თამამად
 ქართული ღვინის მგზნებარე ალი,
 მიიღო დინჯად როგორც ნათლობა
 და მხნე ღიმილით აენთო თვალთ...
 დალიე,—მეთქი,

ვეუბნებოდი,—

ვიდრე გაზარებს წუთისოფელი,
 თუ არა წუთიც დაიწურება
 როგორც ყურძენი დამატრობელი!
 და სადმე გაშლილ ჭადრების ჩრდილქვეშ
 შენც გაგაოგნებს თვლემა ზურჩისა,
 დაგეუფლება ალბათ სიამე
 წუთის კი არა—საუკუნისა!

შინ ვბრუნდებოდით... მზე კაშკაშებდა
 მოსკოვის საბჭოს წინ, შადრევნებთან...
 და შუქს უცნობი ჯოხტა გოგონაც
 ხელმოფარებით თვალს ადევნებდა.
 შუქით ბრწყინავდა ათასთვალემა
 ათას შენობის თეთრი სართული!
 შუქით ღრუბელიც იწვოდა ცაში
 და შუქს გააწვდიდა ყველა მავთული..

ალი მოედო ლოყებზე შვილსაც,
 ვგრძნობდი, ნათელი დღე ახარებდა.
 შვილი კი არა ღმერთკაცი იდგა
 ამ დიად ქვეყნის ღია კარებთან!
 მაგრამ სწრაფლ თითქოს ბოშურ დაირით
 მების ხმამ ზეცა შეაზრიალა
 და წამოვიდა ჩვენკენ ავღარი,
 შესძრა ღრუბლების კალთა შრიალა!

ყველაფერს ამას ხედავდა ღმერთი,
 ეს იყო მისთვის რაღაც ღრეობა...

მინც შინისკენ აღჩქარებლივ
ეშურებოდა მოსახლეობა.

ერკინულნი
შინგლიოთქან

ჰოი მოსკოვო! ვინ უწყს რამდენჯერ
გადაგიქროლა ელვა-ქუხილმა—
ახლაც დადექი ისე ვით მდგარხარ,
რად შეგიცვალა ლხინი წუხილმა?
მოდო, შენს ერთვულ ორ მოქალაქეს
შეიღსა და მამას მოგვეცი ხელი,
მედგარ ბრძოლის წინ დაგვლოცე მინც,
ვინ იცის რაა მოსალოდნელი!

მადლობა მტკიცედ ამართულ ძეგლებს,
თეატრთა ნათელს, ფრთავაშლილ დროშას,
თავმოყრილ ჯგუფთა მღელვარე დენას,
აქ, შუაღამის და ძილის დროსაც!
მადლობა ქუჩებს!

ტალღას სცვლის ტალღა,
დაუცხრომელი არის დინება!
ბრწყინავს სიცოცხლე. ფეხზე დგას ყველა,
ამ დროს არავის არ ეძინება!
სიცოცხლისათვის პასუხს ჩვენ ვაგებთ,
ვართ ისევ ნეტარ ცხოვრების მდომი...
ასე შეჩერდა ჩვენი ზეიმი,
ოთხზე და ოცზე დაიწყო ომი.

5.

ხსოვნისთვის ხშირად საკმარისია
პატარა ფანქრის მიმქრალი კვალი,
და ან სურათი ძველ ბარათებში—
რომ უკვე ცოცხალს შეავლო თვალი!
ავერ იმისი სული ცოცხალი,
ძლივს მომღიმარი და ძლივს ხილული,
გამოჩნდა უცებ და მიიმალა
ლამაზი როგორც თვით განწირული!

ავერ, ავერ კიდეც გაუწაფავე
ხელით ნაწერი ანბანთა რიგი,—
მაშინ შორეულ რესპუბლიკაში
მარტო პირველად ცხოვრობდა იგი.
იყო სამხედრო სკოლაში.

გვეწერდა:

„ქარგად ვარ. ვსწავლობ. გიგონებთ მარად“.
ბოლო საკუთარ გაქირვებაზე
სიტყვასაც კი არ უმხელდა ბარათს!

მალე წუხილის ჩრდილიც დაეტყო:
 დასა და დედას შევხვდეთ ნეტავ...
 შემდეგ კი უკვე ვრცელ ბარათებში
 ბრვე შეგობართა სახეებს ვხედავ.
 აგერ მას დასკვნაც დაუწერია,
 სჩანს გული მალე გაიშამაცა:
 „აქ ჩინებული ხალხი არისო“
 შორს მატყობინებს შეილი მამასა.

აი, სურათი იმდროინდელი,
 მხნედ, სამეგობროდ მკლავგაშლილსა,
 ასე თანდათან იქედებოდა
 თვით ხასიათი ჩემი შეილისა.

ერთი რვეული კიდევ—მე იგი
 დიდი სიფრთხილით გავშალე მინდა:
 იქ მხედრის ხელით ჩაწერილია
 სამხედრო სკოლის მიზანი წმინდა.
 იქ უკვე ცეცხლი არტილერიის
 ზუსტ ფორმულებით გამოთვლილია
 და ვით სამშობლოს ერთგული შეილი
 თითქოს წინასწარ ვალმოხდილია!
 თითქოს წინასწარ თავისი ბედიც
 მოლანდებია ფიქრებში გართულს...
 მაშ აქ რა უნდა უცხო სასახლეს
 ამ ფორმულების გვერდით მიხატულს?!

ვენეციური თაღი უხატავს
 და კიპაროსთა ლალი ჩრდილები,
 იქვე კი რუხი ქვემეხი... რისთვის?
 რომელ ოცნების შთაბეჭდილებით!
 ნეტავ სურვილით აღსაესე სუნთქვა
 რომელ უხილავ ოცნებას ანდო...
 აქ ხელმოწერაც გაწყვეტილია
 და დარჩენილა მხოლოდ: ვ. ანტო...

თარგმანი კარლო კალაქიძე.

(დასასრული იქნება)

ნიმუ ნაკვეთი

საბავშვო ჟურნალი „ნაკადული“

(მოგონება)

★

შემიძლია თამამად და დაბეჯითებით ვთქვა, რომ საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ ირგვლივ მომუშავე მესვეურთ სხვა აზრი და სხვა ზისწრაფება არ ჰქონიათ, თუ არა თავის პატარა მკითხველების აღზრდა მომავალი ცნობების გასაუმჯობესებლად. ეს იდეა ასულდგმულზედა და აძლევდა მათ გაუნებელ ენერჯიას, როგორც თაც ისინი მუშაობდნენ ასე უანგაზოდ, ასე ერთსულოვნად. იმათ ყოველთვის ახსოვდათ და გარდაუვალ მცნებად ჰქონდათ აღიარებული დიდი რუსი კრიტიკოსის ბესარიონ ბელინსკის აზრი, რომ, „წიგნს, რომელიც იწერება ბავშვებისათვის, უნდა ექიროს ბავშვთა აღზრდის გეგმაში ერთი უმთავრესი და უაღრესად საპატიო ადგილი“-ო. არ მახსოვს არც ერთი მოთხრობა ან ლექსი, ან მეცნიერული თუ პოპულარული წერილი, რომ ამ თვალსაზრისით არ ყოფილიყო განხილული „ნაკადულის“ სარედაქციო კომისიის კრებაზე.

ამ წერილში ჩემს საგანს არ შეად-

გენს „ნაკადულში“ მოთავსებულ მასალების შინაარსზე ლაპარაკი. ეს საკითხი უთუოდ საინტერესო საკითხია და ის უნდა იქნას განხილული და გაშუქებული ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში, რომელიც ელის თავის შემდგენელს და რომელიც ჯერჯერობით ხელუხლებელ უბანს წარმოადგენს.

ამ წერილში შეეჩერდებით „ნაკადულში“ და მის მომუშავე პიროვნებებზე; ვფიქრობ აგრეთვე ინტერესს არ იქნება მოკლებული გავაცნოთ საზოგადოებას, როგორ აღმოცენდა და როგორ სჩქეფდა „ნაკადული“ მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში 1904 წლიდან 1928 წლამდე.

ვის არ მოეხსენება, რომ „ნაკადულის“ პირველი მესვეური, პირველი მოქირანახულე, დამაარსებელი იყო მარიამ ივანეს ასულ დემურია.

მიუხედავად იმ დიდი როლისა, რომელიც მან იკისრა ქართული საბავშვო ლიტერატურის შექმნაში, ჯერ არ არის მისი პიროვნება შესწავლილი და

მისი ცხოვრება გაშუქებული.

მარიამ ივანეს ასულს მე ვიცნობდი: ბავშვობიდან, გავიციანი ოთხმოციან წლებში, როდესაც ერთკლასიან ქალთა სასწავლებელში ვსწავლობდი.

აი, როგორ მოხდა ეს გაცნობა:

ერთ მშვენიერ გაზაფხულის დღეს სასწავლებელში ჩვენს მასწავლებელთან ერთად შემოვიდა ახალგაზრდა ლამაზი ქალი, როდესაც ბავშვებმა სალაში მივეცი, ჩვენმა მასწავლებელმა ნინო ქიქოძემ მოგვმართა:

— ბავშვებო, დღეს ჩვენთან მოვიდა სტუმრად ჩემი ზეგობარი მარიამ ივანეს ასული ივინოვა, ხოლო ხვალ კი ის მოვა თქვენთან ჩემს მაგიერ და გასწავლით ერთი კვირის ან ათი დღის განმავლობაში.

ჩვენ ძალიან გვიყვარდა ჩვენი მასწავლებელი და გვინდოდა აქტიურბულიყავით, რომ გეტოვებდა, მაგრამ შეეხედეთ მარიამის მშვენიერ ზოცინარე სახეს და ერთბაშად დაემშვიდდით, მით უმეტეს, რომ ჩვენი მასწავლებელი ერთი კვირის შემდეგ დაბრუნებას გაპირებოდა.

— მე იმედი ზაქვს, თქვენ ისევე კარგად ისწავლით და ყველაფერს გაუგონებთ და დაუჯერებთ ჩემ მიგობარს, როგორც მე მიგონებთ და მიჯერებთ, არ გააჯავრებთ და კარგი ბავშვები იქნებით, როგორც ყოველთვის. აბა, თქვენ იცით, ახლა კი მშვიდობით, გვითხრა მან და გავიდა. ჩვენთან დარჩა მარიამი.

არ ვიცი და ვერც ვიტყვი, როგორი მასწავლებელი იყო მარიამი, მაგრამ ჩვენ ყვლამ შევიყვარეთ იგი: მისი აღერსიანი ხასიათისა და იმ ყურადღებისათვის, რასაც ჩვენ გვანდომებდა.

მოდოდა ჩვენთან დილით. ტანზე ლურჯი კოსტუმი ეცვა და თავზე რკალი პატარა ლურჯი ქუდი ეხურა. მოვიდოდა თუ არა, ჩვენ ყველა გვეცემოდით გრძეოდით ვკოცნიდით.

— დაიცათ ბავშვებო დაიცათ, არ წამაქციოთ, — გვეუბნებოდა ჩემს მოგდებოდა სადმე სკოლის ენობში, ან კლასში მერხზე და ნებას ვეძლევა შემოვსხდომოდით ირგვლივ, ვისაც როგორ გვესიამოვნებოდა, და გვეამბუნა მისთვის ჩვენი შინაური ამბები, ჩვენი თავგადასავალი, და გამოგვეთქვა ჩვენი სიხარული, რომ ის ჩვენთან იჯდა ისეთი ლამაზი და ისეთი აღერსიანი.

თვითონაც გვიამბობდა სხვადასხვა ამბებს თბილისის შესახებ.

მახსოვს პირველად მისგან გავიგონეთ რომ არსებობს ქალაქი გორი და გორის დიდი „უზარმაზარი“ „თვალუწედნი ციხე“.

— მეც გორელი ვარ, — გვითხრა მან და ჩვენც მაშინვე შევიყვარეთ მისი ხაოროთ გორიც და გორის ციხეც, — თქვენ ხომ ვაგიგონიათ თამარ მეფე?! —

რასაკვირველია, ვაგვიგონია, იმან დაარქვა ჩვენ ქალაქს ოზურგეთი,

— ვუთხარი ზე, როგორც ეს სხვებისაგან მქონდა ვაგონილი.

— ჰო და აი, ამბობენ, — განაგრძო მარიამმა, — რომ გორის ციხეც თამარ მეფემ ააშენაო. გორელები არიან ანტონ ფურცელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი... რატერინე ვაბაშვილი...

ჩვენ ძალიან ვაგვიხარდა, რომ მარიამი იცნობდა „ყაყიტას ქურდის“ აეტორს.

გვიკითხავდა აგრეთვე სხვადასხვა ამბებს. მახსოვს როგორ წავგიკითხა პოემა (მგონია ეურნალ „ივრიაში“ დაბეჭდილი), თუ როგორ გახდა იძულებული ახალგაზრდა ქალი ზიეტოვებინა ქუჩაში უპატრონოდ ჩვილი ბავშვი და რა მწუხარებას განიცდიდა ის, როდესაც ემშვიდობებოდა თავის პატარას. ჩვენ, როგორც ახლა ვფიქრობ, საღისობით არ გვესმოდა იძულებით ბავშვის მიტოვების ტრაგედიის მნიშვნელობა, მაგრამ მკითხველი მწარედ

ტიროდა და ჩვენც ვიცრმელვობდით კითხვის დროს: ამ პოემის კითხვამ ორი თუ სამი დღე გასტანა, რადგანაც ქართულ ენას ერთი საათი ეთმობოდა ჩვენს სკოლაში, დანარჩენი სამი საათი კი სხვა საგნებისათვის იყო განკუთვნილი, მაგალითად, რუსული ენისა, ანგარიშისა, წერისა, ხელსაქმისა ან სიმღერისათვის.

რუსული ენა სრულიად არ გვესმოდა და ყველაფერს უაზროდ ვიზებობდით. რუსულ ენას ქალაქის ექვს კლასთან ვაეთა სკოლის ინსპექტორი გვარად ბირშერტი გვასწავლიდა. ბირშერტი მაღალი, სქელი, მზიარული კაცი იყო. დაგვიჩინოდა, როდესაც სიტყვებს ვამახინჯებდით. მაგალითად, „Сивка бурка вещь каурка“ ერთმა ბავშვმა, წულუკიძემ, ასე უთხრა „Сиква бука ваши დაუკრა“. — Летаła сова веселая голова“ მოწაფემ ტერეზია შავარდნაძემ ასე ისწავლა: „ნეტა საბა ვასია გალავა“. ამისთანა პასუხებზე მასწავლებელი გადასწევდა თავს და ყოველთვის გულიანად ხარხარებდა, გვიბარტყუნებდა ხელს ზურგზე და გვეუბნებოდა: „ах вы грузиночки голопяточки“. ჩვენ, რასაკვირველია, არ გვესმოდა რას იცინოდა მზიარული მასწავლებელი და ვიცინოდით.

და აი ერთხელ უსიამოვნებაც მოუვიდა ბირშერტს მარიამთან. ჩვენ ვისხედით მერხებზე მარიამის გარშემო, ეუსმენდით კითხვას და ვტიროდით. ისე ვიყავით კითხვით გართულნი, რომ ვერ გავიგეთ როგორ შემოვიდა და თავზე დაგვადგა ბირშერტი. რაღღენ ხანს იღვა არ ვიცი, მაგრამ რაღაც უთხრა წყენით ხმამაღლა მარიამს, მგონია იმის შესახებ, რომ დასვენება არ გეჭონია, რომ კითხვა დიდხანს გრძელდებოდა.

— ეს კითხვები სჯობს, ბატონო, თქვენ გაიკეთილებს—უპასუხა მარიამმა,—ბავშვებს არ ესმით, ბატონო,

თქვენს გაკვეთილებში ვერ ხედავთ, რომ ბავშვები თქვენს წყველების უაზროდ იხეიარებენ. ბირშერტი მისდებოდა ლევიცკის ძეთოდით ასწავლობდა... ტყე-ლად წყლის ხაყვაა თქვენი სწავლეა...

ჩვენ არაფერი გვესმოდა მათი ლაპარაკისა, 'შემდეგ თვითონ მარიამმა გვიამბო ამ ლაპარაკის მიზეზი და მიხაარსი.

ბირშერტი მარიამის სიტყვებზე გაწიწაქადა, გაბრაუნდა და მკაცოდ დაიწყო ლაპარაკი. არ ვიცი სადამდის გასტანდა ეს უსიამოვნო ლაპარაკი, რომ ჩვენი გალობის მასწავლებელი გრიგოლ ივანეს-ძე ქიქოძე არ შემოსულიყო.

ბირშერტი დაშოშმინებული წავიდა და ჩვენც შევეუდექით გალობის სწავლას.

მეორე დილას ჩვენი მასწავლებელი და მარიამი ერთად შემოვიდნენ კლასში. მარიამი ყველას ალერსიანად გამოგვეშვილობა, ყველა სათითაოდ გადაგვკოცნა და თავისთან სტუმრად დაგვპატიჟა. ჩვენ მხოლოდ იმიტომ არ ავტირდით გამომშვიდობებისას, რომ დაგვპირდა, ხშირად ვივლი თქვენს სასახავადო, ამასთან გაზარებულიც ვიყავით ჩვენი ძველი საყვარელი მასწავლებლის დაბრუნებით.

არ ვიცი იყვნენ თუ არა მარიამთან ჩვენი მასწავლებლის ბავშვები, მაგრამ მე და ერთი ჩემი ამხანაგი ჭყონია წავედით მის სასახავად.

რომ შევედით ოთახში, დავინახეთ: ტახტზე იჯდა ფეხმოკეცილი ხანშიშესული ქალი, შავებში.

— მაშოსთან მოხვედით? — გვკითხა მან, — მაშო ჩქარა მოვა. ზანამდი დასხედით, ხმელ ხილს შეეჭეცით,—გამოგვიწია მან თიფშით ხმელი ხილი,—აი. ფსკა ალფანაბალი, ჩურჩხელა, აჭმის ჩირი ჩამიჩი... თბილისიდან მოაგვივიდა,—გვეუბნებოდა ის ალერსიანად.

ჩვენ არასოდეს არ გვენახა არც ფსტა და არც აღჯანაბადი და შევეუდეთ ატმის ჩირისა და ჩაშინის ქამას, მოვერიდეთ ჩურჩხელასაც ეს ჩურჩხელა, არ პავება ჩვენებურ წვრილსა და გრძელ ჩურჩხელას, რომლებშიაც გამოსკვივის თბილის ზარცვლები; ეს ჩურჩხელა იყო მოკლე-მოკლე, სქელი და დაშქრული, და ჩვენ გვეგონა გაფუჭებული იყო და არ გვიქამია.

— აბა რა გქვიათ, ქალებო! — გვკითხა მოხუცმა ქალმა. მე ვუთხარი ჩემი სახელი და გვარი.

— შენა? — ის მიუბრუნდა ჩემს ამხანაგს.

— მე, — ცოტა არ იყოს შეწყოყმანდა ჩემი ამხანაგი, — მე მატრონე მქვია.

— მატრონე კი არა, გინატრე მქვია, — შევძახე მე.

— უი, ქა, რა კარგი სახელი გქონია და მატრონე რად დაირქვე, შეილო? აბა, გინატრეს რა სჯობია.

— ნათლობის სახელი მატრონეა, გინატრეს ნენან ვენატრებოდი და იმიზე დამათქვა, — სთქვა ჩემმა ამხანაგმა მორცხვად.

ამ ლაპარაკში მარიაშიც შემოვიდა, გაგვიცინა, მოგვიალერსა.

ისევ იმავე ლურჯ კოსტუმში იყო გამოწყობილი და, როდესაც ქუდი ზოიხადა ქაკეტი გაიხადა და თეთრ კოფთიანი ჩვენთან დაჯდა, კიდევ უფრო მიმზიდველი და საყვარელი გვეჩვენა, ხილი მოგვიმატა, ჯიბეებშიაც ჩაგვიყარა კვლავისთვისაც დააპატიყდა და მზიარულები გამოგვისტუმრა.

2.

გავიღა წლები, მარიაში აღარ მინახანეს ოზურგეთიდან მოულოდნელად წაიოდა.

ზას შემდეგ დიდმა ხანმა განვლო.

ჩემს ცხოვრებაში ბევრი და დიდი ცალიობები მოხდა. მე აღარათერი გამიგონია მარიამის შესახებ. რასაკ-

ვირველია, ჩემი ბავშვების ქვეყნული იო დაძვიწყებია, ვერც ვიხსენებ ჩვირად თუ ვიგონებდი.

1895 წ. ზაფხულში დაებრუნდით მე და ჩემი მეუღლე ილია ნაკაშიძე პეტერბურგიდან ბორჯომში. მთელი ზაფხული იქ დხეყავით და შემოდგომაზე თბილისში დამით ჩამოვედით.

დილით, მეორე დღეს, ჯერ კიდევ ყველას გვეძინა, რომ ეზოდან მომესმა ქალის ძახილი:

— კოლია, კოლია!

საჩქაროდ ავდექი და აივანზე გამოვედი. შშენიერი დილა იყო. ახალ-ამოსულ მზის ირიბ სხივებს გაეშუქებინა ჩენი სახლის დიდი, სუფთა, ლამაზი ეზო.

გადავიხედე მეორე სართულიდან ძირს და ვხედავ ვიღაც სასიამოვნო შესახედაობის შავით მოსილი, სირაქლემას შავი ფრთით მორთული პატარა ქუდიანი ქალი დვას და ეძახის კოლია ნაკაშიძეს, ჩემი მეუღლის ძმას:

— რა გნებათ? — ვკითხე.

— კოლია შინ არის?

— სძინავს, კოლიას, გავაღვიძო?

— არა, — მითხრა მან, — ნუ გააღვიძებთ, მხოლოდ უთხარით კონცერტი დღეს საღამოსათვის არის დანიშნული და არ დაავიწყდეს, 12 საათზე რეპერტიციაზე მოსვლა. გიორგი სერგებრიაკოვი, დენიც და კრეინი მოიყვანოს. უკვე გამოცხადებულია იმათი კვარტეტი. ამიტომ მოვედი ასე ადრე, რომ მერე დრო აღარ ზაქვს...

— რა კონცერტია, სად უნდა მოვიდეს? — ვკითხე მე.

— კონცერტი სახალხო კითხვების სასარგებლოდ არის დანიშნული. სადაც უნდა მოვიდეს, თვითონ იცის კოლიამ, მხოლოდ მოვავაღონეთ, არ დაავიწყდეს თქვენც ძალიან გთხოვთ გეთყვე, არ დაავიწყდეთ მოგონება.

თავი დამირა და ის იყო უნდა წასულიყო, რომ ჯერ კიდევ ითა სართულიდან, რაღაც პაწაწინა, წითელკაბი-

ნი და ლურჯი ხავერდის ზედატანიანი არსება, მივიდა ქალთან, ერთი პაწაწინა ხელი კალთაში მოჰკიდა, მეორე კი ჩამოსართმევად გაუწია.

უცებ შევშინდი მის დანახვაზე. ქალმაც შეშინებული და გაკვირვებული დაუწყო ცქერა და უცებ კი გაიცინა, თვითონაც ხელი გაუწოდა და ჩამოართვა.

არაფერი არ მესმოდა.

— ოჰო, გამარჯობა, გამარჯობა! — საიდან მოცუნცულდი შე კულრაჭავ, — მიუალერსა ქალმა.

ქვევითა სართულიდან, იქიდან, საიდანაც პატარა არსება გამოცუნცულდა, სწრაფად გამოვიდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა რუსის ქალი და ზიიზინა მოსულ ქალთან. მას გამოჰყვა ოფიცერი, ორივემ ბოდიში მოიხადეს; ქალმა მაშინვე აიყვანა პატარა არსება ხელში და გულში ჩაიკრა, ოფიცერმაც მიუალერსა პატარას.

— რა მშვენიერი პატარა მაიმუნია, სად იზოვნეთ? ჰკითხა სიცილით მოსულმა ქალმა.

— ოო, ეს მაიმუნი კი არა, ჩვენი შეილია... — მიუგო მას რუსის ქალმა.

— როგორ თუ თქვენი შეილი? — გაოცდა მოსული ქალი. მეც გაკვირვებული ვუყურებდი ზევიდან.

— შეილივით გავზარდეთ და სულ გვაფიწყდება, რომ მაიმუნია... გვიყვარს, როგორც ნამდვილი შეილი... სულ პაწაწინა, თითის ტოლა მოგვიყვანეს.

— აჰა, შესის, რასაკვირველია, საყვარელია, — ეფერებოდა სტუმარი ქალი პატარა მაიმუნს და თანაც კიბინოდა.

— ღმერთო ჩემო, — ვფიქრობდი, მის გაცინებას რომ ვუყურებდი, — სად მინახავს ეს ქალი, ვისი სიცილი მახსოვს. ასე კარგად? — თავში რაღაც სასიამოონო მოგონება მიტრიალებდა.

— ნაშ არ დაგავიწყდეს, — დამიქ-

ნია მან თავი, გამოემშვიდობა, მათ და წავიდა.

გიგლონიძე

როდესაც ცხრა საათზე კოლია სასადილო ოთახში ჩაიზე გამოვიდა, სადაც მთელი ჩვენი ოჯახი თავმოყრილი ვიყავით, და ვუთხარი, რომ ვიღაც ქალი მოვიდა, უცებ მომაგონდა მისი გაცინება და თითქოს თავში განიღვრა კიდევაც, ვინც იყო და გავჩერდი...

— ჰო, ჰო, — მითხრა კოლიამ, — მარიამ ღემურია იქნებოდა: ავერ მესამეჯერ მოდის ყოველთვის დილის შვიდ საათზე, არ დაგავიწყდესო.

— მარიამ ღემურია? ვინ არის მარიამ ღემურია?

— მარიამ ღემურია არ იცი? აბა, აწი გაიკნობ, — გაიცინა კოლიამ, — დიდი ნერგისი ქალია, დიდი, მოღვაწე, სადმე უთუოდ გამოგიყენებს, თუ რამე იცი და რამის გაკეთება გეხერხება.

მარიამ ღემურია! ეს სახელი ჩემთვის სრულიად უცნობი იყო და დაემშვიდდი. უთუოდ ვინმეს მივამსგავსე, ვფიქრობდი მე.

ჩვენს ოჯახში კი ყველა იცნობდა მას.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ, ე. ი. ილია ნაკაშიძე, ელენე ნაკაშიძე¹ და მეც მოგვიწვია მარიამ ღემურიამ სახალხო თეატრისა და სახალხო კითხვების კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

სალამოს გამოგვიარა ილიკოს მეგობარმა ექ. ივანე ელიაშვილმა და ყველანი წავედით ერთად. მარიამ ღემურია მაშინ იღვა რუსთაველის პროსპექტზე, ცხოვრობდა დობრჯანის სახლში (სადაც ახლა სოცოზრუნველყოფის სამინისტროა, იმ სახლის ეზოში).

მარიამი ცხოვრობდა მეორე სართოლზე.

შეილით ოთახში და დაინახეთ, რომ იქ უკვე ისხდნენ აკაკი წერეთე-

¹ ელენე პეტრეს ასული ნაკაშიძე, ილიას და.

ლი, იოსებ იმედაშვილი, გიორგი ჯაბა-
ური, არტისტი ადათიძე, გ. ლასხიშვი-
ლი. მასწავლებლები: ეკატერინე წუ-
ლუიძე, ახ. ჩაჩიბაია, არღაზიანი,
ტკოეზია ხშიადაშვილი და სხვ.

ივევლით თუ ახა ოთახში აკაკიმ
მზიარულად მოგვამბავ:

— იყვი კი ძოვედით, მაგრამ დია-
სახლისი ჯერ არ მოსულა შინ და რო-
დის მოვა აღაპმა უწყის.

პატარა ხანს მერე ოთახიდან გამო-
ვიდა ორი შვიდი-რვა წლის პატარა ბი-
ჭი, მათ გამოჰყვა გიორგი ლასხიშვი-
ლის და, ნინო ლასხიშვილი, მარიამის
დიდი მეგობარი.¹

დაინახეს თუ არა ბავშვებმა აკაკი,
შესძახეს:

— ძია აკაკი, ძია აკაკი,—მისცივდ-
ნენ, და მოეხვივნენ, ააცოცდნენ მუხ-
ლებზე და ზურგზე.

— დაიცათ, დაიცათ, — ეუბნებოდა
აკაკი, — სტუმარს ზურგზე უნდა შეა-
ჯდეთ?

— თუ ზღაპარს გვეტყვი, აღარ შე-
გაჯდებით, — უთხრა სახეგაბრწყინვე-
ბულმა უფროსმა, — მიშამ და მობა-
რუნა თავისკენ აკაკის თავი.

— არც მე შეგაჯდები მუხლებზე,
თუ ზღაპარს გვეტყვი,—უთხრა უმც-
როსმაც, ვანიჩკამ.

— ჰო, ჰო, გეტყვით... ჯერ დაი-
ცადეთ, ამ სტუმრებს უნდა ველა-
პარავო.

— არა, არა, ჯერ ჩვენ გვიამბე და
მერე სტუმრებს ელაპარაკე.—ეუბნე-
ბოდა უფროსი.

— ჰო, ჰო, ჯერ ჩვენ, ჩვენ გვიამ-
ბე! — გაიმეორა უმცროსმაც და ორი-
ვე თბონით აკაკის ეწეოდნენ.

— აბა, კარგი, გეტყვით. აბა, დაჯე-
ჭით ჰყვიანად, თორემ არაფერს არ
ვიტყვი და ახლავე გაიქცევი.

— აბა, დაქსხედით, ^{გერმანული} ~~გერმანული~~
ვებმა ჩამოსრიალდნენ ძირს და ზო-
უსხდნენ აკაკის აქეთ—იქით ტახტზე.

— ძია, ჩვენ გვინდა გვიამბო, რო-
გორ აპოვინა აფხაზეთის მეფეს ჭინ-
კამ განძი, შენ რომ დაგვიპირდი.

— ჰაი, თქვენ თვითონ ჭინკებო მე
მახსოვს დაგვიპირდით ვეამბნა, როგორ
აუშენა ფერიამ სეანეთის მეფის მზის-
უნახავ ქალიშვილს ბროლის მაღალი
კოშკი.

— არა, არა, ჭინკამ როგორ აპოვინ-
და განძი... ჩვენ ჭინკა გვინდა.

— აბა მოეშაღეთ, მე ავდგები,
ჭინკას ვანიშნებ ზომავონოს.

— როგორ ანიშნებ, ძია, როგორ?—
წამოხტა ვანიჩკა მოუთმენლად.

— შენ დაჯექი. თუ ადგები არა-
ფერსაც არ მანიშნებს.

ვანიჩკა უსიტყვოდ დაჯდა და ორი-
ვენი მოუთმენლად შესცქეროდნენ.

შევსცქეროდით ჩვენც ყველანი.

აკაკიმ გაიარ-გამოიარა.

— მანიშნა, — სთქვა მან და ჩაჯდა
ისევე ბავშვებს შუა და უამბო ბავ-
შვებს, მე ზგონია ექსპრომტად, საუც-
ხოვო ზღაპარი.

თუმცა ეს ჩემს საგანს არ შეეხება,
მაგრამ ზღაპარი ისე ლამაზი და პოე-
ტური იყო, ისე ხალისიანად და მზიარ-
ულად უამბობდა ბავშვებს, რომ არ
შემიძლია აქ არ მოვიყვანო მოკლედ,
რასაკვირველია, რამდენადაც შესძ-
ლებს ამას ჩემი სუსტი კალამი.

— ძალიან კი მინდოდა მეც თქვენი
ზღაპრის მოსმენა; ბატონო აკაკი, მაგ-
რამ ეტყობა მარიამი არ მოვა და ჩვენ
კი ზეტი დრო არ გვაქვს რეპერტიციანზე
გვიგვიანდება, — სთქვა იოსებ იმედა-
შვილმა და ადგა. ადგა გიორგი ჯაბა-
ურიც და წავიდნენ.

წავიდა გიორგი ლასხიშვილიც.

— ჩვენც რომ წავსულიყავით ური-
გო არ იქნებოდა, მაგრამ ამათ რა ეუ-
ყო, — სთქვა სიცილით აკაკიმ,—აბა,

¹ ნინო ლასხიშვილი შემდეგში მიხილ
ფანეს-მე თაქთაქიშვილის მეუღლე, კომპოზი-
ტორ შალვა თაქთაქიშვილის დედა.

მოამზადეთ ყურები, მოსასმენად, — და მიმართა ბავშვებს, რომლებიც მართლა წყნარად ისხდნენ.

— აფხაზეთში მამა თქვენი ვასო დემურისას მთავარიან ქვეყანაში, სადაც აუარებელი შრილა ტყეა, სადაც მრავალი მდინარე მოშხუის და ბევრზე უბევრესი ნაკადულები მოცქერილობენ კლდეებიდან და მირაკრაკებენ ქვებსა და ლოდებზე, ამ ქვეყნის დასავლეთით... თქვენ ხომ იცით რა არის დასავლეთი? საიდანაც მზე ამოდის დილით — აღმოსავლეთია, საითაც ჩადის საღამოს, აი იმას დასავლეთი ჰქვია. ახლა ხომ იცით?

— ვიცით, ვიცით — შეჰყვირეს ბავშვებმა. — გვეჩქარება ზღაპარი, ზღაპარი ჩქარა!

— ჰო და დასავლეთით გადაჭიმულია თვალწყდენი ზღვა. თქვენ გგონიათ შავი? შავს ეძახიან, თორემ მწვანეა კამკამა, ფირუზის ფერი ზღვა. რა და რა თევზი გინდა შიგ არ ბუდობდეს: ლღავები, სეიბი, ზუთხები, უზარმაზარი ვეშაბები, დელფინები და აუარებელი ქაფშია, ესე იგი წერილი თევზი ზღვის ქაფში რომ ტივტივობს. ჰო და ამ ზღვაზე სხვადასხვა ქვეყნებიდან მოსცურავენ აუარებელი მალა-ანძებიანი, თეთრ-აფრებიანი გემები და ყვირილით იტყობინებიან, — უუუ, მოვდივართ, მოვდივართ, შეგხვდით-ო. აი ამ ქვეყანაში, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია და, რომელიც ისე უყვარს ყოველ აფხაზს...

— როგორც მამას უყვარდა? — შეეკითხა უფროსი ბავშვი — მიშა.

— ჰოო, როგორც მამას უყვარდა...

— დედას? დედას არ უყვარდა? — ეწყინა ვანიჩკას.

— დამაცა, შე კუდრაჟა, თუ არ დამაცლა გავჩუმდები! — დაემუქრა გაცინებული აკაკი.

— არა, არა, ძია, ხმას აღარ ამოვიღებთ, — შეეხვეწა ქიშა.

— ჰო, და აი ამ ქვეყანაში აფხაზეთში ცხოვრობდა ერთი მეფე თემურ-ბეგა...

— ერთი მეფე ცხოვრობდა, სხვა არავინ? — შეწუხდა უცებ უფროსი, შეხედა აკაკის და მოიჭირა პირზე ხელი, რომ არ შეეშალა ხელი თხრობისათვის.

— აფხაზეთში ცხოვრობდნენ, უთვალავი უანგარიშო აფხაზები, რომლებიც ყველაფერს უჯერებდნენ თავის ერთ მეფეს და ემორჩილებოდნენ მას, — განაგრძო აკაკიმ. — ეს თემურ-ბეგი იყო თვალადი და ალვის ხესავით მალალი, ტანადი ვაჟაკი...

— რაა, ძია, თვალადი? — ჰკითხა უფროსმა.

— თვალადი — ლამაზი.

— ტანადი ძია, ძია?

— ტანადი, აი იმ ძიასავით კარგი მოყვანილი, ახოვანი კაცი, — მიუთითა აკაკიმ ექ. ელიაშვილისაკენ.

— ოჰ, ეს ძია... ლამაზი კი არის, მაგრამ ეს რა ახოვანია, გამხდარია... ჩხირსავით აი, ამ ძიასავით მიუთითა მან ხელი ილიკოს.

ჩვენ ყველას გაგვეცინა.

— თუ არ მაცლით...

— გაცლით, გაცლით...

— ჰო, და, — ისევ განაგრძო აკაკიმ, — ამ თემურბეგ შერვაშიას... მე ხომ გითხარი, რომ გვარად მეფე შერვაშიძე იყო მეთქი, არა? ნამდვილად შერვაშიძე იყო, მაგრამ თავის თავს შერვაშიას ეძახოდა, მოუვიდა ერთხელ თავის ძმის მეზობელ მთისა და ბარის მეფე აბარისისაგან გრძელ ეტრატზე დაწერილი ეპისტოლე, ესე იგი ბარათი. სწერდა ძმა:

„აფხაზეთის ბატონო და ჩემო ძმაო თემურ-ბეგ! მტრები შემომესია უნდათ დაიპყრან ჩემი ქვეყანა, მე გამაძეონ და თვითონ გაბატონდნენ ჩემს ქვეყანაში. ჩემი ხალხი უნდათ მიწასთან გაასწორონ, მონად გახადონ. ძმაო და ბატონო ჩემო, როგორც კი ჩემი



ეპისტოლე წაიკითხო, იმ წამსვე მომაველე შენი სახელოვანი რაინდები და გამოიმოგზავნე ოქროები, რომ შევძლო ჩემი ჯარის შენახვა, გაუქმალავედ ბტერს, უკუვაგდო და ვიხსნა ჩემი მიწაწყალი, თორემ დავილუბებით, და ეს ხომ შენთვისაც საწყენია ბატონო ჩემო და ძმაო ჩემო“—იწერებოდა აბარისი.

დიდ საგონებელში ჩავარდა მეფე თემურ-ბეგი შერვაშია. რა ქნას ფირუზისფერი ზღვისა, შრიალა ტყეების და მალალი მთების პატრონმა. მართალია, ყველაფერი ბევრია მის ქვეყანაში, რა გინდა, რა ნადირი არ ბუდობს მის ტყეებში და მთებში: ირმები და ჯიხვები. რა და რა ფრინველები არ დაფრინავენ აფხაზეთის მშვენიერ მინდვრებში და ჭალებში, რა და რა თევზები არ არიან მის ზღვაში მაგრამ ოქროები? ოქროები არ აქვს თემურ-ბეგს და თუ ოქროები არ არის, რაინდებიც ვერ წაელენ მისაშველებლად... დიად დიდ საგონებელში ჩავარდა თემურ ბეგი.

და აი ერთ ღამეს, როდესაც ამ ფიქრებით იყო მოცული, რაღაც წრიბინი შემოესმა:

— ვინ წრიბინებს მანდ?—შესძახა თემურ-ბეგმა.

— მე ვარ, მე თემურ-ბეგ.

— შენ? ვინ?

— მე ჰინკა!

— ჰინკა! დაიკარგე აქედან!..—თემურ-ბეგი წამოიწია და დაინახა პატარა, ოქროს ბეწვით შემოსილი, ოქროს თმიანი ბიჭი.

— ჰინკა ვარ, მაგრამ მე შემოძლია გასაჭირში დაგეხმარო.

— შენ შეგიძლია დამეხმარო, შე გლახავ? როგორ ბედავ ჩემთან მოსვლას... ახლავე სულს გაგაფრთხობინებ, მოგკლავ...—თემურ-ბეგ წამოხტა და ეცა კედელზე დაკიდებულ გრძელ ხმალს.

— მოკლა პატარა თქვენი ნუნკა?— შეპყვირეს ბავშვებმა ბტერსისადმი.

— დამაცადეთ, დამაცადეთ-მეთქი.

— არ მოკლა?—ვერ ითმენდნენ ბავშვები.

— მე შენ ვერ მოძლავ, თემურ-ბეგ, — უთხრა ჰინკამ ეცა, ხელში და გააჩერა პაერში აწეული ხელი.

— ოჰ, შენ ღონიერი ყოფილხარ, მაგრამ მაინც ვერ გადაშირჩები, — გაჯავრდა თემურ-ბეგი.

— მაშ არ გინდა დაგეხმარო?

— დაიკარგე, აბა, რა დახმარება შეგიძლია?

— შემიძლია და გეტყვი, თუ შენ შეიდი ოქროს რაში რომ გყავს იმათ მომცემ სამაგიეროდ.

— ჩემ შვილ რაში? რას ამბობ, რად გინდა შენ შვილი რაში?—გაუკვირდა თემურ-ბეგს.

— მინდა. მე ექვსი ძმა მყავს და სწორედ შვილი რაში გეჭირდება, შუალამისას, როდესაც ჩვენი შვილი ვარსკვლავი ამოტრწყინდება ცის კამარაზე, რომ შევჯდეთ და ვინაგარდოთ ტყეებსა და ღრეებში, მთებსა და ველებზე.

— მაშ თქვენ აქნებთ ჩემს რაშებს ღამ-ღამე? თქვენ უწნავთ იმათ ოქროს ფაფარს და ღლით?

— დიად, ჩვენ.

თემურ-ბეგი ისევ გაიწია ხმლისაკენ.

— მე ხომ სამაგიეროდ, ისეთ რამეს გამოვინებ...

აკაკი შეჩირდა, ჩვენსკენ გამოიხედა:

— რა ექნა, რომ არ შოდის ეს მარიამი...

— რას მოგკომო, ძია, რასო? თქვე ჩქარა, — გამოსწია სახელოზე მიშამ.

— ჰო, სწორედ ასე ჰკითხა თემურ-ბეგმაც, — ნეტავი რა უნდა მოძეცო.

— აერ მითხარი, მაძლევ თუ არა რაშებს?

— ჯერ შენ მითხარი, რას მაძლევ სამაგიეროს?

— არა შენ მითხარი ჯერ, მაძლევ თუ არა რაშებს?

თემურ-ბეგ ცოტახანს დაფიქრდა;—
თუ არ მოეწონა რასაც მპიოდება, არ
ბივცემ, გავაგდებ და ის იქნებაო.

— ჰო, თუ მომეწონა შენი პირობა,
მოგცემ... ერთს... — უთხრა მან.

— არა, ერთი არ მინდა. მე ხომ ექვ-
სი ძმა ჰყავს. შენ ხომ გინდა შენ ძმას
აბარისს დაეხმარო, მეც მინდა ჩემს
ძმებს ჰყავდეს ოქროს რაშები.

კარგახანს იკამათეს და ბოლოს თე-
მურ-ბეგი დასთანხმდა, — მოგცემო,
და მაშინ პატარა ოქროს ბიჭი ჭინკა
დატრიალდა, სიხარულით შეხტა და
შეიკუნტრუშა და შესძახა გახარე-
ბულმა:

— არ ინანებ, თემურ-ბეგ, არ ინა-
ნებ. შენ ხომ ოქროები გინდა? და მე
გამოვინებ შენ განძს უთვალავ უანგა-
რიშოს.

— სად, როგორ, რამდენს?—წამოხ-
ტა უცებ თემურ-ბეგი.

— უამრავს, უამრავს. შენ თემურ-ბეგ
მომზადე ასი აქლემი, ასი ჯორი, ასი
ურემი, ასი სახედარი და შენი შვილი
რაში, და შუა ღამისას, როდესაც ცაზე
ჩვენი შვილი ვარსკვლავი აირთება, მე
და ჩემი ძმები მოვალთ და წაგიყვანთ.
ერთი დღე-ღამე უნდა ვიაროთ; მეორე
ღამეს, შუაღამისას, როდესაც ისევ გა-
მოჩნდება ცაზე შვილი ვარსკვლავი, იქ
უნდა ვიყოთ, მთა შხარას ძირას. სწო-
რედ ამ დროს აიწვევა უხარმაზარი
შხარა, რომ ამოიხუნთქოს, და სწორედ
ამ დროს შევალთ შიგ, დავტვირთავთ
ას აქლემს, ას ჯორს, ას ურემს, ას
სახედარს, და მეორე ღამეს როდესაც
მთა ისევ ამოიხუნთქავს და აიწვევა, გა-
მოვტიანთ... არ დაგავიწყდეს ჩემი
სიტყვები და შენი პირობა თემურ-ბეგ,
თორემ მე შენს რაშებს წაიყვან და
შენ კი უგანძოდ დარჩები, — სთქვა
ჭინკამ და გაქრა.

აკაკიმ საათს დახედა.

— მეტი დრო აღარ მაქვს, — სთქვა
მან, — ჩვენი დიასახლისი არ ჩანს და
მე კი უნდა წავიდე...

— განძი, განძი, — ყველაფერი იქნება შე-
ნები და ეხვეოდნენ ყელზე.

— აბა, რა ვუყო ახლა ამ საძაგ-
ლებს—გაიციან აკაკიმ და განაგრძო.

— გაელვოდა თემურ-ბეგს და ფიქ-
რობს,—მართლა იყო ის ჭინკა თუ
სიზმარში ვხახე? ზართალი იყო თუ
სიზმარში იყო? რა ვენა, დაევიჯერო,
თუ არ დაევიჯერო?—ბოლოს ადგა, გა-
დასწყვიტა, მოემზადებინა ასი აქლემი,
ასი ჯორი, ასი ურემი და ასი სახედა-
რი... და უცდიდა. აჰ, რომ იცოდეთ,
როგორ ელოდა შუაღამეს და სულ ცი-
საკენ იყურებოდა. შუაღამისას აკიფ-
და ცაზე შვილი ვარსკვლავი და მაშინვე
მოადგა კარს შვილი ძმა, ოქროს ჭინკე-
ბი. მეჯინებმ გამოიყვანა შვილი ოქ-
როსფერი რაში... შვილი რაში, მაგრამ
რა რაში, უკეთესს კაცის თვალი ვერ
ნახავდა რაშები ტორებს სცემდნენ მი-
წაზე და ცაში ვარსკვლავებს ეთამაშე-
ბოდნენ. მოახტნენ რაშებს ჭინკები,
დაუწყნეს ფაფარი, ჩააღეს ხელები და
გააქენეს და გამოაქენეს. შემდეგ ას
აქლემზე. ას ჯორზე, ას ურემზე შესხ-
დნენ ას-ასი წითელ-ჩოხიანი და თეთრ-
ჩაბალახიანი აფხაზი, მხოლოდ ას სახე-
დარზე არ შეჯდა არცერთი აფხაზი.

— აბა, ღმერთო კი ზომკალი ვირზე
შეჯდომა ვის ეკადრება, როგორ შეე-
ჯდებითო!

და ყველანი გაემართნენ შხარა მთი-
საკენ: წინ მიჰქროდნენ ოქროს რაშე-
ბით ოქროს ჭინკები, შემდეგ მძიმედ
და ღინჯად თავის ქნევით მიაბიჯებდ-
ნენ მრუდე ფეხებს აქლემები, შემდეგ
მითოხარიკობდნენ ჯორები, შემდეგ
მიტრიალებდნენ ურემები უკან კი მათ
მისდევდენ ყურებჩამოყრილი ვირები.

გათენდა. მზემ თავის ბრწყინვალე
სხივები გადმოაფრქვია და გაამუქა
აფხაზეთის მთაგორები, გაამუქა და
გააბრწყინვალა მინდორ-ველები, ააშ-
რიალა ტყეები, ააქიკიკა ფრინველები.

ნაკადულებმა იწყეს ქვებზე ჩხრიალი, ზღვამ აამღერა თავისი ტალღები.

მგზავრებმა იარეს, გადაიარეს მთები და ღრეები და სწორედ შუალამისას მიაღწიეს შხარას ზალალ მთას. აქიაფდა ცაზე ვარსკვლავები. მთამ მძიმედ ამოიხვნეშა, აიწია და ამოისუნთქა, და სწორედ ამ დროს სწრაფად შევიდნენ შიგ შვიდი რაში, ასი აქლემი, ასი ჯორი, ასი ურემი და მთამ ისევ იწყო დახურვა. ყურებჩამოყრილი ვირები კი რჩებოდნენ გარეთ.

აკაკიმ ისევ დახედა საათს.

— მეტი დარჩენა აღარ შემიძლია... უნდა წავიდე, — სთქვა მან.

— ოჰ, არა, არა ძია, გაათავე, გაათავე. რა ქნეს? ვერ შევიდნენ ვირები მთაში?... — ყვიროდნენ ბავშვები.

ზაგრამ რამდენსაც არ ებღაუჭებოდნენ და ეხვეწებოდნენ, აკაკი აღარ დარჩა და პირდაპირ გაიქცა.

ჩვენც ისე წამოვედით ამ საღამოს, რომ მარიამი ვერ ენახეთ. რამდენიმე დღის შემდეგ კი თვითონ მოვიდა ჩვენთან, გვთხოვა ისევ მივსულიყავით.

ამჯერად კრება შესდგა. დაესწრნენ სახალხო თეატრში მოთამაშენი ნ. გოციური ჯე, ი. იმედაშვილი, გ. ჯაბაური, მშველიძე, მნელაძე, ეკატერინე წულუ, იძე, ანა ჩაჩიბაია, გ. ლასხიშვილი, ანა არღაზიანი და სხვ. ელიაშვილი, ილყო და მე ისევ ერთად მივედით.

ყველანი ჩავეწერეთ სახალხო თეატრის მოთამაშეთა რიცხვში.

წარმოდგენები იმართებოდა ავჭალის ქუჩაზე, ეგრეთ წოდებულ ავჭალის სასადილოში, ამ დროს იქ სასადილო აღარ იყო. იმართებოდა სახალხო წარმოდგენები და სახალხო საბავშვო კითხვები ბუნდოვანი სურათებით. პირველი საკითხი იყო თეატრის საკითხი, ზეორე—ქართული სახალხო კითხვების მოწყობის საქმე, რომელიც მარიამს ჰქონდა მინდობილი.

ილიკო და ეკ. ელიაშვილი მუშაობდნენ რუსული კითხვების სიაში და იცისრეს ქართული კითხვების ორგანიზაციაც მოეგვაოებიხათ და მოეხსენებინათ შემდეგი კრებისათვის, რომელიც ერთი კვირის შემდეგ დაინიშნა მარიამთან.

მდივნობა არავინ არ იცისრა დროს უქონლობის გამო და მარიამმა სთქვა:

— აი, ხქნება ამ იმერელ ქალს ესთხოვოთ,— მომზარათა მე.

— ეს გურული ქალია,— უთხრეს იქიდან—აქედან.

— ჰოი, მართლა?— სთქვა მან,— მე გურიაში ვყოფილვარ. მაზრის აკუშერკად ვიყავი. ერთი კარგი მეგობარი მყავდა იქ ეოზეფინა ქიქოძე.

ეოზეფინა (ნინო) ქიქოძე ხომ ჩემი მასწავლებელი იყო. ყველაფერი გამახსენდა.

— თქვენ მარიამ ივინოვა ხართ?— წამოვხტი მე.

— დიაღ, მაგრამ თქვენ გინახივართ?

მოვავონე საღ და როგორ გავეცანი და უნებურად ვუთხარი:

— როგორ გამოცელილხართ?

— ძალიან,— მითხრა მან,— მას შემდეგ თხუთმეტი წელიწადი გავიდა, მაშინ, თქვენ რომ ნახეთ დედაჩემი, მომიკვდა, გავთხოვდი, ვასო გარდამეცვალა... გურიას ყოველთვის სიამოვნებით ვიკონებ. ძალიან მიყვარს...

და ლაპარაკი გურიის შესახებ ჩამოვარდა.

ამის შემდეგ აღარ შეწყვეტილა ჩვენი ურთიერთობა. მარიამი მაშინ უმთავრესად მუშაობდა სახალხო კითხვების, სახალხო თეატრის, პოლიტიკურ პატიმართა და ღარიბი მოსწავლეების დახმარების საქმიანობაში და საკვირაო სკოლებში. აწყობდა საღამოებს, დიღებს, კონცერტებს, წარმოდგენებს, ღარიბი სტუდენტების საარგებლოდ და უამრავ ბილეთებს ავ-

რცელდება თავის აუარებელ ნაცნობებში. ჩვენც ყველანი დიდი ხალისით ვეხმარებოდით; ისე დაგვაღებდა რაიმე საქმეს—გაცივებული, ალერსიანი სახით დაბეჯითებით და გატაცებით, რომ ამ საქმის გაკეთება რომც არ გდომოდით, მაინც ემორჩილებოდით მის გავლენას.

მუდამ მოძრავი, მხიარული, სხვადასხვა საქმეებით დატვირთული, ნამდვილი ენტუზიასტი და პოეტი იყო თავის საქმის ორგანიზაციულად მოწყობაში.

ის აღმერთებდა თავის ორ პატარა ბიჭუნას და ბავშვებსაც თავდაიწყებოდა, გაგიჟებით უყვარდათ ღედა.

ნინო მიხეილის ასული თაქთაქიშვილი, მარიამის გულითადი მეგობარი რომელიც გათხოვებამდის დიდხანს ცხოვრობდა მასთან, ახლაც ივონებს, როგორ დაეტაცებოდნენ ბავშვები მარიამს შინ დაბრუნებამას, სანამ არ წააქცევდნენ არ მოეშვებოდნენ, ჰკოცნიდნენ, ეხვეოდნენ დაუსრულებლად და ღედაც ბედნიერი, გახარებული ეუბნებოდა:

— დაიცავთ, თქვე კუდრაქებო, ვასოს სულსა ვფიცავ, მეტი აღარ შემიძლია.

— საღამოს სანამ მარიამი არ მოვიდოდა შინ, რაც უნდა გვიან ყოფილიყო ბავშვები არ დაიძინებდნენო.— ივონებს ნინო მიხეილის ასული დიდი სიყვარულით.

ახლა, როდესაც მარიამზე ვფიქრობ, პირდაპირ მივირის, როგორ ასდიოდა და ასწრებდა სამსახურსაც, ამასთან ამდენ დროს ახმარდა სხვადასხვა საზოგადო მოღვაწეობას და ამავე დროს ასე ყურადღებით ეპყრობოდა ირგვლივ ყველას.

1898 წლამდის ვიყავით საზოგადო მუშაობაში ჩაბმულნი მასთან და ანასტასია მიხეილის ასულ თუმანიშვილ-წერეთელთან რომელიც ამ დროს

ხელმძღვანელობდა გაბრძნობის ეურნალ „გეგრილსა“¹ და მისი საქმიანობის და საზოგადოების და საეკერაო სკოლებსაც. ილიკო კი ამ დროს დუხობობის საქმით იყო დაინტერესებული და ამ საქმის გამო კიდევაც გაასახლას მის მაშინდელმა მთავრობამ ამიერკავკასიის ფარგლებიდან. მეც იძულებული გავხდი 1898 წ. გადავსახლებულიყავი მოსკოვს და მხოლოდ 1903 წელს დავბრუნდით მოსკოვიდან.

ამ დროს თბილისში რევოლუციური მოძრაობა იყო დაწყებული. და მთელი ახალგაზრდობა გატაცებული იყო მიტინგებით, პარტიების პროგრამების შესწავლით. ქალემს გვიანტერესებდა ქალთა თანასწორუფლებიანობის და ავტონომიის საკითხი. ვწერდი მოთხრობებს. 1903 იანვრიდან დაწყდა: „კვალმა“ ჩემი მოთხრობის „ძიძას“ ბეჭდვა.

ზარიამ დემურია ისევ განაგრძობდა თავის მოღვაწეობას.

როგორც მახსოვს, 1903 თუ 1904 წლის დასაწყისში ქუჩაში შემხვდა ნინო ელიზბარის ასული ქობულაშვილი, გამაჩერა და მკითხა:

— რატომ არ იყავით კრებაზე, საბავშვო ეურნალის ნათლობაზე? სახელი დაეარქვით „ნაკადული“. ყველა ჩვენი მოღვაწეები იყვნენ: მარიამ ვახტანგის ასული, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჭავარიანი, სოფრომ მგალობლიშვილი, გიხტანია, შმერლანგი, მიხეილ თაქთაქიშვილი და სხვ. სახელის დარქმევამ დიდი კამათი გამოიწვია. აკაკი ამბობდა: „ნამი“ დავარქვათო, ივანე მაჭავარიანს „წყარო“ უნდოდა, სოფრომ მგალობლიშვილი და ჰაშო (მარიამ დემურია) ამტკიცებდნენ „ნაკადული“ სჯობიაო. ყველამ მხარი დაუჭირა „ნაკადულს“.²

¹ მიხეილ ივანესძე თაქთაქიშვილის სიტყვით პირველად სახელი „ნაკადული“ სოფრომ მგალობლიშვილის ინიციატივა იყო.

მით უმეტეს, რომ შმერლინგის სიტყვით „ნაკადული“ დასურათება უფრო ედექტიანადაც შეიძლებაო. აკაკიმ ამაზე იოხუნჯაა:—კარგია, „ნაკადული“ გეჯილს მორწყავს და საუცხოო მოსავალი იქნებაო.

3.

რამ გამოიწვია ქურნალ „ნაკადულის“ დაარსების საჭიროება, როდესაც თბილისში უკვე გამოდიოდა ერთი საბავშვო ქურნალი „გეჯილი“ ჩვენი პარტიკულური მოღვაწის ანასტასია მიხეილის ასულ თუმანიშვილი-წერეთლის ხელმძღვანელობით, არ ვიცო, მარიამისაგან ამის შესახებ არაფერი გამოგონია. მხოლოდ ვიცი, რომ ანასტასია მიხეილის ასული ძალიან უკმაყოფილო იყო და თანამგზონობებიც ჰყავდა. ამბობდნენ, რომ ყველა ძალები უნდა შეერთებულყვენ და ერთი კარგი ქურნალი საკმაო იქნებოდა ქართველი მკითხველი ბავშვებისთვისაო. ამ აზრის იყო მწერალი დავით კლდიაშვილიც. მხოლოდ მომხრეებიც ბევრი ჰყავდა „ნაკადულის“ დაარსებას. მაგალითად, ამ ქურნალის საჭიროების მომხრეები და ინიციატორები იყვნენ, მარიამ დემურჩიას გარდა, ნინო ელიზბარის ასული ქობულაშვილი, ცნობილი მოღვაწე ქველმოქმედი და მეცენატი, რომელმაც იკისრა ამ ქურნალის გამოცემისათვის საჭირო ხარჯები, ისეთი დიდი პედაგოგი და საბავშვო მწერალი როგორც იყო იაკობ გოგებაშვილი, მწერალი სოფრომ მგალოშვილი, გ. გებტმანი ივანე ნიკოლოზის-ძე მაჭავარიანი, წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სკოლის დამაარსებელი ილია წინამძღვარიშვილი, პედაგოგი მიხეილ ივანის-ძე თაქთაჩიშვილი, შიო ჩიტაძე, ალექსი მირიანაშვილი, ექ. ბალარაიშვილი და სხვ.

1903 წ. აგვისტოში ინიციატორების მიერ არჩეულმა კომისიამ შეადგინა

ქურნალ „ნაკადულის“ გამოსაქვედ სკარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა.

უნდა გამოსულიყო წლის განმავლობაში მცირეწლოვანთათვის (7—10 წლის ბავშვებისათვის) ორკვირეული 24 გვერდიანი მოზრდილი ფორმატის ქურნალი, წელიწადში 24 ნომერი; და მოზრდილთათვის ჩვეულებრივი წიგნის ფორმატის 64 გვერდიანი უოველთვიური წიგნი—წელიწადში 12 ნომერი, 1200 ცალი ტირაჟით. საბავშვო ქურნალებს გარდა უნდა გამოცემულიყო მშობლებისათვის პედაგოგიური ფურცელი 16 გვერდიანი, წელიწადში 6 ნომერი. სამივე ქურნალის აწყობა-დაბეჭდვა-აქინძვა, ქაღალდი, კორექტურა პონორარი (3 კაბ. პროზა და 5 კ. ლექსი) რედაქციის ბინის ქირა, რედაქციისათვის საჭირო წიგნების შესაძენი და ფოსტის ხარჯები, დამლაგებლის ქირა, გათბობა, განათება და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები ნავარაუდევია იყო 8000 მან. შემოსავალი გათვალისწინებული იყო 5200 მან., ხოლო ზარალი 2800 მან. ხარჯთაღრიცხვაში აღნიშნული იყო, რომ ქურნალის საქმეებს განაგებს, როგორც სარედაქციოს, ისე სამეურნეოსაც, სარედაქციო კომისია. სარედაქციო კომისიაში შედიოდნენ: მ. ი.-ას. დემურჩია, გ. გებტმანი, ექ. ბალარაიშვილი, შიო ალექსანდრეს-ძე ჩიტაძე, ივანე ნიკოლოზის-ძე მაჭავარიანი; ყველანი მუშაობდნენ უფასოდ. სარედაქციო კომისიის კრიბა კანონიერად ითვლებოდა, თუ სამი წევრი მაინც ესწრებოდა. კომისიის წევრებს ცალკე არ შიქლოთ მოიხდინათ ქურნალის შესახებ რაიმე განკარგულება, ან გაეწიათ რაიმე ხარჯები.

ხარჯთაღრიცხვაში ამასთან აღნიშნულია:

„ქურნალი არავის არ გაეგზავნება უფასოდ, აგრეთვე ქურნალში არ დაბეჭდება უფასო მასალა“.

ამ ხარჯთაღრიცხვას ხელს აწერენ მ. დეპულოია, ივ. მაცუვარიანი და გ. გეხტაიანი.

როგორც ხარჯთაღრიცხვიდან სჩანს, არ იყო გათვალისწინებული არც კანტორის გაფისი და ექსპედიტორის, არც სტილისტის, ჯამაგირების, ეს სამუშაო უნდა შესრულებულიყო უფასოდ სარედაქციო კომისიის მიერ. გამოცემის ნავარაუდვეი ზარალი 2800 მან. უნდა დეფარა გამომცემელს ნინო ქობულაშვილს, და ეს ასეც ხდებოდა 1905 წლის დასასრულამდის.

1904 წელს ნოემბერში გამოვიდა ჟურნალი „ნაკადული“ მცირეწლოვანთათვის პირველი და მეორე ნომერი და მოზრდილთათვის პირველი ნომერი. ასევე გამოვიდა დეკემბერშიაც ორი ნომერი პატარებისათვის, ერთიც მოზრდილთათვის. 1905 წლის იანვრიდან კი შეუფერხებლად გამოდიოდა ყოველთვიურად ორი პატარებისა და ერთიც უფროსებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ მაშინ სხვა საქმეებით ვიყავი გატაცებული, მაინც დამაინტერესა და დამაწერინა საბავშვო მოთხოვნა „დამეგობრდნენ“. რომელიც დაიბეჭდა დეკემბერში. მესამე ნომერში (მცირეწლოვანთათვის) და 1905 წელს იანვრის ნომერში (მოზრდილთათვის) დაიბეჭდა მეორე მოთხოვნა „საახალწლო საჩუქრები“. მას შემდეგ მე აღარ შემიყვება საბავშვო ჟურნალებში თანამშრომლობა. თუ შემავიანდობოდა მასალის მოწოდება, მარიამი დაბეჯით მომავონებდა, რომ ბავშვებისათვის წერა ყველა მწერლის მოვალეობას შეადგენს.

მან შესძლო და დააინტერესა მთელი ჩვენი ინტელიგენცია, და ვისაც კი შეეძლო წერა, თუ თარგმნა, ყველა აამოძრავა და შეაერთა ერთი სურვილით, რომ თავისი წილი ღვაწლი შეეტანა ამ ჟურნალის წარმატების საქმე-

ში. მარიამი თვითონაც ჩაწერდა მხოტბრობებს და სთარგმნიდა ლექსებს.

ყველა მისი ნაწერები, როგორც თარგმნილი, ისე ორიგინალურიც არის გამოსარჩლება ღარიბი, ჩაგრული ხალხისა.

მან დააინტერესა აგრეთვე საზოგადოებრიობა ჟურნალის გავრცელების საქმეშიც. ყველგან გააბა ქსელი თავის აუარებელ ნაცნობებში. არ იყო ქალაქი, დაბა და ცოტათი მოზრდილი სოფელი საქართველოში, და ასე გასინჯეთ საქართველოს გარედაც, მაგ. ადერბეიჯანში, სოხუთში, რუსეთში და საზღვარ გარედაც, არ იყო კუთხე სადაც კი რამდენიმე ქართველი ოჯახი მაინც ცხოვრობდა, რომ არ ჰქონოდათ გამოწერილი ჟურნალი. ყველგან ჰყავდა დამხმარეები, რომლებიც სრულიად უანგაროდ ეწეოდნენ შრომას და ისე თავგამოდებით ცდილობდნენ ჟურნალის გავრცელებისათვის, რომ ხანდახან კურიოზებსაც ჰქონდა ადგილი.

აქ არ შემიძლია არ მოვიხსენიო ერთი ამგვარი კურიოზი. ერთი ამგვარი დამხმარე, სრულიად უანგარო შოლვაწე, პატრიოტი, რომელიც დაინტერესებული იყო ქართული წიგნების გავრცელების საქმით, იყო „ნაკადულის“ თანამშრომელი კონსტანტინე ოდიშანია ბაქოში, სამსახურის დროს მისულა ერთ ქართველ ნათისმრეწველთან მსთან მოუტანია „ნაკადულის“ განცხადებები და ბარათები და უთხოვია გამოეწერა თავის ბავშვებისათვის ეს „საუცხოო“ და „სასარგებლო“ ჟურნალი.

— არა, უთხრა მრეწველმა, — ჩემი ბავშვებისათვის ვიწერ სხვა საბავშვო ჟურნალებს.

— როგორ, თქვენ ქართველი მრეწველი, ისედაც უნდა ეხმარებოდეთ მატერიალურად ჟურნალს, რომელიც ჩველმოქმედების შიმშილობით არსებობს, და თქვენ კი გამოწერაც არ გნე-

ბავთ? იცით თუ არა, რომ თქვენ დიდად შეძცდარი ხართ? თქვენი მხრით დიდი დანაშაულია, ბავშვებს რომ ქართულს არ ასწავლით.

— გთხოვთ, ჰკუას ნუ მასწავლით, — უთხრა მრეწველმა.

— კი უნდა გასწავლოთ ჰკუა, თუ თქვენ თვითონ არ ხართ ამას მიხედვით.

— მე კიდევ გთხოვთ დამტოვოთ.

— არა, ბატონო, ვერ დატოვებთ, სანამ არ გამოიწერთ...

— როგორ თუ ვერ დამტოვებთ? გთხოვთ ახლავე მიბრძანდეთ აქედან. სხვა საქმეები მაქვს.

— არა, ჯერ მითხარით, გამოიწერთ თუ არა?

ზრეწველმა უცებ წამოავლო ხელი მარმარილოს პრესპაპიეს მაგიდაზე, წამოვარდა ადგილიდან და... გამოიქცა ჩემკენ, — გვიამბობდა ჩვენი თანამშრომელი კ. ოდიშარია, — მაშინ კი ვიკადრე გამოქცევა — გამოვვარდი კარში, მაგრამ ცოტა ხანს შეეჩერდი და კარი ისევ შევალე, თავი შეეყავი შიგნით; ვხედავ მრეწველი გაბრაზებული დგას, ხელში პრესპაპიე ისევ უჭირავს და მე ისევ შეეძახე, — „ნაკადული“ მაინც გამოუწერე თქვენს შვილებს მეთქი... უცებ მრეწველს მიცილი წასქდა, პრესპაპიე ხელიდან გაუვარდა. მე მაშინვე კარი მივხურე და წამოვედი.

რასაკვირველია, სხვებისაგან არ გამოვინია ასეთი რამ, მაგრამ ბევრი ჩვენი გადაგვარებული არისტოკრატები არ უწირდენ ბავშვებს ქართულ ჟურნალებს, ზოგს ეშინოდა, ბავშვებს აქცენტები გაუფუჭდებათო, ზოგიც ამბობდა, ქართულს ისედაც ისწავლიანო და უფრო საჭირო და ცხოვრებაში გამოსადეგი ენები უნდა ისწავლონო, ქართული ენის ცოდნა არაფერში არ გამოადგებათო.

რამდენადაც გულგრილი იყო შეძლებული უზრუნველყოფილი ხალხი „ნაკადულის“ მიმართ, იმდენად საო-

ცარის სიყვარულით და თანაგრძნობით ეხმარებოდა მას მრეწველურ ხელში. მე არ შემიძლია არ აღწერო მისი მასწავლებლობის განსაკუთრებული ყურადღება და სიყვარული ჟურნალის მიმართ, რომლებიც ხშირად თავის პატარა ჯამაგირს იკლებდნენ და თავის ხარჯით უწერდნენ ბავშვებს და სკოლებს „ნაკადულს“, რათა ბავშვებს ჰქონოდათ მშობლიურ ენაზე საკითხავი წიგნები.

ამიერკავკასიის განათლების უწყების (ოლქის „მზრუნველის“) მიერ „ნაკადული“ არ იყო დაშვებული სკოლებში საკითხავად და სკოლების ბიბლიოთეკებში სახმარად, როგორც მაგნი რევოლუციონური მიმართულების მქონე ჟურნალი. ეს თითქოს აორკეცებდა მასწავლებლების ენერგიას; საქართველოში, მგონია არ მოიძებნებოდა არც ერთი მასწავლებელი, რომ სულით და გულით არ ცდილიყო და არ მიეღო ჟურნალის წარმატების საქმეში მონაწილეობა.

ბევრი სასწავლებელი უგზავნიდა რედაქციას წერილებს, მოთხრობებს, ლექსებს, ნარკვევებს, ბევრი ზათვანი შერჩა შემდეგშიაც საბავშვო ჟურნალებს, როგორც მწერალი და მეგობარი.

შემდეგში, როდესაც ჟურნალის თანამშრომლებზე მექნება საუბარი, იმათ შესახებაც მექნება საუბარი.

1906 წლიდან ჟურნალის ვამი მცემლობა იყისრა პავლე იოსების ქ თუმანიში იღმა. თუმანიში იყო ნავთის მრეწველის იაკობ ზუბალაშვილის დისწული, რომელიც განაგებდა ამიერკავკასიაში ზუბალაშვილების ქონებას. თუმანიში იღის შუამდგომლობით ზუბალაშვილები ეწოდნენ სხვა და სხვა ქველმოქმედებას და ჯერ კიდევ 1905 წლის სთხოვის თუმანიში იღის ეშოამდგომლა ზუბალაშვილებთან ჟურნალის დახმარების შესახებ და ჟურნალის გამოცემაც თვითონ ეყისრა, რო-

გორც იაკობ გოგებაშვილმა მითხრა, თუმანიშვილს ურჩევია, რომ რედაქციას თვითონ მიეძარტა უშუალოდ იაკობ ზუბალაშვილისათვის; თუმანიშვილი დარწმუნებული იყო რომ ზუბალაშვილი უარს არ იტყობდა და მაშინ ისიც იკისრებდა გამომცემლობას და ეურნალსაც ქონებრივად უზრუნველყოფდა.

მარიამ დემურიაძე იბოვა ისეთი აღმანიები, რომელთაც იცნობდა და პატივს სცემდა ი. ზუბალაშვილი და იმათი სახელით გაუგზავნა ზუბალაშვილს შემდეგი შინაარსის წერილი:

„დიდად პატივცემულო იაკობ კონსტანტინეს ძე!¹

„ბოდიშს ვიზღით რომ გარემოება გვაიძულებს შეგაწუხოთ ერთი დიდი თხოვნით. ჩვენ ვიცით, როგორ თანაუგრძნობთ თქვენ ყოველ ქართულ კეთილ წამოწყებას და ამიტომ იმედი გვაქვს, რომ ჩვენ თხოვნასაც უყურადღებოდ არ დასტოვებთ. თქვენთვის არ არის საჭირო იმის განმარტება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მომავლისათვის მთელი ქართველი ხალხის მოზარდი თაობის განათლებისა და აღზრდის საქმეს. საკმაოა აღვნიშნოთ მხოლოდ ის, რომ ჩვენ დროში ქართულ ოჯახს აუტანელი ბრძოლა უხდება, რათა ნორმალური ნიადაგი მოუპოვოს ბავშვების ნაციონალურ აღზრდა-განათლების საქმეს. ეს გარემოება გვაიძულებს ჩვენ ყველას დავეხმაროთ ქართულ ოჯახს და შევეუმსუბუქოთ მისი მძიმე მოვალეობა. სხვათა შორის შეიძლება ამ საქმეს უაღრესად დიდი სამსახური გაუწიოს კარგად დაყენებულმა და მატერიალურად უზრუნველყოფილმა საბავშვო ეურნალმა, ეს გარემოება კარგად ესმოდათ ჩვენ მოღვაწეებს და

არაერთხელ უცდიათ შეექმნათ ქართული საბავშვო ეურნალი. მისი დასაყენებლად საესტაბლიმენტის წინააღმდეგობისა და შკოლის მოთხოვნისა და კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ უკანასკნელ წლებში ჩვენში დაარსდა ამგვარი ეურნალი, სახელდობრ „ნაკადული“, რომელიც ფრიად დამაკმაყოფილებლად ასრულებს თავის დანიშნულებას და დღითი დღე უმჯობესდება. მხოლოდ სამი წელიწადია, რაც ეს ეურნალი გამოდის და რედაქციამ გაამდიდრა საბავშვო ლიტერატურა რამოდენიმე საუცხოვოდ თარგმნილი ევროპული კლასიკური საბავშვო თხზულებებით.

ამ ახალი პერიოდული გამომცემლობის ირგვლივ თავი მოიყარა ნიჭიერმა ახალგაზრდა მწერლებმა, ქალებმა და ვაჟებმა, რომლებმაც გაამდიდრეს ქართული საბავშვო ლიტერატურა ღირსეული ნაწარმოებით. იმედი არის, რომ მომავალში ეს ეურნალი არ ჩამორჩება საუკეთესო ევროპულ საბავშვო ეურნალებს, თუ, რასაკვირველია ჩვენ ყველა დავებმარებით და მხარს დავუჭერთ მის ზღვამღვანელებს. ქართული ეურნალები და გაზეთები სამწუხაროდ დიდი რაოდენობით არ ვრცელდება და ხარჯები არ ნაზღაურდება; მით უმეტეს თანამედროვე პირობებში არ შეიძლება ანაზღაურდეს საბავშვო ეურნალის ხარჯები და ამგვარად დროს ღირდეს ის იფაოდ, რომ ღარიბ ოჯახებს შეეძლოს იმის შეძენა. ჩვენ ვიცით, რომ მატერიალურად „ნაკადულის“ საშუალება ერთობ შესაძლებელია, რაც აბრკოლებს მისი გაუმჯობესების საქმეს. ვიმეორებთ, რომ ქართველი საზოგადოება დიდ იმედებს ამყარებს ამ ეურნალზე და დიდად სამწუხარო იქნებოდა, რომ მისაც წინანდელი საბავშვო ეურნალების ბედი სწეოდა. აი ეს გარემოება გვაიძულებს ჩვენ მოგმართოთ თქვენ, ღრმად პატივ-

¹ წერილი რუსულად არის დაწერილი და ინახება ჩემთან.

ცემულო იაკობ კონსტანტინეს ძე, და ვახოვით მიიღოთ თქვენ მფარველობას ქვეშ ეს სასარგებლო და კეთილი საქმე. ამავე წერილთან ერთად გიგზავნით ქურნალის გამოცემისათვის საჭირო ხარჯების ხარჯთაღრიცხვას, საიდანაც შეგიძლიათ გაითვალისწინოთ, რომ საქმის კარგი დაყენებისათვის დიდი თანხა არ არის საჭირო, თქვენი მფარველობა, ღრმად პატივცემულო იაკობ კონსტანტინეს ძე, იხსნის ქურნალს კრისისაგან, რითაც თქვენ დაუფასებელ სამსახურს გაუწევთ საყვარელ სამშობლოს“.

წერილს ხელს აწერდნენ: თამარ დავითის ასული გრუზინსკაია, მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაყურ-ორბელიანი¹ ელინაბედ ირაკლის ასული ჯამბაყურ-ორბელიანი,² ბარბარე მიხეილის ასული ამირეჯიბი, იაკობ გუგუბაშვილი, ილია წინამძღვრისშვილი³ და ვასილ ჩერქეზისშვილი⁴.

წერილის ხელისმომწერლებს პირადად იცნობდა ი. ზუბალაშვილი.

შინაარსიდან სჩანს რომ ეს წერილი დაწერილია 1906 წ..

ნირა ელიზბარის ას. ქობულაშვილის კი მის განცხადებაზე კავკასიის საცენზურო კომიტეტისაგან მოუვიდა ნებართვა ქურნალ „ნაკადულის“ გამომცემლობის პაულე თუმანიშვილისათვის გადაცემისა და 1906 წლიდან მოკიდებული ქურნალი გამოდიოდა თუმანიშვილის გამომცემლობით. რედაქტორად დამტკიცებული იყო მარიამ ივანეს ას. დემურია. რომელიც თავიდანვე იყო ფაქტობრივი რედაქტორი (ხოლო ფორმალბოდნენ რედაქტორებად 1904—

1906 წლებში ე. ერისთავი და ნ. ზუბალაშვილი—მაკაროვა).
ერისთავის

1906 წლიდან რედაქტორად მარიამის პატარა ბიხიდან საბჭოთა (მაშინ ავქალის) ქუჩიდან რუსთაველის (მაშინ გოლოვინის) პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში. უნდა ითქვას სიმართლე, რომ თუმანიშვილი არ ზოგავდა საშუალებას ზოგჯერ კარგად რედაქცია.

როდესაც 1906 წ. ნოემბერში გუბიადან გამოგვასახლეს მე და ჩემი მეუღლე და დაებრუნდით ისევ თბილისში, მეორე დღესვე წავედი რედაქციაში, შევედი, და გაკვირებული დავრჩი. რუსთაველის პრ. ზუბალაშვილის დიდ სახლის ქიშკარზე იყო მიკრული „ნაკადულის“ დიდი განცხადება, ეზოდან ავედი კიბეზე, მეორე სართულში, აივნიდან შევედი დიდ ტალანში. მთელი ტალანი საესე იყო შეაფებით და ამ შეაფებში ალაგებდა ახალგაზრდა ქალი დამბაშიძე, წიგნებსა და კლიშეებს. ზარჯენით პატარა ოთახში მაგიდასთან იჯდა კანტორის გამგე კატო თაქთაქიშვილი და მის წინ ეწყო სხვადასხვა დავთრები. ტალანიდან შევედი დიდ დარბაზში, დარბაზის შუა ადგილას იდგა მწვანე, მაუღდადფარებული გრძელი ფართო მაგიდა, ირგვლივ ვენური თეთრი სკამებით და სავარძლებით გარშემოწყობილი, აგრეთვე ერთ კედელთან იდგა ტყავის სკამოვინი და წინ რვეალი მაგიდა, მეორე კედელთან შიდა წიგნებით და მზრუნავი ეტაიერი. მარცხნივ კარი გადიოდა რედაქტორის კაბინეტში, სადაც წითელ მაუღდადარულ საწერ მაგიდასთან იჯდა თვითონ რედაქტორი მარიამ დემურია.

არც ერთი რედაქცია არ ყოფილა მაშინ ასეთი კომფორტით მოწყობილი, არც „აიჯილის“, არც „კვალის“, არც „ცნობის ფურცლისა“.

(დასასრული იქნება)

¹ პირის ვახტანგ ორბელიანის ასული

² შიარლი. მთარგმნელი ფრანგულად ელიზა-ბაბინსა.

³ წინამძღვრის-არის სასოფლო-სამეურნეო სკოლის დამარსებელი.

⁴ თბილისის ქალაქის თავი.

მხილველ ზანგარაზვილი

შენ აბრეშუმზე ყუვილავს ხაჯავ!

★

თითქოს გულსა და სუნთქვასაც ატან,
როცა დაზგასთან ლილინებ წყნარად
და აბრეშუმზე ყუვილებს ხატავ
გულში გაფურჩქენილ ყუვილთა დარად.

მზეს გულმა, ალბათ, შეჰფიცა დობა,
რომ სასიმღეროდ გრძნობა გაქეზებს,
სანდომიანი ბავშვობის კრთომა
შემოგფანტვია ქალწულს ბაგეზე.

ტკბილი ბავშვობა ცაცხვებთან დარჩა,
მზის სიყვარულში ვარდივით ჰყვავი,
მარდად ბრუნავ, და ფერადი ფარჩა
დამდგარა როგორც მოსაელის ხევი.

როცა მრისხანე ღრუბლები შავი
დაწვნიენ ჩვენს ცაზე ბოროტი მკერდით —
შენ გულ-ამაყი და უშიშარი
მტერთან იბრძოდი გმირების გვერდით.

მტრის ბნელი ზრახვა რომ დასამარდა,
წყლულლებს იშუმებს სამშობლო ახლა,
საქსოვ დაზგასთან ტრიალებ მარდად
და აღარ იცი — რა არის დადლა.

გულს მეგობრების გიმხნევენს ყოლა,
ეტრფი სამშობლოს — ბაღებად ნაშენს,
იგონებ: შენი ბავშვობის სკოლას,
ბაბუს ზღაპარს და მოხუც დედაშენს.

დრო შეუმჩნევლად შრომაში გადის,
წრფელი გრძნობებით სავსე გაქვს გული,
და საყვარელი ხარ დეპუტატი,
სამშობლოსათვის თავდადებული.



ქალო, პირადად გიცნობდე ნეტავ!..
ხალხმა რომ შენი ქება ინება —
სოფელში მალე გაიგებს დედა
და მოხუცს ტბილად გაელიმება.

შენს სურათს კობტას და საუცხოოს,
ვიცი — შეხედება გაზეთს რომ გაშლის,
იტყვის: „სხვებივით ქვეყნად მეც ვცხოვრობ,
მეც ვურევივარ სხვებივით ხალხში.

არა ქცეულა მტერადა და ფერფლად
ჩემი ამბავი და ჩემი შრომა:
თუმც პირველ ომმა ქმარი იმსხვერპლა
და ერთი ვაჟიც — მეორე ომმა...“

ქალო, ამ შრომით იღლები განა?
შენ ერთი ნატვრის მსურველი დარჩი,
რომ აყვავო — ჩვენი ქვეყანა
შენგან ნაქსოვი ლამაზი ფარჩით.

მისა ღალბა

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ანი წლისთავი

★

მიმდინარე წლის 10 თებერვალს შესრულდა ასი წელი „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ გამოქვეყნების დღიდან. ამ მანიფესტში მარქსი და ენგელსი გადაჭრით გამოვიდნენ უტოპიური, არაპოლიტიკური სოციალიზმის წინააღმდეგ. ჩამოაყალიბეს მარქსიზმის ძირითადი იდეები, სოციალიზმში უტოპიიდან მეცნიერებად აქციეს.

მარქსიზმის ამ დიდ ისტორიულ დოკუმენტში მოცემულია საზოგადოების ისტორიის, როგორც კლასთა ბრძოლის ისტორიის მეცნიერული ანალიზი, გაშუქებულია კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების ისტორია, რომელსაც ახასიათებს პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის წინააღმდეგობისა და შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლის მზარდი გამწვავება. ეს ბრძოლა უნდა დამთავრდეს ბურჟუაზიის ბატონობის დამხობით, პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობით.

ბურჟუაზიამ, რომელიც გაბატონდა ფეოდალიზმის დამხობის გზით, დაანგრია ყველა საშუალო საუკუნოებრივი, პატრიარქალური, იდილიური ურთიერთობანი „და ადამიანთა შორის დასტოვა მხოლოდ ერთი კავშირი — გაშიშვლებული ინტერესი, უსულგულო ფული“. პარაზიტული ბურჟუაზია,

რომლის საფუძვლები კერძო კაპიტალსა და დაუნდობელ ექსპლოატაციას ემყარება, თვითონ არის განვითარების ხანგრძლივი პროცესის შედეგი და იგი აუცილებლად უნდა დაიღუბოს, წარმოშობს რა თავის საკუთარ მესაფლავეებს თანამედროვე მუშების, პროლეტარების სახით. „მისი დაღუპვა და პროლეტარიატის გამარჯვება ერთნაირად გარდევალია“ („მანიფესტი“).

„კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ მარქსმა და ენგელსმა ნათლად ჩამოაყალიბეს ურთიერთობა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატისა, პროლეტარიატისა და კომუნისტებისა, მოგვეცეს სოციალისტური და კომუნისტური ლიტერატურის ანალიზი, გააშუქეს კომუნისტების დამოკიდებულება სხვადასხვა ოპოზიციური პარტიებისადმი. „მანიფესტის“ უმნიშვნელოვანესი დამსახურება ის არის, რომ მან განსაზღვრა კომუნისტური პარტიისა და მუშათა კლასის, როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების მესაფლავისა და ახალი სოციალისტური საზოგადოების შემოქმედის როლი. „მანიფესტში“ მოცემულია გენიალური აზრები კომუნისტური პარტიის ტაქტიკისა და სტრატეგიის შესახებ.

განუზომელია ისტორიული მნიშვნელობა „მანიფესტისა“, რომელშიც პირველად კომუნისტურმა პარტიამ



„კომუნისტების კავშირის“ სახით, როგორც მუშათა კლასის ორგანიზატორმა და მოწინავე რაზმმა აღიარა, რომ „ყოველგვარი კლასობრივი ბრძოლა არის ბრძოლა პოლიტიკური“ და აშკარად გამოსთქვა თავისი შეხედულებები, მიზნები, მისწრაფებანი და ზღაპრებს კომუნისტების ანტიდილის შესახებ დაუპირისპირა თვით პარტიის ნათელი პროგრამა.

დიდია როლი „კომუნისტური პარტიის მანიფესტისა“, როგორც მუშათა კლასის მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის დროშისა. „მანიფესტში“ ნათლადაა ჩამოყალიბებული ძირითადი თეორიული დებულებანი მარქსიზმისა, რომელიც გადაიქცა „მუშათა მოძრაობის უდიდეს ძალად“ და რევოლუციური მოქმედების სახელმძღვანელოდ. „მანიფესტმა“, რომელიც მარქსიზმის რევოლუციური თეორიის საფუძვლების მოკლედ ჩამოყალიბების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს, საერთაშორისო მუშათა რევოლუციურ მოძრაობას მიანიჭა გამარჯვების რწმენა, მიზნის სიცხადე, მისცა უტყუარი სახელმძღვანელო მითითებანი.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ თეორიულ, ფილოსოფიურ საფუძველს წარმოადგენს მარქსისა და ენგელსის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი.

მარქსიზმი ახალ მოძღვრებას წარმოადგენს. მარქსიზმისათვის, როგორც პროლეტარიატის რევოლუციური თეორიისათვის, რომელმაც მუშათა კლასი გადააქცია კლასიდან „თავის თავად“ კლასად „თავის თავისათვის“, დამახასიათებელია არა მხოლოდ მსოფლიოს ახსნა არამედ მისი შეცვლა. ამ დებულებას კლასიკური ფორმულირება მარქსმა მოგვცა ცნობილ თეზისებში ფეიერბახის შესახებ — „ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვა გვარად

განმარტავენ მსოფლიოს, მაგრამ საქმე ის არის, რომ იგი შეეცდნენ მხოლოდ ცნობილ ნაშრომში „კარლ მარქსი“, „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ შესახებ სწერდა: „ამ ნაწარმოებში გენიალური სინათლითა და სიცხადით მოხაზულია ახალი მსოფლმხედველობა, თანმიმდევრული მატერიალიზმი, რომელიც მოიცავს სოციალური ცხოვრების დარგსაც; დიალექტიკა, როგორც უაღრესად მრავალმხრივი და ღრმა მოძღვრება განვითარების შესახებ; თეორია კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარიატის — ახალი კომუნისტური საზოგადოების შემოქმედის მსოფლიო-ისტორიული რევოლუციური როლისა“ (ლენინი).

მსოფლიო ისტორიის გამოცდილების ფართო განზოგადოებამ, 1830 წლის რევოლუციამ, რომლის შემდეგაც მალე, როგორც მარქსი ამბობს „ქალაქ ლიონის პროლეტარიატმა საგანგაშო ზარი დაარქა“, საფრანგეთში მომხდარმა აჯანყებამ ლიონია ფეიქრებისა, რომლებიც ბარიკადებზე მიდიოდნენ საბრძოლო ლოზუნგებით: „ვიცხოვროთ შრომით, ან მოგვდეთ ბრძოლით“, ჩარტისტულმა მოძრაობამ ინგლისში, სიღვრელ მუშათა აჯანყებებმა გერმანიაში, მარქსი და ენგელსი მიიყვანეს „პროლეტარიატის არსის შეცნობაში“ და იმ დასკვნამდე, რომ თვით ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგობრივი ბუნებისაგან გამომდინარეობს „ბურჟუაზიის ბატონობის დამხობა, პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოება“.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ მარქსიზმის პროგრამული დოკუმენტია. „მანიფესტის“ დაწერის დროისათვის, 1847 წლის ბოლოსა და 1848 წლის დამდეგისათვის, მარქსსა და ენგელსს უკვე გაეღილი ჰქონდათ ყოველგვარი რეაქციული და წერილობურ-

ეუზიული უტოპიური იდეების, პარტიების, მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლის დიდი სკოლა და ძირითადად ჩამოაყალიბეს მარქსიზმის, მეცნიერული სოციალიზმის თეორია.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ გამოქვეყნებამდე მარქსსა და ენგელსს დაწერილი ჰქონდათ ისეთი თვალსაზირობა ნაშრომები, როგორცაა „წმინდა ოჯახი“ (1844 წ.) „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ (1845 წ.) „გერმანული იდეოლოგია“ (1845 წ.) და „ფილოსოფიის სილაბუსი“ (1847 წ.).

მარქსისა და ენგელსის ამ ადრინდელმა ბრწყინვალე ნაწარმოებებმა ანგარიში გაუსწორეს ახალგაზრდა ჰენგელიანლებს, გამოამყლაენეს და გამანადგურებლად გააყრიტიყეს რეაქციული, წერილბურჟუაზიული უტოპიური თეორიები, გამოაშკარავეს წარმოების კაპიტალისტური სისტემის ექსპლოატატორული ხასიათი, დასაბუთეს დაქირავებული შრომისა და კაპიტალის, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ინტერესთა წინააღმდეგობა და შეურიგებლობა.

მარქსიზმმა „მუშათა კლასის ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლა ერთ განუყოფელ მთლიანობაში“ მოაქცია, თავის ეკლიან გზაზე ყოველგვარი დაბრკოლება გადალახა, საბოლოოდ ჩამოყალიბდა და ყოველს შემცველი ფორმა მიიღო მარქსის გენიალურ ნაწარმოებში „კაპიტალში“.

ლენინი თავის სტატიაში „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი“ სწერდა: „ფილოსოფიის ისტორია და სოციალური მეცნიერების ისტორია მთელი სიცხადით გვიჩვენებს, რომ მარქსიზმში არაფერია მსგავსი „სექტანტობისა“, კარჩაკეტილი, გაქვავებული მოძღვრების მნიშვნელობით. მოძღვრებისა, რომელიც წარმოიშვა მსოფლიო ცივილიზაციის განვითარე-

ბის შარავზის გარეშე. ^{მარქსიზმი} მთელი გენიალობა მარქსისა სწორედ იმაშია, რომ მან პასუხი გასცა იმ კითხვებს, რომლებიც კაცობრიობის მოწინავე აზრის მიერ უკვე დასმული იყო. მისი მოძღვრება წარმოიშვა, როგორც ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიისა და სოციალიზმის უდიდეს წარმომადგენელთა მოძღვრების პირდაპირი და უშუალო გაგრძელება.

მარქსის მოძღვრება ძლიერია იმიტომ, რომ იგი სწორია. ეს მოძღვრება მთლიანი და გამართულია, ადამიანებს აძლევს მთლიან მსოფლქვერეტას, რომელიც ვერ ურიგდება ვერავითარ ცრუმორწმუნეობას, ვერავითარ რეაქციას, ბურჟუაზიული ჩაგვრის ვერავითარ დაცვას. იგი არის შემკვიდრე იმისა, რაც საუკეთესოა, რაც კაცობრიობამ მე-19 საუკუნეში შექმნა გერმანული ფილოსოფიის, ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის, ფრანგული სოციალიზმის სახით“. (ლენინი).

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ იდეები მატერიალურ ძალად იქცევიან, როცა ისინი მასებს დაუფლებიან. „მანიფესტში“ განვითარებულმა მეცნიერული კომუნისმის იდეებმა, პროლეტარიატის ძირითადი ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნების ნათელმა ჩამოყალიბებამ, გაბედულმა და აშკარა ბრძოლამ სამართლიანი საქმისათვის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, — ყველა ამ თვისებამ „მანიფესტს“ მიანიჭეს უმაგალითო რევოლუციური ქმედითობა და უზრუნველჰყვეს მთელ მსოფლიოში მისი ფართო პოპულარობა. მიუხედავად გააფთრებული დევნისა მსოფლიო რეაქციის მხრივ, „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ იდეები სწრაფად მოედო დასავლეთ ევროპას, რუსეთს, ამერიკას.

შედარებით მოკლე დროში „მანიფესტი“ გამოვიდა გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, რუსულ, იტალიურ,

პოლონურ, დანიურ ენებზე და ყველა ქვეყნის მილიონობით მუშის რევოლუციური მოქმედების პროგრამა გახდა. ამჟამად „მანიფესტი“ მილიონიანი ტირაჟებით იბეჭდება სსრ კავშირში, ახალი დემოკრატიის ქვეყნებში, მთელ მსოფლიოში.

ახე მოეფინა მსოფლიოს საბრძოლო მოწოდებით — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ — ეს მარქსიზმის ქებათა-ქებაა, როგორც უწოდა მას ამხანაგმა სტალინმა.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტმა“ გაანადგურა ძველი უტოპიური იდეები. მარქსმა და ენგელსმა ქვა ქვაზე აღარ დასტოვეს იმ სხვადასხვა წერილ ბურჟუაზიულ უტოპიურ მოძღვრებათაგან, რომლებიც ვერ ხედავდნენ „პროლეტარიატში ვერავითარ ისტორიულ თვითმოქმედებას, მისთვის დამახასიათებელ ვერავითარ პოლიტიკურ მოძრაობას“.

მარქსისა და ენგელსის მიერ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ განვითარებულ გენიალურ იდეებზე იზრდებოდნენ და იზრდებიან მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სოციალიზმისათვის რევოლუციონერ მებრძოლთა თაობანი. ეს იდეები საფუძვლად დაედო „კომუნისტების კავშირის“ სახელოვანი პირველი კომუნისტური პარტიის მუშაობას, პირველი და მესამე კომუნისტური ინტერნაციონალების მუშაობას.

გასული საუკუნის 40-იან წლებში ერთად აღებული კაპიტალიზმი, (ეკონომიური კრიზისებით შერყეული) ჯერ კიდევ მიდიოდა თავის აყვავებისაკენ. მარქსმა და ენგელსმა „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ წამოაყენეს სრულიად რეალური ამოცანები. ისინი ხედავდნენ, რომ „იარაღი, რომლითაც ბურჟუაზიამ ფეოდალიზმი დაამხო ახლა მიმართულია თვით ბურჟუაზიის წინააღმდეგ“.

მაგრამ ბურჟუაზიამ არა მხოლოდ გამოსქედა იარაღი, რომელიც მისთვის უშეზღვედლად უშვავდებდა, არამედ შექმნა ადამიანებიც, რომლებიც იბრძოდნენ ამ იარაღით — თანამედროვე მუშები „პროლეტარები“ („მანიფესტი“). მარქსმა და ენგელსმა „მანიფესტში“ ნათლად განჭკრიტეს საზოგადოებრივე ეკონომიური ფორმაციების განვითარების დიალექტიკა, მეცნიერულად დაასაბუთეს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების აუცილებლობა და კაპიტალიზმის დაღუბვა, მეცნიერულად დაადგინეს, რომ „კაცობრიობა ყოველთვის ისახავს მხოლოდ ისეთ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტაც მას შეუძლია“. (მარქსი).

ქეშმარიტების კრიტერიუმი არის გამოცდილება, პრაქტიკა. მარქსიზმი დოგმას კი არ წარმოადგენს, არამედ სახელმძღვანელოს რევოლუციური მოქმედებისათვის. ბოლშევიკური პარტიის გენიალური ბელადების ლენინისა და სტალინის წინამძღოლობით რუსეთში ბრწყინვალედ განხორციელდა სოციალისტური რევოლუცია და ზორცი შეისხა „მანიფესტის“ დიადმა იდეებმა.

მარქსი და ენგელსი „მანიფესტს“ სწერდნენ კაპიტალიზმის განვითარების სამრეწველო ეპოქაში, როცა, მათი სიტყვით, „რუსეთი წარმოადგენდა ევროპის გაერთიანებული რეაქციის უკანასკნელ დიდ რეზერვს“. ლენინმა და სტალინმა თავისი რევოლუციური მოღვაწეობა დაიწყეს კაპიტალიზმის განვითარების იმპერიალისტურ ეპოქაში, როცა რუსეთი „რევოლუციის შესაძლებლობას შეიცავდა უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანა“. (სტალინი).

თავის ცნობილ საპროგრამო ნაშრომში — „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი კომუნისმში“ ლენინი სწერდა: „მარქსიზმი, როგორც ერთადერთი სწორი რევოლუციური თეორია, რუ-

სეთმა სიმწრით მოიპოვა ქვეშაირიტად გაუგონარი ტანჯვისა და მსხვერპლის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიით, განსაცვიფრებელი რევოლუციური გმირობით, წარმოუდგენელი ენერჯით და თავდადებული ძიებით, მოიპოვა სასოწარკვეთილების, წერთნისა და პრაქტიკული გამოცდის გზით, საქმეზე შემოწმებით და ევროპის გამოცდილების აწონ-დაწონით და გამოყენებით“ (ლენინი).

ლენინმა და სტალინმა მალლა აღმართეს რუსეთსა და მთელ მსოფლიოში „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ დროშა. მარქსისა და ენგელსის გარდაცვალების შემდეგ ბურჟუაზიის აგენტურა მუშათა მოძრაობაში, მრავალნაირი „სოციალისტური“ პარტიისა და მიმდინარეობათა სახით, გაფაციცებით შეუდგა მარქსიზმის საფუძვლების რევიზიას, დემაგოგიურად იყენებდა მარქსისტულ ფრაზეოლოგიას მუშათა მოძრაობაში, მუშათა კლასის პოლიტიკურ ბრძოლას სცვლიდა კულდმოკვეცილი ეკონომიური მოთხოვნებით. ოპორტუნისტები და მუშათა კლასის ათასობით სხვა მტერი ყოველი მხრით უტყედა პროლეტარიატის კლასობრივ თვითშეგნებას.

საკმაოა გავიხსენოთ, თუ რა უდიდესი იდეოლოგიური და ორგანიზაციული ბრძოლა ჩაატარეს ლენინმა და სტალინმა პიტერსა და კაევასიაში, რუსეთსა და ევროპაში „ნაროდნიკების“, ლეგალური მარქსიზმის, ბერნშტეინიანობის, „ეკონომიზმის“, მენშევიზმის, ანარქიზმის, ტროცკიზმისა და რევოლუციის სხვა მტრების წინააღმდეგ. ისინი იცავდნენ მარქსიზმის სიწმინდეს, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს რეაქციული იდეალიზმისა და მისი ნაირსახეობისაგან, იცავდნენ პარტიის ლენინურ წესდებებსა და პროგრამას, ბოლშევიზმის სტრატეგიასა და ტაქტიკას.

ლენინსა და სტალინს შემოუტყდა დედინათ მარქსიზმის დინამიკური იდეები, რომლებიც მე-2 ინტერნაციონალის ოპორტუნისტებმა გააყალბეს, შემოქმედებითად განეევთარებინათ მარქსიზმი და წაეწიათ წინამპერიადიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის პირობებში.

ლენინიზმმა, როგორც „საერთოდ პროლეტარული რევოლუციის თეორიამ და პრაქტიკამ, განსაკუთრებით პროლეტარიატის დიქტატურის თეორიამ და პრაქტიკამ“ (სტალინი), დაამარცხა თავისი მრავალრიცხოვანი იდეური მოწინააღმდეგენი, როგორც რუსეთში, ისე დასავლეთში და უზრუნველყო ჩვენს ქვეყანაში ბოლშევიზმის გამარჯვება, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება.

ორი საუკუნის მიჯნაზე ლენინმა და სტალინმა საფუძველი ჩაუყარეს ბოლშევიკურ პარტიას, რომელიც, როგორც ახალი ტიპის პარტია, მუშათა კლასის ავანგარდი, სათავეში ჩაუდგა რევოლუციურ მოძრაობას რუსეთში.

ცარიზმმა მოახერხა 1905 წლის რევოლუციის სისხლში ჩახრჩობა, მაგრამ ეს იყო დროებითი დამარცხება. რეაქციის გაცოფებულმა თარეშმა ვერ შესძლო ვერც ბოლშევიზმის მოსპობა, ვერც მისი კლასობრივი დასაყრდენისა — რუსეთის პროლეტარიატისა. პირიქით, რევოლუციის გაკვეთილებმა ჩვენი პარტია და პროლეტარიატი გამოაწართო. რევოლუციურმა ამბებმა გამოაშჸარავეს ბუჩქებში მიმალული მენშევიზმი და სხვა ანტილენინური პარტიები, როგორც მუშათა კლასისა და გლეხობის მტრები და მოლაღატენი. რევოლუციის დროებითი უკანდახვეის პერიოდში ბოლშევიკების პარტიამ თავისი რიგებიდან დაუნდობლად გააძევა გამცემნი და მერყევი ადამიანები, რევოლუციის გაუბედავი მებრძოლენი და თვითმპყრობელობასა და ბურჟუაზიაზე

ახალი შეტევასათვის პროლეტარული რაზმები შეამჭიდროვა.

სტალინის რეაქციამ და 1914 — 1918 წლების პირველმა მსოფლიო ომმა კიდევ უფრო გააღრმავა უფსკრული ხალხის ინტერესებსა და ცარიზმისა და ბურჟუაზიის ინტერესებს შორის, გააშინველა მეფის მთავრობის სისუსტე და უილაჯობა და შიგ რუსეთში მძაფრად გაამწვავა კლასობრივი წინააღმდეგობანი. ომმა სავსებით გამოაშკარავა მე-2 ინტერნაციონალის ოპორტუნიზმი და გამცემლური როლი; ინტერნაციონალისა, რომელმაც საბოლოოდ უღალატა სოციალიზმის საქმეს იმპერიალიზმის ბანაკში გადაბარვდა.

ლენინმა და სტალინმა, ბოლშევიკებმა თავის დროზე გამოამქლავნეს მე-2 ინტერნაციონალის სოციალდემოკრატიული მოღვაწენი, როგორც მარქსიზმის საზიზღარი მტრები და მათი გამცემლური ლოზუნგის საწინააღმდეგოდ „სამოქალაქო ზავის“ დაცვის შესახებ, წამოაყენეს რევოლუციური ლოზუნგი — „იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა“.

ფრონტზე მეფის ჯარების დამარცხებამ, სამეურნეო რღვევამ ჩვენს ქვეყანაში, მუშათა და უღარიბესი გლეხობის ცხოვრების აუტანელმა პირობებმა დააჩქარეს კრიზისი და ცარიზმის დამხობა.

თებერვლის რევოლუციიდან დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე რუსეთის მუშათა კლასმა, ბოლშევიკური პარტიისა და მისი ბელადების ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით გაიარა გზა გადაწყვეტი ბრძოლისა დროებითი მთავრობის სისხლიანი ბურჟუაზიული დიქტატურის წინააღმდეგ. მთავრობა შესდგებოდა, როგორც ლენინი აღნიშნავდა „ბურჟუაზიისა და გაბურჟუებული მემამულეებისაგან, რომელთაც არ შეეძლოთ ხალხი-

სათვის მიეცათ არც ზავი არც შიწი, არც პური.

გზა რევოლუციის გამგებნი შეტაკებულნი ვართ ჩვენს შიგნით, როგორც ცნობილია, განათებული იყო ლენინის აბრილის სახელგანთქმული თეზისებით, რომლებმაც მისცა „პარტიასა და პროლეტარიატს ნათელი რევოლუციური ხაზი ბურჟუაზიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადასვლისა“. (სტალინი).

ბოლშევიკური პარტია მასების წინაშე ააშკარავებდა დროებითი მთავრობის იმპერიალისტურ ხასიათს და ესერულ-მენშევიკურ შემთანხმებლების გამცემლობას, იბრძოდა ორხელმწიფობის ლიკვიდაციისათვის და საბჭოების ბოლშევიზაციისათვის, ამზადებდა მსოფლიოში უდიდეს შეიარაღებულ აჯანყებას სოციალისტური რევოლუციის მოსახდენად.

ბოლშევიკური პარტიის რევოლუციურ გზაზე შესანიშნავ ისტორიულ მიჯნას წარმოადგენს მისი VI ყრილობა, რომელზეც ამხანაგმა სტალინმა წარმოსთქვა წინასწარმეტყველური სიტყვები: „გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ სახელდობრ რუსეთი იქნება სოციალიზმისაკენ გზის გამკაფავი ქვეყანა... საჭიროა უწყვეტდოთ დრომოკმული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მხოლოდ ევროპას შეუძლია მიგვიითოს გზა. არსებობს მარქსიზმი დოგმატური და მარქსიზმი შემოქმედებითი. მე ვდგევარ უკანასკნელის ნიადაგზე“. (სტალინი. თხზ. კრებული, ტ. 3, გვ. 186-187).

რუსეთის მუშათა კლასმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინისა და სტალინის მეთაურობით გამოიჩინა „პროლეტარიატისა და მთელი ხალხის ორგანიზებია სასწაულები“, 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) მოიპოვა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება, უღარიბეს გლე-

ზობასთან ერთად წარმატებით მოახდინა სოციალისტური რევოლუცია, დაამხო ბურჟუაზიის ძალაუფლება და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ „დაამარცხა ბურჟუაზიული დემოკრატია და დაიწყო ერა პროლეტარული დემოკრატიისა, ერა საბჭოებისა“ (სტალინი).

მარქსიზმ-ლენინიზმის მთავარ, ძირითად საკითხს წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი. პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების საკითხი წითელი ზოლივით გასდევს „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ მთელ შინაარსს.

ლენინი თავის კლასიკურ ნაშრომში „სახელმწიფო და რევოლუცია“ სწერდა: „სახელმწიფო, ესე იგი გაბატონებულ კლასად ორგანიზებული პროლეტარიატი“, — მარქსის ეს თეორია გაკნუყრელად არის დაკავშირებული მთელ მის მოძღვრებასთან ისტორიაში პროლეტარიატის რევოლუციური როლის შესახებ. ამ როლის დამთავრება არის პროლეტარული დიქტატურა, პროლეტარიატის პოლიტიკური ბატონობა... ამ დასკვნასთან უშუალოდ მიყვავართ „კომუნისტურ მანიფესტს“. (ლენინი, რუს. გამოცემა, ტომი XXI, გვ. 386—387).

„მანიფესტის“ გამოსვლის შემდეგ მომხდარი რევოლუციური ბრძოლების, კერძოდ, 1848 წლის რევოლუციისა და 1871 წლის პარიზის კომუნის გამოცდილების განზოგადოების საფუძველზე მარქსმა დააზუსტა პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღების საკითხი, წამოაყენა პროლეტარიატის დიქტატურის ლოზუნგი. პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი გენიალურად გაშუქებულია მარქსის ისეთ ისტორიულ დოკუმენტებსა და ნაშრომებში, როგო-

რიცა მისი 1852 წლის 5 მარტის წერილი ვაიდემაიერისადმი „კომუნისტური პარტის თერამეტი ბრიუპერი“, „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“.

ცნობილია, რომ მარქსი და ენგელსი, რომლებიც ცხოვრობდნენ წინამონობოლისტური კაპიტალიზმის ეპოქაში, ემყარებოდნენ იმას, რომ კომუნისტურ რევოლუციას უნდა გაემარჯვა როგორც ერთდროულ რევოლუციას მსოფლიოს ყველა კაპიტალისტურად განვითარებულ ქვეყანაში.

თავისი დროისთვის ეს ფორმულა, რაც შეიძლება სრულად, გამოხატული ენგელსის მიერ „კომუნისმის პრინციპებში“, რომლებიც „მანიფესტს“ საფუძველად დაედო, უდავოდ სწორი იყო. მაგრამ კაპიტალიზმის განვითარების იმპერიალისტური სტადიის ეპოქისათვის ეს ფორმულა მოძველდა და უკვე არასწორი გახდა, ვინაიდან, ამხანაგ სტალინის სიტყვებით რომ ვთქვათ, — ლენინის მიერ აღმოჩენილი კანონი განვითარების უთანაბრობის შესახებ იქცა საწყის პუნქტად თეორიისა სოციალიზმის გამარჯვებაზე ცალკეულ ქვეყნებში.

„ლენინის სიღვინადე სახელდობრ იმაშია, რომ მან პირდაპირ და პატიოსნად, უყუყმანოდ წამოაყენა საკითხი ახალი ფორმულის აუცილებლობაზე, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობაზე ცალკეულ ქვეყნებში; არ შეუშინდა იმას, რომ ყველა ქვეყნის ოპორტუნისტები ჩაეპიდებოდნენ ძველ ფორმულას, ეცდებოდნენ მარქსისა და ენგელსის სახელით დაეფარათ თავიანთი ოპორტუნისტული საქმე“. (სტალინი).

ეს საესებით ბუნებრივია, რადგან მარქსიზმისათვის უცხოა გაყინვა და შეჩერება, მარქსიზმი, შეცვლილი სოციალურ-ეკონომიური პირობების შესაბამისად, შემოქმედებითად ვითარდება და მუდამ წინ მიდის, არ კმაყო-



ფილდება მიღწეულით არც თეორიასა და არც პრაქტიკაში, ითვალისწინებს მუშათა კლასის სოციალიზმის ინტერესებს ამა თუ იმ კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში. და ამ ინტერესების შესაბამის სამოქმედო პროგრამას სახავს.

იმპერიალიზმისა და სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში, სოციალისტური საზოგადოების აგების ეპოქაში მეცნიერული კომუნიზმის თეორიის წინაშე ახლად დაყენებული საკითხები გენიალური ოსტატობით გადასჭრეს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადებმა, მარქსისა და ენგელსის დიდმა მემკვიდრეებმა ლენინმა და სტალინმა.

როგორც მკაფიოდ ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო, რომლის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენს შრომელთა დემუტატების საბჭოები, წარმომობილნი და გამტკიცებულნი მემამულეთა და კაპიტალისტების ძალაუფლების დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვების შედეგად.

მარქსი და ენგელსი სწერდნენ: „კომუნიზმის განმსხვავებელი ნიშანია არა საზოგადოდ საკუთრების გაუქმება, არამედ ბურჟუაზიული საკუთრებისა..“

ამ აზრით კომუნისტებს შეუძლიათ თავისი თეორია ერთი დებულებით გამოხატონ: კერძო საკუთრების გაუქმება. („მანიფესტი“).

სსრ კავშირში ბურჟუაზიული საკუთრება გაუქმებულია და ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია არის ჩატარებული. სსრ კავშირის კონსტიტუციის თანახმად, ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ საფუძველს შეადგენს მეურნეობის სოციალისტური სისტემა და სოციალისტური საკუთრება წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე, რაც

დამკვიდრდა მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის ლიკვიდაციის შედეგად, წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე კერძო საკუთრების გაუქმებისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობის შედეგად.

სსრ კავშირში კონსტიტუციურად დამკვიდრებული და გარანტირებულია კანონით შრომის, დასვენების, განათლების უფლება, სიტყვის თავისუფლება, ბეჭდვის თავისუფლება, კრებისა და მიტინგების თავისუფლება, ქუჩაზე მსვლელობისა და დემონსტრაციის თავისუფლება. სსრ კავშირის მოქალაქეთათვის უზრუნველყოფილია პიროვნების ხელშეუხებლობა. სსრ კავშირში საბჭოთა სამშობლოსა და საბჭოთა მთავრობისადმი ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობის განსაკუთრებული ერთგულების გამო, გაუქმებულია სიკვდილით დასჯა. ეს უდიდესი იურიდიული აქტი, რომელსაც კაცობრიობის ისტორიაში პრეცედენტები არა აქვს, ლაპარაკობს საბჭოთა სახელმწიფოს ურყევ ძალაზე და უმაგალითო ჰუმანიზმზე.

საბჭოთა საარჩევნო სისტემა მსოფლიოში წარმოადგენს ყველაზე უფრო თანმიმდევრულ დემოკრატიულ სისტემას. არჩევნები სსრ კავშირში ხდება საყოველთაო თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭის ყრით, რასიული და ეროვნული კუთვნილები, სქესის, სარწმუნოების, განათლების ცენზის, სოციალური წარმოშობის, კონებრივი მდგომარეობისა და წარსული მოღვაწეობის მიუხედავად. ჩვენს ქვეყანაში ქალს მამაკაცის თანაბარი უფლებები აქვს მინიჭებული. ეს ფაქტი დიდი საზოგადოებრივი და სოციალური მნიშვნელობისაა.

ბრძნული ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის საფუძველზე სსრ კავშირში აღიარებულია ყველა

ერის სრული სუვერენიტეტი, რომელიც უზრუნველყოფილია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების თავისუფალი ფედერაციის სისტემით.

საბჭოთა კავშირში, სადაც არ არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, შრომა თვითეული შრომისუნარიანი მოქალაქის ღირსების საქმეა, პრინციპის მიხედვით: „ვინც არ მუშაობს, ის არც სჭამს“. ჩვენში განხორციელებულია სოციალიზმის პრინციპი: „თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს — მისი შრომის მიხედვით“.

ძნელია ჩამოთვლა ყველა იმ უდიდეს სოციალურ-ეკონომიური ცვლილებებსა, რომელიც მოხდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შედეგად. ცნობილი რუსი რევოლუციონერი — განმანათლებელი რადიშჩევი მართალს სწერდა, რომ „როცა ხალხი ერთხელ გაუმჯობესების გზას დაადგება, იგი დიდებისაკენ მიდის არა ერთი ბილიკით, არამედ მრავალით. (რადიშჩევი „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვამდე“, გვ. 327, გამ. 1938 წ.).

ბოლშევიკების კომუნისტური პარტიისა და მისი გენიალური ბელადების ლენინისა და სტალინის დიდი მოღვაწეობის მეოხებით საბჭოთა კავშირში განხორციელებულია მთელი მოწინავე კაცობრიობის საუკეთესო მისწრაფებანი.

გამართლდა ფიქრები დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატის ბელინსკისა, რომელიც ასი წლის წინათ, „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ გენიალური იდეების ფორმირების პერიოდში, ოცნებობდა მომავალ თაობათა თვალთ დაენახა რუსეთი, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა განათლებულ მსოფლიოს, დაუწესებდა კანონებს მეცნიერებასაც, ხელოვნებასაც და მთელი განათლებული კაცობრიო-

ბიდან მიიღებდა პატივისცემის მოკრძალებულ ხარკს“.

ლენინ-სტალინის კომუნისტურმა პარტიამ ააშენა ასეთი რუსეთი — ახალი საბჭოთა რუსეთი.

სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი, დიდი ჟემანისტი მაქსიმ გორკი სწერდა: „შესანიშნავი თანამდებობაა — იყო ადამიანი — მიწაზე“. ამჟამად მთელი პროგრესული მსოფლიო აღიარებს, რომ ეს შესანიშნავი თანამდებობა უჭირავს საბჭოთა ადამიანს, რომლის სულიერი და იდეური სახე, როგორც მნათობი, გზას უნათებს მთელ კაცობრიობას კომუნისტური საზოგადოებისაკენ.

საბჭოთა ადამიანების მალალი საზოგადოებრივი მდგომარეობა უდევს საფუძვლად მათ მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას და იგი მზურვალე პატრიოტიზმისა და ეროვნული საბჭოთა სიამაყის მაცოცხლებელი წყაროა.

სსრ კავშირში ბურჟუაზიულ საწარმოო ურთიერთობათა მოსაბოხით, წარმოების საზოგადოებრივი პროცესის ამ უკანასკნელი ანტაგონისტური ფორმის მოსაბოხით, — როგორც მარქსი ამბობდა, — დასრულებულია ადამიანთა საზოგადოების წინაისტორია.

საბჭოთა ადამიანებმა, რომლებიც შეგნებულად ჰქმნიან თავიანთ ცხოვრებას, დაიწყეს ადამიანთა საზოგადოების ახალი ნამდვილი ისტორია, რწმენით მიდიან კომუნისტური საზოგადოებისაკენ და აყთებენ ნახტომს, ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებლობის სამეფოდ თავისუფლების სამეფოში.

ბურჟუაზიული „დემოკრატიის“ ქვეყნებში ჩვენ გვაქვს დიამეტრალურად საწინააღმდეგო სურათი. იქ ბურჟუაზია მუშებსა და მშრომელთა ფენებს დაუნდობლად უწევს ექსპლოატაციას, მათ არსებითად წართმეული აქვთ ელემენტარული პოლიტიკური უფლე-

ბები და თავისუფლებანი, თანამედროვე იმპერიალისტური სახელმწიფოების პოლიტიკური რეჟიმები ამერიკის მეთაურობით მუშათა კლასს ფართო ფრონტით უტევენ, დრაკონულ ანტი-მუშურ კანონებს იყენებენ და ატარებენ მასობრივ რეპრესიებს. ამერიკისა და სხვა იმპერიალისტურ ქვეყნებში მიმდინარეობს მასების და მთელი ხალხების თავხედური და სამარცხვინო დისკრიმინაცია. ბურჟუაზიული „დე-მოკრატიის“ ქვეყნებში მშრომელი ქალი არის ორმაგად დაჩაგრული, პროსტიტუირებული, ტალახში გათელილი და გადაქცეული საქონლად, რომელსაც იყიდი და გაჰყიდი, როგორც გინდა. ნაქებმა ბურჟუაზიულმა ცივილიზაციამ ადამიანის პირადი ღირსება დიდი ხანია „საცვლელ ღირებულებად“ აქცია, „უსირცხვილო ვაჭრობის თავისუფლება“ გამოაცხადა.

დეგრადაცია, ამორალიზმი, ყოველგვარი ზნეობრივი პრინციპების უქონლობა, უიდებობა და სიძუნწე ლიტერატურასა და ხელოვნებაში, მისტიკა და იდეალიზმი ფილოსოფიაში, მეცნიერების, მთელი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების გაცოფებული მილიტარიზაცია, უმუშევრობა, კრიზისის მომწიფება, კლასობრივი ბრძოლის უკიდურეს ზომამდე გამწვავება, საპატიმროები და ლინჩის სასამართლო, სახრჩობელები და გაფიცულთა სისხლი, კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ ლაშქრობა, სწრაფი დაცურება აშკარა ფაშისმისიკენ, აი რა ახასიათებს თანამედროვე ბურჟუაზიულ „ცივილიზაციის“ საძირკველგამომპალ ბურჟუაზიულ საზოგადოებას, სადაც ფული „ყოვლისშემძლე ღმერთია“ და უხვ მოსავლის მკას განაგრძობს აბსოლუტად აღიარებული ძველი მხეცური კანონი, „ადამიანი ადამიანისთვის მგელია“.

ასეთი საძაგელი იმ კაპიტალისტური ბრბოს მსოფლიო, რომელსაც „კომუნების კრეკით“ ცხოვრობს.

ჯერ კიდევ მე-15 პარტიულ კონფერენციაზე 1926 წელს აშხანაგმა სტალინმა „კომუნისტების პრინციპების“ შესახებ, რომლებიც საფუძვლად დაედო „კომუნისტური პარტიის მანიფესტს“ სთქვა, რომ „ამ პროგრამის ცხრა მეათედი უკვე განხორციელებულია ჩვენი რევოლუციის მიერ“. ეს ნათქვამი იყო სტალინური ხუთწლედების დაწყებამდე. სტალინური ხუთწლედების წარმატებით განხორციელებით ჩვენმა ქვეყანამ შორს გადასდგა ნაბიჯი წინ სოციალიზმის მშენებლობის გზაზე. სოციალიზმის გამარჯვება მკაფიოდ ასახულია სტალინურ კონსტიტუციაში, რომელმაც კანონით განამტკიცა საბჭოთა ადამიანების უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი.

სსრ კავშირში თავის არსებობის 30 წლის მანძილზე პროლეტარიატის დიქტატურამ სახელოვანი ისტორიული გზა გაწვლი. მუშებმა და გლეხებმა ძალაუფლება აიღეს და მთელს მსოფლიოს უჩვენეს თავდადებული მამაცობისა და გმირობის სასწაულები ბრძოლის ფრონტზე, საბჭოთა საშობლოს მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგ, უჩვენეს არნახული შრომითი გმირობის სასწაულები სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ფრონტზე.

საბჭოთა ხელისუფლებამ დღიდან თავისი წარმოშობისა გადაიტანა მრავალი მძიმე ვაჭირება გერმანიასთან, უცხო სახელმწიფოს ინტერვენციასთან, ინგლის-საფრანგეთისა და ამერიკის იმპერიალისტების მიერ თავით ფეხებამდე შეიარაღებულ თეთრ არმიასთან ბრძოლაში. ჩვენმა ქვეყანამ გადაიტანა ეკონომიური ბლოკადა, ფართოდ გამოჩნული დივერსია და მავნებლობა, რომელიც ტროცკისტ-ბუხარინელები-

სა და ხალხის სხვა მტრების კაპიტალიზმის სისხლიანი აგენტებისა და რესტავრატორების ბინძური ხელებით ზორციელდებოდა. საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელსაც ლენინ-სტალინის გმირული პარტია ხელმძღვანელობდა, დაამარცხა და გაანადგურა თავისი შინაური და გარეშე მტრები, გზა გაიკაფა და ძველ ბურჟუაზიულ-მემამულური რუსეთის ნანგრევებზე აღმართა სოციალიზმის დიდებული შენობა, რაც თანამედროვე ცივილიზაციის საუკეთესო ძეგლს წარმოადგენს, იმ მებრძოლთა დიადი არმიის ძეგლს, რომლებმაც კომუნისმის გამარჯვებას თავი შესწირეს.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად შეიქმნა მძლავრი პრავალეროვანი სახელმწიფო, რომლის სიმტკიცე შემოწმდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. 1941 წლის 22 ივნისს ჰიტლერულმა გერმანიამ ჩვენს ქვეყანას თავს მოახვია მძიმე ომი. სსრ კავშირი ჩაება განმათავისუფლებელ, სამართლიან ომში ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ და მან მთელს მსოფლიოს დაანახა სოციალისტური სახელმწიფოს წყობილების უპირატესობა გერმანიაზე და, საზოგადოდ, ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაზე. საბჭოთა კავშირმა გერმანია და მისი მოკავშირენი სავსებით დაამარცხა. ჯერ კიდევ გაჩაღებული ომის დროს, 1943 წლის 6 ნოემბერს, ამხანაგი სტალინი ამბობდა: „ახლანდელმა ომმა მთელი სიძლიერით დაგვიდასტურა ლენინის ის მითითება, რომ ომი ყოველი ხალხისთვის არის მისი მატერიალური და სულიერი ძალების ყოველმხრივი გამოცდა. ომების ისტორია გვასწავლის, რომ მხოლოდ ის სახელმწიფო უძლებდა ამ გამოცდას, რომელიც თავის მოწინააღმდეგეზე ძლიერი აღმოჩნდებოდა მეურნეობის განვითარებისა და ორგანიზაციის მხრივ, თა-

ვისი ჯარების გამოცდილებისა, ოსტატობისა და მებრძოლი მებრძოლები, მთელი ომის განმავლობაში ხალხის გამძლეობისა და ერთიანობის მხრივ. სწორედ ასეთი სახელმწიფოა ჩვენი სახელმწიფო“ (სტალინი).

საბჭოთა კავშირის ძალა და ძლიერება მკაფიოდ გამოხატულია ომის შემდგომი ხუთწლიდით, რომლითაც საბჭოთა ხალხმა მიზნად დაისახა ალადგინოს ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, ალადგინოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ გადააჭარბოს ამ დონეს ცოტა თუ ბევრად მნიშვნელოვანი ოდენობით. სტალინური ხუთწლიდის ორი წლის წარმატებითა გამოცდილებამ ცხადყო, რომ საბჭოთა ხალხს შეუძლია ხუთწლიედი ოთხ წელიწადში შესარულოს. საბჭოთა ხალხის საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მის მაღალ საზოგადოებრივ ცნობიერებას.

ჩვენი კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელი და წამმართველი ძალა, ყველა ჩვენი უდიდესი გამარჯვების ორგანიზატორი, რომელიც ხელმძღვანელობს მოწინავე მუშებისა და მუშა ქალების, კოლმეურნისა და კოლმეურნე ქალების, ინტელიგენციის მილიონიანი მასების პატრიოტულ ინიციატივას — შესარულონ ხუთწლიედი ოთხ წელიწადში, უზრუნველყოფს მოკლე ხანში სრულ წარმატებას ომის შემდგომ სიძნელეთა დაძლევაში და ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენაში; ამრიგად, გადასწყვეტს კიდევ ერთ უდიდეს ისტორიულ ამოცანას.

წინააღმდეგ ინგლის-ამერიკის იმპერიალისტების ვარაუდისა, ჩვენი ქვეყანა მეორე მსოფლიო ომიდან გამოვიდა განმტკიცებული და ძლიერი.

მამაცმა საბჭოთა არმიამ რომელმაც ომის ძირითადი სიმძიმე გადაიტანა

მოსპო იმპერიალისტური ომის კერები დასავლეთში და აღმოსავლეთში.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ასი წლისთავის აღნიშვნის დღეებში ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი ღრმა კმაყოფილებისა და მადლობის გრძნობით იგონებს, „რომ გადამწყვეტი როლი ჩვენს გამარჯვებაში შეასრულა დიდმა რუსმა ხალხმა — უფროსმა ძმამ სსრ კავშირის ხალხთა სტალინურ ოჯახში. ომის სიძველეების ძირითადი სიმძიმე მან გადაიტანა, ფსაღუდებელია რუსი ხალხის დამსახურება ჩვენი საშობლოს არა მარტო თავისუფლების, პატიოსნებისა და დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში, არამედ ფაშისტური დამონების საშროებისაგან მთელი ცივილიზებული კაცობრიობის გადარჩენის საქმეში“ (ბერია).

საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებაში დიდი და ფასდაუდებელი როლი შეასრულა ჩვენმა საყვარელმა ბელადმა და სარდალმა დიდმა სტალინმა, რომლის პოლიტიკურმა და სამხედრო გენიოსობამ იხსნა საშობლო და მსოფლიო ცივილიზაცია, სლავ და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ხალხებს თავისუფლება მიაჩიქა.

ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა თავის სიტყვაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 28 წლისთავე 1945 წლის 6 ნოემბერს სთქვა: „ჩვენი ბედნიერება ის არის, რომ ომის მძიმე წლებში წითელ არმიასა და საბჭოთა ხალხს წინ უძღოდა საბჭოთა კავშირის ბრძენი და გამოცდილი ბელადი — დიდი სტალინი. გენერალისიმუს სტალინის სახელთან ერთად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და მსოფლიო ისტორიაში შევა ჩვენი არმიის სახელოვანი გამარჯვებები.

დიდი ბელადისა და ორგანიზატორის — სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენ ახლა შეუდექით შშვიდობიან

მშენებლობას, რათა სოციალისტური საზოგადოების ნამდვილ გამარჯვებულ ქვეყნად და გავამართლოთ საუკეთესო იმედები ჩვენი მეგობრებისა მთელ მსოფლიოში“.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იუგოსლავიამ, პოლონეთმა ჩეხოსლოვაკიამ, ალბანეთმა, ბულგარეთმა, რუმინეთმა, უნგრეთმა საბჭოთა კავშირის დახმარებით თავი გაითავისუფლეს ფაშისტური დიქტატურისა და იმპერიალიზმის უღლისაგან, განაზორციელეს დემოკრატიული გარდაქმნები, დაამყარეს სახალხო ხელისუფლება და მტკიცედ გადასწყვიტეს იარონ საბჭოთა ხალხთან ერთად თანმიმდევრული დემოკრატიის გზით, სოციალიზმის გზით.

ომის დამთავრების შემდეგ საერთაშორისო ცხოვრებაში მოხდა ძალთა ახალი განლაგება, შეიქმნა ორი ბანაკი — ერთი მხრივ, იმპერიალისტური და ანტიდემოკრატიული ბანაკი, რომელსაც მეთაურობენ ინგლის-ამერიკის იმპერიალისტები და, მეორე მხრივ, ანტიიმპერიალისტური დემოკრატიული ბანაკი, რომელსაც მეთაურობენ საბჭოთა კავშირი და ახალი დემოკრატიის ქვეყნები.

იმპერიალისტური ამერიკას ისე, როგორც წინათ ჰიტლერულ გერმანიას, სურს დაამინოს ევროპისა და აღმოსავლეთის ხალხები და ისწრაფვის მსოფლიო ბატონობისაკენ. ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტები გამალებით გაშლილ შეტევას აწარმოებენ მუშათა კლასისა და ყველა დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ, ამზადებენ ახალ ომს.

ასი წლის წინათ, როცა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ გამოვიდა, ევროპისა და მსოფლიო რეაქცია გაერთიანდა კომუნისმის აჩრდილის წინააღმდეგ, საღმრთო ბრძოლისათვის. ახლაც საერთაშორისო რეაქცია ერთიანდება და აცხადებს საღმრთო ლაშ-

ქრობას კომუნისმის წინააღმდეგ, მაგრამ თუ ასი წლის წინათ, როცა კომუნისმი ჯერ კიდევ სუსტი იყო, მსოფლიო რეაქციამ ვერ შესძლო მისი მოსპობა, მით უმეტეს, ახლა, როცა კომუნისმი მთელ მსოფლიოში უდიდესი გამარჯვებანი მოიპოვა, რეაქცია ვერ შესძლებს მის მოსპობას.

კომუნისმის მძლავრი დასაყრდენია საბჭოთა კავშირი, რომელიც დღას დემოკრატიული და ანტიიმპერიალისტური ფრანტის სათავეში, კომუნისმისაკენ გზას იკაფავენ. ახალი დემოკრატიის ქვეყნები.

თუ 1848 წელს, როცა „კომუნისტების კავშირმა“ მთელი მსოფლიოს წინაშე პირველად გამოაცხადა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, როგორც თავისი საბრძოლო პროგრამა, კომუნისტები ერთეულები იყვნენ, ახლა კომუნისტურმა მოძრაობამ მოიცილა მთელი მსოფლიო, ცალკე ქვეყნების კომპარტიათა რიგებში ითვლება მილიონობით ადამიანი, რომლებიც წინ მიუძღვიან დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის ასეული მილიონობით მებრძოლს.

ყოველივე, რაც კი მოწინავე, პროგრესიული და საუკეთესოა თანამედროვე კაცობრიობაში კომუნისმისაკენ მიდის.

კომუნისტურმა პარტიებმა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დემოკრატიული თავისუფლების მოყვარე ხალხების ფაშისმთან სამკედრო-სასიცოცხლო შეტაკების დროს თავი გამოიჩინეს, როგორც წამყვანმა და დამკერვლამ ძალამ ფაშისტური მონობის წინააღმდეგ და კოლოსალური მსხვერპლი გაიღეს.

მთელი მსოფლიო მშვიდობიანობისათვის, დემოკრატიისათვის და სოციალიზმისათვის კომუნისტების თავდადებული ბრძოლის მოწმეა. კომუნის-

ტური პარტია იყო და არის ჩვენი ქოქის გონება, პატიოსნება და სინდისი.

იმპერიალისტური ამერიკა და ინგლისი არის კერა ახალი აგრესიული ომებისა, რომლებიც პირველ რიგში მიმართულია საბჭოთა კავშირისა და ახალი დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ.

მაგრამ ახალი ომის გამჩაღებლების — ინგლისისა და ამერიკის — ავანტიურისტულ ღონისძიებებს უპირისპირდება ღონისძიებები დიდი საბჭოთა კავშირისა და ახალი დემოკრატიის ქვეყნებისა, რომლებიც მშვიდობიანობისა და ხალხთა უშიშროების სიმაგრეს წარმოადგენენ.

დემოკრატიისა და რეაქციის ძალთა ასეთი განლაგებისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიების მოღვაწეობას მთელ მსოფლიოში დემოკრატიული, ანტიფაშისტური, მშვიდობისმოყვარე ელემენტის დარაზმების საქმეში, ახალი ომებისა და აგრესიების გეგმების წინააღმდეგ ბრძოლაში.

სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადასაწყვეტად ისტორიული მნიშვნელობა აქვს ზოგიერთი კომუნისტური პარტიის საინფორმაციო თათბირს, რომელიც მოწვეული იყო 1947 წლის სექტემბრის ბოლოს. თათბირის გადაწყვეტილებებმა შეაჯამეს კომპარტიების წარმატებითი ბრძოლა თანმიმდევრულ დემოკრატიულ გარდაქმნისათვის, რომლებსაც სოციალიზმისაკენ მიყვავართ ახალი დემოკრატიის ქვეყნებში, და ახალი საბრძოლო ამოცანები დასახეს კომუნისტური პარტიების რიგების დარაზმების, მათი მოქმედების კოორდინაციის, გამოცდილების განხიარებისა და განზოგადების, გარეშე და შინაური რეაქციის წინააღმდეგ გადაწყვეტი შეტევის, ახალი მსოფლიო ომის გამჩაღებელთა გამოაშვარავებისა და აღაგმვის საქმეში.



ისტორიული გამოცდილება საბჭოთა ხალხისა, რომელიც მოწოდებულია დიდი როლისათვის, აღატოვანებს მთელი მსოფლიოს მილიონობით მუშას, გლეხსა და პროგრესულ ინტელიგენტს, დამონებული კოლონიური ქვეყნების ხალხებს კომუნიზმისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლისათვის.

ოდესღაც ენგელსი, როცა პროლეტარიატის დიქტატურაზე ლაპარაკობდა, პარიზის კომუნაზე მიგვითითებდა, დღეს კი „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ გამოცემიდან 100 წლისთავზე საბჭოთა ადამიანები ამაყად თავაწეულნი მიუთითებენ სსრ კავშირზე ჩვენს შეგობრებსა და მტრებს მთელს მსოფლიოში, პირველთა გასაზარად, მეორეთათვის თავზარის დასაცემად, როგორც კლასიკურ ქვეყანაზე, რომელმაც პირველმა წარმატებით განაზოციელა „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ უდიდესი იდეები.

დიდებული იუბილის დღეს მშრომელთა მილიონები, მსოფლიოს ყველა პატოსანი ადამიანი, ჩვენსკენ იმედით თვალმოპყრობილნი, გაიმეორებენ სიმართლეს საბჭოთა კავშირზე, და ჩვენ საბჭოთა ადამიანები ამ სიმართლეს გავამაგრებთ ახალი საქმეებით და მას კიდევ და კიდევ მრავალჯერ გავიმეორებთ. გორკი ამბობდა — სიმართლე განმეორებით არ ფუჭდება.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ გამოქვეყნების დღიდან ასი წლის

განმავლობაში მისმა დიდმა მნიშვნელობამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა.

„ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ საუკუნეში, როცა ყველა გზას კომუნიზმისაკენ მიყვავართ“ (მოლოტოვი).

ასეთია ცოცხალი ისტორიის დიალექტიკა.



გზა კომუნიზმისაკენ გაშუქებულია მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლის შემდეგ თეორიით, რომლის დროშაც მიელი მსოფლიოს პროლეტარიატისა და თავისუფლების მოყვარე ხალხების საკეთილდღეოდ მაღლა უჭირავს ხალხთა გენიალურ ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს.

დიდი სტალინის სახელთანაა დაკავშირებული მთელი პროგრესული კაცობრიობის საუკეთესო იმედები. სტალინის მტკიცე ნებას ბრძნულად მიჰყავს მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები კომუნისტური საზოგადოებისაკენ.

კვლავ ამაყად გაისმის „მანიფესტის“ უცვლადი სიტყვები.

„დაე, ძრწოდნენ გაბატონებული კლასები კომუნისტური რევოლუციის წინაშე. პროლეტარები ამ რევოლუციაში არაფერს არ დაჰკარგავენ, გარდა თავისი ბორკილებისა. შეძენით კი ისინი მთელ მსოფლიოს შეიძენენ.“

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სომეხი ავანტიურისტი

ივანე ჯავახიშვილის სმოკრება და მოღვაწეობა

★

მიმდინარე წლის 8 თებერვალს თავისი არსებობის 30 წელი შეუსრულდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

„დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე საშუალო სკოლები თითებზე ჩამოსათვლელი იყო, ხოლო უმაღლესი სასწავლებელი სულაც არ ყოფილა. ახლა კი ყოველ 4 ათას სულ მოსახლეობაზე მოდის ერთი საშუალო სკოლა და 170 ათას სულზე—ერთი უმაღლესი სასწავლებელი. საქართველოს ოც უმაღლესი სასწავლებელში, რომლებიც ამჟამად კადრებს მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა დარგისათვის, გამოირჩევა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი—ერთ-ერთი უდიდესი და მოწინავე უნივერსიტეტი საბჭოთა კავშირში“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო IX სესიის მიმართვიდან ამხანაგი სტალინისადმი).

ამ უმნიშვნელოვანესი დაწესებულების საიუბილეო დღეს შესაფერი იქნება მოვიგონოთ ის ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა მოანდომა ქართული მეცნიერების აღორძინებისა და თბილისის უნივერსიტეტის აღფრქობის საქმეს.

I

ივანე ჯავახიშვილი დაიბადა 1876 წლის 11 (23) აპრილს სოფ. ხოვლეში

(ქართლში¹) საშუალო განათლება მიიღო თბილისის მესამე და პირველ გიმნაზიებში. ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნის დროს გამოირჩეოდა ის ქართული ენისა და საქართველოს წარსულის ცოდნით. გარდა იმისა, რომ საქართველოს წარსულის გაცნობის მიზნით ის თვითონ მოგზაურობდა ხოვლეს მიდამოებში და ეცნობოდა ჩვენი წარსულის ძეგლებს, ის თავის ამხანაგებსაც ურჩევდა სათანადო წრეების დარსებით შესდგომოდნენ ქართველი ერის ცხოვრების შესწავლას და არა ერთი მისი ამხანაგი დიდის მადლობით იფინებდა ამას.

თავის, სპეციალურად ივანე ჯავახიშვილის შესახებ დაწერილს მოგონებაში კოტე მყაშვილი, წერს: „სიყრმიოვან ვიცნობ და სიყრმიოვანვე პატივს ვცემ ვანო ჯავახიშვილს. მოგონებას გადავყვარ წარსულში: ასე 13—14 წლის ვიქნები. ავლაბრის ბოლოში ვცხოვრობ. ყოველდღე დავდივარ კუკიაში ვაჟთა მეორე გიმნაზიაში. ყოველდღე ჩაუველი და ამოუველი ხოლმე ავლაბრის სამოქალაქო

¹ მისი მამა, ალექსანდრე ივანეს ძე ჯავახიშვილი დაიბადა 1845 წელს; 1864 წ. დამთავრა თბ. გუბერნიის გიმნაზიის სრული კურსი, რის შემდეგაც 1894 წლამდე მოღვაწეობდა პედაგოგიურ სარბიელზე; იყო მასწავლებლად და ინსპექტორად სხვადასხვა სკოლებში: თელავში, სიღნაღში, გორსა და თბილისში. ივანე ჯავახიშვილის დედა იყო სოფიო ათანასეს ასული ჯავახიშვილი.



სასწავლებელს, სადაც ინსპექტორობს ალექსანდრე ჯავახიშვილი. ვიცი, რომ შვილები ჰყავს. ერთი მათგანი, ვანო, ჩემი ხნისაა. ვათა პირველი გიმნაზიის მოწაფე. გავცნობი მას და მის ოჯახს... ყველა მისი შვილები ნიჭიერები არიან, სწავლობენ წარმატებით. ისინი ქართულად არიან აღზრდილნი, რაც იშვიათია იმ დროისათვის: ქართული ინტელიგენციის ოჯახში მეტ ნაწილად ბატონობს უცხო ენა... მეც, ბავშვობიდანვე (6 წლიდან) მშობლიურ კერას მოწყვეტილს, აღზრდილს ქართულის არმცოდნეთა საზოგადოებაში, ისე საფუძვლიანად მაქვს დაეიწყებული დედაენა, რომ გარდა გარეგანი იერისა ქართველს სხვა არა მიგავს რა.

„ვანო ჯავახიშვილი გაცნობისას ქართულად შელაპარაკებდა. მრცხვენთან, რომ ქართულადვე პასუხის გაცემა არ შემძლიან. უვიკრს და სწყინს. მაგრამ მალე ნება-უნებურად ურიგდება ამ გარემოებას. შეხვედრის დროს ჩვენი ბაასის თემა ყოველთვის ერთია. საქართველო, მისი წარსული, აწმყო, მისი ლიტერატურა და სხვ. ლაპარაკობს, უმთავრესად ვანო, ლაპარაკობს ალტაცებით, ხანაც ექსტაზით თვალეზი უბრწყინავს. მარჯვენა ხელის ენერგიული ექსტიკულაციით ყოველ წარმოთქმულ სიტყვას მეტს დამაჯერებლობას აძლევს...

„დიდის ყურადღებით, გულდასმით ეუსმენ ვანოს, მაკვირვებს მისი ნაკითხობა და ენთუზიაზმი. გაცეხული ვარ, როდესაც მის ხელში ვხედავ ვიოლინოს. მასზე დაკვრას სწავლობს. მუსიკა ჰყვარებია... მე კი მეგონა, რომ ვანოს ქართული ენის და თავისი გაკვეთილების მეტი სხვა არა აგონდება რა. ვანოს ვხედები არც ისე ხშირად, მაგრამ ყოველი შეხვედრა სტოვებს ჩემზე დიდს შთაბეჭდილებას...

8. „მნათობი“, № 3.

„ვათავებ გიმნაზიას, დაეკავებოდნოდ მივდივარ დაბეჭდვითურაქში (გორის მაზრაში) ჩემს დასთან. რამდენიმე ხნის შემდეგ მახლობელ სოფელ ხოვლედან ჩამოდის ვანოც. მასაც დაუმთავრებია გიმნაზია და ზაფხულის მიწურულში აპირებს პეტერბურგში წასვლას უნივერსიტეტში მეცადინეობის დასაწყებად. ახალქალაქში ბევრი ნაცნობი და ნათესავი ჰყავს. ახალგაზრდობა იკრიბება ვისთანმე. შუაში ვანო უზის. იგი ჩემთვის უკვე ნაცნობი გატაცებით უბმობს დამსწრეთ ქართულ წარსულზე. აწმყოზე და მომავალ პერსპექტივებზე: მოუწოდებს ახალგაზრდობას შექმნან სამეცნიერო, სალიტერატურო, სამეურნეო და სხვა წრეები, მოუწოდებს ყველას ქართული აპათიისაგან გამორკვევას და თვითგანვითარების გზაზედ შედგომას... და გაათავებს ბაასს მერე შესკუბდება თავის ცხენზე და ნახევარ საათში ისევ თავს ამოკყოფს მშობლიურ სოფელში, სადაც იგი მოღვაწეობს ამგვარადვე და თან მეცადინეობს. იგი ხშირი სტუმარია ტაძართა, სასაზღეთა და ციხეთა ნანგრევებისა. მის ცნობის-მოყვარე თვალს არა გამოუპარება რა. ჰაბუკს უკვე შეძენილი აქვს დიდი მასალა და იგი შედის უნივერსიტეტის შენობაში გაბედულად, თავისი ძალის მოიმიდე“ („ჩვენი მეცნიერება“, 1926 წ. № 17—18, გვ. 1—3).

ასევე ალტაცებით იგონებს ივანე ჯავახიშვილის მოწაფეობის წლებს მისი კლასის ამხანაგი, ცნობილი ექიმი გაბრიელ სერგის ძე ფონდოევი:

„მე და ვანო ჯავახიშვილი, — წერს ფონდოევი, — ერთად ვსწავლობდით თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც დავამთავრეთ 1895 წელს. ვანო ჯავახიშვილი არა თუ ჩვენი საერთო საყვარელი ამხანაგი იყო, იგი იყო ჩვენი კლასის სინიდი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

თუ კი რაიმე საკითხი გვაწუხებდა ჩვენ, ვჩქარობდით გაგვევო, თუ რას იტყოდა ვანო ჯავახიშვილი. თუ რომელიმე ამხანაგი რაიმე უდიერ საქციელს ჩაიდენდა, მისი საქციელის კოლექტიური გარჩევის ინიციატივა ვანოსაგან მომდინარეობდა; მასვე მიანდობდა ხოლმე კლასი საკადრისად გაეციტა ის ამხანაგი... ჩვენ ძალიან გვიყვარდა ვანოს მოსმენა დასვენების დროს: ის დიდის ხალისით გვიზიარებდა, რაც წინაღუეს წაეციტა ან თეატრში ენახა. სწორედ ვანო ჯავახიშვილი იყო, რომ ცუდი ქვევისაგან თავს შეგვაკავებინებდა ხოლმე. მასწავლებლებს ყველას, უკლებლივ, უყვარდათ ვანო როგორც უაღრესად პატიოსანი და კეთილსინდისიერი მოწაფე. იგი ყველა ჩვენგანზე ადრე მიხვდა, რომ გიმნაზია ყველაფერს ვერ შეგვასწავლიდა. მიხვდა, რომ მოწაფემ თავის განვითარებაზე თვითონ უნდა იზრუნოს, სკოლის გარეშე მეცადინეობით უნდა დაწინაურდეს... ამას ის ახორციელებდა დიდის ალტაცებით და თავისი მაგალითით დაგვიმტკიცა, თუ რა წარმატების მიღწევა შეუძლია მოწაფეს ამ გზით. მისი წერიტი სამუშაოები რუსულ ენაზე ძალიან შინაარსიანი იყო და მაღალ შეფასებას ღებულობდა მკაცრი პედაგოგისაგანაც კი, რომელიც მის ნამუშევარს სანიმუშოდ გვიკითხავდა ჩვენ. მაგრამ განსაკუთრებულად უყვარდა ვანოს ისტორია: თვით ისტორიის მასწავლებელსაც უყვარდა ვანოს პასუხების მოსმენა, რომლებიც არასდროს არ იყო ვაზეპირებული და ტრაფარეტული; ეს პასუხები ყოველთვის ამომწურავად გადმოგვცემდნენ იმ ეპოქის სულს, რომელზედაც მოგვითხრობდა ვანო.

„ვანო ჯავახიშვილი განსაკუთრებით პუბლიცისტურად სავნებს ეტანებოდა: ლიტერატურა, ისტორია, ძველი და ახალი ენები — აი მისი ინტერესების სფერო; მათემატიკური სავნები,

ალგებრა, ტრიგონომეტრია, გეომეტრია, მინცდამაინც არ ეტყობოდა მას. ჩვენი გიმნაზიის დასრულების შემდეგ ლეოვიჩ მარკოვი, პუბლიცისტი პედაგოგი, გიმნაზიელების საყვარელი მასწავლებელი. ჩვეულებრივ, ის პირადად ურიგებდა ნიშნებს უფროსი კლასების მოწაფეებს. ნიშნების დარიგების დროს ღირექტორი მამობრივი ზრუნვით ესაუბრებოდა მოწაფეებს მათი სწავლაში წარმატებისა და ყოფაქცევის შესახებ. ჩვენ ყოველთვის მოუთმენლად ველოდით, თუ რას ეტყოდა ის ჩვენი კლასის სიამაყეს, ვანო ჯავახიშვილს. და მთელი კლასი ალტაცებით უცქეროდა ვანოს, რომელიც თავდახრილი და მორცხვი სიწითლით პირისახეზე ისმენდა ღირექტორისაგან ქებას. სწავლაში წარმატების გარდა ღირექტორი განსაკუთრებულად ხაზს უსვამდა ვანოს სანიმუშო ყოფაქცევას და მის სერიოზულ დამოკიდებულებას სწავლისადმი და საერთო განვითარებისადმი.

„უკანასკნელს, მერვე კლასში ყველა გიმნაზიელის წინაშე იდგა კითხვა — რომელ უმაღლეს სასწავლებელში შევიდეთ. ბევრი ჩვენგანისათვის მომავალი ბურჟუაზია იყო მოცული. ვანო ჯავახიშვილისათვის კი პერსპექტივა ნათელი იყო, ყველაზე დიდი ბედნიერებაა ადამიანისათვის იცნობდეს თავის თავს, ითვალისწინებდეს საკუთარ ძალღონეს; ეს ბედნიერება უთუოდ ჰქონდა ვანო ჯავახიშვილს, მისთვის ნათელი იყო ის გზა, რომლითაც მას უნდა ევლო და თავისი მეცნიერული საქმე შეესრულებინა“ (გ. ფონდოევი; მასალა საქ. მუზეუმის ივანე ჯავახიშვილის კაბინეტისა).

1895 წელს, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ივ. ჯავახიშვილი შედის პეტერბურგის (ლენინგრადის) უნივერსიტეტში აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე და ნ. მარის, ალ. ცაგარ-



ლის, ვ. როზენის, პ. კოკოვეცის და სხვათა ხელმძღვანელობით იწყებს მუშაობას ქართულ-სომხური ფილოლოგიის (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) დარგში. სპეციალურ საგნად ის ირჩევს საქართველოს და სომხეთის ისტორიას. თუ რა ინტენსიური იყო მისი მუშაობა ამ ხნის (1895 — 1899) განმავლობაში, მოწმობს ის გარემოებაც, რომ უნივერსიტეტის დასრულებისას (1899 წელს) მას თავისუფლად შეეძლო ბერძნულ-ლათინურ, სომხურ, სპარსულ და სირიულ წყაროთა მომარჯვება; თხზულებისათვის „წმინდანთა ცხოვრებანი გრიგოლ წერენცის სომხურ სალიტერატურო ძეგლებში“ იგი ოქროს მედლით იქმნა დაჯილდოებული; პროფ. პარნაკიც, რომელთანაც ის შემდეგ (1901 წელს) ბერლინში მუშაობდა, საგანგებოდ აღნიშნავს მის მკვიდრ ცოდნას სპარსული ენისას.

1899 წელს ივ. ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტთან იქმნა დატოვებული საპროფესორო მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად ნ. მარის წარდგენით.

1901 წელს ივ. ჯავახიშვილმა ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები ქართველოლოგიის დარგში.

პეტერბურგის უნივერსიტეტის არქივში დაცულია ამის შესახებ შემდეგი მასალა:

„სხლმა 1901 წლის 27 იანვრისა.

მუხლი 2. ჩატარდა გამოცდა ჯავახიშვილსა ქართული სიტყვიერების მაგისტროს ხარისხზე. მიცემულ იქნა შემდეგი კითხვები:

ქართულ ენაში:

- 1) წაითხვა, ვადათარგმნა და გარჩევა ტექსტისა „ქართლის ცხოვრებიდან“.
- 2) წაითხვა, ვადათარგმნა და გრამატიკული გარჩევა ტექსტისა ვახტანგის „დასტურლამაიდან“.

ქართულ სიტყვიერებაში:

- 1) ვახტანგ VI-ის „დასტურლამაი“ როგორც სიტყვიერების ძეგლი.

საქართველოს ისტორიიდან:

- 1) როდის მოვიდნენ პეტრეწვენი ქართველოში ოსმალის თურქებში? რა გზით დასპრობნენ? როდის აიღეს ქუთაისი, თბილისი?
- 2) ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა.

პროფესორი „ლ. ცაგარელი“.

ამგვარად, საპროფესოროდ დატოვებულმა ივ. ჯავახიშვილმა 1901 წელს მოიპოვა „ქართული სიტყვიერების მაგისტრანტის ხარისხი“.

ამის შემდეგ, იმავე 1901 წელს, უნივერსიტეტი ავხავნის ივ. ჯავახიშვილს საზღვარგარეთ სამეცნიერო მუშაობის განსაგრძობად და იგი რამდენსამე ხანს მუშაობს ბერლინში პროფ. შარნაკთან. ნ. მარი, რომელიც 1900 წლიდან უკვე პროფესორი იყო, შორიდანაც თვალყურს ადევნებს თავისი მოწაფის მუშაობას ბერლინში. ჩვენ ხელთ არის ნ. მარის წერილები, მიწერილი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკანის ვ. როზენისადმი. 1901 წლის ზაფხულში ნ. მარი საქართველოში წამოსულა და დაუვალებია ივ. ჯავახიშვილისათვის მაცნობე ხოლმე ბერლინიდან შენი ამბებიო. როზენისადმი მიწერილ წერილებში ნ. მარი ძალიან ღელავს, რომ ჯავახიშვილისაგან არაფერი ცნობა არ არის.

ციბე. 1901წ. ივნისის 5.

„ჯავახიშვილის წერილები არ დამხვდა. იმელი მაქვს, რომ კარგად მოეწყო. მაინც მაკვირვებს მისი ასეთი ღემილი“.

ჩაბატური. 1901 წ. ივნისის 22.

„ღღემღე არაფერი ვიცი ჯავახიშვილზე. ერთი სტრიქონიც არ მოეწერია“.

როგორც იქნა, 12 ივლისს მიუღია წერილი ბერლინიდან, სადაც ივ. ჯავახიშვილი დაწერილებით უამბობდა ნ. მარს თავისი მუშაობის შესახებ

ბერლინში პროფ. პარნაკთან. ამის გამო ნ. მარი შემდეგსა სწერს ვ. როზენს.

„ღრმად პატივებული
ვიქტორ რომანოვი,

გუშინ მივიღე ჯავახიშვილისაგან ვრცელ წერილს და ანგარიში მისი მუშაობის შესახებ. ის ძალიან კმაყოფილია თავის შეცადინებით ბერლინს უნივერსიტეტში. კმაყოფილია განსაკუთრებით თვით პარნაკით პირადადაც და მისი ლექციებითაც. მას უკვე შეურთულებია ერთი პატარა სამუშაო პარნაკისათვის. პარნაკი კმაყოფილი დარჩენილა, ჩაიხედაც მთავრტინისა ჯავახიშვილი შინ და რამდენიმე საათიც უსაუბრა მასთან. სიამოვნებით დათანხმებულა უხელმძღვანელოს მის შეცადინებას. ეს სამუშაო შემდეგი ხასიათისა ყოფილა: ჯავახიშვილს დაუწერია პატარა მოხსენება (12 გვერდი) გერმანულ ენაზე „ეკლტათე მცხეთელის ცხოვრების“ შესახებ, სადაც მოჰყავდა ადგილები ამ ცხოვრებიდან და აღნიშნავდა ამ ადგილების არქანონიკურ ხასიათს, თან ეკითხებოდა პარნაკს, შედარო ხომ არ არის ჩემი ვარაუდი ამ ნაწევრების არქანონიკურობის შესახებო. პარნაკს დაუდესტურებია, რომ ეს ციტატები უკველად არქანონიკური და შეტად საინტერესოაო, და წინადადება მიუცია ჯავახიშვილისათვის მთლიანად გადათარგმნე „ეკლტათეს ცხოვრებაო“. ჯავახიშვილსაც ვაღუთარგმნია იგი გერმანულად და ორი კვირის შემდეგ პარნაკს ჯავახიშვილი მიუწვევია შინ ჩაიხე ცეს უკვე რუსულად“.

საკითხი, რომლისთვისაც ყურადღება მიუქცევია ივ. ჯავახიშვილს და რომლითაც დაინტერესებულა პროფ. პარნაკი, წარმოადგენს ქართული საეკლესიო მწერლობის ერთ საყურადღებო საკითხთაგანს. სახელდობრ, ეკლტათე მცხეთელის ცხოვრებაში (VI ს. ძველი) მოთხრობილი სახარების ეპიზოდები თავისი შინაარსით განსხვავდებიან ჩვეულებრივი სახარების დედნისაგან.

იმდენად დიდი აღმოჩნდა პროფ. პარნაკის ინტერესი ივ. ჯავახიშვილის მიერ მითითებულ ძველისადმი („ეკლტათე

მცხეთელის ცხოვრება“) რომ მან ამ ძველის გერმანულად თარგმნე, შესრულებული ივ. ჯავახიშვილის მიერ, დაბეჭდა „ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში“ (1901 წ., ნაკვეთი 38); თარგმანს თან ახლავს ივ. ჯავახიშვილის განმარტება—სქოლიოები, პროფ. პარნაკის წინასიტყვაობა და, ბოლოსი, პარნაკისა და ჯავახიშვილის მიერ დაწერილი ნარკვევი ეკლტათე — მცხეთელის ცხოვრების ტექსტის შესახებ. წინასიტყვაობაში პროფ. პარნაკი ამბობს: სამწუხაროდ, ამ ძველის-ძველ, მდიდარი ლიტერატურის მქონე ქვეყანას, საქართველოს და მის ეკლესიას სრულებით არ ვიცნობთ ევროპაში; მისი ხელნაწერები მთელს აღმოსავლეთშია მოფენილი, დაწვებული სინას მთით და გათავებული ბეტერბურგითო. მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ეკლტათე მცხეთელის ცხოვრება, რომლის ბიბლიური ციტატები საგრძნობ თავისუფლებას იჩენენ, და ამიტომ გადავწყვიტე ეს ძველი ხელმისაწვდომი გავხადო საეკლესიო ისტორიის სპეციალისტებისათვისო. სრული კომენტარის მიცემა ამ ძველისათვის მე არ შემიძლია, მაგრამ ი. ჯავახიშვილის დახმარებით, რომელიც ყველაფრის გარდა სპარსულ ენაშიც ძლიერია, იმედი მაქვს მნიშვნელოვან ადგილებს განვმარტავ და მთელს ძველსაც თავის ისტორიულ ადგილსაც მივუჩენო“.

პროფ. პარნაკი დაინტერესდა მართომ ძველით კი არა, არამედ საზოგადოდ ივ. ჯავახიშვილის მუშაობით. თვით ბერლინისთვისაც უჩვეულოდ მოეჩვენა მას ეგოდენი ცოდნა აღმოსავლეთის ფილოლოგიისა და კიდევაც სთხოვა ივ. ჯავახიშვილს დარჩენილიყო ბერლინში და შესდგომოდა იქ იმ დარგის საძირკველის ჩაყრას, რომლის ხარვეზი მაშინ საგრძნობი იყო ბერლინის უნივერსიტეტში: სახელდობრ, აღმოსავლეთის საქრისტიანო ქვეყნე-



ვის, მათ შორის პირველ რიგში საქართველოს ძველი სამწერლობო ძეგლების დამუშავებას საერთო ქრისტიანული კულტურის საკითხებთან დაკავშირებით, და, საზოგადოდ, ქართული ფალოლოგიის დარგში მუშაობას. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ივ. ჯავახიშვილის მიზანი იყო ქართული მეცნიერებისათვის საფუძვლის ჩაყრა და არა გერმანული მეცნიერებისათვის, და 1901 წლის დამლევეს იგი დაბრუნდა პეტერბურგში¹.

1902 წელს (აპრილიდან ნოემბრამდე) ივ. ჯავახიშვილი პროფ. ნ. მარტაჩიანთან ერთად მოგზაურობს სინას მთაზე იქაური ქართული ხელნაწერების შესასწავლად. ნ. მარტი აქაც დიდ მზრუნველობას იჩენს თავის მოწაფეზე; მას ახარებს ყოველი მისი წარმატება მუშაობაში, აღონებს მისი ფიზიკური სისუსტე. თითქმის ყოველ წერილში, რომელსაც ის სწერს ფაქულტეტის დეკანს და თავის პირად მეგობარს აკად. ვ. როზენს, ნ. მარტი ახსენებს ივ. ჯავახიშვილს.

კაირო, 1902 წ. აპრილის 22.

ვხევათ კაიროში. მხოლოდ ზევ დაიძვრაოთ აქედან, რათა სუცით სინას მთისაკენ გავეგზავროთ. ერთ კვირაზე მეტს გელოდებოდით სუცეიდან მომავალ გემსამონდი ზღვაზე კარგი იყო, მხოლოდ უკანასკნელ დღეს, ალექსანდრიაში მისვლამდე, დღეა იყო. ჯავახიშვილი გზავრობაში სუსტი აღმოჩნდა... აღდგომას შევხვდით გემზე.

სინას მთა, 1902 წ. მაისის 7.

... ჯავახიშვილი ძალიან ბეჯითად მუშაობს; უკვე ოთხი ხელნაწერი აღწერა დაწერალებით.

¹ გერმანიაში ყოფნის დროს ივ. ჯავახიშვილმა მონაწილეობა მიიღო აგრეთვე მეორე ქართული ძეგლის გამოცემაშიც: მისი ხელმძღვანელობითა და დახმარებით კ. შულციემ თარგმნა ქართულიდან გერმანულად „ამო ტილოლის წამება“, რომელიც დაიბეჭდა პარნაისის სტრასბურგში „არქივები და გამოკვლევები“ (ტ. XIV)

სინას მთა, 1902 წ. ივნისის 21

პალესტინის მეოღწეობის საკითხი... ამ მხრივ განსაკუთრებით ძვირფასად მეტყვენება მე პალესტინის „თოფენი“, X საუკუნისა, რომელიც ჯავახიშვილმა უკვე თითქმის მთლიანად გადმოწერა¹.

ალექსანდრია 1902 წ. აგვისტოს 9.

ჯავახიშვილი მუშაობაში ძალიან ბეჯითო და ამტანი აღმოჩნდა. მონასტერში ეკება საკმაოდ მოისუსტებდა, „მონასტრის უსარშავი ლობიო“. განსაკუთრებით მძიმე იყო უღებნობი გზავრობა. სინას მთიდან სუცეამდე აღმებებით ვიარეთ; გვერდით ოთხი ყუთი „სარდინია“, ოთხი ბულიონი (ოთხ-ოთხი კოვში) და ორი ყუთი შესქელებული რძე. განსაკუთრებით გაუჭირდა ჯავახიშვილს: „სარდინიის“ გარდა არაფერს ჰქამს. ... (გზაში ფული შემოკლებათა, რუსულ საზღვაოსრო სააგენტოს უარა უთქვამს უფასო ბილეთზე). იძულებული ვიყავი მთელი ფული, რაც ჰქონდა, ჯავახიშვილისათვის მიმეცა, რომ ის მინც გამემგზავრებინა შინ. მე აქ დავჩრქო.

სინას მთაზე მრავალი, მანამდე უცნობი, სამწერლობო ძეგლი იქმნა მანინ გადმოწერილი ან ფოტოგრაფიულად გადმოღებული როგორც ნ. მარტის, ისე ივ. ჯავახიშვილის მიერ, და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას მის შემდეგ არა ერთი გამოცემა მიემატა.

სინას მთის ხელნაწერთა აღწერილობის გამოცემა ერთად ჰქონდათ განზრახული მარსა და ჯავახიშვილს, მაგრამ სხვადასხვა გარემოებათა გამო განუხორციელებელი დარჩენილა. სიცოცხლეში ვერც ერთი მათგანი ვერ მოესწრო მის გამოქვეყნებას. ერთი ნაწილი აღწერილობისა, შედგენილი ნ. მარტის მიერ, გამოქვეყნდა 1940

¹ ივლისისებება, „კრებაი თთუეთა წელთა დისათაი“ იოანე-ზოსიმესი. იგი დღეს უკვე დაბეჭდილია: ივ. ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ობილისი, 1947 წ., გვ. 200 — 226.

წელს, ხოლო ივ. ჯავახიშვილის ნაწილი გამოქვეყნდა ეხლახან (ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ. 1947, გვ. VII+317). ამ უკანასკნელში გარდა ხელნაწერთა აღწერილობისა მოთავსებულია შვიდი ძეგლის ტექსტი სრულად, მათ შორის ისეთი, თავისი ისტორიულ „ეკლტურული მნიშვნელობით ფასდაუდებელი ძეგლია, როგორცაა იოანე-ზოსიმეს „კრებაჲ თთუეთა წელიწადისათაჲ“, რომლის შესახებაც სწერდა მარი ვ. როზენს.

ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ ივ. ჯავახიშვილმა ითხოვა ლექციების კითხვის ნებართვა. ამის შესახებ ფაქულტეტის საბჭომ აღძრა შუამდგომლობა რექტორის წინაშე.

„აღმოსავლურ ენათა ფაქულტეტს პატივს აქვს იმუამდგომლოს თქვენ წინაშე, რათა ივ. აღ. ჯავახიშვილს ნება დაერათოს იკითხოს ლექციები სომხურ-ქართული სიტყვიერების კათედრაზე პრაქტ-დოცენტის სახით.

„ივ. ჯავახიშვილმა 1899 წელს დაამთავრა აღმოსავლურ ენათა ფაქულტეტის სომხურ-ქართულ-სპარსული განყოფილება; იმავე წელს იგი ოქროს მედლით იქმნა დავიდოვებელი შრომისათვის „წმიდანთა ცხოვრებანი გრიგოლ წერცნის სომხურს ლიტურჯიკულ თებლებში“ და 1899 წლის 1 ივლისს დატოვებულ იქმნა უნივერსიტეტში სტიპენდიით სომხურ-ქართული სიტყვიერების კათედრასთან საპროფესორო მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად. 1901 წელს ივ. ჯავახიშვილმა ნააბარა გამოცემული ქართული სიტყვიერების მაგისტროსის ხარისხზე, იმავე წლის გაზაფხულზე ჯავახიშვილი მივლინებულ იქმნა საზღვარგარეთ, შემდეგი მეცნიერული დაწინაურების მიზნით, 1902 წლის 1 აპრილამდე 1902 წლის 1 აპრილიდან 1 სექტემბრამდე ივ. ჯავახიშვილი მივლინებულ იყო სინის მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში, ექსტრაორდინარული პროფესორის ნ. მარის ხელმძღვანელობით, ხსენებული მონასტრის ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერებზე სამუშაოდ. მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ ივ. ჯავახიშვილმა თხოვნა შემოიტანა აღმოსავლურ ენათა

ფაქულტეტში, რათა იგი, იქვეყნებულ ლექციების საკითხავად პრეფერენციულად სწავლით სომხურ-ქართული სიტყვიერების კათედრაზე, რის გამოც მას დაენიშნა სანიმუშო ლექციები. 1902 წლის 1 ნოემბერს ჯავახიშვილმა წაიკითხა ლექცია თვით მის მიერ არჩეულ თემაზე „ქართული ეკლესიის რეფორმა XI საუკუნეში“, ხოლო 18 ნოემბერს — ფაქულტეტის მიერ მიცემულ თემაზე: „სტეფანოს ორბელიანის ისტორია როგორც წყარო ადგილობრივი ისტორიისათვის“; ორივე ლექცია ფაქულტეტმა სენო დამაკმაყოფილებლად.

„ამასთანავე პატივი მაქვს დავძინო, რომ ივ. ჯავახიშვილის კალამს ეკუთვნის შემდეგი შრომები: 1) ბალაგარის სიბრტე — 1897 წ.; 2) საქართველოს სამეფო ტახტის შემვიდრებები მეფის ძე დავით და ბატონიშვილა ივლიან — 1900 წ.; 3) წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში 1901 წ.

ხელს აწერს (ფაქ. დეკანი).

უნივერსიტეტის რექტორმა დააკმაყოფილა ფაქულტეტის შუამდგომლობა და 1903 წლის 1 იანვრიდან ივ. ჯავახიშვილი შეუდგა ლექციების კითხვას. 1902 წლის 17 დეკემბრის სხდომაზე ფაქულტეტმა დაადასტურა პრივატ-დოცენტ ჯავახიშვილის მიერ წარდგენილი ნუსხა იმ ლექციებისა, რომელთაც ის წაიკითხავდა 1903 წლის პირველ სემესტრში და სენო ეს კურსები სომხურ-ქართულ-სპარსული განყოფილების სტუდენტთათვის სავალდებულოდ. ეს კურსები იყო:

1) ეკლესიის ნაციონალიზაცია საქართველოში (VII—XII საუკ.), სათანადო პაგიოგრაფიული ძეგლების შესწავლით — კვირაში 3 საათს.

2) საზოგადოებრივი წყობილება სოხეთში V საუკ. ქრ. შ. სათანადო ადგილების კითხვით ლაზარე ფორპელისა და ფავსტოს ბიზანტიელის ისტორიებიდან — კვირაში 2 საათს.

II

1903 წლის 1 იანვარი უნდა ჩაითვალოს მნიშვნელოვან თარიღად ივ. ჯავახიშვილის ცხოვრებაში. 26 წლის ქა-



ბუკმა მოიპოვა პეტერბურგის უნივერსიტეტში პრივატ-დოცენტის წოდება და ამით მას მიეცა საშუალება შესდგომოდა იმ მიზნის განხორციელებას, რომელიც მას იმთავითვე ჰქონდა დასახული: ერთი მხრით, შეექმნა ჰემპარიტ მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებული „საქართველოს ისტორია“, ხოლო მეორე მხრით ეზრუნა მომავალი სამეცნიერო კერის, ქართული უმაღლესი სკოლის შექმნაზე.

1903 წლის იანვრიდან დაწყებული ვიდრე 1917 წლამდე ივ. ჯავახიშვილი ჰკითხულობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში ლექციებს ქართველი ერის ისტორიის სხვადასხვა დარგიდან, ქართულად და რუსულად. ისტორიის პარალელურად ივ. ჯავახიშვილს სხვა დარგებშიც უხდებოდა მუშაობა, და ეს ბუნებრივად იყო: ქართველთმეტყველება მაშინ წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი, ქართულ-სომხური ფილოლოგიის კათედრით, რომელსაც სათავეში ედგა აკად. ნ. მარი; ერთი კათედრა უნდა გასწვდომოდა ამ დარგის (ქართულ-სომხური ფილოლოგიის) ყველა დისციპლინას. ენასა და მწერლობაში მუშაობას უძღვებოდა თვითონ აკად. ნ. მარი, ხოლო საქართველოს ისტორია და მისი დამხმარე დისციპლინები მინდობილი ჰქონდა ივ. ჯავახიშვილს და მას უხდებოდა მუშაობა, გარდა საქართველოს ისტორიისა, საქართველოს ეკონომიური ისტორიის, ქართული სამართლის ისტორიის, სიძველეთამცოდნეობის, დამწერლობათამცოდნეობის და სხვა დარგებში. ამიტომაც იყო, რომ ის სტუდენტობის დროს, გარდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტისა, ისტორიულ-ფილოლოგიურისა და იურიდიული ფაკულტეტის ლექციებსაც ისმენდა და ამ ფაკულტეტის ზოგიერთ დარგში ინტენსიურადაც მუშაობდა: ის გრძნობდა, რომ მომავალი მუშაობისათვის ზოგადი ფილოლოგიური და

იურიდიული ცოდნა მისთვის უფლებულად საჭირო იქნებოდა.

მართლაც ივ. ჯავახიშვილის ინტენსიური სამეცნიერო მუშაობა 1903—1917 წლებში დიდს წარმატებით შედეგებს იძლეოდა. ამ წლებში დასწერა მან თავისი საღისერტაციო შრომა „ძველი საქართველოს და ძველი სომხეთის სახელმწიფო წყობილება“, (პეტერბურ. 1905 წ. რუსულად) რომელმაც მაღალი შეფასება მიიღო რეცენზენტების ნ. მარისა და ვ. ბარტოლდისა. რეცენზენტები აღნიშნავდნენ საღისერტაციო შრომაში „საკითხები ნათელსა და ზედმიწევნითს დაყენებას, სისწორეს კვლევის ვეზისას, რომელიც დასმული საკითხების გადასაჭრელად იყო არჩეული, და მთავარი დებულებების საფუძვლიანობას“ (იხ. პეტერბურგის უნივერსიტეტის საქმეთა ფონდი 14).

1907 წელს მან გამოსცა „საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი პირველი“ (დაიბეჭდა თბილისში, ქართულად), ხოლო 1908 წელს „ქართველი ერის ისტორია“. წიგნი I (თბილისი, ქართულად). ეს უკანასკნელი მან საფუძვლიანად გადაამუშავა და „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნთან ერთად გამოსცა 1913—1914 წლებში. ამგვარად, 1913—1914 წლებში, 37 წლის ახალგაზრდა მეცნიერს უკვე შემუშავებული ჰქონდა გარკვეული ისტორიული კონცეფცია ქართველი ერის თავგადასავალზე მისი ისტორიის დასაბამიდან ვიდრე XIII საუკუნემდე („ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნი თავდება თამარ მეფის გარდაცვალებით). ეს „ისტორია იყო აგებული წყაროების, ქართულისა და უცხოურის (ბერძნულის, სომხურის, ასურულის, არაბულის და სხვ.), საფუძვლიანსა და კრიტიკულ შესწავლაზე; ეს „ისტორია“ იყო აგებული საქართველოს ისტორიის ძირითადი წყაროს, „ქართლის ცხოვრების“ სრულიად ახალი თვალსაზრისით შეს-

წავლანე, სახელდობრ იმ თვალსაზრისით, რომ იგი („ქართლის ცხოვრება“) წარმოადგენს სხვადასხვა ისტორიკოსთა ნაწარმოებების კრებულს და, მაშასადამე, იგი უნდა გამოვიყენოთ არა საერთო მიდგომით, არამედ სპეციფიკური მიდგომით თითოეული ისტორიკოსისადმი. ივ. ჯავახიშვილმაც ზედმიწევნით შეისწავლა „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალი საისტორიო თხზულებები და მათ ავტორებს ზოგს მეტი ნდობა გამოუცხადა, ზოგს ნაკლები.

ამ ისტორიკოსების, ისევე როგორც დანარჩენ საისტორიო წყაროების შესწავლის შედეგები ივ. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა (ქართულადვე) თავის მონუმენტალურ მონოგრაფიაში „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ (თბილისი, 1916, გვ. 36+338+25).

გარდა ამისა, ამ წლების განმავლობაში, როდესაც იგი პეტერბურგში მუშაობდა, ივ. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა მთელი რიგი წერილი ნარკვევები სამეცნიერო ჟურნალებში რუსულ ენაზე („სამეცნიერო აკადემიის მოამბეში“ და „ხრისტიანსკი ვოსტოკში“) და აგრეთვე ქართულ ენაზე („ცნობის ფურცელში“, „ივერიაში“ და სხვ.) ამ წლებში იგი მუდმივი თანამშრომელი იყო ჟურნალისა „ვიზანტიისკი ვრემენიკი“, რომელშიც რეგულარულად ათავსებდა ბიბლიოგრაფიულ წერილებს საქართველოს შესახებ გამოსულ ლიტერატურაზე, ხოლო „გრანატის ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ დაბეჭდა სტატიები საქართველოს ისტორიაზე, სამართალზე, ქართულ ენაზე და ლიტერატურაზე.

ამავე დროს ივ. ჯავახიშვილს თავისი მუშაობის მეორე მხარეც კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, სახელდობრ ის, რომ მისი სამეცნიერო მუშაობა მკიდროდ ყოფილიყო დაკავშირებული ქართველი ერის კულტურის აღორძინების საქმესთან. ამისათვის ძირითადად სპირობებს წარმოად-

გენდა ქართული მეცნიერებისათვის საფუძვლის ჩაყრა და სამეცნიერო მეცნიერო კერისათვის მზადება.

1917 წლის მაისში, ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე წაკითხულ მოხსენებაში ივ. ჯავახიშვილი ამბობდა: „რასაკვირველია, ჯერ კიდევ ბევრი შრომა და მხნეობაა საჭირო, ქართული მეცნიერებისა და აზროვნების აყვავებაში, ჯერ კიდევ ბევრი რამე გვაკლია. მაგრამ ყველა გრძნობს, რომ შესაძლებელია ქართულმა აზროვნებამ და ენამ წინანდებურად ლაღად ფრთა გაშალოს, ქართველობამ კვლავ აზროვნების უმწვერვალეს სფერომდე აღმაფრენა შეიძლოს და თავის ამ სულისკვეთებისათვის შესაფერისად მოქნილი და მდიდარი ენა შექმნას; ხოლო თუ ჩვენ გვინდა, რომ ამ ჩვენს აღორძინებას მტკიცე საფუძველი ჰქონდეს, ფესვები მაგრად ვაიდვას და უხვად ვაიფურჩქნოს, უნდა დაუყოვნებლივ ჩვენს თანამედროვე ვითარებას ჩვეუკვირდეთ და საქმის შესატყვისი სამოქმედო გეგმა შევიმუშაოთ, რომლის განსახორციელებლად არაფერი უნდა დაეზოგოთ და არავითარი დაბრკოლების წინაშე არ უნდა შევედრკეთ. საქართველოს თანამედროვე აღორძინება უმკველია ჯერ კიდევ ძალიან ნორჩია, რომ მას გულმტკიცეული მზრუნველობა არ ესაჭიროებოდეს. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ არც ერთს ეროვნებას და ქვეყანას არ შეუძლია შეუჩერებელი კულტურული ზრდა, თუ რომ მას შესაფერისად განვითარებული და მუდამ წარმატებაში მყოფი მეცნიერება არ აბაღია. ერის ყოველი წარმატება, თვით ნივთიერი კულტურის სფეროშიც კი, თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღორძინებაზეა დამოკიდებული. რაც უნდა კარგად შეისწავლოს პრაქტიკულად გამოსაყენებელი ტექნიკის თვით უკანასკნელი აღმოჩენა და საშუალებანი,



თუ რომ თეორიული მეცნიერება მას საფუძვლიანად მუდამ ნიადაგს არ უმავრებს, ამგვარს ცოდნას, ვითარცა ნამდვილ ხელოსნურსა. მცირედი ღირებულება აქვს და თანდათან უნდა უეჭველად ჩამოქვეითდეს. ამიტომ ცხადზე უცხადესია, რომ თუ ჩვენ გესურს ჩვენი ერის გონებრივსა და კულტურულს ნორჩს აღორძინებას ფესვები გავუმავროთ, მთელი ჩვენი ძალღონით ქართული მეცნიერების შექმნას და აყვავებას უნდა ხელი შევეწყოთ“ (გაზ. „სახალხო საქმე“ 1917 წ. № 63).

აი, ამ მუდამ წარმატებაში მყოფი მეცნიერების, ქართული მეცნიერების შექმნაზე და აყვავებაზე ზრუნავდა ის იმთავითვე. ამით აიხსნება, რომ ივ. ჯავახიშვილი ქართულად სწერს თავის ძირითად გამოკვლევებს („საქართველოს ეკონომიური ისტორია“, „ქართული ერის ისტორია“, „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“) და პეტერბურგის უნივერსიტეტში რუსულთან ერთად ქართულადაც ჰკითხულობს ლექციებს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ძნელი საქმე იქნებოდა მაშინდელ თვითმპყრობელურ რუსეთში სახელმწიფო მოხელისათვის, „სანქტპეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის“ პრეზატ-დოცენტისათვის უნივერსიტეტის აუდიტორიაში სავალდებულო ლექციების კითხვა ქართულად. მაგრამ ივ. ჯავახიშვილი მიანიც განაგრძობდა ამ გზით მოღვაწეობას, რადგან მას კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, თუ რაოდენ საჭირო იყო ქართული სამეცნიერო ტრადიციების შესაქმნელად ქართული სტუდენტობისათვის ქართულად ლექციების კითხვა¹. ამავე მიზანს ემ-

სახურებოდა „სამეცნიერო წრე“, რომელიც მისი თაოსნობით რ. ცხარსკლავი მისი ხელმძღვანელობის ქვეშ დააარსდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1907 წლის 11 დეკემბერს სამ ქართველ სტუდენტს ივ. ჯავახიშვილმა შეატანინა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოში სათანადო განცხადება:

ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს

ქართული სამეცნიერო წრის დროებითი ბიუროს

თ ხ რ ვ ნ ა

ამსთანავე ვიდგენთ ქართული სამეცნიერო წრის წესდების პროექტს და უპირჩილესად ვთხოვთ პროფესორთა საბჭოს დაგვიპტიციოს ხსენებული წესდება; იმავე დროს ბიურო შეამდგომლობს თქვენ წინაშე ზემოხსენებული წრის ხელმძღვანელობა მიანდოთ პრეზატ-დოცენტ ივ. ჯავახიშვილს

ხელს აწერენ დროებითი ბიუროს წევრები (სამი ხელმოწერა)

1907 წლის დეკემბრის 11.

წესდება დამტკიცდა და წრეც შეუდგა მუშაობას. წრეში იკითხებოდა მოხსენებები მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან. ამ წრეში წაკითხული მოხსენებების ნაწილი უკვე გამოიცა ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით 1915 წელს.

მაგრამ ქართული მეცნიერების შესაქმნელად მარტო სტუდენტებში მუშაობა როდი კმაროდა. სტუდენტებში მუშაობა საფუძველს უყრიდა სამეცნიერო კადრების შექმნას. საჭირო იყო იმ წრეშიც მუშაობა, რომელსაც უნდა მიეღო მეცნიერება, საჭირო იყო ქართველობის ფართო მასებში მუშაობა.

¹ აუდიტორიაში რომ შემოვიდოდა, იგი ჯერ თვალს გადაავლებდა მსმენელთა შემადგენლობას, და რაწამს დარწმუნდებოდა, რომ იქ ქართულს არმოდენ არაიენ იყო, მაშინვე ქართულად შეუდგებოდა ლექციის კითხვას (თვა-

ლის გადავლება კი ძნელი არ იყო, რადგან აღმოსავლურ ენათა დაკულტების აუდიტორიები მუდამ რიცხვმცირე იყო).

ამ მიზნით ივ. ჯავახიშვილი გამოდის მოხსენებებით თბილისში ფართო საზოგადოების წინაშე და უზიარებს საზოგადოებას თავისი მეცნიერული მუშაობის შედეგებს. წელიწადში ორჯერ, ზამთრისა და ზაფხულის არდადეგების დროს, იგი ჩამოდის პეტერბურგიდან თბილისში და კითხულობს ვრცელ მოხსენებებს საქართველოს ისტორიის დარგიდან, გადმოსცემს საზოგადოებას ქართული საისტორიო მეცნიერების და საერთოდ საისტორიო მეცნიერების მიღწევებს. ეს არ არის ბოპულარული მოხსენებები ცნობილ ამბებზე; ეს არის მეცნიერული, მაგრამ ფართო საზოგადოებისათვისაც გასაგებ ენაზე შედგენილი მოხსენებები: ჯავახიშვილი იყო სინას მთაზე და აუარებელი ახალი ცნობა მოიპოვა იქ საქართველოს ისტორიაზე; თბილისში წაკითხულ მოხსენებაში ის ამ ახალ მასალაზე აგებს თავის შეხედულებებს. ჯავახიშვილმა გამოიკვლია „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალ თხზულებათა ხასიათი; თავის საჯარო მოხსენებაშიც იგი ლაპარაკობს ქართველ ისტორიკოსთა ფილოსოფიურ და ისტორიოგრაფიულ შეხედულებებზე.

1907 — 1914 წლების ქართულ ეურნალ-გაზეთებში მოიპოვება აუარებელი მასალა ივ. ჯავახიშვილის მიერ თბილისში წაკითხულ საჯარო მოხსენებათა შესახებ, და ჩვენ იქიდან ვტყობილობთ, თუ როგორ ითვისებდა ხალხი ივ. ჯავახიშვილის მოხსენებათა წყალობით ქართული საისტორიო მეცნიერების მიღწევებს.

ყოველი ლექციის შემდეგ ანგარიში იწერებოდა გაზეთებში, ანგარიში არსებითი, დაწერილებითი. ფართო საზოგადოებას უმარტავდენ, თუ რა საკითხებს შეეხო მოხსენებელი. აი, მაგალითად, ანგარიში 1907 წლის იანვრის 7-ს წაკითხულ ლექციისა (ანგარიში ეკუთვნის ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ალ. ფრონელს).

„ახალგაზრდა მეცნიერმა ივ. ჯავახიშვილმა წარსულ ცხოვრებასა საჯარო ლექცია: „ეკონომიური ისტორია საქართველოსი უძველეს დროიდან მეცამეტე საუკუნემდე ქრისტეს შობის შემდეგ“... დავით აღმაშენებლის და თამარის დრო საუკეთესო ხანა ქართველთა ხანგრძლივ წარსულ ცხოვრებაში. საქართველოს ნიუთიერმა კეთილდღეობამ უმაღლესს ხარისხამდე მიაღწია. ფინანსების საქმე მოეწყო და ყოველ წელიწადს სავარაუდო შემოსავალ-გასავალის ჯამს ითვალისწინებდნენ. მაშინ სამეფოში შემოსავალი სამგვარი ყოფილა: 1. მამულზე გაწერილი გადასახადი, სახნავეზე ღალა და ვენახზე კულუხი. დღევანდელსაკით საკომლო გადასახადი არ არსებობდა. 2. არა პირდაპირი შემოსავალი, როგორცაა ბაგი საქონელზე. 3. სამხედრო ალაფი და ხარაჯა. ხარაჯის ახდევინებდნენ დაპყრობილ ქვეყნებს. წელიწადში მარტო ხარაჯა შემოსდიოდა საქართველოს 75.288.000 ვერცხლის ღირებში. ეს ის დრო იყო, როდისაც, საქართველოს ეპყრა ამიერკავკასიის გარდა, შავი ზოვიდან მოყოლებული კასპიის ზღვამდე, თითქმის მთელი მაშინდელი სპარსეთი: გილანი, მაზანდარანი, ადერბაიჯანი და ხორასანი.

„ერთი მეათედი ამ აუარებელ შემოსავლისა იხარჯებოდა და ხმარდებოდა საქელ-მოქმედო სტუმს...“ („ისარი“ 1907 № 5).

იმავე წელს 22, 23 და 24 ივნისს ივანე ჯავახიშვილმა წაკითხა სამი ლექცია: „კულტურის ისტორია საქართველოში უძველეს დროიდან მეცამეტე საუკუნემდე“.

ამ მოხსენებაში ივ. ჯავახიშვილი აღწერდა საზოგადოებას თავის გამოკვლევას ქართველი ერის ისტორიის ძველ პერიოდზე, თუ როგორ ცხოვრობდნენ ქართველები თანამედროვე საქართველოს უფრო სამხრეთით;



ქართველების წარმართულ ხანაზე, მთვარის კულტზე და წმ. გიორგიზე; მანდილიანობის გავლენაზე; ქრისტიანობის გავრცელებაზე დასავლეთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქართველოში; სომეხთა და ქართველთა ურთიერთობაზე, მიწერ-მოწერაზე ქართველთა კათალიკოს კირიონსა და სომხის კათალიკოზ აბრაამს შორის; არაბთა ბატონობის პერიოდზე და ამ პერიოდის კულტურაზე, საქართველოს გაერთიანების დაწყებაზე. საქართველოს გაერთიანებაზე ბაგრატ III-ის დროს XI—XII ს. ს. კულტურულ აღორძინებაზე.

მთელი ამ მსჯელობის დროს ივ. ჯავახიშვილი უნერგავდა მსმენელთ დრმა სიყვარულს საქართველოსადმი და მისი კულტურისადმი. ვაჭეთის მიმომხილველი წერს:

„ქართველებმა მიაღწიეს მიზანს— ამბობდა ლექტორი— და ბერძნებს არაფერში ჩამორჩნენ, თუ არ გადააპირბებს კიდევ. ამ ხანში საქართველოს ყველა კუთხის მკვიდრნი ისე მკიდროდ იყვნენ შეკავშირებულნი, ისე იყვნენ გამსჭვალულნი საერთოდ საქართველოს გადიდების სურვილით, რომ ხსენება არც-კი იყო არავითარ იმერლობა ამერლობისა და სხვა ამის მსგავს რისამე, რომელიც ჩვენდა სამარცხვინოდ დღესაც სავსებით არ გამქრალა. საქართველოდან სამი ათას ვერსით მოშორებულს, სადღაც სინას ნრიოკ მთაზე გადახვეწილ ქართველს, რომელსაც კულტურულ შრომისა და ხასიათის განმტკიცებისათვის უარეყო ცოლშვილი, მტერ-მოყვარე, საკუთარი მიწა-წყალი, იქ, იმ უდაბნოში, სხვა არა ახსოვდა რა გარდა საქართველოსი. სინას მთაზე მოიპოვება ერთი ქართული ლოცვანი, სადაც სწერია შემდეგი კვერქსი: „საქართველოს სამეფოს გაძლიერებისათვის, საზღვრების განმტკიცებისათვის, ერისთავთა დაწყნარებისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთ“...

„უცხოელებთან შეტყვევებულ ქართველების ეროვნული ტრძინობის გამოვლიდა, მკიდროდ შეაერთა და თვით შემეცნება უმაღლეს წერტილამდე აიყვანა...“

„ევთიმემ, იოანე პეტრიწონელმა, ეფრემ მცირემ და სხვებმა იმდენად შეიმუშავეს საისტორიო მწერლობა, ისეთი მეცნიერული ხასიათი მისცეს მას, რომ დღეს მეცნიერი მათის ნაწარმოებთა გაცნობით განცვიფრებაში მოვა; მათი შრომა იმ სამეცნიერო შედარებითის შეთოდებით არის შემუშავებული, როგორითაც დღევანდელი მეცნიერება ხელმძღვანელობს“... („ისარი“, 1907 წ. №№ 138/139 27 ივნისი, 28 ივნისი).

ივ. ჯავახიშვილის ლექციები ისეთ ინტერესს იწვევდნენ საზოგადოებაში, რომ ლექტორს უსაყვედურებდნენ უფრო დაწვრილებით გვიამბეო. „ბევრს მსმენელთაგანს სწყინდა— წერს ალ. ყიფშიძე (ფრონელი),— რატომ ლექტორი დაწვრილებით არ გვიამბობს ხელობისა და ხელოსნობის ისტორიასაო. დალოცვილებს აფიწყდებათ, რომ ერთ ლექციაში ყველა არ ითქმის, ან როგორ უნდა ითქვას ამოდენა ამბავი მცირე დროს?“ („ისარი“, 1907, № 5, 11 იანვარი).

ივ. ჯავახიშვილის საჯარო ლექცია მარტო ცოდნას კი არ სძენდა მსმენელს; იგი მას უნერგავდა სიყვარულს სამშობლოსადმი და იმედს უკეთესი მომავლისას. „ლექციამ თითქმის სამ საათს გასტანა. იმდენად დაასრულა ლექცია ლექტორმა. ბევრი გაკირება უხილავს საქართველოს, ბევრი უბედურება და ვაივაგლაზი განუცდიოა, მაგრამ თუ კი ოდესმე მცირედად მაინც რიგიან პირობებში ჩავარდნილა, მკვდრეთით ამღგარა და ფენიქსებულ განახლებულაო“— ასე ამთავრებს თავის მიმოხილვას ა. ყიფშიძე. („ისარი“ 1907, № 5, 11 იანვარი).

ასევე გრძელდება ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობა 1908 წელს.

„14 ივნისს დეპუტატთა საკრებულო დარბაზში, ბ-ნ ე. ს. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით, მოხდა ქართ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კრება. ამ კრებაზე პრეზიდენტმა ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა რეფერატი „საქართველოს ისტორიკოსთა ფილოსოფიურ და მეთოდოლოგიურ შეხედულებების განვითარება VIII — XII საუკუნეთა განმავლობაში“. მოვიყვანოთ მოკლედ რეფერატის შინაარსი („ამირანი“, 1908 № 86). და რეცენზენტსაც მოჰყავს დაწერილებითი შინაარსი ამ ლექციისა:

„იოანე საბანის ძე, გიორგი მთაწმინდელი. პატარა გიორგი (ალბათ ხუცესმონაზონი), რომლის შესახებაც ნათქვამია, რომ მან შედარებით მეტოდი შემოიღო ქართულ საისტორიო თხზულებაში. ეფრემ მცირე — გასაოცარი მეცნიერი და ფილოსოფოსი. „ეფრემ მცირემ ფილოლოგიური მეტოდები უმწვერვალეს წერტილამდე მიიყვანა“, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. — მისი შედარებითი მეტოდი ფართოა და გაბედული, მისი შედარების სფერო განუსაზღვრელია. ამასთან მისი შედარება ღრმა ფილოსოფიურია. მან იცის, მაგალითად, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოღვაწის პირად ღირსებასა და თვისებას ისტორიაში; მან იცის, რომ თვითოეულ მოღვაწის მოქმედების გავლენა შეზღუდული და განსაზღვრულია საზოგადოების თანამედროვე მდგომარეობით, და იმ პირობებით, რომელშიაც იგი იმყოფება“. („ამირანი“ 1908, № 87, ოთხშაბათი 18 ივნისი).

1910 წლის იანვრის მოხსენებების შესახებ ვითხულობთ:

„13, 14, 15 და 16 ამა თვეს (ე. ი. იანვარს, ბ-ნმა იოანე ჯავახიშვილმა წაიკითხა, რ ა ს ა კვი რ ე ლ ი ა, ქართულად, ფრიად საინტერესო ლექციება ქართულ საისტორიო მწერლობა-

ზედ და მაშინდელ მასწავლებლებრივ აზრის მიმდინარეობაზედ... ლექციების მთავარი ღირსება იყო — სიუხვე ცნობათა და მათი კრიტიკა, მერმე კიდევ კონცენტრაცია აუარებელ მასალისა, რითაც ბ-ნ ივ. ჯავახიშვილი პართლაც განირჩევა ჩვეულებრივ პროფესორთაგან. ოთხ ლექციაში ისეთნაირად გაცნობა მთელი ამ აუარებელი მასალისა, მისი დახასიათება და კრიტიკა ისე, რომ არცერთი მნიშვნელოვანი წვრილმანიც არ იქნას გამოტოვებული, ძლიერ ძნელი საქმეა და ყველა პროფესორს არ შეუძლია“. აი, შინაარსი ამ ლექციებისა:

„საისტორიო მწერლობა, ბ-ნ ჯავახიშვილის აზრით, ალბად, უნდა არსებულყო წარმართობის დროსაც, მაგრამ იგი დღეს საუბედუროდ დაკარგულია. ამაში ქრისტიანობას დიდი ბრალი უნდა ედებოდეს, რადგანაც პირველი ქრისტიანები საშინელი ფანატიკოსები იყვნენ, უღმობელად ეპყრობოდნენ საწარმართო ყოველნაშთსა, განსაკუთრებით მწერლობასა, თუ სადმე ხელთ მოიგდებდნენ“... („საქართველოს მოამბე“ 1910, № 13, გვ. 9).

აი, ასეთი ხასიათისა იყო ივ. ჯავახიშვილის ლექციები, რომელთაც იგი უკითხავდა ქართულ საზოგადოებას თბილისში. ასე გრძელდებოდა მომდევნო წლებში, ყოველ ზამთარსა და ზაფხულს. უკანასკნელი ცნობა გვაქვს 1913 წლისათვის, როდესაც ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა თბილისში ლექცია „ქართული ძველი ხელოვნება“ (ამ ლექციის ვრცელი შინაარსი დაიბეჭდა „სახალხო გაზეთის“ ოთხ ნომერში — 1913 წლის №№ 797, 800, 801, 802).

ივ. ჯავახიშვილის ასეთმა მუშაობამ (ერთი მხრით, სტუდენტთა შორის, ხოლო მეორე მხრით ქართული საზოგადოების ფართო წრეებში) შეამზადა



ნიადაგი ქართული მეცნიერების აღორძინებისათვის და ქართული უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის.

ცარიზმის შებენელ ეპოქაში, როდესაც მეფის სატრაპები ცეცხლითა და მახვილით სდევნიდნენ საქართველოში ყოველივე ქართულს, ივანე ჯავახიშვილმა მამაცურად აღმართა ქართული კულტურის დაცვის დროშა და, მიუხედავად ცარიზმის მხრივ დევნა-შევიწროვებისა, მიუხედავად იმ დაბრკოლებებისა, რომელთაც მას უქმნიდნენ კერენსკისა და მენშევიკების მთავრობები, მან შესძლო შემოეკრიბა თავის ვარშემო ახალგაზრდა მეცნიერთა ძალები და საძირკველი ჩაეყარა ქართული კულტურის კერის — თბილისის უნივერსიტეტისათვის.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის პირველ თვეებშივე მან ჩამოაყალიბა პეტროგრადშივე ქართული უნივერსიტეტის დაარსების საინიციატივო ჯგუფი, ხოლო თბილისში დაბრუნების შემდეგ დააარსა „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“, რომლის დამფუძნებელ კრებაზე 1917 წლის 12 მაისს წაიკითხა ვრცელი მოხსენება უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ“, რომლის ერთი ნაწილი ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ და რომელშიც იგი მოუთხოვრებდა საზოგადოებას უმაღლესი განათლების ისტორიაზე საქართველოში და უნივერსიტეტის, როგორც სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულების, დაარსების საპირობებზე. „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ მიერ კერენსკის მთავრობის წინაშე აღძრული შუამდგომლობა თბილისში კერძო ქართული უნივერსიტეტის დაარსების შესახებ მხოლოდ „ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ე“ იქმნა დაკმაყოფილებული: კერენსკის მთავრობის დადგენილებით: 1) თბილი-

სის უნივერსიტეტს არ უნდა შეენდობა სამეცნიერო ხარისხებზე; 2) უნდა უფლება და 2) სტუდენტებს არ ეძლეოდათ შეღავათი, რომ სამხედრო ბეგარა სწავლის დამთავრების შემდეგ მოხვდათ (ასეთი შეღავათით სარგებლობდნენ რუსეთში ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები). ასეთი შეზღუდვა უნივერსიტეტის უფლებებისა, რასაკვირველია, შუამდგომლობაზე უარის თქმას უდრიდა; საქართველოს სკირდებოდა უნივერსიტეტი როგორც სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულება: თუ მას არ ექნებოდა სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება, ის უპირატესად მხოლოდ სასწავლო დაწესებულება იქნებოდა და არა სამეცნიერო; თუ მის სტუდენტებს არ ექნებოდათ შეღავათი სამხედრო ბეგარის მოხდაში და ისინი ჯარში იქნებოდნენ გაწვეულნი, როგორც კი სრულწლოვანი გახდებოდნენ (ე. ი. დაახლოებით მესამე კურსიდან), მას უმაღლეს კურსზე სტუდენტები შემოაკლდებოდნენ და, მაშასადამე, ის სრულფასიანი სასწავლო დაწესებულებაც არ იქნებოდა.

ოქტომბრის რევოლუციამ განათავისუფლა „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“ ამ შეზღუდვისაგან. მან მისცა „უნივერსიტეტის საზოგადოებას“ საშუალება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე დაეარსებინა თბილისში უნივერსიტეტი და შესდგომოდა იმის განხორციელებას, რისთვისაც ილწვოდა 15 წლის განმავლობაში ივ. ჯავახიშვილი.

1918 წლის 26 იანვარს (8 თებერვალს) გაიხსნა თბილისის ქართული უნივერსიტეტი მხოლოდ ერთი ფაკულტეტით (სიბრძნისმეტყველების ფაკ.) და ამ ფაკულტეტის დეკანად პროფესორთა საბჭოს მიერ ივანე ჯავახიშვილი იქნა არჩეული. მაგრამ

უნივერსიტეტი გაიხსნა როგორც კერძო დაწესებულება, რადგან ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კონტრრევოლუციურად დარაზმულმა ამიერკავკასიის ხალხის გამყიდველმა პარტიებმა (მენშევიკებმა, დაშაკებმა და მუსავატელებმა) ისეთი მდგომარეობა შექმნეს ამიერკავკასიაში, რომ აქ ჩაზღობილი იყო ყოველგვარი პროგრესიული ინიციატივა და მთავრობის მხრით სრულიად არ ჩანდა ზრუნვა ხალხის არც ნივთიერ და არც კულტურულ საჭიროებებზე. მიუხედავად იმ დაბრკოლებებისა, რომელთაც ჰქმნიდნენ მენშევიკები, „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებამ“ ივ. ჯავახიშვილის ენერგიული მუშაობის წყალობით მაინც შესძლო საკმაო თანხებისთვის მოეყარა თავი და დაეარსებინა უნივერსიტეტი. და ქართულმა უნივერსიტეტმაც დაიწყო არსებობა კერძო პირთა მიერ შემოწირული თანხებითა და ნივთებით.

ერთი წლის შემდეგ (1919 წელს) ივ. ჯავახიშვილი არჩეულ იქმნა უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე. მიუხედავად თანამედროვე დატეირთვისა, მას იოტის ოდნავაც არ შეუწყნებია თავისი კვლევითი მუშაობა. დღიდან უნივერსიტეტის დაარსებისა და განსაკუთრებით 1921 წლიდან, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობითა და დახმარებით თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა ნორმალური პირობები სამეცნიერო მუშაობისათვის, ივანე ჯავახიშვილი ყოველწლიურად აქვეყნებდა კაბიტალურ ნაშრომებს (ქართველი ერის ისტორიის შესავალი, პირველი და მეოთხე ტომები ქართული სამართლის ისტორიის სამი ტომი, ქართული მუსიკის ისტორია და სხვ.). გარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა ივ. ჯავახიშვილი მუშაობდა აგრეთვე საქართველოს მეზუეუმში, სადაც ხელმძღვა-

ნელობდა (1926 წლიდან) ისტორიულ განყოფილებას, და მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტში, ხოლო 1937 წლიდან აგრეთვე რუსთაველის მეზუეუმში, რომლის დირექტორი იყო ის უკანასკნელ წუთამდე.

შესანიშნავი მეცნიერი დაუღალავად, უდიდესი სიყვარულით მუშაობდა თავისი ქვეყნის ისტორიული ძეგლების შესწავლაზე, ახდენდა უდიდესი მნიშვნელობის აღმოჩენებს, აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს (დმანისი, ბოლნისი, მცხეთა, არმაზი). ამასთანავე იგი მზრუნველობით ზრდიდა მეცნიერთა ახალ კადრებს, უშუალოდ ხელმძღვანელობდა მრავალ მეცნიერულ საქმიანობას.

ივანე ჯავახიშვილმა დაგვიტოვა მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა. დღემდე დაბეჭდილია ივ. ჯავახიშვილის 93 ნაშრომი, რომელთაგან 32 წიგნად არის გამოცემული.

ეს არის წიგნები საქართველოს ისტორიის ძირითადი დარგებიდან:

1. ქართველი ერის ისტორია 5 წიგნი
2. ქართული სამართლის ისტორია 3 წიგნი.
3. საქართველოს ეკონომიური ისტორია 2 წიგნი.
4. ისტორიის დამხმარე დისციპლინები (წყაროთმცოდნეობა, პალეოგრაფია, ნუმისმატიკა-მეტროლოგია, დიპლომატიკა). 4 წიგნი.
5. ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები 1 წიგნი.
6. შინაშეწყველობა საქართველოში 1 წიგნი.
7. ლაშა გიორგის დროინდელი მემკვიდრეობა.
8. ბერა ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება.
9. ბასილი ეზოს მოძღვარი: „ცხოვრება მეოთხე-მეოთხის თამარისი“.
10. სინას მონასტრის ხელნაწერთა აღწერილობა.



ამ წიგნთა სიაში არ შედის სკოლებში სახმარებლად გამოცემული სამი წიგნი (ორი დამოუკიდებლად, ერთი — ს. ჯანაშიასთან და ნ. ბერძენიშვილთან ერთად).

ივ. ჯავახიშვილის შრომათა სმ სიაში არ არის აგრეთვე შეტანილი ის მოხსენებები, რომელთაც ის თბილისის საზოგადოებისათვის კითხულობდა და რომელთა შესახებაც ანგარიშები იბეჭდებოდა ადგილობრივ პრესაში. იმ სახით ის მოხსენებელი არსად არ დაბეჭდილა, ხოლო ზოგიერთი მათგანი სრულიადაც არ დაბეჭდილა.

დიდი მეცნიერის მოღვაწეობა შესაფერისად იქმნა დაფასებული. სსრკე-შირის მეცნიერებათა აკადემიამ 1939 წელს ივანე ჯავახიშვილი აირჩია თავის ნამდვილ წევრად. პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობისათვის 1938 წელს დააჯილდოვეს იგი შრომის წითელი დროშის ორდენით. საქართველოს მშრომელებმა თავიანთი სიყვარული და ნდობა მეცნიერის მიმართ იმით გამოხატეს, რომ 1939 წელს ერთსულენად აირჩიეს იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ხოლო უმაღლესმა საბჭომ — პრეზიდიუმის წევრად.

ივ. ჯავახიშვილს აღაფრთოვანებდა პარტიისა და მთავრობის მზრუნველობა, საბჭოთა საქართველოს მშრომელ-

თა პატივისცემა და სიყვარული და იგი გაათკეცებული შიშობდა.

მაგრამ მას აღარ დასცალდა ბოლომდე მიეყვანა ყველა თავისი განზრახვა. საბრძოლფო პოსტზე მოულოდნელად მოუსწრო მას სიკვდილმა, თავისი მეგობრების და მოწაფეების თვალწინ 1940 წლის 18 ნოემბერს, საღამოს 10 საათზე, როდესაც ის კითხულობდა სამეცნიერო მოხსენებას თემაზე „ფილოლოგიური მეცნიერების მიზნები და ქართული ლიტერატურული ძეგლები“.

საქართველოს მთავრობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის სახელით 1940 წლის 21 ნოემბერს წარმოთქმულ სიტყვაში საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გ. სტურუა ამბობდა. „დიდია ჯავახიშვილის ღვაწლი საბჭოთა ისტორიული მეცნიერების აყვავების საქმეში. გადაუტარებლად შეიძლება ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილი არის ქართველი ხალხის — საბჭოთა კავშირის ამ ერთ-ერთი უძველესი ხალხის — მეცნიერული ისტორიის შემქმნელი...“ „ივანე ჯავახიშვილმა მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე შესწირა ჭეშმარიტი მეცნიერების სამსახურს, მშრომელი ხალხის სამსახურს“.

ნიკოლოზ გომიჯანიძე

სლავური კულტურის ძეგლები

★

სლავი ხალხების მეგობრობისა და ერთიანობის თემა დიდხანია, რაც რუსულ პოეზიაში ძველს. ჯერ კიდევ 1820 წელს პუშკინმა თანაგრძნობით აღსაესტ ლექსი უძღვნა ყარა-გიორგის ქალიშვილს, რომელიც თურქეთის საუკუნოებრივი მონობისაგან სერბიის გათავისუფლებისათვის იბრძოდა. ყველასათვის ცნობილია პუშკინის მიერ შესრულებული მერიმეს „დასავლეთის სლავთა სიმღერების“ თარგმანი, რაც სლავურ კულტურულ ქვეყნებისადმი ღრმა ინტერესს ამჟღავნებდა. ნიკოლოზ პირველის რუსეთის დიდმეცობელურ ჩაგვრის პირობებში, პუშკინი მაინც ახსენებდა „სლავების შორის დაგას“, თუმცა „შინაურს“, (იხ. „რუსეთის ცილისმწამებლებს“).

არაერთხელ უმღერდა „სლავების მშობლიურ თაობებს“ ტიტუტჩევი, იგი გატაცებით უსმენდა „ძმურ ბგერებს“, მოუწოდებდა „მსოფლიო სლავური შეკრების სრულ ზეიმსა“ და ერთიანობისაკენ. მიესალმებოდა მომავალ „სრულიად სლავურ დღესასწაულს“. მიმართავდა რა „გულითადი საღმისი“ გულწრფელი სიტყვებით მთელ „სლავურ ოჯახს“, ტიტუტჩევი აშკარად და მკაფიოდ გაიძახოდა, რომ სლავი ხალხების ბუნებრივი მისწრაფება: გაერთიანონ დაქსაქსული ძალები, დაწველეთ ევროპის აგრესიულ სახელმწიფოთა სიძულვილს იწვევსო. ტიტუტჩევის აზრით, მტრებს

აშინებს „სლავური თვითშეგნების“ განვითარება და გაძლიერება. მაგრამ წარსული საუკუნის მეორე ნახევარში ტიტუტჩევი მწარედ დასტიროდა ნამდვილი სლავური ერთიანობის უქონლობას.

რევოლუციამდელი რუსი პოეტებისათვის არ იყო საესებით ნათელი სლავი ხალხების დაახლოების და პროგრესიულ-ისტორიულ განვითარების საერთო პერსპექტივები. თვითმეცობელობის ორთავიან „დიდი ჩრდილოეთის არწივის“ მეტაფორით (ხომიაკოვი) ამ კულტურულ პოლიტიკურ დაახლოების საფუძვლები მტკიცე არ იყო. მაშინ, ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული სრულიად სლავური ძეგლის, როგორც თავისუფალ, დამოუკიდებელ და ნამდვილად თანასწორუფლებიან სახელმწიფოთა კავშირის, დიადი იდეა. ამიტომ გასაკვირი არ არის, თუ რევოლუციამდელ რუსულ პოეზიაში ჩვენ ვერ აღმოვაჩინოთ, სლავ ხალხთა მეგობრობის თემის განზილვის დროს, ნამდვილ და თანამიმდევრულ დემოკრატიზმს. სამაგიეროდ საბჭოთა პოეზიაში, ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე, ეს მოტივები სრულიად სხვანაირად აელერდნენ. ნიკოლოზ ტიხონოვის ახალი წიგნი „ლექსები იუგოსლავიაზე“ ბრწყინვალე დემონსტრაციაა იმისა, თუ როგორი ძლიერებით და კეთილშეგობილურად ვითარდება სლავ ხალხთა მეგობრობა.



2.

ნიკოლოზ ტიხონოვის ლექსები არსებითად დემოკრატიულია. მათ საფუძვლად უდევთ არა მარტო თავისუფლების მოყვარულ ხალხების თანასწორობის ღრმად პრინციპული აღიარება, არამედ ამის პირადული „განცდა, რაც საბჭოთა პოეტის სისხლსა და ხორცს წარმოადგენს. ეს — აზრით და გრძნობებით მდიდარი, ნამდვილი პოლიტიკური ლირიკაა.

იუგოსლავიის რომელ კუთხესაც არ მოივლიდა საბჭოთა პოეტი, იგი მუდამ კეთილისმსურველი იყო და თვითონ მასაც არა ნაკლების სითბოთი ეპყრობოდნენ, მეტადრე როგორც საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენელს. სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში, ტიხონოვი, ერთიერთ გაგების ნამდვილ გრძნობით გამოთბარ, გულკეთილ საუბრებს ატარებდა. მრავალჯერ უნახავს მას თანაგრძნობით აღსაყვ „მჭური თვლები“. იადრანის ზღვის ნაპირზე და იუგოსლავიის სხვა ადგილებზე, პოეტი სულით და გულით გრძნობდა, რომ მის გარშემო თანამოაზრეები არიან და მას უხდება მართალი საუბრის ჩატარება „მშობლიურ ოჯახის წინაშე“. პოეტი აღტაცებულია იუგოსლავიის უბრალო ადამიანებით, მამაცი და პირდაპირი ხალხით, რომელსაც ჩვეულებად აქვს საშინელ საშიშროებას პირდაპირ თვალში შეხედოს. მას უყვარს სიცოცხლე, ყველამის გამოვლინებაში და დასვენებას სიმღერა-ცეკვაში ატარებს. ყოველგვარ ზელოვნურობის და აფექტაციის გარეშე, პოეტური სუნთქვის სრული ბუნებრივობით, გვიამბობს ნიკოლოზ ტიხონოვი ყველაფერ იმას, რაც იუგოსლავიის მიწაზე ნახა და განიცადა. აი პოეტი აცქერდება ბოსნიელ გლეხს, იგი დინჯად სწევს თავის

ჩიბუხს და ეს ბოსნიელი გლეხი გრძნობს რა თავის ბუნებრივობას, რა სიძლიერას ლოვებს, ჩვენ წინ სდგება, როგორც მებრძოლ-პარტიზანის განზოგადოებული სახე.

კარგია პოეტის მიერ სინამდვილიდან გადმოღებული დღამაციელ მეთევზე-ქალის, ახალგაზრდა და სიცოცხლით საყვ იფანჯას, სახე, რომელიც მკვირცხლად ცეკვავს საზღვაო კლუბში. მიზიდველია მეორე იუგოსლაველი ქალის სახე — სლოვენიის პარტიზანისა, რომელიც გაბედულად გავიდა დაღუპულ ძმების მაგიერ საბრძოლველად (ლექსი „დათოვლილ ლუბლიანას საღამოს“). ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და მნიშვნელოვანი ლექსია „რაინდი“, რომელიც ტიხონოვმა უძღვნა ჩერნოგორიის ნახევრად-ლეგენდარულ გმირს, გენერალ-ლეიტენანტ პეკო დაბჩევიჩს, გამოჩენილმა საბჭოთა პოეტმა შესძლო დამატყვევებელ სითბოთი, უბრალოდ და ამავე დროს რომანტიკულ ფერებით ამ საკვირველ ადამიანის, ჩვენი დროის ერთერთი რაინდის, სახის დახატვა. იგი თავდადებით იბრძოდა რესპუბლიკურ ესპანეთში, ინტერნაციონალულ ბრიგადის შემადგენლობაში, შემდეგ მშობლიურ მიწაზე სახალხო-გამანთავისუფლებელი ომის მთელი სიმძიმე გადაიტანა. რუსი პოეტი ახსენებს რა იუგოსლავიის ამ გმირს, მოსკოვში მასთან ახალ, რომანტიკულად — მშვენიერ შეხვედრას მოელის.

ნ. ტიხონოვი გრძნობს, რომ მიუხედავად იუგოსლავიიდან წამოსვლისა, იგი არასდროს არ გამოეთხოვება მას სულიერად. მისთვის ნათელია, რომ მას თან გამოყვება საბჭოთა კავშირში ცოცხალ და დაღუპულ გმირების შესანიშნავი სახეები, დანგრეული და გადაჩენილი ქალაქები, იადრანის ზღვის გაშლილი სილურჯე, მთების და ხე-

ბების სიმშვენიერე, შუმადიის ხშირ-ფოთლოვან ტყეების და ხორვატიის დედაქალაქ ზაგრების ლამაზი ქადრების ხმაური.

3.

ნ. ტიხონოვის ლექსების ახალ წიგნის ლექს-მოტივია — ახალი, დემოკრატიული, სრულიადსლავური ძმობა, რაც თავისუფლების მოყვარულ სლავი ხალხების მიერ მსოფლიოს ისტორიაში ჯერ არნახულ ძლიერებით არის შეგრძნობილი. ა. ფადეევი სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის XI პლენუმზე, რომ ტიხონოვის იუგოსლავური ლექსები ხელს უწყობენ ძმური სლავი ხალხების მეგობრობის განმტკიცებას, და მართლაც, ტიხონოვი სრული დამაჯერებლობით გვიჩვენებს, რომ ჩვენს ურთიერთდამოკიდებულებაში არავითარი ადგილი არ აქვს ბურჟუაზიულ პოლიტიკანების ქვედა ანგარიშებს და საზიზღარ საქმიანობას, არა აქვს ადგილი აგრეთვე განყენებულ ლაუბობას „ერთ სისხლზე“. ჩვენს წინ იშლება — ძმურ სლავ ხალხთა ინტერესების ნამდვილი ერთიანობა, რომელიც შეიძლება აღმოცენებული ყოფილიყო მხოლოდ დემოკრატიულ საფუძველზე. ტიხონოვი მართალია, როდესაც ამბობს, რომ ახალი სლავური ძმობა იმიტომ არის მშვენიერი და მტკიცე, რომ იგი გამოქვეყნდა სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის ერთად წარმოებულ გმირულ ბრძოლებში, ზოგიერთ კამიტალისტურ ქვეყნების პოლიტიკურ მოღვაწეთა მტაცებლური განზრახვების მიუხედავად, ასეთი წმინდა ძმობა არასდროს არ იქნება დარღვეული. და ტიხონოვთან ერთად ჩვენც გვესმის თუ რა აღფრთოვანებით მღერიან „გმირობასა და ძმობაზე“, უბრალო სლავი ადამიანები

ფაშისტების მიერ დაპყრობულ დალმაციის ზღვისპირა ქალაქში.

ლირიული უბრალოებით და პოეტიკური პატრიოტის ჭეშმარიტი მოქალაქეობრივი სიძლიერით, ტიხონოვი ქმნის ისტორიაში არნახულ იმ ბრძოლის დასამახსოვრებელ სახეებს, რომელსაც ერთად აწარმოებდნენ თავისუფლებისმოყვარე სლავი ხალხები. იუგოსლაველმა ჯარისკაცებმა „ბელგრადის განთავისუფლებით სტალინგრადი გაიარეს“, მაგრამ უფრო ადრე, საბჭოთა კავშირის ხალხები გმირულად იცავდნენ ლენინგრადს და სასტიკად დაამარცხეს გერმანელები სტალინგრადში, რითაც იუგოსლავიის ხალხებიც გაათავისუფლეს. თავის მხრივ მამაცი იუგოსლაველი პარტიზანები გვეხმარებოდნენ ჩვენ გამარჯვების მოპოვებისათვის. ბოსნიელი პარტიზანების მიერ ანთებული კოცონი მწვერვალებიდან უნათებდა სტალინგრადს.

ამაღელვებელ შთაბეჭდილებას ახდენს ლექსი „წითელარმიელების საფლავი ბელგრადის მოედანზე“. აქ ტიხონოვმა შესძლო დიდი პოეტური ხატოვნობით და სიმძაფრით იუგოსლავიის და საბჭოთა კავშირის ხალხების საერთო ტანჯვის და დიდი უბედურობის დრამატიული სურათების აღდგენა.

გასაკვირველი როდია, რომ ლენინგრადის და სტალინგრადის პათეტიური თემები ორგანიულად არიან ჩაქსოვილი იუგოსლავიის სახალხო-გამანთავისუფლებელ არმიის და მამაცი პარტიზანების გმირულ საქმეების უბრალო თხრობაში. ზამთრის თოვლიან ქარში მოღუშული ზღვისპირა ქალაქი სპლიტი თავის დაწყვეტილ მავთულეებით ლენინგრადელ პოეტს ლენინის ქალაქის ბლოკადის ნაცნობ სურათებს აგონებს. სპლიტის შეუპოვარ მცხოვრებლების დაჰიმული სახეები განსაცვიფრებლად საყვარელი და მშობლიური გახდა პოეტისათვის.

სლავი ხალხების თავისუფლებისათვის ბრძოლის თემა მკაფიოდ აქვს შეგნებული საბჭოთა პოეტს, როგორც დიადი ძალისა, რომელიც ყოველგვარ მანძილს აუქმებს და ხელოვნურ ზღუდეებს სძლევეს. დიადი ლენინის ქალაქის გული პატარა სპლიტში ფეთქავს და საბჭოთა მებრძოლი პოეტი თავისთვის ამ პატარა ქალაქში გრძნობს, როგორც მშობლიურ სახლში. შემადიის შორეულ ტყეებიდან რუს პოეტთან ლენინგრადში ჩამოსულ პარტიზანის სიმღერაში სამართლიან საქმისათვის მებრძოდ ხალხის იგივე ძალა ეღერს და ჩრდილოეთის ნევის წყალი თითქოს სერბიულ მორაევს წყალს უერთდებოდეს. აღარ არსებობს არავითარი თემა „სლავების შორის დავისათვის“, თუნდაც „შინაურისა“. ნ. ტიხონოვს ესმის, რომ გავიდა ის დრო, როცა სლავი ხალხები იძულებული იყვნენ მხოლოდ შორიდან მიეცათ ერთმანეთისათვის ხალამი, ახლა სლავი ხალხების ძმობა მოპოებულია საერთო მტრის წინააღმდეგ მძიმე, მაგრამ სახელოვან ბრძოლებში.

4.

გამოჩენილი რუსი პოეტი, გმირების სისხლით უზენაესმორწყულ განთავისუფლებულ იუგოსლავიის მიწაზე, ხედავს ფაშისტ მტაცებლების მიერ დანგრეულ ქალაქებს. განსაკუთრებულ აღლევებით კითხულობს იგი კლდეზე ამოკვეთილ უშველებელ წარწერას „ჩივიო სტალინი!“ ყოველ ნაბიჯზე შეღავნდება ჰეშმარიტად საყოველთაო სიყვარული ამხანაგ სტალინისადმი. მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ იუგოსლაველები არ ანცალკეებენ საბჭოთა კავშირის და იუგოსლავიის ხალხების ისტორიულ ბედს ერთი მეორისაგან:

დამახასიათებელია, რომ საბჭოთა პოეტის წინაშე „იადრანის მწვენიე ალი“

ლამე კი აღვით გულთა
მათი ზემის გამგებნი, *მარქსისტული*
ტიტოზე ისმის სიმღერა *სტალინი*
სტალინზე ყველა პანეგმა
(„იუგოსლავია“).

ნ. ტიხონოვი მხატვრულ სახეებში გამოხატავს მსოფლიო ისტორიის მძაფრ გარდატეხას, თავისუფალი სლავი ხალხების აღორძინების ახალ პოლიტიკურ მნიშვნელობას. იგი განრისხებული და მოღუშულია, როდესაც ათვალისკვანთ ფაშისტური შემოსევის საშინელ შედეგებს იუგოსლავიაში, ვადამწვარ სოფლების გაცივებულ ფერფლს, ქალაქის სახლების ნამსხვრევებს, „დანგრეულ გვირაბებს, დამსხვრეულ ხიდებს“. იგი აღტაცებული და მზიარულია, როდესაც ხედავს ყველგან ომის შემდგომ იუგოსლავიაში ხალხის აღფრთოვანებას, ვიგანტურ შემოქმედებითი აღმაელობას, მთელი ცხოვრების ხელახლადაგების ძლიერ მისწრაფებას. „აქ ყველაფერს ხელახლა ქმნიან“ — სამართლიანად აღნიშნავს ტიხონოვი. აღშმენებლობის პათოსი, რომელიც ასე ჩვეულია საბჭოთა პოეტისათვის, იუგოსლავიაში თავისებურად ეღერს. ტიხონოვი აღფრთოვანებაში მოყავს იუგო-სლავიის ადამიანებს, იმათ:

ვინც აგებს გზებს და აფასებს
დიად გზებსა და იღებებს,
წყლებზე ხიდებს გადასდებს,
როგორც შიშაელის ხიდებს.
(„იუგოსლავია“).

პოეტი აღნიშნავს იუგოსლავიის სახელმწიფოს კანონიერ მოთხოვნილებას, შეუპოვარ ბრძოლისა და უთვალავ ტანჯვის შემდეგ, დაიბრუნოს უსამართლოდ მიტაცებული ძველისძველი სლავთა მიწები. მისთვის გასაგებია იუგოსლავიის ბუნებრივი სურვილი მტკიცე ფეხით დადგეს იადრანის ზღვაზე. სჭავთა შორის დროა უკუვაგლოთ ძველი იტალიური ტრადიცია და ადრიატიკის ზღვას იადრანი ეუწოდოთ.

დამახასიათებელია, რომ საბჭოთა პოეტის წინაშე „იადრანის მწვანე ალი სდგება მთელი თავისი ისტორიულ სიდიადით და პოლიტიკურ მნიშვნელობით. ტიხონოვი მოგვაგონებს, რომ რუსეთის ისტორიულ ბედს არაერთხელ მოუყვანია მისი ჯარები იადრანზე. პოეტი არ ახსენებს საზღვაო ფლოტის ცნობილ ადმირალს უშაკოვს, რომელიც იადრანის ზღვაში გმირულ ფლოტს მეთაურობდა. მაგრამ ტიხონოვი, როგორც ახალი ტიპის ნამდვილი რუსი ადამიანი, სავსეა თავისი ხალხის ისტორიის ცოცხალი შეგრძნებით: მას ეზმანება, თითქოს იგი აქ ცხოვრობდა ოდესღაც სუფოროვის დროს.

ტიხონოვის იუგოსლავური ლექსების მთავარი თემა — თავისუფალი სლავი ხალხების ისტორიული მომავლის თემაა. სადაც კი არ გაიხედავს საბჭოთა პოეტი, ყველგან მოჩანს გიგანტური დაჭიმული მუშაობა იმისათვის, რომ გაათავისუფლებულ და ერთად შეკრებილმა სლავმა ხალხებმა დაიკაონ მსოფლიოში ღირსეული ადგილი. ტიხონოვი რწმუნდება იმაში, რომ „აქ მომავლით ცხოვრობენ“ დამახასიათებელია, რომ მარშალ ტიტოს გმირული სახე ტიხონოვის ლექსებში გამოყვანილია, როგორც იუგოსლავიის ხალხთა ბელადისა, რომელსაც მიჰყავს თავისი ქვეყანა, ყოველგვარ დაბრკოლებების მიუხედავად ბრწყინვალე, ისტორიულ მომავლისაკენ. ტყვილად კი არ იგონებს ტიხონოვი იმ ადგილებს, სადაც ტიტო იდგა იადრანზე და მასთან მომავალზე საუბრობდა.

ზღვისპირა პატარა ქალაქის უბრალო, წყნარ, მაგრამ შეუპოვარ ადამიანებსაც კი მშვენივრად გაეგებათ დიდი ისტორიული მისია, — სლავები „ავანპოსტად უნდა იდგნენ ახლა იადრანზე“. მათ კარგათ ესმით, რომ სლავი ხალხის თავისუფალ და ღირსეულ

ცხოვრებას დაუძინებელი და მდებარე დაცვა სჭირდება:

ახალი ზანი შეამკობს
ოქტომბერს, აქ რომ ანთია,
ღვას, იუგოსლავი გუშავობს
სლავურ მეწამულ განთიადს

(„იუგოსლავია“).

გადვილებულ სლავების ეს წითელი აისი გამობრწყინდა ისტორიაში ჯერ არნახული სიძლიერით და ვერავის ძალუძს მისი ჩაქრობა — აი რას გვიმღერის ტიხონოვი. იგი აშკარად გრძნობს სლავურ ხალხების არა მარტო მომავლის ერთიანობას, არამედ თავის პირად სულეერ ნათესაობას მათთან. პოეტი სიყვარულით მიმართავს დაღმაცეცხის. მისთვის დამახასიათებელია არა მარტო სიცოცხლის სისრულის შეგრძნობა, როდესაც იგი იადრანის ზღვაზე მოგზაურობდა, არამედ, რაც მთავარია, — მას იტაცებს სურვილი ებრძოლოს საერთო მტრებს. ტყვილად კი არ მიმართავს ტიხონოვი თავის თანამგზავს კაპიტან პეროს გამამხნეველ სიტყვებით.

აი ფაშისტების მიერ ბარბაროსულად დანგრეული ქალაქი სენი, სადაც ტიხონოვი გარშემორტყმულია გულშემატყეიარ და თავისუფლებისმოყვარე მოქალაქეებით. პოეტი მათ სიტყვასა და ქესტში გრძნობს სიყვარულს ჩვენი საბჭოთა ქვეყნისადმი და ამ სიყვარულში იგრძნობა „სლავური თვითშეგნების“ სწორედ ის სიდიადე, რომელზედაც წარსულ დროში ოცნებობდა ტიუტჩევი; ტიხონოვს მოჰყავს ერთერთი დიასახლისის სიტყვები, რომელიც საუბარში ჩაება: „მე თვითონ შევისწავლე რუსულად ლენინის წიგნი, ჩვენ ყველანი ახალგაზრდა რესპუბლიკის შვილები ვართ“. ეს არ არის მხოლოდ პოლიტიკურ ეფექტისათვის თქმული სიტყვები, როგორც ეს სჩვევიათ საზღვარგარეთელ ზოგ მწერლებს, არა, ეს თვითონ

ცხოვრებაა, მთელი თავისი რეალობით და სიმართლით. ეს კონკრეტული, ორგანიული შეგრძნობაა სლავი ხალხების შეუდრეკელ ნებისყოფისა, იმ სლავი ხალხებისა, რომელნიც მტკიცე ნაბიჯით მიდიან წინ დიად მომავლისაკენ ძმური რუსი ხალხის მეთაურობით.

5.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს ნ. ტიხონოვის იუგოსლავური ლექსების ზოგიერთი თავისებურებანი. ისინი განირჩევიან სახეების სიძლიერით, სიახლით, და მე ვიტყვოდი — ახალგაზრდობით. თვითეული სტრიქონი სუნთქავს სულიერი სიჯანსაღით, შემოქმედებითი ძალის ახალგაზრდული სისაფისით. მისი ლექსი საესეა საინტერესო მეტაფორებით, დინამიურობით და რიტმის სხვადასხვაობით. ცხადია, ყველა ლექსი არ სდგას ერთნაირ სიმაღლეზე, მაგრამ მთავარი ისაა, რომ პოეტი შეგნებულად გაუზრბის ლიტერატურულ შელამაზებას და ხელოვნრობას. ტიხონოვის პოეზიის სტილი — ბუნებრივი და ვაკაცურია. რეალისტურად მართალი სურათები ტიხონოვის პოეზიაში ბუნებრივად სცვლიან რომანტიკულად შეფერადებულ გმირულ სცენებს, ტიხონოვის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი რომანტიზ-

მი — განყენებული არაა, მისი სიციცხლით აღსავსე და ნაყოფიერია, როგორც ეს საბჭოთა ლიტერატურის მთელ რიგ თვალსაჩინო ნაწარმოებებს ახასიათებს.

იუგოსლავიის აღწერის დროს ტიხონოვი მართალი და კონკრეტულია. მთავარი ეთნოგრაფიულ დეტალების გადმოცემაში როდია, მთავარია სისწორით გადმოსცე, შეაფასო და რაც დამახასიათებელია, ის გამოჰყო, და ამის შესანიშნავი უნარი რომ აქვს ტიხონოვს, ამას ადასტურებენ ჩვენი იუგოსლაველი შეგობრები, რომელნიც ჩამოსული იყვნენ საბჭოთა კავშირში პოეტ რადოვან ზოგოვიჩის მეთაურობით. ტიხონოვმა შესძლო სიმართლის თქმა დემოკრატიულ იუგოსლავიის შესახებ. ამიტომ საესეებით სამართლიანად გაიძახის პოეტი თავის საბოლოო ლექსში:

დიდებით საესე მძლავრია
 დღე თავისუფალ მხარის,
 იი ის, იუგოსლავია,
 ისეთი, როგორიც არის.

(„იუგოსლავია“).

ნიკოლოზ ტიხონოვმა ნათელი და სწორი წარმოდგენა მოგვცა იუგოსლაველი პატრიოტების უსაზღვრო გმირობასა და სლავი ხალხების დაუძლეველ მეგობრობაზე. მისი ახალი წიგნი თვალსაჩინო მოვლენაა ჩვენს საბჭოთა პოეზიაში.

აქაკი მანაკალია

მასალები ქართული ჰერსიოფიკაციის კვლევის ილგორიისათვის *

★

ქართული ლექსის შესახებ შენიშვნები მოეპოვება ლ. ისარლიშვილს. პოპულარულ წერილში—„მოკლე კანონი ქართულის პოეტისა ანუ ლექსთა თხზულებისანი“¹. ავტორი იზიარებს ქართულ ლიტერატურაში გავრცელებულ აზრს ჩვენი ლექსწყობის სილაბურობის შესახებ: „ქართული ლექსების თვისება ანუ ლექსთწყობილება სილაბურია; ადრეც ესრედ უწერიათ და ეხლაც ისე სწერენ; ესე იგი, იგოდენნი მარცვალნი ლექსისა შემდეგ სტრიქონში, რაოდენიც უნდა იყვენ წინა სტრიქონში“².

ისარლიშვილს ჩამოთვლილი აქვს ლექსის 10 „გვარი“ 1. „შაირი“, 2. „რული“ (sic), 3. „ზაგნაკაური“ (ანუ „ზაგნაკორული“), 4. „ჩახრუხაული“, 5. „წყობილი“, 6. „ფისტიკაური“, 7. „ლექსი“, 8. „მჩობლელი“, 9. „იამბიკო“ და 10. „შერეული“. როგორც ვხედავთ ავტორს ხელთ ჰქონია პ. იოსელიანის რუსული ნარკვევი „სამგზავრო შენიშვნები თბილისიდან მცხეთამდე“ (1871) და აქედან ამოუკრეფია ლექსის „გვართა“ სახელწოდებანი და ნაწილობრივ — განმარტებანიც. იმ ლექსების შესახებ კი, რომლებშიაც სილაბური თანაბრობა და რითმების კანონზომიერი თანმიმდევრობა არაა დაცული, ისარლიშვილი სწერს: „თუმცაღა დაუწერიათ ადრე: პეტრიწეს, ანტონ კათალიკოსს, დავით ბატონიშვილსა ბერძნულისა და ლათინურის მიხედვით ტონიკურის გვარად ასე რომ რაოდენობა მარცვალთა და რითმის დაბოლოება ერთის სტრიქონისა არ ეთანხმება შემდგომ ლექსების რაოდენობასა და რითმასა, მარა ამგვარი ლექსით სახალხოდ არავის უწერია, რადგანაც არ ეკუთვნოდა იგი ქართულის ენის თვისებას და არც მისს ხასიათსა“³.

მოტანილ ამონაწერში მკითხველი ადვილად შეამჩნევს პ. იოსელიანის მოსაზრებათა ანარეკლს, ოდონდ დამოუკიდებელი და სიმართლეს მოკლებული შეხედულება გამოთქმული ბერძნულ-ლათინური ვერსიფიკაციის „ტონურო-

* დასასრული, „მნათობი“ № 1.

¹ ლუკა ისარლოვი, ლექსნი. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა ტფილისი, 1895, გვ. 94—122.

² იქვე, გვ. 99.

³ ლ. ისარლოვი, Op. cit., 99.

ბაზე“. „იამბიკოს“ შესახებ კი ლ. ისარლიშვილი პირდაპირ სთარგმნის (წყაროს დაუსახელებლად) პ. იოსელიანის რუსული წიგნაკის სათანადოდ დაწვრილ „ეს გვარი ლექსი შემოღებულა ბერძნულის და ლათინურის კნეს“¹ ამ ლექსებით უწერიათ ძველად სასულიერო საგნები, უმეტესად მონასტრებში. ამგვარ ლექსებს ერქვა ძველად — „მარცვალნი გრძელნი მოკლეთაგან დამოკიდებულნი“, რომელი პოეტის ორაციოსის იამბიკოს მიბაძვით, — ორაციო უწოდებს იამბიკოს (Jombus): *Syllaba longa brevi subiecta vocatur jambus*².

ქართულ ლექსის სახეებს წერილის ავტორი რითმისა და მარცვლების რიცხვის მხრივ არჩევს. დ. ჩუბინაშვილისა და პ. იოსელიანის დაგვიანებული აღბეჭდვის წარმოდგენითაც ქართული ლექსწყობა სილაბური სისტემისაა. მისი აზრით საზომში მთავარია: ა. მარცვლების თანაბრობა „სტრიქონში“ ბ. „მუხლების“ განლაგების სისტემა, გ. ცეზურა ანუ „გაყოფა“ და დ. რითმა. რამდენიმე მაგალითი:

1. „შ ი ა რ ი“ მდგომარეობს ოთხ-ოთხ სტრიქონის ლექსებიდგან, რომელთაც დაბოლოება, რითმა ერთნაირი თანამზგავსი უნდა იყოს. მეტრი მათი ანუ ზომა და წყობილება უნდა იყოს მთელს სტრიქონში თექვსმეტი მარცვალი, დაყოფილი შუაზედ რვა-რვა მარცვლად, ასე რომ ამ ორსავე შუა დაყოფილიდგან შეადგენს ერთს სტრიქონს თექვსმეტს მარცვლიანს³.

2. „ზაგნაკორულის“ შესახებ:
„ზომა ანუ მეტრი ათ-ათი მარცვალი (?) სტრიქონში, ხუთხუთად დაყოფილი“⁴.

საზომთა გარდა ავტორს ჩამოთვლილი აქვს სპარსულ-თურქული სახელწოდებანი: 1. „მუხამბაზი“, 2. „მუსტაზადი“, 3. „თახმისი“, 4. „ყაილა“, 5. „გარჩელი“, 6. „თეჯლისი“, 7. „გაფი“, 8. „ბაიათი“, 9. „გუშა“⁵. საზომის შედგენილობის მხრივ არცერთი მათგანი არ არის გარჩეული.

ლ. ისარლიშვილის წერილი ლექსის თეორიის პრიმიტიულ ნიმუშს წარმოადგენს და მას იმდენად ვუწვეთ ანგარიშს, რამდენადაც აუცილებელია ბიბლიოგრაფიული სისრულის დაცვა ისტორიულ ექსკურსის დროს.

80-იან წლებში ქართული ვერსიფიკაციის საკითხებში მეტი გარკვეულობის შეტანა სცადეს — ჯერ ნ. გულაკმა, შემდეგ — ჯ. დოღაშვილმა. ორივე ავტორმა სწორად დააბასიათა ქართული ლექსის ბუნება და ცხადყო (განსაკუთრებით ჯ. დოღაშვილმა) მახვილის როლი ქართულ ლექსთწყობაში.

1884 წელს ნ. გულაკმა „ვეფხის-ტყაოსნის შესახებ“ წარმოთქმულ სიტყვაში პოემის ფორმის საკითხებთან დაკავშირებით შემდეგი მოსაზრება გამოთქვა: „რაც შეეხება პოემის გარეგნულ ფორმას, ბროსეს გამოცემაში ის შეიცავს 1,639 ხანას. თვითეული ტაეპი 16 მარცვლისაგან შესდგება და იმავე სტროფის ყველა ოთხი ტაეპი ერთიდაიმავე ძალიან მდიდარი რითმით ბოლოვდება. ეს მონოტონურობა არ შეურაცყოფს ქართველის ყურს; ქართველები

¹ Op. cit., 114 (ავტორის სტილი ყველგან უცვლელად არის დატოვებული, ოღონდ ლათინური ფრაზა, დამახინჯებულად დაბეჭდილი, გასწორებულია). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პ. იოსელიანის განმარტებას (იამბიკოსი) და მის აზრს ანტონ I-ის ლექსებზე წყაროს დაუსახელებლად იმეორებს აგრეთვე გ. სამაგლოვ-ივერიელიც (იხ. მისი წერილი „გვირგვინი მთაწმინდელი, როგორც სასულიერო პოეტიკოსი“, გ.ზ. „თვერია“, 1895, № 105).

² ლ. ისარლიშვილი, Op. cit., 100.

³ იქვე.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

მიეჩვენენ გრძელ სიმღერებს, რომლებშიაც თვითეული ტაქტიკური მხარე რითმით ბოლოვდება. ჩვეულებრივ ამბობენ, რომ რუსთველის ლექსების ზომა სილაბურიაო, მაგრამ მე მგონია, რომ ეს არ არის მართალი. ქართული ენა, მსგავსად ყველა ახალი ევროპული ენებისა, იცავს იმდენად არა ბგერათა სივრცესა და სიმოკლეს, რამდენადაც მახვილს. რუსთველის ტაქტიკური საშუალებით ორ თანაბარ ნახევრად იყოფა. თვითეულ ნახევარში სამი ტერფია, თვითეულ ტერფში ერთი მახვილი, ისე, რომ თვითეული ტაქტიკური ბერძნული ჰექსამეტრის მსგავსად, ექვსტერფიანია ექვსი მახვილითურთ. მაგ. პირველი სტროფის ტაქტიკა შემდეგია:

ს ს | ს | ს | ს | ს || ს ს | ს | ს | ს

ე. ი. თვითეულ ნახევარში პირველი ტერფი წარმოადგენს ამფიბრაქს, მეორე ტერფი — დაქტილს, მესამე კი — ქორეს. თანაც რუსთველის ლექსწყობა სარგებლობს იმ თავისუფლებით, რომ ყოველი ტერფი შეიძლება მეორე ტერფით შეიცვალოს, ოღონდაც დაცულ იქნას ტაქტი, როგორც მუსიკაში. მაგ. მეორე სტროფის მესამე და მეოთხე ტაქტიკის სქემა შემდეგია:

ს ს | ს ს | ს ს || ს ს | ს ს | ს ს

— ს | ს ს | ს ს || ს ს | ს ს | ს ს

მეორე ტაქტიკა მეხუთე სტროფისა:

ს — | ს ს | ს ს || ს ს | ს ს | ს ს

შენიშნავთ აგრეთვე, რომ თვითეული სტროფის მეოთხე ტაქტიკის გვერდით ზის კავშირი და, რომელიც მარცვლების ანგარიშში არ შედის.

საერთოდ, თუ რუსთველის ლექსებს ხმა მალა წაფიქრებულად ცეზურისა და მახვილის დაცვით, მაშინ ისინი საუცხოონი, პარამონიულნი არიან და პომპროსისა და ვირგილუსის ლექსებს არ დაუვარდებიან¹.

სავსებით მართალია ნ. გულაკის მოსაზრება, რომ „ქართული ენა, მსგავსად ყველა ახალი ევროპული ენებისა, იცავს იმდენად არა სივრცესა და სიმოკლეს ბგერებისას, რამდენადაც მახვილს“. ეს განცხადება ფრიად საგულისხმოა და მოწმობს ერთგვარი გარდატეხის დასაწყისის ქართული ვერსიფიკაციის განვითარებაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ე. ბოლხოვიტინოვის შეხედულებანი დაეწყო მის მიერ. თვითონ ტაქტიკების მეტრული ანალიზის მხრივ ნ. გულაკი ახალს არაფერს ამბობს, რადგან ისიც რიტმის ბუნებას სალექსო ტაქტიკის ტერფებად დაყოფაში და მათს ურთიერთ მონაცვლეობაში ხედავს; კერძოდ „ვეფხისტყაოსნის“ საზომის აქცენტურ სისტემაში ნ. გულაკი მართებულად ამჩნევს ქორესა და დაქტილს, თუმცა საზომის პირველი ტერფი შეცდომით მიაჩნია ამფიბრაქად (ვ. ტყ-ის საზომში ეს ტერფი არ მოიპოვება). საერთოდ ნ. გულაკის მეტრული ნომენკლატურები დიდად ჩამორჩებიან ბოლხოვიტინოვის სქემებს. მის გრაფიკულ ჩანაწერებში სწორად არ არის გადმოცემული მახვილების თანმიმდევრობის ხასიათი ვ. ტყ-ის ტაქტიკებისა, რაც ქართული ენის არა საკმარისი ცოდნით არის გამოწვეული. ნ. გულაკის წერილში მოიპოვება სხვა შეცდომებიც. მაგ. ხელოვნურია რუსთველის 16 მარცვლიანი

¹ Николай Гулак, О Барсовой коже Руставели („Сборник материалов для описания местн. и племен Кавказа, вып. 4, стр. 136 — 137; Тифлис, 1884).



შაირის უშუალო შედარება ბერძნულ ჰექსამეტრთან; გათვალისწინებულია არაა ტერფების თანმიმდევრობა სქემებში და, მაშასადამე, „ვეფხისტყაოსნის“ ნამდვილ საზომებად ისინი ვერ ჩაითვლებიან. მაგ. ბროსეს გამოცემის მიხედვით (რომლითაც ნ. გულაკი სარგებლობს) ვ. ტყაოსნის პირველი სტროფის საზომად მკვლევარი ასეთს გრაფიკულ სქემას სახავს:

ს | ს | ს | ს | ს | ს || ს | ს | ს | ს | ს | ს

ე. ი. ამფიბრაქი+დაქტილი+ქორე (ტაების მეორე ნახევარშიაც ასეთი რიგია).

იგივე ტაები ჩვენი სქემით:

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერათა

| ს | ს | ს | ს | ს | ს || | ს | ს | ს | ს | ს | ს

ე. ი. დაქტილი+ქორე+დაქტილი (ტაების მეორე ნახევარშიაც ასეთი რიგია).

ამჟამად, ნ. გულაკის სქემა დაცლებულია „ვეფხისტყაოსნის“ სათანადო სტროფის პირველივე ტაების საზომს. თანაც სავალდებულო როდია, მეტრი ყველა ტაებზე ვრცელდებოდეს, როგორც ამას ნ. გულაკი ფიქრობს. შეიძლება წერილის ავტორი გულისხმობს პოეტის ძირითადი ტექსტის პირველ სტროფს („იყო არაბეთს...“), რომლის ნამდვილი სქემა (| ს | ს | ს | ს || | ს | ს | ს | ს | ს | ს) სრულიად არ შეეფერება გულაკის გრაფიკულ ჩანახაზს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პროლოგისა და ძირითადი ტექსტის პირველი სტროფების რითმები დაქტილურია (| ს | ს), ხოლო გულაკის სქემაში ამ სტროფებს ქორეული ანუ ქალური რითმა (| ს |) აქვთ.

ნ. გულაკის მთავარი დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ ბოლზოვიტინოვის შემდეგ ხელმეორედ მიაქცია ყურადღება მახვილის როლს ქართულ ლექსში და ეს უკანასკნელი სილაბურ-ტონურ სისტემას მიაკუთვნა.

კ. დოდაშვილის ვრცელი საგაზეთო ნარკვევი „ქართული ლექსწყობა“ (1890) შეიძლება ჩაითვალოს პირველ სერიოზულ გამოკვლევად ჩვენი ვერსიფიკაციის ისტორიაში¹. ავტორი სპეციალურად არჩევს ქართული პროსოდისა და მეტრიკის ძირითად საკითხებს, გვაძლევს საზომების კლასიფიკაციას და დამარწმუნებელ მაგალითებით ასაბუთებს მახვილების სისტემის არსებობას ქართულ ლექსში. კ. დოდაშვილი უარყოფს მის დროს ლიტერატურულ წრეებში გავრცელებულ აზრს, თითქოს ქართული ლექსწყობის ბუნებას მარტოდენ მარცვლების თანაბრობა განსაზღვრავდეს და ცხადყოფს „რა უაზრობას წარმოადგენს ცალიერი მარცვლების თვლა“, თანაც გვიჩვენებს „თუ რით განსხვავდება მარცვალთა რაოდენობით ერთნაირი ლექსები და რას უნდა მიეჭყეს მთავარი ყურადღება, როდესაც გვინდა შევიტყოთ წყობილება ლექსისა“².

¹ კ. დოდაშვილი, ქართული ლექსწყობა. „ივერია“, 1890, №№ 209, 210, 270, 272.
² ივერია, 1890, № 209.

კ. დოდაშვილი გრამატიკოსი იყო და მეტრიკის საკითხებში მკვლევარულ-საფუძველს ემყარებოდა. იგი შედარებით კარგად ითვისებდა მკვლევარული ენის ფონეტიკურ ბუნებას და მის ზოგიერთ მოსაზრებას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. „ყოველ ენას,—წერს კ. დოდაშვილი,—რა ენაც უნდა იყოს, შეპფერის ან მეტრული ლექსითწყობა (როგორც ბერძნულსა და ლათინურს) ან სილაბიური (ფრანგულსა და პოლონურს) და ან ტონური (რუსულს, გერმანულს, ქართულს). სხვაგვარი ლექსითწყობა არ არსებობს. რადგანაც ჩვენს ენას შეპფერის ტონური ლექსითწყობა, ამიტომ ჩვენ აქ მარტო მას შევხებით.

ზემოთჩამოთვლილ პერიოდთა შორის რუსულს ენას შეპფერის ხორე, იამბი, დაქტილი, ამფიბრაზი და ანაპესტი. ჩვენს ენას კი ხორეი, დაქტილი, პირიხდაქტილი და პეონი მეორე. ამას, რასაკვირველია, მიზეზი აქვს და ამ მიზეზებზე ქვემოთ მოვილაპარაკებთ, ეხლა-კი შევეხებით პროსოდიული პერიოდების განსხვავებას. ბერძენ-რომაელთა და ქართველთა ენების ლექსითწყობაში. კლასიკურს ენებში ხმოვნები არიან ან მოკლენი და ხანგრძლივი ან ბუნებითადვე (*natura*) ან უხმო ბგერებთან შეწყობით (*positione*). ჩვენს ენაში—კი, როგორც აგრეთვე რუსულსა და გერმანულში, ხმოვნებს არავითარი გარჩევა არა აქვთ. ყველგან და ყოველ შემთხვევაში ერთნაირად იკითხებიან.

მახვილიანი მარცვლის ხმის ამაღლება, როგორც სიტყვაში, აგრეთვე ლექსში სხვადასხვანაირია ჩვენსა და კლასიკურს ენებში. ბერძნულ-ლათინურში ხმის ამაღლება მდგომარეობს ხმოვნის მკაფიოდ გამოთქმაში, ჩვენსა და რუსულ-გერმანულში-კი ძალდატანებითი ფილტვებიდან ჰაერის ამოქშინებაში ანუ, მოკლედ რომ ვსთქვათ, ჩვენი ხმის ამაღლება ექსპირატორულია, ბერძენ-რომაელებისა-კი ხრომატრული. აქ დამკვირვებელი უეჭველია იკითხავს: „თუ კი ამისთანა თვალსაჩინო გარჩევა ჰქონია ჩვენსა და კლასიკურს ენათა ხმოვნებს, მაშ პროსოდიულს პერიოდებსაც უნდა ჰქონდეთ გარჩევა და ჩვენ სხვარიგი სახელწოდება და ნიშანი უნდა მიეცეთ“. დიდაც საფუძვლიანი იქნება ამგვარი კითხვა და აი რატომ. მაგალითად, ბერძნული ხორეიოს, იგივე ტრონაოს შესდგება სამის ხრონოს-პროტოსისაგან, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ხრონეოს-პროტეოს იქნება ყველაზე მოკლე საზომი ბერძნულის აგოგესი კითხვის დროს (იგივე ტემპი მუსიკაში). ორი პირველი ხრონოს-პროტოსი შეერთდება ხანგრძლივ მარცვლად და ამგვარად სტოპი მიიღებს შემდეგს სახეს — ო. ასევე გაირჩევა, რასაკვირველია, დანარჩენი სტოპებიც ბერძენ-რომაელების მეტრიკაში, ხოლო ჩვენს ხორეიზე და სხვა პროსოდიულს პერიოდებზე ამავეს ვერ ვიტყვით. ამათში მარცვლების სიხანგრძლივეს არა აქვს ისეთი გარჩევა, როგორიც ზემოდა ვნახეთ ბერძნულში. ჩვენს ხორეიში შეგვიძლიან ერთრიგად გავაგრძელოთ პირველიცა და მეორე მარცვალიც.

ო, მეო, კარი გამიღო

— | — ო | — ოო | — ოო

უფრო სწორე იქნებოდა, რომ ჩვენს ლექსწყობას ვუწოდოთ ხორეისებური, დაქტილისებური, პირიხდაქტილისებური და მეორე პეონისებური¹.

მოტანილ ამონაწერში გადმოცემულია კ. დოდაშვილის ნარკვევის თეორიული შინაარსი. ავტორი ცდილობს ქართული ვერსიფიკაციის რამდენიმე ძირითადი საკითხის გადაწყვეტას. კ. დოდაშვილის მტკიცებაა:

¹ „ივერიი“, 1890, № 209.



1. ქართულ ენას „შეპფერის ტონური ლექსწყობა“ და ამჟღადსწყობის პროსოდიული პერიოდები „ხორეი, დაკტილი, პირიხ-დაკტილი“ და „მეფე მეორე“¹.

2. პროსოდიული პერიოდები განსხვავდებიან „ბერძენ-რომაელთა და ქართულ ენების ლექსწყობაში“, რადგან „ჩვენი ხმის ამაღება ექსპირატორულია, ბერძენ-რომაელებისა კი ხრომატიული“.

3. კლასიკური ვერსიფიკაციის ელემენტები ქართულ ლექსწყობაში სხვა ბუნების მატარებელი არიან და საჭიროა ამ ელემენტების სახელწოდებათა ნაწილობრივი შეცვლა („ხორეისებური“, „დაკტილისებური“, „და ა. შ.). დოდაშვილი საგანგებოდ შენიშნავს: „რუსი პროსოდისტები ლომონოსოვს აქეთ თავიანთ პროსოდიულს პერიოდს ერთნაირად უხმობენ, როგორც ბერძნულ-ლათინურში, თუმცა მათ შორის დიდი საზღვარი პივეს“².

ქართული პროსოდიის საკითხში კ. დოდაშვილი არსებითად იმეორებს პ. იოსელიანისა და ნ. ჩუბინაშვილის შეხედულებებს, თუმცა ამ უკანასკნელთა შრომებს, როგორც ჩანს, იგი არ იცნობდა. კ. დოდაშვილის სისტემის მიხედვით, ქართულ ენაში ორმარცვლიან სიტყვებს მახვილი მოუღის ბოლოდან მეორეზე, სამმარცვლიანებს—ბოლოდან მესამეზე, ოთხ და ხუთ მარცვლიანებს აგრეთვე ბოლოდან მესამეზე. ლექსების საზომების დადგენისას კ. დოდაშვილი ენის ფონეტიკურ მოვლენებს ითვალისწინებს: „ლექსის ყოველ ტაეპის წაკითხვის დროს ხმოვანი ერთიგად როდი მოისმიან: ზოგი ისმის ხმის ამაღლებით, ზოგი კი ხმის დამდაბლებათ. ამავე მოვლენას შენიშნავთ აგრეთვე ყოველისავე სიტყვის გამოთქმის დროსაც. ხმის ამაღლება ხმოვნისა სიტყვაში გადაეცემა იმ თანხმოვან ბგერასაც, რომელიც სხვადასხვა ვარიაციებით მიმოსდევს ხმოვანსა და ამგვარად ხმის ამაღლებით გამოთქმის სიტყვის რომელიმე მთელი მარცვალი და არა მარტო ხმოვანი. ამისთვის ვამბობთ, ხოლმე, რომ მახვილი სიტყვის ამა-და-ამ მარცვალზედა და არა ამა-და-ამ ხმოვანზე, თუმცა ხმოვანი არის მიზეზი, რასაკვირველია, მახვილის არსებობისა სიტყვაში. სიტყვა შეიძლება ხუთი და მეტხმოვანიც იყვეს, მაგრამ მახვილი ერთს მარცვალზედ მოისმოდეს. ლექსის ტაეპიც, რამდენ სიტყვიანიც უნდა იყვეს, თუ სიტყვებზედ ნაკლები მახვილია, ისე უნდა გაისინჯოს, თითქოს იგი შესდგებოდეს იმდენ სიტყვებისაგან, რამდენიც მახვილია.“

განსაკუთრებითი თვისება ტონურ ლექსთწყობისა იმაში მდგომარეობს, რომ პროზულს ხმის ამაღლებას ეიგივეობა მეტრული ხმის ამაღლება ე. ი. რა კანონითაც დაისმის გამოთქმის დროს სიტყვაში მახვილი, იმავე კანონით ისმის ხმის ამაღლება ყოველს პროსოდიულს პერიოდში, თუ სტოპს ისე გავარჩევთ, როგორ სიტყვას, რომელიც შედგება იმდენ მარცვლისაგან, რამდენიც სტოპის ყველა სიტყვაში მარცვლებია“³.

კ. დოდაშვილი მართებულად ფიქრობს, რომ მეტრის ზეგავლენა იწვევს პროზული პერიოდის დეფორმაციას, მისი, როგორც ერთი მთლიანი ექსპირაციული ტალღის წარმოთქმას. მაგრამ ეს ყოველთვის როდია საყალბედულო.

¹ ბოლხოვტინოვის იმ მოსაზრებას, თითქოს ქართულ ენას „შეპფერის ძველი ბერძნულს ჰვალა მეტრი“, კ. დოდაშვილი კატეგორიულად უარყოფს: „დიდი შეცდომაა, რადგანაც ქართულ ლექსწყობას შეპფერის მარტო ხორეისებური, დაკტილისებური, პირიხ-დაკტილისებური და მეორე პეონისებური“ (ივერია, 1890, № 210).

² „ივერია“, 1890, № 209.

³ „ივერია“, 1890, № 209.

კ. დოდაშვილის აზრით: „ქართულ ენას ის თვისება აქვს, რომ ტრიაქურულ¹ ხორეისებური ერთდება ხოლმე მეტრულ მეორე პეონისებურ² ნას ლაპარაკის დროსაც შენიშნავენ. მაგალითად, ორ სიტყვაში თითქოს მახვილი ბოლოდამ მესამე მარცვალზე იყოს (თამარ მეფე — მეორე პეონისებური). ამ მოვლენას, რასაკვირველია, ლექსებში უფრო შენიშნავენ³. კვლევის ასეთი მეთოდი გავლენას ახდენს საზომების კლასიფიკაციაზე. გამოდის, თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ ტაქტები, რომლებიც მეორე პეონის მეტრით არის დაწერილი (ე. წ. „მალალი შაირი“), ყოველთვის იცავენ ერთმახვილიანობის კანონს „სტოპში“. ამ კანონის მიხედვით ტაქტი „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“... უნდა წავიკითხოთ შემდეგი აქცენტუაციით:

ნახეს + უცხო მოყმე + ვინმე, ჯდა + შტირალი წყლისა + პირსა

ს — სს ს — სს ს — სს ს — სს

კ. დოდაშვილიც ასეც იტყევა და მის კლასიფიკაციაში რუსთაველის „მალალი შაირი“ მარტროდენ მეორე პეონების კომბინაციის სახით არის წარმოდგენილი⁴. წერილის ავტორი არც „დაბალ შაირში“ ამჩნევს ქორეს, რადგან ხუთმარცვლიანი ტერფები მხოლოდ ერთი მახვილის მატარებელ კომპლექსებად მიაჩნია. ტაქტი „მოდო, მარინო, უწყალოდ დამპერ ლახვრითა შენითა“, კ. დოდაშვილის „პირიზ-დაქტილისებურ“ ტერფებისაგან შედგენილ მეტრად მიაჩნია:

სს — სს | — სს | სს — სს | — სს

თუ ასეა, მაშინ სიტყვები „მოდო“ და „დამპერ“ ამ სქემით გაერთიანებული ერთ პროსოდიულ პერიოდში ერთი მახვილს ქვეშ და პირველი სიტყვა („მოდო“) უმახვილო ტერფს, პირიზს წარმოადგენს. კ. დოდაშვილი თანმიმდევარია მსჯელობის დროს და ამიტომაც „ქართული ენისათვის შესაფერ სტოპებში“ მას გათვალისწინებული არა აქვს „ქორე-დაქტილისებური“ მეტრული პერიოდები. თანაც იფიქრებს, რომ „პირიზი“, როგორც დამოუკიდებელი ტერფი, მას გამოყოფილი არა აქვს ქართული ლექსწყობისათვის შესაფერ „სტოპებთან“ ერთად.

კ. დოდაშვილის მეთოდი ემყარება ტრადიციული მეტრიკის ხერხს—ტაქტის | სკანდირებას | სქემის მიღების მიზნით, რის გამოც უგულვებელყოფილია ტაქტის რეალური რიტმი.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ კ. დოდაშვილის წერილს შესაფერისი გამოხატურება არ ჰქონია ქართულ ლიტერატურაში. გასული საუკუნის მიწურულს და ჩვენი საუკუნის პირველ ათეულ წლებში ვერსიფიკაციის საკითხებს გაკვრით ეხებოდნენ მხოლოდ ლიტერატურის ისტორიკოსები და გრამატიკოსები, მაგრამ კ. დოდაშვილის მიერ ასე თუ ისე გადაჭრილ საკითხს ქართული ვერსიფიკაციის ტონურობის შესახებ ხელახლა ხდიდენ კამათის საგნად. მისი შენიშვნები საეცებით მიიფიქრეს და ისევ მოიკიდა ფეხი ძველმა შეხედულებამ. ჩვენი ლექსწყობის სილაბურობის შესახებ. 90-იან და 900-იან წლებში ახალი და პრინციპული არაფერი თქმულა მეტრიკის დარგში და კ. დოდაშვი-

¹ „ივერია“, 1890, № 210.

² კ. დოდაშვილის შეცდომას ისიც ცხადყოფს, რომ თუ მეორე პეონს უცვლელად მივიჩნებთ მალალი შაირისათვის, მაშინ ამ საზომის კლაუსულა ყველგან დაქტილური უნდა იყოს.

³ ს. გორგაძე, ქართული წყობისიტყვაობა. ტფილისი, 1912.



ლის მიერ გაკედილი გზით არავის უვლია. სიტყვიერების თეორიისა და კარგად მართვის სახელმძღვანელოებში ლექსწყობის საკითხები ძალზე მოკლედ მხოლოდ მიტიულად და ხშირად სრული უცოდინარობით იყო დამუშავებული; წინამდებარე მიმოხილვაში მათ ვერ შევეხებით (იხ. ბიბლიოგრაფიაში).

ახალი ქართული მეტრიკის ისტორია იწყება ს. გორგაძის წერილით „ქართულ წყობილსიტყვაობაზე“, რომელიც 1912 წელს დაიბეჭდა¹. კ. ლოდაშვილის ნარკვევის შემდეგ ეს იყო მეორე სპეციალური ნარკვევი, რომელიც ლექსის საზომების შესწავლას ისახავდა მიზნად.

ს. გორგაძის შრომაში თავდაპირველად განხილულია ქართული მახვილის საკითხი და წარმოდგენილია შემდეგი დასკვნები:

1. „მახვილი ქართულ ენასაც აქვს და მასთან იგი განსაზღვრულ წესს ემორჩილება“ (გვ. 11).

2. „არსებითად ქართული მახვილი მოძრავია“ (გვ. 12).

3. „ქართული მახვილი არსებითად დაქტილურია ე. ი. სიტყვის ბოლოდან მუდამ მესამეზე მიისწრაფის. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ერთ-და-ორ მარცვლოვანი სიტყვების მიმობრუნვის დროს მახვილი მხოლოდ მაშინ ამოძრავდება ხოლმე, როცა მიმობრუნებულ სიტყვაში მარცვალთა რაოდენობა სამს გადაჭარბებს; მანამ კი ეს მახვილი იმავე მარცვალზე რჩება, რომელზედაც იჯდა, როცა სიტყვა სახელობითი ბრუნვით იყო წარმოდგენილი. აი მაგალითად:

1. ხე; ხე-სა; ხე-ნი; ხე-ები; ხე-ებსა;

2. ხე-ებისა; ხე-ე-ბი-სასა“ (გვ. 12 — 13).

ს. გორგაძე ავრცელებს პ. იოსელიანისა და კ. ლოდაშვილის დაკვირვებებს, თუმცა ქართული მახვილის ბუნება მასაც საკმაოდ მარტივად აქვს წარმოდგენილი². აქცენტის მოძრაობის ისეთი ახსნა, როგორც ს. გორგაძემ მოგვცა „ქართულ წყობილსიტყვაობაში“, დამაკმაყოფილებელი არაა და შეიცავს შინაგან წინააღმდეგობას (თუ ქართული სიტყვების დაქტილური ბუნება უცვლელი რჩება, მაშინ ჩვენს ენაში დინამიკური ანუ „მოძრავი“ მახვილის არსებობას სხვაგვარი ახსნა ესაჭიროება. ტიპიურ-დინამიკურ მახვილად ქართული აქცენტი მაინც არ ჩაითვლება).

კ. ლოდაშვილის მოსაზრებას მოგვაგონებს ს. გორგაძის შეხედულება „მუხლების“ (ლოდაშვილით—სტოპის“) შესახებ: „ორმარცვლიანი მუხლები ცალკედ არსად შეგვხვედრიან“. (გვ. 16). ამიტომ, ორივენი, ბოლხოვიტინოვთან ერთად, რუსთველის „დაბალ შაირში“ პირიხ-დაქტილისა (— —) და დაქტილის (— —) კავშირს ხედავენ³. შეცდომები მოეპოვება ავტორის საზომების მეტრული აღნაგობის მაჩვენებელ გრაფიკულ სქემებშიაც. ამ შეცდომების აღწესება შორს წაგვიყვანდა; ეს არცაა საჭირო, რადგან ს. გორგაძემ უფრო გვიან ნაწილობრივ თვითონვე გამოასწორა ისინი.

ყურადღებას იქცევს ს. გორგაძის მიერ ტაების (СНХ) ცნების განმარტებაც. სალექსო ტაები მას ესმის, როგორც „სალექსო მუხლთა (resp

¹ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული მახვილის დაქტილური ბუნება პირველად და ხაზგასმით აღნიშნა პ. იოსელიანმა თავის „ღრამშტიკაში“. რატომღაც შემდგომი პროზოდისტების არ მიუთითებენ წინაპრის ამ დამსაზღვრებაზე.

² „ქართული წყობილსიტყვაობა“, გვ. 44.

ტერფთა) მწყობრი თანმიმდევრობა¹. ეს დებულება წარმოადგენს ე. წ. ლოგაედური თეორიის ქვაკუთხედს, რომლის მიხედვითაც თანმიმდევრობის იგი რიტმს: „თუ არის მუხლთა თანმიმდევრობა, მაშინ რიტმიცაა, და პირიქით: სადაც რიტმი არაა, იქ არც მუხლთა თანმიმდევრობაა“². მაშასადამე, ტაების ლოგაედური გაგების ნიადაგზე, მეტრული სქემისა და რიტმის ცნებები გაიგივებულია.

ლექსის სტროფული მრავალფეროვნების შესახებ მამულა ბარათაშვილის შეხედულებას მოგვაგონებს ს. გორგაძის მიერ „ნარევი ლექსების“ უარყოფა. კერძოდ დ. გურამიშვილის „ქაცვია მწყემსის“ გამო ს. გორგაძე წერს: „თითქმის მთელი პოემა „ქაცვია მწყემსი“ ამგვარის ხანებითაა დაწერილი. როგორც მკითხველი შეამჩნევდა, ამგვარი ლექსი გამოსათქმელად მიიშვება არის და მოსასმენად არა მუსიკალური. საზოგადოდ არეული ლექსი ქართულ ენას არ უხდება. ამგვარს ლექსს კეთილხმოვანებით კარგი პროზა სჯობია“³. ს. გორგაძის ჰედონისტური თვალსაზრისი („კეთილხმოვანებისა“ და „საამურობის“ მიხედვით ლექსის შეფასება) ანგარიშს არ უწყევს ლიოიკული კომპოზიციების ისტორიულ ცვალებადობის კანონს. ლექსის „კეთილხმოვანება“ სხვადასხვაანაირად ფასდება დროის სხვადასხვა პერიოდში და ესთეტიკური კრიტიკიუმი მუდამ მერყევეია, რაც „მძიმედ“, „არამუსიკალურად“ თუ „არა საამურად“ ეჩვენება ერთს თაობას, მეორე თაობას იგი ლექსის ღირსებად მიაჩნია და ა. შ.

ს. გორგაძისათვის „მუსიკალურობის“ პრინციპი ლექსის უმაღლეს ღირსებას შეადგენდა. იდეალურ კანონად მიაჩნდა აგრეთვე სტროფში ტაეპების თანაბრობაც, მაგრამ ამ შეხედულებას ანტიისტორიზმი ახასიათებს. თუ მკვლევარის აზრი ვაიხიარეთ, მაშინ „უკანონო“ ლექსებად უნდა მივიჩნიოთ გურამიშვილის, ბესიკის და ნ. ბარათაშვილის მთელი რიგი შედევრები. ქართულ მწერლობაში ეს თვალსაზრისი არასოდეს არ ყოფილა სავალდებულო. პირიქით, არსებობდა სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებაც. ასე, მაგ. ჯერ კიდევ 3. უმიკაშვილი სწერდა: „გურამიშვილი, რასაკვირველია, ატყობდა, რომ ქართული ლექსი ერთი ნაკლულევეანება აქვს, რომ მარცვალთა რიცხვი თვითელს ლექსში თავიდან ბოლომდის ერთგვარია, თუნდაც რომ ცუდურა სხვადასხვა იყოს. ამ ნაკლულევეანების შემცნევა ნიკოლოზ ბარათაშვილსაც ეტყობა, რომელიც ამის მოსასპობლად სხვადასხვა ხანებს სხვადასხვა რიცხვიანის მარცვლით ახამებს (მაგალითად, მერანი); მაგრამ ასეთი ლექსები ამასაც ცოტა აქვს. გურამიშვილს უფრო წარმატებაში შეჰყავს ლექსთ თხზვა: იმას თვითო ხანაში სხვადასხვა რიცხვის მარცვლოვანი სტრიქონი აქვს“⁴.

3. უმიკაშვილი მომზრეა ლექსის ძველი ნორმების შეცვლისა და ახლის შენებისა, ს. გორგაძე კი — ფორმალური კონსერვატიზმისა:

„ჩვენი ლექსი მაშინ გაზდება უმაღლესად მუსიკალური, როცა მასში ჰარმონიულად შეერთდება ტონურისა და სილაბური სისტემების საუკეთესო თვი-

¹ იქვე, 27 (დაყოფა ავტორისა).

² იქვე, 27 (დაყოფა ჩვენი).

³ იქვე, 33-36.

⁴ დავითიანი, გამოც. ზ. კვიციანისა, 1894, გვ. XXIII — XXIV.



სებანი: 1) მუხლისა და მახვილის ბუნებრივობა. 2) ტაბთა რიტმული-ტრუფე-რობა და თანაზომიერება და 3) უნაკლო რითმა¹. მაგრამ ამ ლექსის სტრუქტურულ ფორმა ურყევ კომპონენტებისაგან შემდგარ, ერთხელდასამუდამოდ ჩამოყალიბებულ სისტემებს როდი წარმოადგენენ; ისინი იცვლებიან ისტორიულად, ახალ სახესღებულებზე ან ნაწილობრივ პირვანდელი აგებულებით (თუმცა სხვა ფუნქციით) გვევლინებიან. ლექსის ფორმის ურყევობა—ისტორიული ფიქციაა.

ენათმეცნიერების იმ სკოლას, რომელიც აკად. ნ. მარის მეთაურობით ეწეოდა ნაყოფიერ მუშაობას ქართველური ენების შესწავლის დარგში, სპეციალური ნაშრომი არ მიუძღვნია ჩვენი ვერსიფიკაციის საკითხებისათვის. წმინდა გრამატიკულ მიზნებთან დაკავშირებით ქართული მეტრიკის საკითხებს შეეხო, ისიც გაცვრით, პროფ. ი. ყიფშიძე, უფრო გვიან კი—ნ. მარიც.

მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკის² შესავალში ი. ყიფშიძეს გამოყოფილი აქვს მთელი თავი („დამატება III: ლექსწყობა“), სადაც სხვათაშორის, აღნიშნულია: „მეგრული ლექსწყობა, როგორც ქართული ლექსწყობა, ტონურსილაბურია ე. ი. დაფუძნებულია, როგორც მახვილის გარკვეულ განლაგებაზე, ისე მარცვლების რაოდენობაზე ტაბებში. მეგრული-სათვის დამახასიათებელ ხმოვანთა სიგრძესა და სიმოკლეს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ლექსწყობაში“³.

აქ არ ვეხებით მეგრული ლექსის ტაბების ტერფებად დაყოფის ან მათი კლასიფიკაციის სისწორეს (ეს არც შემოდის ჩვენი მიმოხილვის ფარგლებში): რაც შეეხება ტონურ-სილაბური სისტემისადმი ქართული ლექსის მიკუთვნებას, ი. ყიფშიძე ამ საკითხში ნ. გულაყისა, კ. დოდაშვილისა და ს. გორგაძის ტრადიციას აგრძელებს, ხოლო მახვილის შესახებ ანვითარებს ნ. ჩუბინაშვილისა და კ. დოდაშვილის შეხედულებებს: „მეგრულში, ისევე, როგორც ქართულში, ორმარცვლოვან სიტყვებში მახვილი მხოლოდ მეორეზე შის და მესამეზე — სამ-და მრავალმარცველიანებში“⁴.

უფრო საყურადღებოა აკად. ნ. მარის შენიშვნები. თავის ფილოლოგიურ შრომებში ცნობილი მეცნიერი სპეციალურად არ შეჩერებულა ლექსწყობის საკითხების გარშემო⁵ და მხოლოდ მონოგრაფიაში — „ძველი ლიტერატურული ქართული ენის გრამატიკა“ (1925)—შედარებით ვრცლად შეეხო ჩვენი ვერსიფიკაციის პრობლემებს.

ნ. მარის მოსაზრებანი ასეთია:

1. § 16. ქართულში მახვილიანი მარცვლებია—მე-2 და მე-3 მარცვლები ბოლოდან. მრავალმარცველიან სიტყვას შეუძლია იქონიოს ერთერთი ამ ორი მახვილიდან — მეორეზე (paenultima) ან მესამე მარცვალზე (Antepaenultima) ბოლოდან.

¹ „ქართული წიგნობისტიკაობა“, გვ. 60.

² Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб, 1914 (приложение III: стихосложение, стр. 0146 — 0150).

³ Op. cit., § 11, გვ. 015 (დაყოფა ჩვენია).

⁴ ნ. მარის შრომაში „Древнегрузинские одонисцы“ (СПБ, 1902) ახასიათებს თამაროანისა და აბდულმესიანის ლექსწყობასა და რითმებს (გვ. 92 — 95), გაცვრით ეხება საზომების გენეზისის საკითხს და მათს ძირებს სპარსულ ხალხურ პოეზიაში კხოვლობს (გვ. 8 და სქოლო). ნ. მარიც სილაბისტურა გავების მომხრეა.

ა): ორმარცვლიანები:

კაცი, შერილი, ფერვი, ჩემი, ჭერსო.

ბ): მრავალმარცვლიანები:

ქართველი, ან ქართველი, მწერალი ან მწერალი, შვერდეს ან შვეიდეს, ურბნისი ან ურბნისი; ქუთაისი ან ქუთაისი; მარგალიტი ან მარგალიტი; აღმაშენებელი ან აღმაშენებელი.

ოთხ-იან ხუთ-მარცვლიან სიტყვებს შეუძლიათ შეიძინონ ორი მახვილი, მაგ. მარგალიტი, მაშნებელი ხოლო უფრო მეტ მარცვლებიან სიტყვებში მეორე მახვილი აუცილებელია, ასე — აღმაშენებელი და ა. შ.¹

ნ. მარის კლასიფიკაციაში ბევრი რამ სადაოა. მიუღებელია ტენდენცია ქართულ მრავალმარცვლიან სიტყვებში ქორეული დაბოლოების აღმოჩენისა. მაგ., სიტყვაში „ქუთაისი“. ნ. მარს შესაძლებლად მიაჩნია მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე; მაგრამ თუ ხელოვნურად გავაძლიერებთ აქცენტს მეცნიერის მიერ ნაქარაუდევ ადგილას, უმაღვე დაერწმუნდებით, სიტყვის არაბუნებრივ რეციტაციაში. ქართულ ოთხმარცვლიან სიტყვაში ფონეტიკურად შეუძლებელია მახვილი მოუვიდეს მეორე ხმოვანს ბოლოდან, თუ ამ ხმოვანის წინ კიდევ ერთი ხმოვანი ზის.

2. § 17. როცა სიტყვა ცალკე გამოითქმის უკანასკნელი მარცვლი უმახვილოა. ერთმარცვლიან სიტყვებს მახვილი თავისთავად არ გააჩნიათ: და, დაა, ვინ.

§ 18. გაბმულ მეტყველებაში ერთმარცვლიანი სიტყვები ეკვრიან ან ბოლოში, ჰქმნიან რა მათს უკანასკნელ მარცვალს, როცა ისინი იწოდებიან ენკლიტიკებად, ან დასაწყისში და ჰქმნიან მათს პირველს მარცვალს, როცა ისინი პროკლიტიკებად იწოდებიან.

ჩემი + დაა შვერდეს + და, და + ჩემი, ვინ + ვითხრა ცხრა + მარგალიტი.

მარცვლების ეს შეერთებანი, როგორც ენკლიტიკებიანი და პროკლიტიკებიანი მთლიანი ერთეულები გამოითქმისა, იწოდებიან სამახვილო კომპლექსებად.

სამახვილო კომპლექსები მახვილს იძენენ საერთო საფუძველზე ე. ი. მე-2 ან მე-3 მარცვალზე ბოლოდან და ამიტომ სამახვილო კომპლექსში ერთმარცვლიან სიტყვებს, პროკლიტიკებს, ერთის მხრივ შეუძლიათ შეიძინონ მახვილი, თანაც შემდგომი ორმარცვლიანი სიტყვა რჩება საფუძველზე უმახვილოდ, ხოლო, მეორეს მხრივ, ორ-და მრავალმარცვლიან სიტყვებს, ზედმეტმარცვლებიან ენკლიტიკაში, შეუძლიათ შეიძინონ მახვილი ბოლოს წინა მარცვალზე, ასე —

ა) ენკლიტიკიან სამახვილო კომპლექსებში:

ჩემი + დაა და ჩემი + დაა ეგრძო + ჰქმენ და ჭერსო + ჰქმენ, შვერდეს + და და შვერდეს + და

¹ Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, стр. 16, Ленинград, 1925 (стр. 13 — 16: „Ударение“); ნ. მარა ეს აზრი რამდენავე წლის შემდეგაც გაიჟირო (об. N. Marr et M. Brière, La Langue Géorgienne, Paris, 1931, p. 14 — 15).



ბ) პროკლიტიკებიან სამხვილო კომპლექსებში:

ეროვნული
ნივლითი
მარგალიტი

და + ჩმი და + ჩემი ვინ + გთხრა [ვინ + ვითხრა [ცხრა + მარგალიტი
ცხრა + მარგალიტი“¹

ძველი სალიტერატურო ქართლის ბუნების განსაზღვრისა და „სამხვილო კომპლექსის“ ცნების განმარტების შემდეგ ნ. მარი უშუალოდ ეხება ლექსწყობის საკითხებს:

ვ) § 19. პოეზიაში აუცილებელია გარკვეული არჩევანი ორი ფაქულტატური მახვილისაგან, კომპლექსის მე-2 ან მე-3 მარცვალზე ბოლოდან, რადგან ამათუიმ მახვილთაგან თვითული გარკვეულ ტონურ საზომთან არის დაკავშირებული.

ქართული ლექსწყობა ერთსადაიმევე დროს ტონურ-სილაბურია: ხალხურ ებოსში, როგორც საშუალო საუკუნეთა რომანტიკულ პოეზიაში, ბატონობს 16 მარცვლიანი რთული საზომი.

ქართულში ორი მთავარი მარტივი ტონური საზომია, ერთი ხუთმარცვლიანი ტერფებით საფუძველში, მეორე—ოთხმარცვლიანებით. რამდენი მარცვლიც არ უნდა იყოს ტაქში, ისინი იშლებიან ოთხმარცვლიან ტერფებად—თითქოსდა იამბებად და ხუთმარცვლიანი ტერფები—თითქოსდა დაქტილებად.

ქართული მახვილის ორმაგობა ხელს უწყობს ქართული, ძირითადად სილაბური, ლექსწყობის რამდენადმე მრავალფეროვნებას. მისი წყალობით, ერთსადაიმევე, მაგალ. თექვსმეტმარცვლიან, საზომში ტაქს შეუძლია ტონურად სხვადასხვაობდეს იმისგან დამოკიდებით, დაიშლებიან თუ არა ცეზურებისაგან ტაქები ორ თანაბარ ნაწილად—ოთხმარცვლიანი ტერფები paenultima მახვილებით (⊥ ⊚ ⊥ ⊚ | ⊥ ⊚ ⊥ ⊚), ან ორ თანაბარ ტერფებად—ერთი ხუთმარცვლიანად, მეორე სამმარცვლიანად (⊥ ⊚ ⊥ ⊚ | ⊥ ⊚ ⊚), ორივენი Antepaenultima მახვილებით. ამ საშუალებით განსაკუთრებული ოსტატობით სარგებლობს რუსთველი. მაგალითებად შეიძლება გამოდგეს ორი, ერთრიგში მდგომი ხანა:

20. ვრთა ცხენსა შარა გრძელი დნ გამორსცდის დრდი რბტვა
მრბურთალსა მრედანი, მართლად ცტმა, მარჯვედ ქტტვა,
მართ აგრევე მტლექსტთა ლტქსთა გრძელთა თქტტ და ხტვა: [— და
რს მს ჭრდდეს სტუბარო დნ დატწყოს ლტქსმან ლტვა.
21. მწინლა ნახეთ მტლექსე დნ მისი მრწარობა,
რს ველარ მიხედეს ქართულსა, დნუწყოს ლტქსმან ძვროობა
ბრ შემოკლოს ქართული, ბრა ქნას სტყვა მტროობა: — და
ვტლ—მაჯვედ სტმდეს ჩრვანსა, ბამაროს დრდი გმროობა.

მოყვანილი ორი ლექსწყობის ტონურ წაითხვას თვითულის შიგნით მოყვება ვარიაციები, თუმცა ნაწილობრივ ცეზურის ბოლოსა და განსაკუთრებით ტაქის ბოლოს, რომელთანაც დაკავშირებულია შესაბამისი რითმის მოთხოვნილება², ასეთი ვარიაცია დაუშვებელია: ნახევრებ ადგილებში მახ-

¹ H. M a p p, Op. cit., 13 — 14.

² „paenultima მახვილის დროს რითმა ორმარცვლიანია, Antepaenultima მახვილის დროს — სამმარცვლიანი“. (შენიშვნა ნ. მარისა. ა. გ.).

ვილი უცვლელად მოუდით — მე-20 ხანაში მე-2 მარცვალს ზარდონის მე-21 ხანაში მე-3 მარცვალს ბოლოდან“.

6. მარის დებულებათა გარშემო უნდა შეენიშნოთ:

1. „ოთხმარცვლიანი ტერფები ქართულ ლექსში არასოდეს არ ჰქმნიან „თითქოსდა იამბებს“. მეცნიერის მიერ წარმოდგენილ სქემიდანაც კარგად ჩანს, რომ „ოთხმარცვლიანი ტერფები paenultima მახვილებით (⊥^u ⊥^u | ⊥^u ⊥^u)“ გვადლევენ არა იამბებს, არამედ ქორეებს (დიქორეს). ამ ტერფის სახელწოდებად „იამბის“ შემოტანა უნებლიე დაუკვირებლობის ნაყოფი უნდა იყოს.

2. ნ. მარი ქართულ საზომებს „ტონურად“ მიიჩნევს და სწერს „ქართული ლექსწყობა ერთსადაიმამე დროს ტონურ-სილაბურიით“; რამდენიმე სტრიქონის შემდეგ კი აცხადებს—„[ქართული ლექსწყობა] ძირითადად სილაბურიით“. თუ ეს მეორე დებულება გავიზიარეთ, მაშინ უსაფუძვლოა სილაბურ სისტემაში საზომების განხილვა მახვილების კანონზომიერებისა, ტერფებისა და ტონურობის მხრივ.

3. ნ. მარის აზრით, ქართულ ეპოსში „ბატონობს 16 მარცვლიანი რთული საზომი“ (გვ. 14); მაგრამ ამავე მეტრზე რამდენიმე სტრიქონის შემდეგ ამბობს: „ქართულში ორი მარტივი ტონური საზომია“ (გარჩეულია იმავე 16 მარცვლიანი „შაირის“ ორი სახეობა).

4. ქართულ ენაში მახვილის „ორმაგი ბუნების“ გამო ნ. მარი ხაზს უსვამს ქორეულ მახვილებს სამ-და ოთხმარცვლიან სიტყვებში („მისკორდეს“, მრცურთალსა და ა. შ.) ე. ი. ისინი წაკითხული არიან ამფიბრაქებად (⊥^u — ⊥^u) და დიქორეებად (⊥^u ⊥^u); რუსთველის სტროფების სკანდირება მახვილების ამფიბრაქელი რიგის მისაღებად არაბუნებრივია და ქართული მეტყველების ხასიათს სრულიად არ შეეფერება. თავისთავად კი სამ-ან ოთხმარცვლიან სიტყვებში მახვილის დასმა ბოლოდან მეორე მარცვალზე თავისთავად შეუძლებელი როდია: საზომის ძლიერი ზეგავლენით შესაძლებელია მეტრულმა მახვილმა მართლაც გადაინაცვლოს დაქტილური მახვილის მატარებელ მარცვლიდან ქორეულ მარცვალზე¹.

1930 წელს გამოვიდა ს. გორგაძის წიგნი „ქართული ლექსი“, რომელიც ლოგაედური თეორიის მიხედვით აგებული შრომის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს ჩვენში. იგი შეიძლება ჩაითვალოს ქართული ვერსიფიკაციის ყველაზე დასრულებულ კურსად.

ავტორის პირველ ნარკვევთან შედარებით „ქართულ ლექსში“ ცალკეული საკითხები უფრო კარგად არის დამუშავებული, მაგ. გამიჯნულია ტერფისა (стопы) და მუხლის (Метрический член) ცნებები, შედარებით სრულად არის წარმოდგენილი რითმების კლასიფიკაცია და სხვ. ასეთისე მართებულად არის გადაწყვეტილი ქართული ლექსწყობის ბუნების პრობლემა (აღიარებულია ტონურ-სილაბურად), თუმცა მეთოდოლოგიური ნიადაგი, რომელ-

¹ ახ. ჩენა წერია „მახვილი ქართულ ლექსში“ („მნათობი“, № 9, 1947 წ.).



ზედაც მკვლევარი დგას, აღნიშნული მოსაზრების დასაბამებლად ვერ გამოდგება.

მახვილის საკითხში ს. გორგაძის შეხედულება უფრო გალრმავდა: და გავრცელდა ნ. მარის შეხედულებათა ზეგავლენით (მკვლევარი სავესებით იზიარებს ე. წ. „სამახვილო კომპლექსის“ ცნებას). საერთოდ კი ქართული სიტყვების დაქტილური ხასიათის დადგენა მომდინარეობს ჯერ კიდევ პ. იოსელიანიდან, ნ. ჩუბინაშვილიდან, და კ. დოდაშვილიდან. ამ უკანასკნელს ეკუთვნის აგრეთვე კატეგორიული მტკიცება ქართული ლექსწყობის ტონურ-სილაბურობის შესახებ, რომელიც ს. გორგაძეს თავის „მთავარ დასკვნად“ მიაჩნია¹.

ს. გორგაძის უკანასკნელ გამოკვლევაში უწინარეს ყოვლისა საყურადღებოა ქართული ლექსის საზომების ანალიზი, რომელიც ავტორის მიუღებელი მეთოდის გამო, ბევრს შეცდომას შეიცავს.

თუმცა ს. გორგაძე ერთმანეთისაგან განასხვავებს მეტრსა და რიტმს, ის მინც საზომის სქემაში ხედავს რიტმის გამოვლინებას და ტერფების „ურთიერთშეხამება“ თუ „თანმიმდევრობა“ ლექსის რიტმულ ბუნებად მიაჩნია: „... სალექსო სტრიქონების შინაგანი რიტმიც... დამოკიდებულია არა უბრალო შემთხვევაზე და მგოსნის კაპრიზზე, არამედ იმაზე, თუ რა ტერფებისაგან შესდგება სალექსო ტაეპი და როგორი წესით მისდევენ ეს ტერფები სალექსო სტრიქონში“², — სწერს იგი. ეს დებულება ამოსავალია მკვლევარისათვის და მან წინასწარ გადასწყვიტა ს. გორგაძის ადგილი ქართული ვერსიფიკაციის ისტორიაში³.

თანამედროვე მეტრიკაში ამჟამად კამათს არ იწვევს შეხედულება, რომ ტერფი წარმოადგენს არა ლექსის რიტმულ ელემენტს, არამედ სქემისას, და რომ ტერფების თანმიმდევრობა, ურთიერთმონაცვლეობა თუ „შეხამება“ რიტმის სფეროს არ განეკუთვნება. ამ მხრივ ს. გორგაძის მეთოდის შესახებ იგივე შეიძლება ითქვას, რაც რუსეთში ითქვა ვ. ბრიუსოვის სტიხოლოგიის შესახებ. ს. გორგაძე, რასაკვირველია, უყოყმანოდ იზიარებს ბრიუსოვის „იპრატასის“ პრინციპს, როგორც რიტმის ერთერთ ძირითად ფაქტორს⁴.

ს. გორგაძის შრომა არსებითად მეტრული სქემების კლასიფიკაციას შეიცავს და ქართული ლექსის რეალური რიტმის ელემენტებს არ ეხება. ყოველივე ეს გამოწვეულია თვით კვლევის მეთოდით—საზომში რიტმის ძიებით. ქართული ვერსიფიკაციის თეორიაში ს. გორგაძეს შემოაქვს სასკოლო მეტრიკის ტერმინოლოგია, სპონდე და პირიხი მასაც მიაჩნდა ორმარცვლიან ტერფების შემნაცვლელ ერთეულებად ქართულ ლექსში. ავტორის შეხედულებით ლექსის ტაეპი ტერფების კომპლექსს წარმოადგენს და, მაშასადამე, იგი რიტმული თვისებებით არის აღჭურვილი: „ტაეპები [წარმოადგენს] ეგრეთწოდებულ მუხლების მწკრივს, მუხლები ეგრეთწოდებული ტერფების განსაზღვრულ თანამიმდევრობას, ხოლო ტერფები მარცვლების გან-

¹ ქართული ლექსი. ლექსწყობის გამოკვლევა. ტფილისი, 1930, გვ. 135 (სქოლიო)

² „ქართული ლექსი“, გვ. 135.

³ იხ. ჩვენი რეცენზია — ჟურნ. „მნათობი“, 1931, № 1 — 2.

⁴ „ქართული ლექსი“, 55.

საზღვრულ კონპლექსებს¹. თუმცა ს. გორგაძე უშუალოდ კარგად შეიძლება რიტმს, მაგრამ ზემოთმოყვანილი ამონაწერი ცხადყოფს, რომ ვებულოცობა ანად სასკოლო მეტრიკის ტყვეობაში იმყოფება.

ს. გორგაძის გამოკვლევა განეკუთვნება მეტრიკისა და არა რიტმის სფეროს. ქართული ლექსის რეალური რიტმის ბუნება მკვლევარს არ აქვს გამორკვეული. ამ შრომაში (ისევე, როგორც საზოგადოდ ტერფის ტრადიციულ ვაგებაზე დამყარებულ ყველა სხვა გამოკვლევაში) სქემები შედგენილია ტაქების სკანდირების გზით და ერთი სიტყვითაც არაა მოხსენებული რიტმის ნამდვილი ფაქტორები — მახვილების შედარებითი სიძლიერე, სიტყვისა და მეტრის ურთიერთმოქმედება, ე. წ. „რიტმული ჯგუფების“ როლი, აქცენტურა² სისტემის ცვლა ტაქისა და სტროფის ჩარჩოებში, სინტაქსისა და საზომის ურთიერთობა და სხვ. თვითონ სქემების ნომენკლატურაში შემოტანილია ბერძნულ-რომაულ მეტრიკაში დაკანონებული მზამზარეული სახელწოდებანი (უმთავრესად დენისოვის, გლედინის და ვესტფალის გამოკვლევებიდან) და ისინი გამოყენებულია ქართული საზომების დაჯგუფების დროს. ნაძალადევი და არაბუნებრივი ანალოგიების წყალობით ს. გორგაძე იძულებულია ქართულ ლექსშიაც ეთიოს კლასიკური მეტრების ისეთი ელემენტები, რომელნიც თვითონ ქართული ენის ფონეტიკური თვისებების გამო არ შეიძლება არსებულებდნენ. ს. გორგაძის მეთოდი ემყარება ტაქის სკანდირების ხერხს მარტოდენ სქემების მიღების მიზნით, ხოლო ეს მეთოდი, ფრ. ზარანის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ლექსის „თვალთშესწავლას“ მოწმობს.

ამრიგად, ს. გორგაძის შრომა მეთოდოლოგიურად დაძველებული იყო წერის პროცესშივე. საგულისხმოა, რომ მკვლევარი ბიბლიოგრაფიულადაც არ ასახელებს იმ მკვლევართ, რომელთაც ნათელი გახადეს სასკოლო ანუ ტრადიციული მეტრიკის შეცდომები. მის მონოგრაფიაზე თეორიული გავლენა არ მოუხდენია ახალი რუსული მეტრიკის საუკეთესო მიღწევებსაც.

ცალკეულ დაკვირვებების მხრივ „ქართული ლექსი“ ანგარიშვასაწევი ნაშრომაა.

18. უკანასკნელ წლებში ქართული ვერსიფიკაციისა და უმთავრესად ვეფხის-ტყაოსნის 16 მარცვლიანი შაირის რიტმის შესახებ ლიტერატურის ისტორიკოსებმაც გამოსთქვეს თავიანთი შეხედულებანი; თეორიული თვალსაზრისით მათი მცირე შენიშვნები ახალს არაფერს შეიცავენ, საკვლევეო ხერხები კი ყველას სასკოლო მეტრიკიდან აქვს ნასესხები. მკვლევართა უმრავლესობა ვეფხის-ტყაოსნის საზომის ძირებს ზალხურ პოეზიაში ხედავს. ეს შეხედულება, რომელიც ნ. მარიდან მომდინარეობს³, კრიტიკულ დამოკიდებულებას მოითხოვს.

¹ „ქართული ლექსი“, 2.

² Н Марр, Вступительные и заключительные строфы Витязя в барской коже Шоты из Руставы, СПб, 1910, стр. LV; ლევისშობლისადმი ფილიპეს პიმში ნ. მარი რუსთველის 16-მარცვლიანი ხალხური საზომის წინაპარს ხედავს, მაგრამ ხაიდან ჩანს, რომ ეს საზომი პირველად ზალხმა გამოიყენა?



ფილოლოგიურ მიზნებთან დაკავშირებით ცალკეული მოსაზრებანი გაქმნილ თქვეს პ. ინგოროყვამ¹, კ. კვიციანიძემ², ს. ყაუხჩიშვილმა³ და სხვ.

ჩვენ შეგვეძლო ამით დაგვესრულებინა ქართული მეტრიკის ისტორიული ექსკურსი, მაგრამ აღსანიშნავია ერთი საყურადღებო წერილიც, რომელიც რუსულად დაიბეჭდა 1940 წელს. მხედველობაში გვაქვს ა. ფედოროვის სტატია „ქართული ლექსის გადმოცემის გზებისა და საშუალების შესახებ“⁴. ავტორი ერთმანეთს ადარებს ქართული და რუსული მეტრიკის კანონებს და ასკვნის: 1) „ქართული ლექსი—სილაბური ლექსია ე. ი. შენდება მარცვლების რიცხვის თანაბრობაზე. ამ სახის ლექსში მახვილების განაწილება სულ სხვა როლს ასრულებს, ვიდრე რუსული ლექსის ფორმებში, რომელნიც რუსული ენის აქცენტურ თავისებურებასთან არიან დაკავშირებულნი“⁵. 2) „ქართული ლექსი, მიუხედავად აქცენტური მერყეობისა მის ამათეიმ უბნის ფარგლებში, წარმოადგენს ძლიერი და სუსტი მომენტების განაწილების გარკვეულ სისტემას, რომლებიც ერთმანეთს მსდევენ არა შემთხვევით, თუმცა ხშირად დამილილი, წესრიგით. ერთერთ კერძონიშანს, რომელიც ქართული ლექსის სტრუქტურას (უფრო სწორად—მის რიტმულ სქემებს) განასხვავებს რუსული ლექსწყობისაგან, წარმოადგენს ის, რომ მასში ერთს ძლიერ მომენტს მოუღდის გაცილებით მეტი სუსტი მომენტები, ვიდრე რუსულში, თითქმის უფრო მეტი, ვიდრე რუსული ოთხმარცვლიანი საზომების სხვადასხვა სახეობაში“⁶. 3) „სილაბურ-ტონური მეტრიკის პრინციპებს, მის საზომებს და რიტმს საერთო არა აქვს ქართულ ლექსთან, რომელიც თა-

¹ იხ. პაველ ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა. „რუსთაველის კრებული“, 1938. ცალკე ამონაბეჭდის გვ. გვ. 52, 73, 75. მისივე ვეფხისტყაოსნის აკად. გამოცემის შესავალი წერილი (1937). მანვე აღადგინა ჩამდენამე ძველი პოეტური ტექსტი, რომლებიც ზღაწეობებში პროზული სახით ყოფილა დაბეჭდილი. (იხ. კ. ავალიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, გვ. 556) და რომელთაც მნიშვნელობა აქვს ქართული ლექსის მეტრიკის ისტორიისათვის.

² ა) ქართული რითმა. ე. ქართული მწერლობა“, 1929, № 1—2. ბ) ვეფხისტყაოსანი, 1934, გვ. 304—307: „მეტრი და რიტმი“. კ. კვიციანიძე გ. ბრიუსოვის ქართულ აღებთან გვეკვლინება, როცა წერს: „ქართული ლექსის რიტმი დამყარებულია ტერფების განაწილებაზე სტრიქონში, მათი მიმდევრობის ცვლებადობაზე“-ო (ც. ტ—ნი, 1934, გვ. 304); ავტორს ლექსის რიტმი მიანიხა ტერფების ცვლებადობად და, მაშასადამე, ს. გორგაძის ლოგაედურ თეორიასთან შედარებით მას მეტრიკაში ახალი გავება არ წამოუყენებია. ახალი ყურადღების გამახვილება სტროფის რიტმული ფუნქციისადმი... შვირის რიტმის საკითხი მართოდენ საღეწო სტრიქონში ტერფების განწყობივებით არ ამოიწერება. მნიშვნელოვანია აგრეთვე შთელი ტაქტის (სტროფის) რიტმი, რომელსაც იძლევა სტრიქონების სხვადასხვა კომბინაცია მასში“ (იქვე, 307). მაგრამ კ. კვიციანიძეს ეს „სხვადასხვა კომბინაცია“ გავებული აქვს ისევე ტერფების წესრიგის სახეცვლილებად, ძირითადი საზომის ასტრაქტული ერთეულების (ტერფების) თანმიმდევრობის ვარიაციებად. რიტმის სხვა ფაქტორებს, როგორც ლოგაედური თეორიის მიმდევარი, ის არ ასახელებს. შეიძლება რიტმზე ასეთი წარმოდგენით აიხსნას მკვლევარის მიუღებელი მოსაზრება... რუსთაველის ლექსის შიდალი მუსიკალობა აიხსნება არა მისი რიტმების განსაკუთრებული სიმდიდრით, არამედ ზგურათა იშვიათი შერჩევით, მისი ხმები ორკესტრალაობით“ (გვ. 307).

³ А. Федоров, О путях и средствах передачи грузинского стиха, (კრებულში Грузинские романтики, под ред. Н. С. Тихонова и Ю. Н. Тынянова. Ленинград, 1940, стр. 227—232).

⁴ ა. ფედოროვი, იქვე, გვ. 227.

⁵ იქვე, 227—228.

ვისი განსაკუთრებული პრინციპებით შენდება. ამასთანავე — ქართულ ლექსის ესათვის რიტმული სქემა, მასში მეტრულად ძლიერი და სუსტი ადგილების განლაგების მხრივ, არაიშვიათად იწვევს წარმოდგენას რომელიმე რუსულ საზომზე, ხოლო ცალკეული ნაკვეთები, რომლებდაც თანაბრად ნაწევრდება ტაქტი, შეიძლება დაემთხვენენ ჩვენს ტერმებს¹.

ა. ფ ე ლ ო რ ო ვ ი ს ეს დებულებანი სადაონი. არიან, რადგან მათ შინაგანი თანმიმდევრობა აკლიათ. მაგ. თუ „ქართული ლექსის სილაბური ა“, მაშინ არ შეიძლება ლაპარაკი მის ფარგლებში „ძლიერი და სუსტი ადგილების წესრიგზე“; მართალია ავტორი, როცა ქართული და რუსული მეტრიკის კანონებს შორის განსხვავებას ხედავს, მაგრამ ეს როდი უნდა გამოხდარიყო საბაბი შემდეგი კატეგორიული განცხადებისა: „სილაბურ-ტონური მეტრიკის პრინციპებს, მის საზომებსა და რიტმს, საერთო არა აქვთ ქართულ ლექსთან, რომელიც თავისი განსაკუთრებული პრინციპებით შენდებაო“. ამ „განსაკუთრებულ პრინციპებს“ შორის ძირითადად მიჩნეულია მარცვლების თანაბრობა, თუმცა ქართულ ლექსში მეტრულად ძლიერი და სუსტი ადგილების განლაგება ავტორზე „არაიშვიათად“ იწვევს წარმოდგენას ამათვიმ რუსულ სალექსო საზომზე, ხოლო ცალკეული „ნაკვეთები“ მას ზოგიერთ „ტერმებსაც“ კი მოაგონებენ... როგორც კხედავთ, ქართული ლექსის სავერსიფიკაციო სისტემა ეკლექტიურად არის გაგებული. ბოლოსდაბოლოს ძნელი სათქმელია — რომელ სისტემას აკუთვნებს ავტორი ქართულ ლექსწყობას.

ის მოვლენა, რომ ქართულ ლექსში ხშირად არის დარღვეული მეტრული სქემისათვის დამახასიათებელი „სუსტი და ძლიერი მომენტების“ (resp. მახვილების) მკაცრი თანმიმდევრობა, როდი გამოდგება ჩვენი ვერსიფიკაციის სილაბურობის დასაცავად. რუსული ლექსის მეტრიკ — თუნდაც მასში ცალკეულ სიტყვებს ყოველთვის განსაზღვრულ მარცვალზე მოუვლიოდეს მახვილი — ხშირად იცვლება სტროფის ან მთელი ლექსის მანძილზე; მეტრი იღვალური ნორმაა და სავალდებულო როდია ყველა ტაქტს სწვდებოდეს იგი უცვლელი სახით. მაშინ ხომ შეუძლებელი იქნებოდა ე. წ. „ვარიაციები“ და „გადახვევანი“, რომელნიც მეტრიკის მკვლევართ (ა. ბელიდან მოყოლებული ვიდრე ვ. ქირმუნსკამდე) რუსული ლექსის რიტმის სპეციფიკურ გამოვლინებად მიაჩნიათ. თანაც: ქართული ლექსი რომ მარტოდენ „მარცვლების რიცხვის თანაბრობაზე“ შენდებოდეს, მაშინ ის სილაბურ ლექსწყობას უნდა უახლოვდებოდეს (ფრანგულს, იტალიურს, პოლონურს...); სინამდვილეში კი მათ შორის შემხვედრი წერტილები არ მოიპოვებიან (დაწვ. იხ. ქვემოთ) რაც შეეხება ავტორის მოსაზრებებს ქართული მეტრული მახვილის შესახებ, ისინი სხვა ადგილას გვაქვს განხილული². აქ მხოლოდ აღვნიშნავთ პრინციპულად საყურადღებო საკითხს: წერილის ავტორის აზრით ქართულ ლექსში მეტრულად ძლიერ მომენტს მოუვლის გაცილებით მეტი რიცხვი სუსტი მომენტებისა (ე. ი. უმაჯილო მარცვლები), ვიდრე რუსულში. ეს დაკვირვება სწორია და აიხსნება ქართული სიტ-

¹ იქვე, 228.

² იხ. ჩვენი ნარკვევი „მახვილი ქართულ ლექსში“ („მნათობი“, № 9, 1947 წ.).



ყვების დაქტილური ბუნებით. მაგრამ ა. ფედოროვის მიერ შენიშნულ ციფიკური თვისება საკითხს სრულიად არ წყვეტს მის მიერ სილაბისტური გაგების სასარგებლოდ¹.

როგორი დასკვნები გამომდინარეობს ქართული მეტრიკის ისტორიის სრული ექსკურსის შემდეგ?

1) ქართული ლექსის კვლევის ისტორიაში ერთმანეთს ებრძოდა—და დღემდე ვერც ერთს ვერ მოუპოვებია უკამათო დებულების უფლება—ორი შეხედულება: სილაბისტური და ტონურ-სილაბისტური.

2) სილაბისტური თეორიის დამცველნი ქართული ლექსის მეტრსა და რიტმს ეძებდნენ მარცვლების თანაბრობაში, ტონურ-სილაბისტური შეხედულების მიმდევარნი კი—ტერფების თანმიმდევრობასა და მათს კანონზომიერს ცვალებადობაში. ქართული ლექსის კვლევისას რიტმის სხვა ფაქტორები მათთვის უცნობი იყო.

3) ორივე თეორიისათვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა მეტრული სქემა და მის ფარგლებში რიტმის ძიება. ასეთ მეთოდოლოგიურ საფუძველზე დგომის გამო მათ ზუსტად ვერ განსაზღვრეს ჩვენი ვერსიფიკაციის ბუნება.

4) მეტრიკის საკითხებში ტონურ-სილაბური სისტემის დამცველნი იზიარებდნენ ლოგაედურ თეორიას ე. ი. კლასიკური მეტრიკის ნომენკლატურას ეძიებდნენ ქართულს ლექსში. ამიტომ ქართული ლექსის რეალური რიტმის ფაქტორები არსებითად აუხსნელი დარჩა. მოკლედ: ასე თუ ისე არსებობს ქართული მეტრიკა, როგორც დისტიპლინა, მაგრამ ქართული ლექსი, ვითარცა რიტმული ფენომენი—ჯერ კიდევ ამოუცნობია.

5) ქართული ლექსის რიტმის ახსნისა და გაანალიზების ერთერთს წინა პირობას წარმოადგენს მეტრული მახვილის ფუნქციის გარკვევა. ძველი პროსოდიული ცდანი არა თუ ამოსწურავენ ქართული აქცენტუაციის საკითხებს, არამედ, ზოგს შემთხვევაში, აბუნდოვანებენ თავისთავად ნათელ საკითხებს.

ამ შრომის დასკვნითს ნაწილში მოცემულია ცდა ზოგადად ვუბასუხოთ იმ ძირითად კითხვებზე, რომელნიც ასე აინტერესებდათ ქართული ლექსის მკვლევართ თითქმის ორი საუკუნის მანძილზე.

ქართული მეტრიკის ისტორია მრავალმხრივ არის საყურადღებო. აღრინდელ მკვლევართა გაუგებრობანი და შეცდომები, გონებაშახვილი დაკვირვებანი აუ მცდარი შენიშვნები, თავისთავად მიგვიბრუნებდნენ ქართული ლექსის

¹ არსულ იქვე.

ობიექტურ თვისებებზე, ოღონდ საჭირო იყო მათი ახსნა და უცდომლად გაანალიზება, რაიც დღემდე ვერ მოხერხდა. ამგვარად არ მოგვეპოვება მკაფიო და სავსებით დამაკმაყოფილებელი მმსწრე-საბუნების-ლექსწყობის ძირითადი საკითხების შესახებ, ეს როდია გამოწვეული ჩვენი ლექსწყობის „ფარული ბუნებით“ (გამოთქმა პ. იოსელიანიძისა). როგორც ჩანს, სილაბური მეტრიკის დამკველეებისათვის საზოგადოდ უცნობი იყო ამ სისტემის კანონები, ხოლო სილაბურ-ტონური თეორიის მიმდევარნი მოქცეული იყვნენ სასკოლო მეტრიკის კვლევითი ხერხებისა და ტერმინოლოგიის ტყვეობაში. ეს კი მათ ხელს უშლიდა გასაანალიზებელი მასალის სპეციფიკურ თვისებებში გარკვეულიყვნენ.

განვიხილოთ ორივე მიმართულების შეცდომები ზოგადი მეტრიკის თვალსაზრისით.

ქართული ლექსწყობა არ შეიძლება სილაბურ სისტემას მიეკუთვნოს შემდეგი მოსაზრების გამო.

სილაბურ ლექსწყობაში (ფრანგულსა, იტალიურსა და პოლონურში...) ძირითადია მარცვლების რიცხვობრივი თანაბრობა ტაქტებში და თვითეული მარცვლის ერთნაირი ძალით წარმოთქმა. ანტიკურ მეტრიკაში კი საზომს ჰქმნიდა გრძელი და მოკლე მარცვლების გარკვეული თანმიმდევრობა და ტაქტების („ტერფების“) დროის თანაბარ ფარგლებში განლაგება (იზოქრონოს); სილაბურ სისტემაში, რომელიც ანტიკური ლექსწყობის რაფსოდული ხასიათის გადაშენების შემდეგ აღმოცენდა, მთავარ რიტმულ ფაქტორად იქცა ყველა მარცვლის ერთნაირი ინტონაციური ხარისხი: თვითეული მარცვალი აქ ტერფის როლს ასრულებს, რეჩიტატივური წარმოთქმა განდევნილია და ლექსი უახლოვდება სასაუბრო მეტყველებას, დამყარებულია თქმის პრინციპზე.

ფრანგულ, პოლონურ და იტალიურ სილაბურ ლექსწყობებს შინაგანი სტრუქტურის მხრივ ახასიათებთ ერთი საეალდებულო ცეზურა ტაქტში კოლონის (ნახევარტაქტის) შემდეგ და ორი მახვილი: ერთი ცეზურის წინ, მეორე კი — ტაქტის ბოლოს. ცეზურის წინ მოხვედრილი მახვილი ფრანგულში უშუალოდ ცეზურასთან ძვეს (ვაეურია), პოლონურში ერთი უმახვილო მარცვლით არის დაშორებული ცეზურისაგან (ქალურია), ხოლო იტალიურში — ერთი ან ორი მარცვლითაა დაშორებული (ქალური ან დაქტილურია).

იცავს თუ არა ყველა ამ კანონს ქართული კლასიკური ლექსი.

მართალია, ქართულმა ლექსმაც განიცადა ევოლუცია სილაბურ სისტემიდან სილაბურ-ტონურზე გადასვლისა. ჩვენ მოგვეპოვება ურთიმო და რითმიანი სილაბური ლექსები, რომლებშიაც მახვილების რიგის მოწესრიგებისადმი ლტოლვა შეინიშნება. ქართული კლასიკური ლექსი, რასაკვირველია, გენეტიურად სილაბური სისტემის ყველაზე უკეთ ჩამოყალიბებულ სახეებთან არის დაკავშირებული¹. ამჟამად კი მხედველობაში გვაქვს ლექსწყობის ის სისტე-

¹ აკად. კ. ქავთაძის აზრით, ქართულ სასულიერო პოეზიაში სამი ტიპის პოეტური ძეგლებია წარმოდგენილი: ა) პროზული ჰიმნები, რომელთაც არავითარი ზომა და კანონი არ გააჩნიათ. ბ) იამბიკოები, რომელნიც მარცვალთა ერთნაირ რაოდენობაზე არიან დამყარებულნი და გ) რითმებიანი იამბიკოები, მაგ. შიქელ მოდრეკილისა და სტეფანე სანანოას ძისა, ფილიპს ქება ღვთისმშობლისა (X სს.) და სხვ. (ქართული ლიტ. ისტორია, I²,



მა, რომელიც კრისტალური სახით არის მოცემული არსენ იყალთოელის მიერ შედგენილ დავით აღმაშენებლის ეპიტაფიაში, შავთელისა და მანანის მონასტრების ოღებში, რუსთაველის პოემაში და რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს. ამ ლექსწყობის სილაბურ სისტემად მიჩნევა კი შეუძლებელია, რადგან მას არ გააჩნია არც ძველი ქართული სილაბური ლექსის სტრუქტურული ნიშნები, არც ფრანგული ან იტალიურ-პოლონური ლექსის აღნაგობა (მაგ., მარტოოდენ ერთი სავალდებულო მახვილი ცეზურის წინ). გარდა ამისა, ქართული კლასიკური ლექსის ინტონაცია სრულიად განსხვავებულია სასაუბრო თქმისაგან. ავიღოთ ტაეპები:

- ა. „ნახეს უცხო // მოყმე ვინმე // ჯდა შტირალი // წელსა პირსა“
- ბ. „ტანო ტატანო // გულწამტანო // უცხოდ მარებო“.

ორივე ტაეპში მოცემულია სიტყვიერი ჯგუფების გარკვეული წესრიგი, კომპაქტური სვლა პერიოდებისა, რომელნიც შინაგან ფაქტურაში ბგერითი ელემენტების თანმიმდევრობას იცავენ. ამ თანმიმდევრობის აღქმა კი ჩვეულებრივი თქმის შთაბეჭდილებას სპობს: ტაეპების კითხვისას აშკარად იგრძნობა არა ყველა მარცვლის თანაბარი სიძლიერე, არამედ ზოგისა უფრო მეტად, ზოგისა კი—ნაკლებ. მაშასადამე, მახვილიანი და უმახვილო მარცვლების თანმიმდევრობამ (Succession) ქართულ ლექსს ჩვეულებრივი თქმის ელფერი დაუქარგა. ამიტომაც შესაძლებელი ზემოთ მოყვანილი ტაეპების ტონიკის გამოხატვა-გრაფიკულ სქემებში:

- ა) 'ს 'ს / 'ს 'ს / 'ს 'ს / 'ს 'ს
- ბ) 'ს 'სს / 'ს 'სს / 'ს 'სს

ქართული საზომები რომ მახვილების გარკვეულ სისტემას არ იცავდნენ მაშინ 16 მარცვლიანი შაირის ანალიზის დროს ყურადღება არ უნდა მიგვექცია აქცენტუაციის ორი, ურთიერთისაგან განსხვავებული რიგისათვის; მაგრამ, სწორედ ტონურობის გამო, ქართული ლექსის ერთდამიშვით რაოდენობის სილაბურ ჩარჩოში შესაძლებელია არსებობა სხვადასხვა აგებულების ტაეპებისა. ეს მოვლენა თავის დროზე კ. დოდაშვილმა დაასაბუთა.

მაგრამ შეიძლება აღნიშნული ფაქტებიც არ გამოვლენს საკმარისი სილაბური სისტემის დამცველათვის. მათ შეუძლიათ დასვან საკითხი: რომელი მო-

541 — 542, 1941). ვერსიფიკაციის შრიც ამ ძველთა ევოლუცია შემდეგნაირად წარმოვიდგება:

ა) უძველესი ქართული პროზული ჰიმნები, რომელიც გალობით უნდა შესრულდებოდა და მათი რიტმული კანონები დღესდღეობით აუხსნელია (ცხადია, მათ რაღაც შინაგანი, მუსიკალური კანონზომიერება ახასიათებდათ). ბ) სილაბური ურთიმო იამბიკები და გ) რითმიანი სილაბურ-ტონური იამბიკები, რომელნიც თავიანთ წიაღში მახვილების მოწესრიგებისავე მდგრადობას ამჟღავნებენ. მაგ. კ. კეკელიძის მიერ აღდგენილი იამბიკო ბაგრატ IV მეუღლის ბორენასი (XI საუკ. მეორე ნახევარი) უკვე შეიცავს მახვილების გარკვეულ თანმიმდევრობას და ზუსტ. დამტკიცებულ რითმს ოთხივე ტაეპში, რაც ქრონოლოგიურად უფრო ადრინდელ იამბიკებში ჩვენ არ შეგვიჩინა (თუ ძველის თარიღი იქვს არ იყავს).

მენტია უპირატესი ქართულ ლექსწყობაში—მარცვლების რიცხვის თანაბრება თუ მოწესრიგებული ტონიკა. თუ არსებითია მარცვლებზე დაწესებული მაშინ მახვილი მეორე ხარისხიანი ფაქტორად ჩაითვლება და ერთგვარი საფუძველი მიეცემა ნ. მარის ფრაზას ჩვენი ლექსწყობის სილაბურობაზე.

ქართული ლექსის სტროფში, თუ მას სილაბურ სისტემას მიეკუთვნებთ, მარცვლების მხრივ სხვადასხვა რაოდენობის ტაქტების შეხამების შემთხვევაში არ უნდა მოგვეპოვებოდეს. ეს იქნებოდა მეტრული კანონის აშკარა დარღვევა. თუ სტროფი შედგენილია წინასწარ მოცული სილაბური ნორმის თანახმად, სტროფი ამ ნორმას თავიდან ბოლომდე უნდა იცავდეს. სილაბური ლექსის სტროფში საერთოდ დაუშვებელია ტაქტი, როგორც შემთხვევითი და არა კანონზომიერი რამ მარცვლების რიცხვის მხრივ. ეს არის უეჭველი და წინასწარი პირობა დისონანსის თავიდან აცილებისა¹.

შეიძლება გაგვიკვირდეს, მაგრამ ქართული ლექსი ასეთს რამეს ითმენს.

ჩვენ განზრახ მოგვყავს მაგალითები ბესიკის ლექსებიდან. ეს პოეტი უცთომელია მეტრიკის სფეროში, მისი ლირიკული ლექსები სპეციფიკის დიდი სისუფთავით ხასიათდებიან. ქართულ პოეზიაში არ მოიპოვება მეორე პოეტი, რომელიც ისე მკაცრად იცავდეს მეტრულ ნორმებს სტროფში, როგორც ბესიკი². და სწორედ ამ პოეტის ერთი ლექსის („მოვედ აწ მშანო“) მეორე და მესამე სტროფები ასე იკითხება:

2. შთარება ნათლად, ბროლისა ნათლად, ვნახე ჩემს არედ,	15
მიმტაცა გული, მსწრაფლ დაგულო, მისცა საბპარად,	14
მტყორცა შარბი, ნამ ისარი, მოშველელი მწარედ,	14
ძილენა გონება, სურს მონება, ვინ არს შერთოღვარედ,	14
რკინით ნახე, ნაქმარ შენათხვავ, მიჯნურს მყოფს ზელად	15
3. შროშანთა შლილნი, ყარაშფილნი, შვეწვით ზვობენ,	14
თვალნი ლამაზად ეშხის სიმღიდრით მიმოარობენ	15

(დანარჩენი ტაქტები 15 მარცვლიანია).

მეორე მაგალითი იმავე პოეტის სხვა ლექსიდან—„ბუღბუღი მოდის მწუხარებით“. მთლიანად ეს ლექსი 14 მარცვლიანი საზომით არის დაწერილი, მაგრამ მესამე სტროფის მეორე სტრიქონი 15 მარცვლიანია და ასე იკითხება:

„თუ წყრომით იყოს, თავი მოიკალ, კახს დაემარხე“ (15).

როგორც ვხედავთ მოყვანილ ტაქტებში დარღვეულია მარცვლების რიცხვითი თანაბრობა. მიუხედავად ამისა, მათ უნაკლო რიტმულ ერთეულებად აღვიქვამთ და ჩვენი სმენა სრულიად არ არის შეურაცყოფილი მოსალოდნე-

¹ შესაძლებლობაში გვაქვს არა პოეტის მიერ შეგნებული დაშვება მარცვლების რიცხვის მერყეობისა სტროფის ან მთელი ლექსის გასწრაფვით (ეს მოვლენა სტროფული კომპოზიციის სფეროს ეკუთვნის და ეწინააღმდეგება მთლიანად გამომდინარეობს), არამედ ერთი სტროფის ფარგლებში მარცვლების რაოდენობის ისეთი აღრევა, რომელიც ლექსში შემთხვევითია და სისტემურ ხასიათს არ ატარებს. ამიტომ Vers libre-ს ხაზითბის აქ დამა უადგილო იქნებოდა.

² იხ. ჩვენი — „ნარკვევები ქართული პოეტიკიდან“, თბილისი, 1937, გვ. 98 — 100.



ლი კაკოფონიით, რომელიც სტროფის სილაბური წარჩობის შედეგად გამოეწვია¹.

ქართული ლექსის რიტმის ჰქმნის არა მარტო მარცვლების თანაბრობა ტაქტებში, არამედ აქცენტური ერთეულების წესრიგი, რომლის კონტროლს ქვეშ მიმდინარეობს სიტყვიერი ჯგუფების დინება, როგორც მთლიანი ექსპირაციული ტალღისა. მთავარია ტაქტის ჩარჩოში რიტმული პუნქტების (მახვილიანი მარცვლების გამლიერების) სისტემის დაცვა და მაშინ სილაბური დეფექტი აუთვისებელი დარჩება.

ამგვარად, ქართული ლექსწყობის ერთერთ ძირითად საკითხზე პასუხი გაცემულია, მაგრამ საჭიროა შემოწმდეს სილაბური სისტემის მომზრეთა სხვა საბუთებიც. ერთერთ ასეთს საბუთს, მათი შეხედულებით, წარმოადგენს საზომის მერყეობა ქართულ ლექსში.

ქართული მახვილის შედარებით კონსერვატიულმა ბუნებამ, აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ქართული ლექსის სტროფში ყოველთვის უცვლელი სახით არ მეორდება ძირითადი საზომი (ე. ი. იდეალური რიტმული მონაცემი), ზოგიერთს აფიქრებინა, თითქოს მახვილების რაიმე კანონზომიერ თანმიმდევრობას ადგილი არ ჰქონდეს ქართულ ლექსწყობაში (დ. ჩუბინაშვილი, პ. იოსელიანი, ა. ფედოროვი). მაგრამ მეტრული ურყეობა, ისევე როგორც მისი მრავალფეროვნება, ლექსის ორგანული მოვლენაა, გარკვეული საზომის მიხედვით აგებული ტაქტები მუდამ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რიტმული ნუანსების მხრივ. სრულიად ურყევი საზომი სტროფში — ფიქციაა.

ვიმეორებთ: ლექსის რეალური რიტმი სქემის უცვლელ განმეორებას არ გულისხმობს. მეტრი არის რიტმის მთავარი კომპონენტი, რომელიც შეიძლება სუფთა სახით არც იყოს მოცემული რომელიმე ტაქტში ან სტროფში, მაგრამ ის ყოველთვის მონაწილეობს ლექსში, როგორც შინაგანი პოტენცია, როგორც იმპულსი და მისი გამოვლინებისაკენ ისწრაფვის მეტყველება, ან შორდება მას, თუმცა ყოველგვარი დაშორება თუ „გადახვევა“ იმთავითვე გულისხმობს უმადლესი ნორმის ანუ საზომის (მეტრის) კონტროლს. წინააღმდეგ შემთხვევაში ინტონაციის ფარგლები სრულიად დაიშლებოდა, ლექსი პროზულ მეტყველებას დაუახლოვდებოდა.

მეტრის და რიტმის ასეთი გაგება აუცილებელია სილაბურ-ტონური ლექსის კვლევის დროს.

მაგრამ საკითხავია, განა მართლაც ასე ძნელია ქართული ლექსის სტროფში თავიდან ბოლომდე სწორი მეტრული სქემის აღმოჩენა? სინამდვილეში ამის

¹ მაგალითები მოყვანილია ბესიკის აკადემიური გამოცემებიდან (იხ. ბესიკი, თხზულ. სრულ კრებული. აღ. ბარამიძის და ვ. თოფურაის რედაქციით. ტფილისი, 1932, გვ. 17). „მოვედ აწ მამო“ ორი ბელნაწერის მიხედვით არის დაბეჭდილი. მოტიანი სტროფებს არ მოეპოვება მნიშვნელოვანი ვარიანტები ან ისეთი ცალკეული წყიობვანი, რომელიც ლექსის სილაბურ ჩარჩოს აყვებდნენ. ასეთი ვარიანტები კიდევაც რომ მოიპოვებოდეს, ეს არაფერს შეცვლიდა ჩვენს გაგებაში. მაშინ, ბუნებრივია, ვიკითხავდით: რამ გამოიწვია რედაქტორების შეცდომა იმ ვარიანტის შერჩევისას, რომელიც ლექსის საზომს არ შეესაბამება. ასეთი სახესხიო შესაძლებელი, მოვლენა არა ნაკლებ საგულისხმო იქნებოდა საკითხის თვალსაზრისით.

მაგალითები არც ისე მცირეა. პირიქით: ამ მხრივ ქართული ეგვიპტეოლოგია ძალზე მდიდარია. აი ნიმუშები „ვეფხის-ტყაოსნიდან“.

ვაზირთა : ჰადრეს / მეფეო // რად ზრძანე : თქვენი / ბერობა!
 ვარდი თუ : გახმეს / ვგრეცა // გმართებს : მისივე / ჯგრობა
 მისივე : მპატებს / ყოველსა // სული და : ტურფა / ფერობა,
 ძთვარესა : მცხრალსა / ვარსკვლავმან // ვითარცა : ჰყადრა / მტერობა.

სქემა:

/ ს : , ს / ' ს // ' ს , ს / ' ს ა ა ა ა ა ა
 / ს : ' ს / ' ს // ' ს , ს / ' ს ა ა ა ა ა ა
 / ს : , ს / , ს // ' ს , ს / ' ს ა ა ა ა ა ა
 / ს : ' ს / , ს // ' ს ' ს / ' ს ა ა ა ა ა ა

სტროფის თვითული სიტყვა ემთხვევა სქემის ელემენტებს—ტერფებს, ხოლო სიტყვათაშორის არსებული ბუნებრივი პაუზები—აგრეთვე ტერფებს შორის ნაწარაუდევ საზღვრებს. ოთხივე ტაეპი თითქოს შეგნებულად არის აგებული იდეალური სკანდირებისათვის.

მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, როგორც „ვეფხის-ტყაოსნიდან“, ისე აღორძინების პოეტებისა და განსაკუთრებით ბესიკის ლექსებიდან.

მაშასადამე, სილაბური სისტემის დამცველების არც ამ საბუთს მოეპოვება საფუძველი.

დასასრულ ერთი საგულისხმო მოვლენის შესახებ.

ქართული კლასიკური ლექსის რითმა შეიძლება დახასიათდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ურყევ დებულებად იქნება მიჩნეული ჩვენი ვერსიფიკაციის ტონურობა. მეტრის კლაუზულას ქართულ ლექსში იმდენი თავისებურება ახლავს თან, რომ მისი ახსნა სილაბური სისტემის ნიადაგზე ყოველად შეუძლებელია. მაგ. ჩაბრუხაძის ოდაში სარიითმოდ მოხვედრილია შემდეგი სიტყვები:

	წყნარი
ნარ	ნარი
	' ს
	' ს
ს	

ამ რიგში დაქტალური სიტყვა „ნარნარი“ (' ს) მეტრული ინერციის ზეგავლენით იქცევა „ამფიბრაქად“ (' ს ' ს), მახვილი პირველ მარცვლიდან მეორეზე გადადის („ნარნარი“) და ამხელს საზომის ძალმომრეობას სიტყვის ფონეტიკაზე — მახვილის გადაადგილებას. სილაბურ-ტონურ სისტემაში ეს შემთხვევა ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ ავხსნიდით ქალური რითმის არსებობას რუსთველის მაღალ შაირში, რომლის უკანასკნელი სიტყვა ხშირად სამმარცვლიანი და ოთხმარცვლიანია.

ქართული რიტმის ეს თავისებურებაც ჩვენი ლექსწყობის ტონურობას მოწმობს, რადგან მახვილისგან არის დამოკიდებული არა მარტო შინაგანი რიტმული წესრიგი ტაეპისა, არამედ ამ ტაეპის კადენციის ხასიათიც ქართულ ლექსში.

მახვილის მეტრულ ფუნქციის გარკვევის შემდეგ ქართული ლექსწყობის ხასიათის გასაგებად მნიშვნელობა აქვს მეტრისა და ტერფის ცნებების უსტანდარტო განსაზღვრას.

სილაბურ-ტონური თეორიის დამცველნი, ბოლხოვიტინოვიდან მოყოლებული ვიდრე ს. გორგაძემდე, არსებითად იკვლევდნენ მეტრულ სქემას, ხოლო რიტმის გამოხატულებად ტერფების ურთიერთმონაცვლეობა მიაჩნდათ. ამის გამო, სილაბური სისტემის დამცველებს ერთგვარი უფლება ჰქონდათ ეპეი შეეტანათ მათი კვლევის სისწორეში, რადგან „ტერფების“ ან „ტერფების ჯგუფთა“ (მაგ. დიპოდიების) კანონზომიერი თანმიმდევრობა ქართული ლექსის ტაქტში თუ სტროფში ხშირად ირღვევა¹.

სასკოლო მეტრიკის ეს შეცდომები სავსებით გასაგები იყო XIX საუკუნეში, როცა ჯერ კიდევ ბატონობდა ე. წ. „ლოგაედური თეორია“, აღმოცენებული ანტიკური მეტრიკისადმი მიხაძევის საფუძველზე.

ტერფი, როგორც რიტმის გამომხატველი ერთეული არ არსებობს. ტერფი სქემის აბსტრაქტული ერთეულია². ყოველგვარი ცდა ტერფების ურთიერთმონაცვლეობაში აღმოეჩინათ ლექსის რიტმი, მარცხით დასრულდა; ცოცხალი მეტყველება არღვევს ფიქტიური ტერფების საზღვრებს, რაც გაუგებრობას იწვევს სქემის განყენებული ელემენტების (ტერფების) კანონზომიერი ურთიერთმონაცვლეობის ძიებისა და აღწერის დროს: სიტყვის საზღვრები ხშირად არ ემთხვევიან ტერფების საზღვრებს, ტერფი არ აღიქმის.

მაგრამ ტაქტის ანალიზის დროს ტერფის ცნება მკვლევარს სჭირდება არა თვით ტერფის ადგილებისა და საზღვრების დასადგენად, არამედ მახვილების თანმიმდევრობის ხასიათის გამოსარკვევად. მაგ. ქორეული მეტრი სილაბურ-ტონურ ლექსწყობაში იქნება ისეთი ტაქტი, რომელშიაც მახვილიან მარცვალს თითო უმახვილო მარცვალი მოსდევს, თუმცა ტერფების საზღვრები ყოველთვის არ ემთხვევიან სიტყვების ბუნებრივ საზღვრებს. მაგალ.

თამარ / წყნარი / შესაწყ : ნარი, / ხმა ნარ : ნარი, / პირმცი : ნარი

· · / ' · / ' · : ' · / ' · : ' · / ' · : ' ·

სიტყვები „ხმა ნარნარი“, „პირმცინარი“, არ შეიძლება მივიჩნიოთ ქორეული ტერფების მიხედვით დაყოფილ ერთეულებად (არავინ იტყვის „პირმცი...ნარი“, „ხმანარ...ნარი“ და ა. შ.), მაგრამ თუ ტაქტს განვიხილავთ, როგორც ერთს მთლიან ექსპირაციულ ტალღას, დავინახავთ რომ მახვილების თანმიმდევრობა მასში ქორეულ კანონს ექვემდებარება.

მაგრამ, შეიძლება ლოგაედური თეორიის დამცველებმა შეგვნიშონ: თუ ქართულ ლექსში მოიპოვება შემთხვევები მეტრის უცვლელი სახით განმეორებისა მთელი სტროფის მანძილზე, ხოლო ტერფისა და სიტყვის საზღვრები ხშირად ემთხვევიან ერთმანეთს (მაგალითები ზემოდ იყო მოყვანილი), მაშინ

¹ ტერფების უცვლელი კანონზომიერი თანმიმდევრობა ლექსში საერთოდ წარმოდგენილია (იხ. ზემოთ. შტრ. Жирмунский. Введение... 73).

² Fr. Saran, Deutsche Verslehre, München, 1907, გვ. 147; საკითხის ისტორიისათვის ვრცელ იხ. ჩვენს წერილში: „ანტიკი ბელი და რიტმის პრობლემა“. „თბილისის უნივერსიტეტის შრომები“, ტომი V, 1936).

რატომაა აუცილებელი ტერფის ცნების ახალი გაგების შემოტანა ქართულ ვერსიფიკაციაში?

ჩვენ ზემოთ გვეკონდა აღნიშნული, რომ „ტერფის“ ცნება პირობითად რჩება, მაგრამ მას დამხმარე ტერმინის მნიშვნელობა ენიჭება. სიტყვებისა და ტერფების საზღვრების დამთხვევა ისევე ბუნებრივი მოვლენაა, როგორც მისი საპირისპირო შემთხვევები.

ქართული ენის საზოგადოდ ცნობილ ფონეტიკურ თვისებებს მართლაც უნდა გამოეწვიათ მეტრისა და სიტყვა-ტერფის საზღვრების სიმკაცრე ქართულ ლექსში, მაგრამ მეტრული მახვილის საკითხი ისე მარტივად როდი წყდება, როგორც გრამატიკული ან ლოგიკური მახვილისა. აბსოლუტურად ურყევი საზღვრები ტერფებისა (როცა ისინი სრულ სიტყვებს წარმოადგენენ) ლექსში უცნობია. მოსაზრების საილუსტრაციოდ ავიღოთ შემდეგი მაგალითი. რუსთველის პოემაში ხშირად ერთმანეთზეა მიჯრილი ასეთი სტროფები:

123. გაბრევილა : ტანა : ემონეს : ყარუენი : უსაპ : ირონი
 ებურნეს : მოშლით : რიდენი : ფასის თქმა : გასაპ : ირონი
 მწვენოდეს : შაენი : წამწამნი : გულისა : გასაპ : ირონი
 მას თეთრსა : ყელსა : ეხვიენეს : გრძლად თიანი : არ უხმ : ირონი

124. დარეჯით : იყო : მაღლომარე : ძოწე : ულითა : რიდითა
 ავიანდილს : უთხრა : დაჯდომა : წყნარად : ცნობითა : მშვიდითა
 მონამან : ხელნი დაუღა : დაჯდა : კრძალვით და : რიდითა
 პირისპირ : პირსა : უპერეტდა : საესე : ლხინითა : დიდითა.

ტერფების შედგენილობის მხრივ ლოგადური თეორია ადვილად განიხილავს 124-ე სტროფს, რომელშიაც სიტყვებისა და ტერფების საზღვრები იდენტურია. გამოხატვის წარმოადგენს პირველი ტაქტის 4 და 5 ტერფები („ძოწე...ულითა“), მაგრამ 123-ე სტროფის კლაუზულაში, რომელიც სამი ზუთმარცვლიანი და ერთი ოთხმარცვლიანი სიტყვებისაგან შესდგება, მან ქორეს გამოშხატველ მთლიან და დამოუკიდებელ ერთეულებად უნდა მიიჩნიოს „უსაპ... გასა“... და მისთ., ხოლო დაქტილებად — სარიტმო მარცვლები („... ირონი“), რომელნიც სიტყვების ნაწილებს შეადგენენ.

თუ რამდენად სახიფათოა ტაქტში რიტმის ძიება სქემისა და ტერფების კანონზომიერების თვალსაზრისით, შეიძლება დასაბუთდეს კიდევ ერთი მაგალითით. „შაპნამეში“ მოიპოვება ტაქტი, რომელიც ე. წ. „დაბალი შაირის“ სტრიქონს წარმოადგენს:

„სპანდიატისთანა შვილი შენ გამოსწყვიტე სპათაგან“

(„შაპნამე“, ტ. 2, სტრ. 5651ა-ბ)

ამ ტაქტში ექვსმარცვლიანი სიტყვა „სპანდიატისთანა“ სქემით ნეგარაუდები სამი ტერფის ფარგლებშია მოქცეული. მაშასადამე საზომის მხრივ იგი უნდა ამხელდეს სქემას:

სპ / 'სს / 'სს // 'ს / 'სს / 'სს

ე. ი. მთელი ტაქტი უდა წავიკითხოთ ამგვარად:

„ სპანდი / ტისთანა / ნა + შვილი // შენ + გა / მისწყვიტე / სპათაგან.



რიტმულად კი აღნიშნული ტაეპი შემდეგნაირად იკითხება: ერქუნული
ზიზლიოთქა
სპანდიატისთანა შერლი // შენ გამოსწყვიტე სპათავან.
/ ს ' ს / , ს // , ს ' ს / ' ს

თუ ჩვენ თავს დავაღწევთ ნორმის გრაფიკულ გამოხატულებაში ანუ სქე-
მაში რიტმის ძიებას, მაშინ „ტერფს“ მარტოოდენ დამხმარე, წმინდა აღწერი-
ლობითი დანიშნულება მიენიჭება და საზომის ყოველგვარი „დარღვევა“ რიტ-
მის თვალსაზრისით იქნება ახსნილი.

ჩვეულებრივ — ს ტ რ ფ შ ი ხ შ ი რ ი ა ი ს ე თ ი ტ ა ე ბ ე ბ ი,
რო მ ლ ე ბ შ ი ა ც ს ა ზ ო მ ი ა რ ა ა დ ა ც უ ლ ი. ა მ ი ტ ო მ ა ც ი ს ი ნ ი
რიტმულ ერთეულებს წარმოადგენენ.

პრინციპული ხასიათის ეს შენიშვნები სავსებით ანთავისუფლებენ ქართუ-
ლი ლექსის მკვლევართ ტრადიციული, სასკოლო მეტრიკის ტყვეობიდან (მეტ-
რული სქემის გვერდით ჩნდება რიტმის, როგორც ლექსის რეალური წესრი-
გის, ცნება) და ჩვენი ვერსიფიკაციის სილაბურ სისტემად აღიარებას უკანას-
კნელი დასაყრდენი ეცლება. მოძღვრება ქართული მახვილისა, მეტრისა და
რიტმის შესახებ სრულიად ახალ მეთოდოლოგიურ საფუძველზე უნდა აიგოს,
რაც ახლო მომავლის საქმეს წარმოადგენს.

ბიბლიოგრაფია



კონსტანტინე ლორთქიფანიძე — „უსახელო მალაქობა“.
„საბჭოთა მწიბრალი“, 1947 წ.

სამშაღლო ომის თემატიკამ, სხვა ეანრებთან ერთად, თავისი გამოხატულება ჰპოვა სამხედრო მოთხრობისა და ნოველის ეანრშიაც. ლიტერატურაში კარგად ცნობილია ეს ეანრი. რუსულში კლასიკურმა ლიტერატურამ, ლერმონტოვის და ლ. ტოლსტოის სახით, რომანტიკის მხარე დაკონონებული ბატალიონის დაარღვია. ომის აღწერა ისე როგორც იგი წარმოებს რეალურ სინამდვილეში — ეს ფორმულა ლ. ტოლსტომ შესანიშნავად განახორციელა თავის „სევსტოპოლის მოთხრობებში“. საბჭოთა მწერლები, აგრძელებდნენ რა რუსული კლასიკურ ლიტერატურის ამ რეალისტურ ტრადიციას, სრულიად ახალ აღფერ-მხატვრულ გააზრებას აძლევდნენ სამხედრო მოთხრობის მეტად ცნობილ და პოპულარულ ეანრს.

სამშაღლო ომის დროს მრავალი მოთხრობა და ნოველა დაიწერა ამ ლირსწესანიშნავ თემატიკაზე, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. სამხედრო მოთხრობის ავტორები ხშირად თვითონ იყვნენ ბოლშე მონაწილენი, ან დაიწერა იმ ამბებისა, რაც აღწერილი აქვთ თავიანთ მოთხრობებში.

კ. ლორთქიფანიძის მოთხრობა „უსახელო მალაქობა“ ნამდვილი სამხედრო მოთხრობაა უველა თავისი ეანრობრევი თვისებებით. იგი გველწოდება საბჭოთა პარტიოტისმის მალაქო გრძნობებით, გულბილად არის დაწერილი და ერთერთი ჭარბველი ჯარისკაცის გმირობაზე გვიამბობს კავკასიის დაცვის 1942 წლის პერიოდში. მხოლოდ სამი მოქმედი პირია გამოყენილი მოთხრობაში: გენერალი ლესელიძე, ჯარისკაცი გიორგი ხელაშვილი და კაპიტანი მესხი. მაგრამ, რამდენადაც გენერალი ლესელიძე მოცემულია პორტრეტულად, კონკრეტულ-ისტორიულ გარემოებაში, ხელაშვილი — ეს ჭარბველი მებრძოლის განუთავადებელი სახეა უთუოდ. მოთხრობა კომპოზიციის მხრივ ბუნებრივად სამ არათანას-

წორ ნაწილად იყოფება. პირველი ნაწილი, — ჯარისკაცი გიორგი ხელაშვილი გენ-ლესელიძესთან ბლინდაეში, — თავისებური ექსპოზიციით იმ მოთხრობის დრამისა, რომელიც მეორე ნაწილში არის ავტორის მიერ გამოხატული. მესამე ნაწილი, — ზენი მშველი ჯგუფის შეხვედრა მომავლად ხელაშვილთან, — მთელ ამ ამბის ფინალს წარმოადგენს, როგორც ვთქვით, მეორე ნაწილი მოთხრობის ეენტრალური ეპიზოდია, სადაც მეტად ორგინალური ხერხით, ე. წ. „მონოდრამის“ სახით, ერთი აღმანიანს, საბჭოთა მებრძოლს, ჯარისკაცი გიორგი ხელაშვილის მიერ უსახელო მალაქობის დაცვის ისტორია არის წარმოდგენილი.

თავიდანვე მოცემულია უკვე გამოთვლილი მდგომარეობა: „მომხედ დამტრალი ხელაშვილი საგვარში მარტო დარჩა“, მაგრამ გენ. ლესელიძის სამხედრო დავალება შესრულებული უნდა იქნეს. რადაც არ უნდა დაუჯდეს, ხელაშვილს მართებს, რაც შეიძლება მეტად დროით შეინარჩუნოს მალაქობა და არ ხელგულის იგი გერმანელებს. ეტობა ამ უსახელო მალაქობს დიდ მნიშვნელობას აქოთენებენ საერთო საბრძოლო ოპერაციების წარმოების შესულებლობაში. მიუხედავად მეტად რთული და ძნელი მხატვრული ამოცანისა, ავტორმა შესძლო ლაკონიკად და ზუსტად, კონკრეტულ ნახევრში, ბრძოლაში მონაწილე ჯარისკაცის ფსიქიური პროცესების მკითხველის წინ გამოლა. მისი ფსიქოლოგიური ანალიზი არ არის მშაბათული სულის ხილრემში რადაც შეუცნობილის და ინსტიქტურის საძიებლად, რაც ისე ახსიათებს, შველ., ამერიკულ სამხედრო ნოველის ისეთ ისტატებს, როგორც ა. ბირსი და ს. კრინი. მათი ფსიქოლოგიური ანალიზი, თუმცა რეალისტურ საფუძველზეა დამყარებული, მაგრამ უმოთხრესად კომპარამდე და ზოგჯერ პათოლოგიამდე არის დაყვანილი. ცხადია, საბჭოთა მწერალი ამ გზით ვერ წაიხილდა. კ. ლორთქიფანიძე ხელაშვილის „ნიშნავა-



მონოლოგს“ რეალისტურ ხაზებში შლეს, იგი აგებულია კონკრეტული სინამდვილის (გერმანელებთან ბრძოლა) და მებრძოლის შინაგან ემოციების ერთიანობაზე. რეალური სინამდვილის ფაქტები, — დაგვალული ბერტები, რომელნიც შენიღბული გერმანელები გამოდგენ, სერკანტის მათარა, გრანატებიანი გერმანელი, რომელსაც ზელაშვილმა ოჯახურ ისრაოლა, — დროგამოშვებით იჭრებთან სანგარში მარტოდ-დარჩენილ მებრძოლის შემეცნებაში. ამიტომაც რომ მებრძოლის ემოციები ასეთის სისწრაფით სეკლთან ერთი მეორის.

„ეგტორი არ გვიხატავს მებრძოლ ზელაშვილს, როგორც ზღაბრულ ვოლიანს, არა, იგი რიგობს. უბრალო, სპაპოთა აღმამანია, რომლის დაბაჩვისას მწერალმა თავის პალიტრას მრავალფეროვანობა გამოიყენა. ამიტომ მწერალი არ გაუბრძნის ისეთ მომენტების აღწერასაც, როდესაც ზელაშვილს სისუსტე შეზარავია. პირველ ხანებში, მართლაც „შიშმა დაუბრუნებლად ზელი ზაჰიდა და სწრაფად წამოზიდა“, რის გამოც მოეჩვენა, რომ გერმანელები მოხობავენ და ზედმეტად ისრაოლა ფერდობზე დასერილ მოკლულს“. შემდეგ აერთვლ თოფი კინაღამ შემოაბრუნა, რომ ავტორს წამებას ბოლო მოღებოდა“. ეს ისეთი შტრიხებია, რომელნიც ზელაშვილის გმირობას დამაჯერებელ ამავეად ზღადა.

ერთადერთი იმედი ამობრავებს ჯარისკაცს ზელაშვილს, რომ ცოტახანთ მანძელ შეაჩეროს მტერი. მაგრამ მებრძოლის შემეცნებას ჰკვეთს აზრი ამის შესახებ, რომ „აჰ, ამ დასაჯერებელში თავდებოდა მისი სიცოცხლე“. ეს აზრი, როგორც ლეიტ-მოტივი თანსდევს ზელაშვილის დრამას: „სახელს დაქმნევა-კი დაეიწყებოდა კაციშვილს ამ ნაგარი ადგილისათვის... და როგორც ეს უსახელო მალღობი, ვიორგი ზელაშვილიც ასევე უკალოდ და უამბოდ უნდა დაეარტულიყო ამ ლეთისა და კაცისაგან მოძულეულ ლეიტ-მოტივში. „თუ სიკვდილი მეწერა ან მოსკოვთან, ან სევასტოპოლთან დამელია სტლი! საწყალ მამამებს მგზობლები მანც იტყოდნენ, ვაჟკაცი იყო და ვაჟკაციურ ქალაქში დაეყო“, ასე გაიფიქრა ზელაშვილმა. მაგრამ მთელი შემდეგი მოქმედება, ზელაშვილის მებრ ჩადენილი გმირობა, სწორედ ამ სულიერ კონფლიქტს ბუნებრივად აქარწყლებს: საბჭოთა მებრძოლი თვითონ თავის გმირულ საქმით ასაბელებს ამა თუ იმ ადგილს, იქნება ის „ვაჟკაციური ქალაქი“, თუ უსახელო მალღობი. ამიტომ, საყვებით ბუნებრივია, რომ ჯარისკაცის აზრი დიდ სტალინისავე მითმართება: 11. „მნათობი“, № 3.

„ვახედა მინდორს“, რომელიც თანდათან უზარმაზარ რუქად გაქრის, — ზელაშვილს სტალინი დახრილიყო, ზელაშვილი წითელი ფანჯარა ეჭირა და ლესელაძეს ეუბნებოდა“. ფსიქოლოგიურად სწორია, რომ ზელაშვილს შემეცნებაში ორი აღმამანს სახე შერჩა: ლესელიძის, როგორც მისი უშუალო უფროსისა, და ამხანაგ სტალინის სახე, როგორც საყოველთაო მამისა და მასწავლებლის. ვიორგი დამშვიდდა, მისმა სულიერმა დრამამ თავისი ბუნებრივი კითხვისას პოეზია: „საიდან სადამდე ზელაშვილს თურმე ის დალოცვილი. ეს ჩემი პატარა გორაკიც რუქაზე ჰქონიათ“. და ეს აზრი, შემდეგ, ფინალში, თავის დაბოლოებას მიიღებს, როდესაც საბჭოთა ჯარი გასწმენდს უსახელო მალღობს გერმანულ ფაშისტებისაგან. სიკვდილის პირის მდგარი ზელაშვილი ავრინებს დიდ სტალინს და ძღვეს გასაჯონი ზურჩულით იტყვის: „სომ აღარ... დასჭირდა... ლურჯი ფანჯარის!“ და მიწისფერ სახეზე „შევი რამ მოეთენა, თითქოს იმ კეთილ ზმანებას ვაუღლია“.

ავტორმა შესძლო მთელი რიგი დასამახსოვრებელი დეტალების გამოძებნა. ვენ. ლესელიძის პორტრეტი რომელიც, თითქოს ვრათიკოსის მიერ ფანქრით დაბატული ყოფილიყოს, გამდიდრებულია ისეთი დეტალით, როგორც ახალი ჩექმების შრაპუნი, სარდალს რომ ველს უწყალებს. შესანიშნავად არის გადამხრილი ჯარისკაცის ფსიქოლოგიური მდგომარეობა: წყურვილი და მოკლული სერკანტის მათარა, რამლის „საცოცხლოდნად წყალი წვეთავდა და ხშირად კამკამა წვეთების ძეწვეი ბალახს ჩჭარჩჭარა არხედა“.

უსახელო მალღობის პეიზაჟი ავტორს არა აქვს ზედმეტ საღებავებით გადატვირთული. აქაც იგივე გრაფიკულ მხატვრობა არის გამოყენებული. ბუნება ანა როგორც ზელაშვილის განწყობილებათა კონტრასტული ელემენტია, არამედ მისი სულიერ მდგომარეობასთან შეფიქრებულად: ცუცხლისაგან გულგამომწყვარი მტეხა, რომელიც, მიუხედავად მის გარშემო დატრიალებული ჯოჯოხეთისა, მანც ბრძანებლობს ნახანძრალ ლელაინზე; შავი ნარი, ბიჩკა და ფშეტყვეილა... პატარა-პატარა მომამბული ჭაობები... ქარისაგან წახრილი ლერწმები და სხვ. ასეთია ძენში ხაზებით დაბატული, ე. წ. „მირინის ტლის“ ბატალური პეიზაჟი.

უნდა ვუსაყვედუროთ ავტორს, რომ ზელაშვილის ფსიქო-იდეურ სამყაროს დაბატებით გატაცებულს, რატომღაც გამორჩა ჯარისკაცის

ფიზიკური სახის დასურათება. მწერალი იხსენებს, რომ ზღაპრული ქიზიყელი, პირადობრი და გულმართალი ვაჟაკი იყო, მაგრამ, ავტორი დაგვეთანხმება, რომ ეს არა კარა,

თუნდაც ისეთი პატარა მოთქმეობით, როგორცაა „უსახელო მალღობრე“.

ზალმა ალხაზიშვილი.

★

ზალმა კვასხვიძე — „ანტონ ბოგიაშვილი“, საბლიტბანი, 1947 წ.

როდესაც მეცხრამეტე საუკუნის ბოლო წლებსა და მეოცე საუკუნის პირველი ათეულის ევროპულ-ვაზოვებს და საემპერიო გამოცემებს ვათავლიერებთ, ჩვენს ყურადღებას ზმირად მიიქცევენ ზოლმე კარგი გამოცემებით და მხატვრული ილუსტრაციებით შესრულებული გრაფიკული ილუსტრაციები, თავსაფალები, ბოლოსამართლები და მხატვრული ასოები, რომლებიც გვეთვინიან ცნობილ მხატვარს ანტონ გოგიაშვილს. ამ ნამუშევრებში ასახულია საქართველოს სხვადასხვა კუთხის ყოფა-ცხოვრება, ქართული ბუნება და წარსულის დიდებულ ნაგებობათა ნაშთები.

ეს ნახატები უბრალოდ ამოღებულ ავტორის სულიერ კეთილსინდისს, მის უზომო სიყვარულს მშობლიური ბუნებისა, ხალხისა და მისი ისტორიისადმი. ასე შევთრად შეტყვევო თემატიკა უჩვეულოა ოთხმოცდაათიანი წლების ქართული გრაფიკული მხატვრობისათვის.

რაც უფრო მრავალრიცხოვანად ვგვხვდებით „კვანში“ და „შემდეგ უმთავრესად „ცნობის ფურცელში“ ასეთი ქართული ყოფის გამოხატულები სურათები, მათ უფრო საინტერესო ხდება ავტორის ვინაობა, მისი შემოქმედების გაცნობა.

ამ კეთილშობილი და დრად ზღაპრულ საქმის გაკეთება დაუსაბუთებ მინდალ შ. კვასხვიძეს. დიდი შრომით და საქმის სიყვარულით მოუხსნა და აღუხსნა ნახატები, შეუდგენია უძრავად გარდაცვლილ მხატვრის ბიოგრაფია დაუდგენია თარიღები და ნაწარმოებთა კატალოგი, გამოიკვლია სახე ჩვენი გრაფიკული ხელოვნების თვალსაჩინო მხატვრის ანტონ გოგიაშვილისა. ერთის შეხედვით ეს თითქმის სრულიად ბუნებრივი საქმე არც თუ ისე ბუნებრივად კეთდება საყოველთაოდ ცნობილია, რომ გრაფიკული ხელოვნება მას შემდეგ, რაც ის ვახდა განუყრელი ნაწილი ნაბეჭდი პროდუქციისა, მეტად მნიშვნელოვანი შეიქმნა მასების გათვითცნობიერების და კულტურული აღზრდის საქმეში.

ამიტომ მისასაღებელი და სამაგალითი იქნებოდა „საბლიტბანის“ ნაბეჭდი, რომ გოგიაშვილზე გამოცემული მონოგრაფია თავის და-

ნიშნულებას ამართლებდეს. მაგრამ ამაზე ქვევით.

ოთხმოცდაათიან წლებში გურიის ერთ-ერთი ფეოდალის ყმობიდან გამოქცეული ქაიხოსრო გოგიაშვილი თბილისში შევიდრდება როგორც ივანე გოგიაშვილი.

ამ გოგიაშვილის ოჯახში დიბადა მომავალი მხატვარი 1878 წელს. იმ დროს, როდესაც ხალხისური იდეები საფუძვლიანად მტკიცდებოდა ახალგაზრდა მხატვარი, ყველაზე მეტად, ჩვეულებრივ წლით უფროს ვაჟა-ფშაველას უმცროსი ვაჟი. გურს ისევე სასულიერო საქმეებში მოწოდებდა „პატრიონს“ ასურათებს. ამის შემდეგ შედის თბილისის სამხატვრო სკოლაში და დიდ იმედებს იძლევა.

მომავალი მხატვარი თითქმის წინასწარ გრძნობს თავისი სიცოცხლის ხანმოკლეობას; ისწრაფვის რაც შეიძლება მაღელ შემოიაროს, თუცა თვალთ იხსნულს და ახატოს საქართველოს ყოველი კუთხე მთელი თავისი ყოფით, აწყობს და წარსულით. მუდამ მოგზაურობაში მყოფმა ახალგაზრდამ ოცდაცხრა წლისთავე ზეთის ჩანახატზე მეტი დისტოვა.

ამ ჩანახატებში თანახარი სიყვარულით და განცდით არის მოცემული ფსევხესურეთი, კახეთი, აფხაზეთი, მესხეთი, იქარა, სამეგრელო, ქართლი და გურია.

თავის ცხოვრებით და შემოქმედებით მან დაამტკიცა, რომ მხატვარი არ შეიძლება იყოს კბინეტის მოწამა, რ უშუალოდ უნდა ტრიალებდეს ხალხში, ეცნობოდეს მის ცხოვრებას, მის ჰიერარქიას და იმ ბუნებას, რომელსაც გვიხატავს. უამისოდ მხატვარის შემოქმედება იქნება უნიდავა.

იგი გარდაიცვალა 1907 წ., ე. ი. იმ დროს, როდესაც რეპეციით აღმოიღებულ საქართველოს უსახლკაროდ დარჩენილი გლეხობა ტყვეობაში ეძებდა თავშესაფარს. იქ იკრებდა ძალღონეს და „წითელი რაზმების“ სახით თავზარს სცემდა აღიზანოვის დამარბვე ყაზახებს.

ცხადია, რომ ხალხისური იდეებით შთაინებული და სამშობლოს მოყვარული მხატვარი თავის ჩანახატებში გამოხატავდა ზიზლს რაქ-

ცისადმი. მას არაერთხელ აპატიმრებენ და მის ნახატებს სპობენ. მიუხედავად ამისა ა. გოგიაშვილმა მიიღო ბლომად დაგვიტოვა ისეთი ამონაწერი და ზუსტი ჩანახატები, როგორც „ტყეში გაბიზნული გურულები“ და შრავილი სურათი „ღარბების“ ციკლიდან.

მხატვრის თქმები, როგორც აღვნიშნეთ, მრავალფეროვანია. ჩანახატების უმრავლესობა გრაფიკული ბელოვნების ცოდნით და მხატვრული გემოვნებით არის შესრულებული. თეთრი და შავი ლაქების შეხამებაში, ხაზისა და შტრიხის გადმოცემაში, მასალის კომპოზიციურ განლაგებაში მხატვარი საკუთარ სტილსა ჰქმნის. ეს სტილი რეალისტურია, მიზანდასახული, ზედმეტი დეტალებიდან დახვეწილი.

მონოგრაფიის ავტორს ყველაფერი გაუკეთებია იმსათვის, რომ ნაშრომი გამოსთლიყო სრულყოფილი, მაგრამ ვიდრე არ იცნობს ანტონ გოგიაშვილის შემოქმედებას ორიგინალებიდან ან ძველ რეპროდუქციებიდან, მას, ამ მონოგრა-

ფიაში მოთავსებული რეპროდუქციები უფრო შეხედულება შეექმნება მხატვრის შემოქმედებაზე.

როგორც წიგნის ფორმატი, ისე ქაღალდი სრულიად მიუღებელია ასეთი გამოცემისათვის. ორიგინალების შემცირებაში არ არის დატული პროპორციული ზომა, არც მხატვრის თავისებური ტექნიკა გათვალისწინებული. ხშირად ფაქიზი ნახაზი ბადეზე გადატანილი, ბეჭდვის დროს ხაზი სრულიად გამქრალა.

მხატვარზე მონოგრაფიის გამოცემის მიზანი არის ამ მხატვრის შემოქმედების გაცნობა რეპროდუქციების საშუალებით, თუ ამას ვერ ახერხებს გამოცემლობა, მაშინ გამოცემასაც აზრი ეკარგება.

სამწუხაროა, რომ ქართული გრაფიკული ბელოვნების ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ასე დაუდევრად არის გამოცემული.

ბ. ზოსდუნიანი



ბ. ი. ტყემელაშვილი — „ВАРДЗИЯ“

„ტყენია და შრომას“ გამოცემლობამ რუსულ ენაზე გამოსცა გ. ი. ტყემელაშვილის ნარკვევი — ВАРДЗИЯ (Туристический Краеведческий Очерк), Тбилиси, 1947 г. წიგნის პასუხისმგებელი რედაქტორია პროფ. ლ. შელიჭქეთ-ბეგია.

ასეთი ნარკვევების გამოცემა მისასალმებელია, რამდენადაც ისინი მკითხველთა ფართო საზოგადოებას ჩვენი წარსულის საუკეთესო ძეგლებს აცნობენ. სწორედ ამის გამო, ფაქტების გადმოცემაში მათ განსაკუთრებული სიზუსტე და კეთილსინდისიერება მოეთხოვებათ. ჩვენს აზრით, ხსენებულ ნარკვევი ამ მოთხოვნას ყოველ მხრივ ვერ აკმაყოფილებს.

ნარკვევი შეიცავს 48 ნახვევდ გვერდს და ხუთი თავისაგან შესდგება. პირველი ოთხი თავი დათმობილი აქვს ვარძიის ზოგად დახასიათებას, მისი შესწავლის ისტორიას და მისკენ მისასვლელ მარშრუტებს. მეხუთე თავში მოცემულია ვარძიის აღწერა, და განხილულია ამასთან დაკავშირებული საკითხები: საიდუმლოებები ტყენიური, მხატვრული, ფოლკლორული და ისტორიული. ეს თავი ნარკვევის ძირითად ნაწილს წარმოადგენს და ჩვენი განხილვის მთავარი საგანი იქნება. ნარკვევს დართული აქვს რედაქტორის—პროფ. ლ. შელიჭქეთ-ბეგის შე-

ნიშვნა, „ვარძიას“ ეტიმოლოგიის შესახებ, და ბოლოს — სარჩევი.

წიგნის პირველი ოთხი თავი, თავის მთავარ დანიშნულებას ამართლებს — აძლევს მკითხველს, მართალია — ზოგადად, მაგრამ მაინც გამოსადეგ ცნობებს ვარძიის მდებარეობის და მისკენ მიმავალი გზების შესახებ. უკანასკნელი თავი კი, რომელმაც უნდა გაგვაცნოს ვარძია, ზუსტ წარმოდგენას ვერ იძლევა მასზე.

პოპულარული ხასიათის ნარკვევი მხატვრული და მიმზიდველი ენით უნდა იყოს დაწერილი, რისი პრეტენზიაც ტყემელაშვილის წიგნს, როგორც ჩანს, აქვს; მაგრამ ეს დიდიან ათავსობს შემთხვევაში არ უნდა იყოს დამყარებული მხოლოდ ემპირიულ გამოთქმებზე, რომელნიც სინამდვილეში არაფერს შესწენენ ჩვენს ობიექტურ წარმოდგენას ძეგლის შესახებ, და პირიქით, იქნებ თავისი ყალბი ტონით სუბიექტურ შთაბეჭდილებებს გვახვევენ თავს. მკითხველს ისეთი წარმოდგენა შეექმნება, რომ ვარძია რაღაც გაურკვეველი „საიდუმლოების“ ბურუსით არის მოცული. ავტორის მიერ ხმარებული სიტყვები „загадка“, „таинственная“, მის წიგნს „საიდუმლო“ ელფერს აძლევს, მით უფრო, რომ მის მიერვე მოყვანილი მრავალი ანგლიზირებული სიტყვა და ლექსი ისეთი სახით არის წარ-

ზოდგენილი, რომ ძალაუნებურად ერთადერთი ფაქტორი მასალად გვევლინება.

მთელი ეს ფაქტორი მასალა, რომელიც დაგროვდა ვარძის მუზეუმში თავისი არსებობის ათი წლის მანძილზე, სრულიად გამოუყენებელია ავტორის მიერ. ასე, მაგალითად, ამის მაკვრად, რომ ეს დაყრდნობოდა არქიტექტურულ ანაზოზებს, გვემბებს მის პირობით აქვს მოკლებული ვარძის გამოქვაბულთა ქრონოლოგიური, ტიპოლოგიური და კომპლექსური დაყოფა. დუანაბთობები მტკიცებით, ვითომც ვარძის დასავლეთ ნაწილში მოქცეული გამოქვაბულები მეტნაწილად პრიმიტიული ნაკეთობისა არიან, იგი დაასვენოს, რომ ეს ნაწილი მთლიანად არეული ხანისა არის: „При сопоставлении и изучении двух основных ущелившихся частей Вардзии Западной и Восточной (Деление по линии центрального храма), заметно, что Западная более примитивная: в ней встречается мало пещер „палатного“, высшего для Вардзии типа, которые в большинстве случаев сконцентрированы в Восточной части Вардзии и которые по времени постройки, по видимому, более поздние, чем пещеры Западной части“ (გვ. 25). სინამდვილეში კი იქაც საკმაოდ გვხვდება მშვენიერად ნაკეთებ გამოქვაბულთა ნაშთები, მაგრამ ისინი ნაკლებ შესამჩნევნი არიან კლდის მეტი დაზიანების გამო. ისეც რომ არ იყოს, მარტო პრიმიტიულობით ხნოვანების განსაზღვრა შეტად საბიფთაოა.

მეტისმეტად პირობითია და არადამაჯერებელი გამოქვაბულებს ტიპოლოგიური დაყოფაც. მით უფრო, იმის გამო, რომ ავტორის აშკარად შეუტყაველელი აქვს ისინი; ეს რომ ასე არ იყოს, იგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ იტყოდა რომ: „В большинстве случаев в Вардзии пещеры идут одна за другой по 3—4 в ряд в глыбе скалы“. (იხ. გვ. 29). ასევე ვერ მოუვიდოდა მას აზრად, რომ ვარძის ქვაბებსა და ქოთნებში ფულები ინახებოდა (გვ. 28); ან კიდევ ის, რომ კარებთან გაკეთებულ ხვრელისებურ კარებზე მონებს აბამდნენ (გვ. 28), ერთი სიტყვით მისთვის შრავლად საიდუმლოება აბსნილი იქნებოდა. ასევე სრულიად ნებისმიერია ვარძის დაყოფა სამად (გვ. 31): მონასტრის სამეფო რეზიდენცია და გამაგრებული ქალაქი, თუმცა ქვეითი ავტორი იმელებულია აღნიშნოს, რომ ქალაქის არავითარი კვალი იქა არ სჩანს. ავტორივე არავითარი საბუთი არ არსებობს იმისა, რომ ვარძიაში სამეფო რეზიდენცია იყო. სისტორიით წყაროების მიხედვით, თამარი ვარძიაში მხოლოდ სამჯერ უყოფილა (იხ. „ისტორიანი და აზნანი შა-

რავანდეთისა“ *კად. ჯ. რ. კიციანი, 1941 წ. გვ. 126, 129, 136); მხოლოდ ერთადერთი საინტერესო მსჯელობა ტყველად შვილს იქ მოვბოვება, სადაც ევლესიის მოხატულობის აღწერაზე აქვს საუბარი. ეს გარეობება, რომ გიორგი III და თამარი ვარძის მოხატულობაში ერთნაირი გვირგვინებით არიან გამოხატულნი, რატომღაც ნებას აძლევს ავტორს, რომ ბუნდოვანი და ვერკვეტილი მსჯელობა იქონიოს ტაბისმეკვიდრების ქართული წესის შესახებ (იხ. გვ. 22); ამ მსჯელობის მიზანი ჩვენთვის გუგუბარია. ეს წარწერება, რომელიც ვიორგისა და თამარის პორტრეტებს თან ახლავს, სწორედ არ არის თარგმნილი & ტყველად შვილის მიერ. ამას კი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ ამ წარწერიდან ირკვევა, რომ მოხატულობის შესრულების დროს თამარი ჯერ კიდევ ცოცხალი უყოფილა ეს წარწერა: „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფეთ მეფე, შვილი ვიორგისი, თამარ, რომელი შრავლად ევლესობსა“. & ტყველად შვილს ეს ასე უთარგმნია: „Царь Царей всею Востока дочь Георгия Тамара, раба Божия“. თარგმანის უთანასწორობა იხი სიტყვა სრულიად არ ეთანხმება წარწერას. საეკლესიო მხატვრობა როგორც სჩანს სრულიად გუგუბარი დარბა ტყველად შვილისათვის და ამიტომაც უცნაური სურათი დაგვიხატა: დასავლეთის კედელზე მისი თქმით შეტად რთული და რამდენიმე ცალკეული სურათის ერთი კომპოზიცია არის (იხ. გვ. 32). სინამდვილეში აქ წარმოდგენილია ქრისტეს ცხოვრების ციკლის რამდენიმე დამოუკიდებელი კომპოზიცია: „ამოღება“, რომელსაც ნარკვევში „ელთისმშობლის ამოთვობა“ ეწოდება (იხ. გვ. 32); მართალია იქვე მარჯვნივ „ელთისმშობლის მიძინება“, მაგრამ მის „ელთისმშობლის დაკრძალვასთან“ არავითარი კავშირი არა აქვს; ეს სცენა ვარძიაში სულ არ არის. სრული არეულობა არის აგრეთვე სტაში მოთავსებული „მეორედ მოსვლის“ აღწერილობაში (იხ. გვ. 32—33) აქ კომპოზიციის ცენტრს „საყდარი განმზადებელი“ წარმოადგენს და არა სასწორი „მართალია“ პროცესია, ტყველად შვილის აზრით, ფეოდალების პროცესია არის. „ღვდელმთავართა“ კოსტუმები მის ფეოდალური ტანსაცმელის სტილიურ საბუბად მიიჩნევიან. სტოას დასავლეთ კედელთან მოთავსებული „მეორედ მოსვლის“ ნაწილი „მარამის საშო“, ტყველად შვილის აზრით, ქრისტეს გამოხატულებაა (იხ. გვ. 33). ხოლო სტოას თავზე მოთავსებული კომპოზიციის რეალურად და სწორად დახატული ურემი, რატომღაც შებრუნებული პერსპექტივით გამოხატული მიღგენა (იხ. გვ. 33), როგორც ჩანს კედლის მხატ-



ერომა სრულიად უცხოა ჩვენი ავტორისათვის, ამიტომ უკობდა კომპერენტური პირის გამოკვლევით ესარგებლად.

მაგრამ ყველაფერს აგვირგვინებს კატეგორიული განცხადება იმის შესახებ, რომ ვიორჯი III ვარძიაში დაკრძალული: „Здесь был похоронен строитель Вадзани царь Георгии III, с ним рядом — неизвестная могила“. (იხ. გვ. 34). ვახუშტის ცნობა, რომელსაც იგი ემყარება, დაუსაბუთებელია; ხოლო ან დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“, იმ ადგილას სადაც ვიორჯის გარდაცვალებისა და დაკრძალვის შესახებ მოთხრობაა — (იხ. ანასეული „ქართლის ცხოვრება“ ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1942 წ. გვ. 240), ყოველგვარი ნდობის ღირსია (იხ. აქად. ი. ჯავახიშვილი, „ქართული ერის ისტორია“, წიგნი II, გვ. 573).

ასევე ზედმეტია დიუბა დე-მონპერეს უსაფუძვლო, მოკვლევითი, მოსაზრების განმეორება თამარის ვარძიაში დასაფლავების შესახებ (გვ. 19). კიდევ უფრო მეტად ცუდ შთაბეჭდილებას სტოეებს და სრულიად შეუწყნარებელია ისეთი ზერეცე და საფუძველმოკლებული გადმოცემის ბეჭდური განმეორება, რომელნიც დამახინჯებულად წარმოგვიდგენენ ჩვენი ისტორიის სახელოვან პირებს. სათათბირო დარბაზის გვერდით არსებული სათავსოს გასანათებლად,

მის წინ მოთავსებული ეკლესიის კედელზე: მკერძილი ვიწრო სარკმელი, ჯვარედინი ქუჩის მოცემით, თამარის საიდუმლო ყურსაცდები იყო, იმ ამბების ფარულად მოსამყენად, რომელნიც დარბაზში ხდებოდნენ. ეს ტექნიკურად და ლოგიკურად შეუძლებელია, — სარკმელს სათათბირო დარბაზთან არაერთი კვამირი არა აქვს, ის ეკლესიასა და პატარა სათავსოს შორის არის გაჭრილი, — ტყვეულაშვილია დაუფიქრებლად არამართვ განიმეორა ეს უსაზრო თქმა, არამედ შესაძლებლად სცნო მისი საფუძველიანობა (იხ. გვ. 42).

მეტად სამწუხაროა და ამსთანვე გასაკვირველია, რომ ამგვარი ზერეცე ნარკვევის პასუხისმგებელი რედაქტორია ისეთი სერიოზული მკოდნე ჩვენი სიძველეებსა, როგორც არის პრაოდ. ლ. მელქისეო-ბეგე; სწორედ ეს გარემოება კიდევ უფრო მეტად ზრდის მის პასუხისმგებლობას.

გ. ტყვეულაშვილის ნარკვევს ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას: არა სწორადაა გადმოცემული დაგვიწილი ისტორიული ფაქტები და ვარძიის დღევანდელი სახე იგი უაღბ წარმოდგენას უქმნის მკითხველს ვარძიის შესახებ.

3. ტიხარაიშვილი.

ბ რ ა ბ შ ი ძ ე — „ჯავახიშვილი“

„საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა პოეტ გრ. აბაშიძის ლექსთა კრებული, სახელწოდებით: „ჯავახიშვილი“, რომელშიც შესულია აგრეთვე პოემა „ზარზმის ზანება“. ლექსების უმეტესობა დაწერილია სამამულო ომზე და ისტორიულ თემებზე. კრებულში შეტანილია ადრინდელი ლექსებიც.

წიგნი ბეთი განყოფილებისაგან შესდგება: „ქლევაძისილი“, „კაკლისქვეშ დადის ჩემი ბავშვობა“, „ჯავახიშვილი“, „ზღვა და მარცხალი“ და „ინდურისმაგი“. პირველ თავში შესული ლექსები უმთავრესად ეხებიან სამამულო ომის თემას. წიგნი იხსნება ცნობილი ლექსით: „დროშები“. არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ეს ლექსი ერთერთი უმესანდნავესია ახალს ქართულ პოეზიაში საერთოდ და სამამულო ომის პერსონაჟი დაწერილი ლექსებს შორის კერძოდ. ამ ლექსში კარგადაა დაკავშირებული სამამულო ომი და ჩვენი ისტორიული წარსული. ნაწევრებია ის, თუ რა ქარკვებლში გამოატარა ქართველმა ხალხმა იტრაცხელ მტერთან ჭიდილში დროშები გორგასლიანი და

დაეთიანი, დაიცვა მათი სიწმინდე და მრავალჯერ იხსნა აღამაქმდხანებისა და თემურლანგების სისხლიანი ბრწყინებისაგან. ამ დროშებს დღესაც მუზეუმებში უმფოთველად სჩინავთ სისხლმემკვარებს და ომგადაბდილებს, რადგან:

„ახლა სხვა დროსა დგას მეწინავედ,
დღეს სულ სხვა დროშის ძალით
გმხნელებით,

მისთვის კედლიან, თავებს სწირავენ,
ომში გასული ქართლის მხედრები“.

საუკეთესო ლექსთა რიგს ეკუთვნის ლექსი: „ქლევაძისილი“, რომელიც საბჭოთა კავშირის გმირ ქანთარაიასაძეში მიძღვნილი. გმირი ვაჟკაცი მთელი ხალხის განსახიერებაა:

სახელით მე არ მიცნობს არავინ,
მე ერთი ვარ და ვარ უთვალავი,
მე ერთად მქვია ყველას სახელი“...

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ მკითხველზე ლექსები დაწერილი ისტორიულ თემებზე: „მშენილი ხარი“, „მონაპირე რაიკოშვილი“, „მესხის სიმღერა“, „ზარზმა“, „ჯავახიშვილი“

და სხვა. ამ ლექსებში მხატვრული სახეებით არის გადმოცემული ქართველი ხალხის ბრძოლა თემურთან და სხვა დამპყრობელებთან, თემურმა ხმ „შეშლილმა ხარმა“ ქედი ვერ მოახრეინა ქართველ ხალხს; ვერ სძლია ქართული ვაზი, მის მიერ ნაობარი მიწა ქართველმა ველაე აუვავა. პოეტი ერთგან ამბობს:

„ვაზი სიყვდილის ზელით ამზარი,
სტალინის ზელით ვახარებულა“.

ლექსში „მონაპირე რაიკომებში“ მოცემულია ახალი მესხეთის აღორძინების იდეა. პოეტი წერს:

„აუვავებულა რუსთველის კერა,
განათებული სტალინის სიბრძნით“.

კარგადაა მიგნებული და ისტორიულ ასპექტში გააზრებული ლექსი „ჯაჭვებაზხელი“. ის ამ მხრივაცაა დამახასიათებელი, რომ ბეტორში მთელ წიგნს ამ ლექსის სახელწოდება მისცა. ლექსში დიდი დამაჯერებლობითაა გადმოცემული ჩვენი ხალხის შემართებლობა და უძლეველობა. ავტორისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, თავმოქმედებულს თათარის ბეგარით ქართველ ტარზე შედამ ჯაჭვი ეცვა:

ტაძარს იგებდა, ეცვა წერილთვალა,
ვეფხვის წიგნს წარდა ჯაჭვებაზხელი“.

აღსანიშნავია აგრეთვე ლექსები: „მტკერის სიმფონია“, „ფუჭემდებელი“, „ჩვენი ვაშაც ქართული“, „მტრები“, „მას დიდება“, „პარტიზანება“ და სხვა. ლექსი „მტრები“ იმის კარგი დამამტკიცებელია, თუ რაოდენ დიდია საბჭოთა მუშარის სულიერი სისპეტაკე და მორალური ურყევებლობა, რომ მისთვის ყოველგვარ სიძულეზე მაღლა დგას მტრისადმი ზიზღი და სიძულვილი. მის წურვილი კვავდა, მაგრამ წამსვე გასტყორცნა ჭურჭელი ტრეზებთან არ მიიკარა. „სწუროდა მაგრამ წელს წურვილის სძლია, მტრისადმი ზიზღმა და სიძულვილმა“ მეორე, მესამე და მეოთხე განყოფილებაში, შესულია სხვადასხვა დროს სხვადასხვა თემებზე დაწერილი ლექსები. უკანასკნელ თავში, რომელსაც „ანდერჩნამაგარი“ ეწოდება შესულია შემდეგი ლექსები: „ქვეყანას გასწევდ თემცა დიდია“, „ავანთოთ შტეი ჩვენი ზვიდრი“, „ლიმონები“, „პირველი აპრილის დღია“, „თერგის დაღევა“, „ანდერჩნამაგარი“, „განგაშის ღამე“, ნაწევრები პოემიდან: „ქლევის ქედი“, „ქვეყანას გასწევდი, თემცა დიდია“, ეს პატარა ლექსი ბევრის მოწველია. პოეტს სწამს, რომ

შემოქმედება დიდ და დაძაბულ ენერჯიას ნებისყოფასა და შრომას მოუყვება. ქვეყნებში სწერს პოეტი:

„შემოქმედება ბეწვის ზიდა,
ახალგაზრობა — ცეცხლთან თამაში“.

ასე მოხდენილად თქმული სტრიქონები კარგად გადმოგვცემენ იმ გზის სიძნელეს, რომელზეც შემოქმედს უხდება სიარული. მრავალმხრივ საყურადღებოა ლექსი „ანდერჩნამაგარი“. რაც შეეხება ნაწევრებს პოემიდან: „განგაშის ღამე“ და „შემოდგომა“ მათ შესახებ აქ აღარ ვილაპარაკებთ. ამ პოემის შესახებ საკმაო თქმულა და დაწერილა. წიგნი მთავრდება პოემით „ზარზმის ზანება“. ეს არის შესანიშნავი ეპიფრა ნაწარმოები, მისი პერსონაჟები თვით ომგადაბლი გოლეტიანი, დედა და ცოლი, ერთილიზობილური მიზნების მქონე ადამიანთა სახეებია. ისინი პირადი, ეფირო ინტიმური ინტერესებით როდი იზღუდებიან, არამედ მათ მისწრაფებანი და ინტერესები გადაჯაჭვულდა მთელი ხალხის მისწრაფებებთან და ინტერესებთან. გოლეტიანის დედა დასტრის მისივე ზელით მოთბობილ უცხო ვაჟაკს, რადგან ისიც სამშობლოს იცავდა; ისიც შელად ეგულებოდა.

გოლეტიანის დედა ნამდვილი ქართველი დედის სახეა. უცხო ვაჟაკის მოზარდ გვევლინება გოლეტიანის ცოლიც:

— „ცოლო რას ამბობს გოლეტიანის?“

ცოლი? ქართველი კაცის ცოლია,
მკვდარ ვაჟაკს როგორ არ დაიდარდებს,
ვითომ საფლავში მახლი ჰყოლია,
რსე დაზრუნავს/საფლავის ვარდებს“.

თვით გოლეტიანიც გლოვობს უცხო ვაჟაკს, როგორც საყუთარ მძას:

„თავათ რას ამბობს გოლეტიანი,
ვაჟაკი შრავალმოკეთიანი,
თავათ რას იტყვის ომგადაბლი,
მუდამ დღე დასტყერს საფლავს მდუმარი,
თითქოს მძა ჰყავდეს ლღამვემ ნამდვილი,
იმში მოკლული მძა საყუთარი“.

პატრიოტიზმის და ჰუმანიზმის იდეები ამორავებს პოემის ყოველ პერსონაჟს და სწორედ ამამა მისი ესოდენ დიდი ღირსება.

საერთოდ ვერ. ამამიძის წიგნი „ჯაჭვებაზხელი“ შეუნელებელი ინტერესით იკითხება თავიდან ბოლომდის. უნდა აღინიშნოს წიგნში შესული ლექსების თემატიკის მრავალფეროვანება. ყოველი ლექსი გამსჭვალულია ოპტიმიზმითა და ხასიათდება მასალის ღრმა ცოდნით.

ი. არაბული.



ქ. შერადელის ოპერის „დიადი მეგობრობის“ შესახებ, — სავ. კ. პ. (ბ) ც. კის 7948 7. 3
 თებერვლის დადგენილება 3

კონსტანტინე გამსახურდია—დავით აღმაშენებელი, ტრილოგია, მეორე კარის დასასრული	9
კოლაუ ნადირაძე — ნაცნობ კოლმეურნე ქალს, ლექსი	54
გიორგი კახაბიძე — მოხუცი დარაჯი, ლექსი	55
დომანა შინგაღალია — წითელი ყაყაო, რომანი, გაგრძელება	56
ალექსანდრე აბაშვილი — ნინო ნაკაშიძეს, ლექსი	73
ბავლე ანტონოვსკი—შვილი, პოემა, გაგრძელება, თარგმანი ქართულად	75
ნინო ნაკაშიძე — საბავშვო ეტრნალი „ნაკადული“, მოგონება	80
მიხეილ ჯანაშვილი — შენ აბრეშუმზე ყვავილებს ზატავ, ლექსი	96

მიხა დელზა — „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ასი წლისთავი, წერილი	98
სიმონ ყაუხჩიშვილი — ივანე ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, წერილი	112
ვიქტორ გოლცვი — ლექსები სლავურ მშობაზე, წერილი	128
პაპაძე გარდაშლია — მასალები ქართული ევრსიფიკაციის კვლევის ისტორიისათვის, წერილი, დასასრული	134

+ ვალვა ალგაჩიშვილი — კონსტანტინე ლორთქიფანიძე — „ესაბელო მალღობზე“, ბიბლიოგრაფია	160
ბენო გორდჯიანი — „შალვა კვასცვაძე — ანტონ გოგიაშვილი“, ბიბლიოგრაფია	162
მ ცისკარიშვილი — „გ. ი. ტყეშელაშვილი — „Вардзия“, ბიბლიოგრაფია	163
+ ი. არაბული — „გ. აბაშიძე — „გაქვეყნებელი“, ბიბლიოგრაფია	165



პასუხისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრე აბაშელი, ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდიანი), იოსებ ბრიშაშვილი, გავლენი ნიკოლოზი, სერგო კლდიაშვილი, ალიო შირცხულავა (მაშაშვილი), ბესარიონ ჭლენტი, ბალაქტიონ ტაბიძე, სანდრო ზანზიაშვილი, დონა შენგელია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/III-48 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10½ ფ. ში 00450.
შეჯ. № 379. ტირაჟი 5.300.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამოცემლობის საქმეთა
სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, შარჯანიშვილის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: მამბლის ქ. № 13. ტელედ. 3-04-64.

3360 8 826.

196/13
საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
ცენტრი

მეთაფ რაბ-მ
სუბ-ვედერი



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ